საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები

(1941-2026)



საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსები,
წევრ-კორესპონდენტები და უცხოელი წევრები

თბილისი
2026

ცნობარი მოამზადა ირაკლი აბაშიძის სახელობის
ქართული ენციკლოპედიის მთავარმა
სამეცნიერო რედაქციამ

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

ISBN 978-99928-20-51-3

85 წელი ეროვნული აკადემიის დაარსებიდან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით შედგენილი ცნობარი მოიცავს აკადემიის დამფუძნებელ ნამდვილ წევრთა, აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა ბიოგრაფიებს. ეს გამოცემა არა მხოლოდ საიუბილეო თარიღის აღნიშვნას ემსახურება, არამედ წარმოადგენს თანამედროვე ქართული მეცნიერების ისტორიული გზისა და მის შემოქმედთა ერთგვარ მატიანეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება უდიდესი ეროვნული მონაპოვარი იყო. მისი დაფუძნების იდეა მომწიფდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გასული საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში ჩამოყალიბებული არაერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბაზაზე. აკადემია გახდა ის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელმაც განსაზღვრა ქართული მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები.

აკადემიის დაარსების პირველივე დღიდან მისმა დამფუძნებელმა ნამდვილმა წევრებმა (ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ კეცხოველი, გიორგი ჩუბინაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვ.) საფუძველი ჩაუყარეს კვლევის მრავალ დარგს და ქართულ სამეცნიერო აზრს ფართოდ გაუღეს კარი საერთაშორისო ასპარეზზე.

ცნობარი, რომელიც წარმოაჩენს აკადემიკოსთა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებსა და ძირითად სამეცნიერო მიღწევებს, არის არა მხოლოდ მოქმედ მეცნიერთა დამსახურების აღნუსხვა, არამედ ჩვენგან გამოხატული მადლიერება და მოწიწება იმ ღვაწლმოსილი აკა-

დემიკოსების მიმართაც, რომლებმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეს ქართული მეცნიერების განვითარებას. აქ წარმოდგენილი თითოეული ბიოგრაფია მოწმობს თავისი დარგის წინსვლაში შეტანილ უმნიშვნელოვანეს წვლილზე, იქნება ეს ფუნდამენტური კვლევები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში თუ მნიშვნელოვანი შრომები ჰუმანიტარულ და სოციალურ მიმართულებებში.

ცნობარში სტატიები განლაგებულია ანბანურად – აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები – ცალ-ცალკე. სტატიათა მოცულობაში შეინიშნება ერთგვარი დისპროპორცია, რაც, ძირითადად, განპირობებულია სამეცნიერო დარგების თავისებურებებითა და არსებული ინფორმაციით.

დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც ქვეყნის მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი, თავისი ფუნქციითა და შინაარსით წარმოადგენს იყალთოსა და გელათის აკადემიების სამართალმემკვიდრეს. იგი აგრძელებს ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის კონსოლიდაციას, ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობასა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას. აკადემიის მთავარი მიზანია, ქართული მეცნიერება ღირსეულად იყოს წარმოდგენილი მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში და აქტიურად მონაწილეობდეს გლობალური გამოწვევების გადაჭრაში.

იმედი გვაქვს, რომ ცნობარი საინტერესო იქნება როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ასევე – უნივერსიტეტების სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის, მათთვის, ვისაც აინტერესებს ქართველ მეცნიერთა ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის წინაშე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები



აბაშიძე გრიგოლ [19. VII (1. VIII). 1914, სოფ. ზედა რგანი, ახლანდელი ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1994, თბილისი], მწერალი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), სოციალისტური შრომის გმირი (1974), სტალინური პრემია (1951).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1936). იყო ჟურნალ „ნიანგის“ (1944–51), „დროშისა“ (1951–60) და „მნათობის“ (1960–67) რედაქტორი, 1967 წლიდან – საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, 1973–81 წლებში – ამავე კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. 1982 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიების კომიტეტს (1992 წლიდან – საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი). 1970 წლიდან იყო სსრკ მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრი.

გ. აბაშიძის პირველი ლექსები 1934 წელს გამოქვეყნდა. მის პოეზიაში ნათლად აისახა ადამიანის ფსიქოლოგიური სამყარო, ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობა და გარდასული საუკუნეები, ქართველი ხალხის პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. იგი ასევე განსაკუთრებული სიმძაფრით გამოეხმაურა მეორე მსოფლიო ომის თემას.

გ. აბაშიძის ისტორიულ რომანებში: „ლაშარელა“ (1957), „დიდი ღამე“ (1963), „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ (1975) აღწერილია ქართველი ხალხის ტრაგედია


XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა საქართველოს დიდი აღორძინება მონღოლთა ურდოების შემოსევამ შეწყვიტა. მწვავე მორალურ-ეთიკურ პრობლემებს განიხილავს მწერალი რომან „ყორნალსა“ (1967) და „სამძიმარში“ (1984).

გ. აბაშიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასაც [„მეც მასწავლეთ“, „თოლია და დედოფალა“, „ავი-ღლავი“, „მე და ნიკა“, „ნაბოლარა წიწილა“, „ვინ დიდი და ვინ პატარა“ (1988) და სხვ.]. თარგმნა ა. პუშკინის, ა. მიცკევიჩის, შ. პეტეფის, მ. ემინესკუს, ხ. ბოტევის, ი. ვაზოვისა და სხვათა ნაწარმოებები, 1983 წელს ფრანგულიდან – პიერ რონსარის რჩეული ლექსები. 1986 წელს გამოიცა მისი რჩეული თარგმანები „ასკილის რტოზე გალობს ბულბული“.

გ. აბაშიძე იყო სსრკ VIII–X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სტოკჰოლმში მონაწილეობდა მშვიდობის მსოფლიო (1958) და პოეტთა საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში.

გ. აბაშიძის ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



აბაშიძე ირაკლი [10 (23). XI. 1909, ხონი, – 14. I. 1992, თბილისი], პოეტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი (1966–92), საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი (1939–44), პირველი მდივანი (1953–66), გამგეობის თავმჯდომარე (1966–67), სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი (1968–70), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1970–76), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე (1963–85), სრულიად საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე (1988), შოთა რუსთაველის სახელობის (1965), სახელმწიფო (1988) და ჯ. ნერუს (1972) პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი (1979).

ი. აბაშიძემ დაწყებითი განათლება მიიღო ხონში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1931). რედაქტორობდა ჟურნალ „ჩვენს თაობას“ (1938–39), „მნათობს“ (1946–53). მისმა პირველმა ლექსებმა, რომლებიც 1928–29 წლებში იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ი. აბაშიძის პირველი კრებულებია „რამდენიმე ლექსი“ (1932), „ახალი ლექსები“ (1938), „ლექსები“ (1941), პოემა „წულუკიძის სიკვდილი“ (1940). 1941–45 წლების ომის პერიოდს მიუძღვნა ცნობილი ლექსები: „კაპიტანი ბუხა-

იძე“ და „ლესელიძის ხსოვნას“. ომის შემდგომ ლექსებში გამოხატულია პოეტის მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ი. აბაშიძის ინიციატივით 1960 განხორციელდა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია (ა. შანიძე, ი. აბაშიძე, გ. წერეთელი), რომელმაც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მიაკვლია შოთა რუსთაველის ფრესკას. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია პოეტმა უმაღლეს შემოქმედებით მწვერვალს.

შემოქმედებითი განახლების თვალსაჩინო მაუწყებელი იყო ციკლი საერთო სათაურით „მიახლოება“ (1957–59; 1969). ლექსების კრებული „რუსთაველის ნაკვალევზე“ აერთიანებს რამდენიმე ციკლს: „მწველ ინდოეთში“ (1959; წიგნთან ერთად „ინდოეთის გზებზე“ მიენიჭა ჯ. ნერუს სახ. პრემია, რომელიც გადასცა ინდირა განდიმ) და „პალესტინა, პალესტინა!“ (1963; რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია), რომლებიც ქართული ფილოსოფიური და პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, ხოლო რამდენიმე ლექსი – „ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან“, „ხმა ზეთისხილის ბაღში“, „ხმა კატამონთან“, „ხმა გოლგოთასთან“ – პოეტური შედევრების რიგს მიეკუთვნება. ამ ციკლმა პოეტს საყოველთაო აღიარება მოუტანა სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ი. აბაშიძის პირადი ინიციატივით 1966 წელს გაიმართა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი დიდი იუბილე, რომელმაც საერთაშორისო მასშტაბი მიიღო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პოეტური სიტყვის, ზოგადად, ქართული კულტურის საყოველთაო აღიარების ახალი ტალღის წარმოქმნაში.

ი. აბაშიძეს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ლირიკული ციკლი: „მონადირის ღამეები“, „ჰყვავის გურია“, „ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე“, „მონოლოგი აჩრდილებთან“, „ქარები რიონის ხეობაში“; საბავშვო ლექსები და პოემები („რას

გადაურჩა თბილისი“, 1955, 2016 და სხვ.). მისი ბოლო პერიოდის ლექსებში სიცოცხლის სიყვარული, მოუღლელი სულის ენთუზიაზმი შეთავსებულია ფილოსოფიური აზრის სილრმესთან. წიგნისათვის „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“ (1986) მიენიჭა გ. ტაბიძის სახ. პრემია (1987). ავტორია ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა; თარგმნილი აქვს ა. პუშკინის, ა. მიცკევიჩის, ი. ვაზოვის, ვ. მაიაკოვსკის, კ. ჩუკოვსკის, ა. ისააკიანის და სხვათა ნაწარმოებები. მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის მწერალთა კონგრესების მუშაობაში. დაწერა მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ამსახველი ნაწარმოებები: „ევროპა თვალის ერთი გადავლებით“, „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“ (1960), „პალესტინის დღიური“ (1961) და სხვ. თავისი ცხოვრების ბოლო დღეებში დაასრულა მოგონებები – „ზარები 1930–იანი წლებიდან“, რომელიც 1992 წელს გამოქვეყნდა.

ი. აბაშიძე უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას უთავსებდა დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1965–88).

პოეტის ლექსები თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე (რუსულად თარგმნა ბ. პასტერნაკმა, გერმანულად – ჰ. ბუდენზინგმა).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1980).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



აბდუშელიშვილი მალხაზ (27. III. 1926, თბილისი, – 23. II. 1998, იქვე), ანთროპოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979), ქართული ანთროპოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი) და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილებაში ა. ნათიშვილის ხელმძღვანელობით, 1959 წლიდან იყო ამავე განყოფილების გამგე. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის (1950 წლიდან), აგრეთვე ინდოეთის სუბკონტინენტის ენდოგამიური პოპულაციების ანთროპოლოგიური (1971 წლიდან) კვლევა.

მ. აბდუშელიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური შესწავლა, კავკასიისა და ინდოეთის მოსახლეობის ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია, ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპების ადგილის განსაზღვრა ზოგად რასობრივ სისტემატიკაში და სხვ.

მ. აბდუშელიშვილი იყო იუნესკოს ექსპერტი (1964 წლიდან), ევროპის ანთროპოლოგიის ასოციაციის (1973 წლიდან), სრულიად ინდოეთის ადამიანის გენეტიკოსთა საზოგადოების (1979 წლიდან) საპატიო წევრი და სხვა უცხოურ სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი. ხელმძღვანელობდა სსრკ–ინდოეთის ერთობლივ ანთროპოლოგიურ ექსპედიციებს (1971, 1974–75, 1978–79, 1983).



აგლაძე რაფიელ [16 (29). XII. 1911, თბილისი, – 17. IV. 1989, იქვე], ელექტროქიმიკოსი და ელექტრომეტალურგი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1944), პროფესორი (1944), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1963), საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, სტალინური პრემიის ლაურეატი (1943).

დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (1935) და მოსკოვის დ. მენდელეევის სახ. ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა (1938). იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) პროფესორი და ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიების კათედრის გამგე (1944–85), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1947–51), ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დაარსების ინიციატორი და მისი პირველი დირექტორი (1944–51), გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის (ამჟამად რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის) ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი (1956–60), იქვე ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის განყოფილების გამგე (1956 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ გამოცემის ინიციატორი და პირველი რედაქტორი (1949–51). მისი ხელმძღვანელობით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაინერგა ზესუფთა ლითონური მანგანუმის მიღების ელექტროლიზური მეთოდი. რუსთავის ქიმიურ ქარხანაში დანერგა კალიუმპერმანგანატის

მიღების ორიგინალური მეთოდი (სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დაჯილდოვდა ოქროს მედლით, 1962). იყო სსრკ II და III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1977) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ადამია რობერტ (6. IV. 1933, თბილისი, – 19. IX. 2018, იქვე), მეტალურგი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1976), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორეს-პონდენტი – 1983).

1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) ლითონთა წნევით დამუშავების სპეციალობით. 1956–57 წლებში მუშაობდა კომუნარსკის (უკრაინა) მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავ საამქროში ოსტატის თანაშემწედ. 1958–61 წლებში მიავლინეს მოსკოვში, მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა უფროს ინჟინრად. 1963–72 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1972–83 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის გამგედ. 1983–90 წლებში იყო მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, 1983 წლიდან ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრს.

რ. ადამიას სამეცნიერო ნაშრომები ეხება ოპტიმალური დინამიური მაჩვენებლების მახასიათებლების მქონე მანქანებისა და მექანიზმების, უპირატესად მეტალურგიული დანიშნულების საწარმოო აგრეგატების კვლევის გაანგარიშებისა და რაციონალურად დაგეგმარების ძირეულ საკითხებს.



ალადაშვილი ალექსანდრე [17 (29). VI. 1876, სოფ. არბოშიკი, ახლანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 29. VI. 1950, თბილისი], თერაპევტი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1911), პროფესორი (1919), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში.

დაამთავრა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1904). 1911 წელს ხარკოვში დაიცვა სადოქტორი დისერტაცია თემაზე „ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისათვის“. 1919 წელს აირჩიეს სიმფეროპოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგედ, 1919–21 წლებში განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრას, 1921–24 წლებში იყო ამავე ფაკულტეტის დეკანი, 1921–50 – საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგე თავდაპირველად თსუ-ში, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (თსსი), თსსი-ის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1937–50), საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე (1940–50).

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში კურორტოლოგიის, ტუბერკულოზისა და პროფესიულ დაავადებათა

ინსტიტუტების, აგრეთვე სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს დაარსებაში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის მე-2 საავადმყოფოს, რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა.

ა. ალადაშვილის სამეცნიერო ნაშრომები უმთავრესად ეხება საქართველოს საკურორტო რესურსებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პრეპარატების სამკურნალო მიზნით გამოყენებას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ალექსიძე გურამ (დ. 30. VII. 1939, თელავი), სწავლული აგრონომი, ენტომოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი (1989), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018).

1962 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი მცენარეთა დაცვის სპეციალობით. 1967–73 წლებში მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1974–83 წლებში – საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, 1983–87 წლებში – ქ. ვაშინგტონში (აშშ), საბჭოთა კავშირის საელჩოში, საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლად. ამავე პერიოდში იყო ამერიკის ენტომოლოგიური და ფიტოპათოლოგიური საზოგადოების წევრი და მცენარეთა დაცვის ექსპერტი, 1987–95 წლებში – საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1992), 1995–2004 წლებში – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, 2004 წლიდან – ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი (2013–23).

გ. ალექსიძე ხელმძღვანელობდა ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო სექციას. 2015 წელს საქართველოს

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაასახელა საუკეთესო მეცნიერად აგრონომიის დარგში. 2016 წლიდან იყო ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის თავმჯდომარე, 2020–22 წლებში – ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტი.

გ. ალექსიძემ შეისწავლა საქართველოს პირობებში ხეხილისა და ვაზის მავნებლების ბიოეკოლოგია, მათი რიცხობრიობის მარეგულირებელი ფაქტორები და დაამუშავა ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები; პირველმა დაადგინა ხეხილის აგროცენოზებისათვის მავნე და სასარგებლო მწერების ურთიერთდამოკიდებულება მათემატიკური მოდელირებისა და ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენებით; გამოიკვლია ახალი პესტიციდების მოქმედება მავნე და სასარგებლო მწერებზე და შეიმუშავა ეკოლოგიური თვალსაზრისით მათი უსაფრთხოდ გამოყენების მეთოდები.

გ. ალექსიძე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის (აქედან 80-მდე გამოქვეყნებულია საერთაშორისო გამოცემებში) და 20 მონოგრაფიის ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999), საერთაშორისო ორგანიზაციების – „CGIAR“ -ისა და „ICARDA“ -ს ვერცხლის მედლები (2005 და 2008), ნ. ვავილოვის სახელობის მედალი (2013) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ალექსიძე ზაზა (3. VIII. 1935, თელავი, – 24. I. 2023, თბილისი), ისტორიკოსი და ფილოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1958). იქვე იყო არმენოლოგიის კათედრის გამგე (1979–2016), შემდეგ – თსუ-ის ემერიტუს (საპატიო) პროფესორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი (1989–2006). 2006 წლიდან ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ტექსტოლოგიისა და კოდიკოლოგიის, ხოლო შემდეგ აღმოსავლური და სომხური ხელნაწერების განყოფილებას. იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიული წყაროების კომისიისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ეპიგრაფიკისა და ხელნაწერთა მინაწერების სექციის ხელმძღვანელი.

ზ. ალექსიძე იკვლევდა ადრინდელი შუა საუკუნეების კავკასიის სოციალურ, ისტორიულ, კულტურულ და იდეოლოგიის პრობლემებს. მან კრიტიკულად დაადგინა, ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო გამოკვლევები დაურთო ძველი სომხური მწერლობის ძეგლებს („ეპისტოლეთა წიგნი“, 1968; უხტანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, 1975). მასვე ეკუთვნის არსენ საფარელის თხზულების, „განყოფისა ქართლისა და სომხითის“ მეცნიერული პუბლიკაცია (1980). აღმოაჩინა და გაშიფრა სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონას-

ტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ალბანური პალიმფსესტი. მისი უშუალო მონაწილეობით გამოიცა სინის მთაზე ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების სამენოვანი კატალოგი (2005), „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ახალი სინური რედაქციები, გამოავლინა და გამოაქვეყნა ბაგრატიონთა და რუვისთაველთა შესახებ უახლესი ცნობები.

ზ. ალექსიძის ნაშრომებმა, რომლებიც შექმნილია რამდენიმე ჰუმანიტარული მეცნიერების (ისტორია, ფილოლოგია) სინთეზის საფუძველზე, არა მარტო ახლებურად დააყენა კავკასიოლოგიის ბევრი პრობლემა (კავკასიაში რელიგიური სიტუაცია, ქართული დამწერლობის გენეზისისა და განვითარების გზები, ქართული საერო მწერლობისა და რითმიანი პოეზიის უძველესი ეტაპი, ცალკეულ უძველეს სოციალურ ტერმინთა და სხვა საკითხები), არამედ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთო კავკასიური პრობლემატიკის კვლევის თანამედროვე დონის შექმნას. იყო საფრანგეთის წარწერებისა და ნატიფი მწერლობის აკადემიის უცხოელი წევრი (2011).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003), სომხეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საპატიო ოქროს მედალი (2005).



ალექსიძე ლევან (5. VII. 1926, თბილისი, – 1. VIII. 2019, იქვე), იურისტი, მეცნიერი, პედაგოგი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1986), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986), საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის დამაარსებელი.

1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი. 1950–51 წლებში მუშაობდა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტად, შემდგომ – უფროს მასწავლებლად, 1953–64 წლებში იყო ფაკულტეტის არჩეული დოცენტი.

ნიუ-იორკსა და ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იყო სამდივნოს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი ოფიცერი (1970–77), დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის მდივანი, საკონსულტაციო მომსახურებისა და სპეციალური დავალებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ასრულებდა გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა კომისიის მდივნის მოვალეობას, გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალური წარმომადგენლის ფუნქციას მისსავე ორგანიზებულ გაეროს სემინარებზე (1975–76). განაგებდა გაეროს „Human rights bulletin“-ისა („ადამიანის უფლებათა ბიულეტენი“) და „Human Rights Yearbook“-ის („ადამიანის უფლებათა ყოველწლიური“) მომზადებასა და გამოცემას.

1977–78 წლებში ლ. ალექსიძემ კვლავ თსუ-ში განაგრძო მოღვაწეობა. იყო იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, 1978 წლიდან – სამართლის საფუძვლებისა და საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე, 1985–92 წლებში – თსუ-ის პრორექტორი სასწავლო დარგში. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოსა (1991–92) და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე (1992–93), საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებზე (1993–2003), გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სესიაზე საქართველოს წარმომადგენელი (1994–99), საქართველოს დელეგაციის წევრი 1993–95 წლებში გაეროს ეგიდით მიმდინარე ჟენევის მოლაპარაკებებზე, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებას, ასევე მონაწილეობდა სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებში.

ლ. ალექსიძის ნაშრომები ეხება საქართველოს ურთიერთობას რომის იმპერიასთან, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას XI–XIII საუკუნეებში და სუვერენიტეტის ქართული კონცეფციის ჩამოყალიბებას, უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში XII საუკუნეში, XV–XVIII საუკუნეებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სამართლებრივ ასპექტებს. ამ ნაშრომებში მრავალი საკითხი ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი.

საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ უპირობოდ აღიარა ლ. ალექსიძის მიერ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ურთულესი თეორიული და პრაქტიკული პრობლემის – „იმპერატიული ნორმები (jus cogens) საერთაშორისო სამართალში“ – კონცეფციის განვითარება.

1981 წელს ლ. ალექსიძე ლექციებს კითხულობდა საერ-

თაშორისო სამართლის ჰააგის აკადემიაში, სადაც გაიმართა jus cogens -ის პრობლემის კომპლექსური განხილვა. მისი ლექციები ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა იქვე [Recueil des Cours. V.172 (III), 1981], ხოლო მონოგრაფიას „საერთაშორისო სამართლის თეორიის საკითხები: იმპერატიული ნორმები“ (1982) საერთაშორისო აღიარება მოჰყვა.

ლ. ალექსიძე ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული 150-მდე ნაშრომის ავტორია. იყო საერთაშორისო სამართლის მსოფლიო ასოციაციისა (1961–90) და საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოების (1970–76) წევრი.

ლ. ალექსიძეს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

მიღებული აქვს ღირსების (1996), ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2010) და წმ. გიორგის სახელობის გამარჯვების (2012) ორდენები. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2011).



ალექსიძე მერაბ (8. XII. 1930, თბილისი, – 10. VII. 1993, იქვე), გეოფიზიკოსი და მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1965), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1983).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1955). 1958–72 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. 1972–87 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1987–92 წლებში – დირექტორი, 1992 წლიდან – ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. 1969 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში.

მ. ალექსიძის გამოკვლევები ძირითადად ეხება გეოფიზიკისა და გამოთვლითი მათემატიკის საკითხებს. მისმა მეცნიერულმა ნაშრომებმა დიდად შეუწყო ხელი გეოფიზიკაში (განსაკუთრებით გრავიმეტრიაში) თანამედროვე მათემატიკური მეთოდების დანერგვას.



ამაღლობელი ნოდარ (24. VIII. 1930, თბილისი, – 9. IV. 2004, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1983), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1990).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1953), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1957). მუშაობა დაიწყო იქვე უმცროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე (1957–62). 1962–63 წლებში იყო თსუ-ის ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1963–72 წლებში – ამ ლაბორატორიის მაღალი ენერგიების ფიზიკის განყოფილების გამგე, 1972–73 წლებში – ამავე ლაბორატორიის გამგე, 1973–80 წლებში – თსუ-ის მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, 1980 წლიდან – თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, 1981–85 წლებში (იმავდროულად) – თსუ-ის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, 1985–91 წლებში – თსუ-ის რექტორი, სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბირთვული ფიზიკის სექციის მაღალი ენერგიების ფიზიკის კომისიისა (1970–82) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო ხელსაწყოებისა და სამეცნიერო კვლევის

ავტომატიზაციის საბჭოს თავმჯდომარე (1987 წლიდან), 1992 წლიდან იყო საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა, რუსეთის ფედერაცია).

ნ. ამაღლობელის ნაშრომები ეხება ბირთვული და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის საკითხებს. მისი ნაშრომთა ციკლი ნეიტრალური უცნაური ნაწილაკების დაბადების შესახებ აღინიშნა პ. მელიქიშვილის სახ. პრემიით (1976, სხვებთან ერთად), ხოლო ახალი ვიწრო ბარიონული რეზონანსის აღმოჩენისათვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (სხვებთან ერთად).

1989–90 წლებში იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს მე-4 და მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ამირანაშვილი შალვა [26. III (7. IV). 1899, ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტი, – 9. II. 1975, თბილისი], ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი (1936), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1943), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1943), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1959), სსრკ მუზეუმების ეროვნული კომიტეტისა და მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს წევრი (1957), ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1922 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე. იგი უნივერსიტეტმა მიავლინა მოსკოვსა და პეტროგრადში, სადაც ბიზანტიურ და რუსულ ხელოვნებას სწავლობდა დ. აინალოვისა და ფ. შმიტის ხელმძღვანელობით (1923–25). იმხანადვე მონაწილეობდა საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაბრუნების საქმეში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1930–75 წლებში იყო თსუ-ის, ხოლო 1932–54 წლებში – თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრების გამგე, 1939–75 წლებში – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. 1945 წელს მიავლინეს პარიზში 1921 წელს გატანილი ეროვნული განძის სამშობლოში დასაბრუნებლად ე. თაყაიშვილის თაოსნობით.

შ. ამირანაშვილი მრავალმხრივი მეცნიერი იყო – იკვლევ-

და არქიტექტურას, კედლის მხატვრობას, ხელნაწერი წიგნის მხატვრულ გაფორმებას, ოქრომჭედლობას; აქვს გამოკვლევები წინაქრისტიანული ხანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ; დაინტერესებული იყო თანამედროვე სახვითი ხელოვნებით; ქართული ხელოვნების გარდა, იკვლევდა ბიზანტიურ, რუსულ, ირანულ ხელოვნებას.

შ. ამირანაშვილი მრავალი ნაშრომის ავტორია. მათგან აღსანიშნავია „ქართული ხელოვნების ისტორია“ (სხვადასხვა რედაქციით გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე 1944, 1950, 1961, 1963 და 1971 წლებში), „ქართული მონუმენტური ფერწერის ისტორია“ (1957), „ქართული მინიატიურა“ (1966). მნიშვნელოვანია აგრეთვე უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული მისი წიგნი საქართველოში დაცული მინანქრების თაობაზე (ფრანგულად – 1962; იტალიურად – 1963; ინგლისურად – 1964). მისი ნაშრომები გამოცემულია რუსულ და დასავლეთ ევროპის მრავალ ენაზე.

შ. ამირანაშვილის ნაშრომებისთვის დამახასიათებელია კვლევის ფართო დიაპაზონი, განსახილველი პრობლემების მასშტაბური ხედვა, ფაქტობრივი მასალის სიუხვე, განმაზოგადებელი დასკვნები. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვისა და საერთაშორისო მასშტაბებით პოპულარიზაციის საქმეში.

შ. ამირანაშვილი იყო საფრანგეთის სააზიო საზოგადოების წევრი. საქართველოს სსრ VI და VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს 1990 მიენიჭა შ. ამირანაშვილის სახელი.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ანდრონიკაშვილი ელეფთერ [12 (25). XII. 1910, სანქტ-პეტერბურგი, – 8. IX. 1989, თბილისი], ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1948), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1950), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1960), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1978).

დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი (1932). იმავე წელს მუშაობა დაიწყო აეროჰიდროდინამიკის ცენტრალურ ინსტიტუტში. 1934 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), 1940–42 და 1945–48 წლებში – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის დოქტორანტურაში. 1948–73 წლებში იყო თსუ-ის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგე, 1951–88 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ე. ანდრონიკაშვილმა მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო ფიზიკის მრავალ დარგში (კვანტური ჰიდროდინამიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, ბირთვული ტექნიკა, ბიოფიზიკა). ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ 2,17 K-ზე ქვევით თხევად ჰელიუმში, მისი კვანტური ბუნების გამო, ყოველ წერტილში ერთდროულად ხორციელდება ორი დამოუკიდებელი მოძრაობა – ზედენადი და ნორმალური (ბლანტი); გაზომა ნორმალური კომპონენტის სიმკვრივისა და სიბლანტის ტემპერატურული დამოკიდებულება

(სტალინური პრემია, 1952); აღმოაჩინა, რომ მბრუნავი ჭურჭელი წარიტაცებს ზედენად კომპონენტს მისი ზედენადობის მიუხედავად (იხ. ანდრონიკაშვილის ექპერიმენტი). მოწაფეებთან ერთად შეისწავლა ზედენადი სითხის ბრუნვის განმახორიელებელი ცირკულაციის თითო კვანტის მატარებელი გრიგალების დრეკადი და რელაქსაციური თვისებები; მძიმე არასტაბილური ნაწილაკების გენერაცია კოსმოსური სხივების მიერ და ფართო ატმოსფერული ღვარების მახასიათებლები (განივი იმპულსის შეზღუდულობა); დაადგინა დისლოკაციების გაჩენა ნეიტრონებით დასხივებულ იონურ კრისტალებში; შექმნა მაკრომოლეკულების კვლევის ახ. ფიზ. მეთოდი – მასკანირებელი დიფერენციალური მიკროკალორიმეტრია 4 – 400K ინტერვალში (სსრკ სახელმწიფო პრემია, სხვებთან ერთად) და კვლევის ახალი მიმართულება – ბიოპოლიმერების დაბალტემპერატურული კალორიმეტრია; გაზომა ცილების მაკრომოლეკულებისა და მათი ზემოლეკულური სტრუქტურების დნობის სითბო; დაადგინა, რომ წყალი სიმსივნურ ქსოვილებში უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე ნორმალურში და აღმოაჩინა სიმსივნის ზრდისას მიკროელემენტების გადანაწილება როგორც მაკრომოლეკულებში, ისე უჯრედებსა და ქსოვილებში; დაასაბუთა მეტალოკანცეროგენეზის კონცეფცია; დაადგინა, რომ დეზოქსირიბონუკლეინმჟავას (დნმ) ენტროპია ნაკლებია მისი შემადგენელი ნუკლეოტიდების მოუწესრიგებელი ნარევის ენტროპიაზე ძირითადად წყლის მოლეკულების დნმ-ის ორმაგ სპირალში მოწესრიგებული ჩაწყობის გამო.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1974).



ანდრონიკაშვილი თეიმურაზ (23. VII. 1928, თბილისი, – 27. II. 2013, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1978), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1987).

1953 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). 1958–75 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1975 წლიდან მის მიერ დაარსებული ქრომატოგრაფიის ლაბორატორიის გამგე), 1977–90 წლებში – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1990 წლიდან – დირექტორი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ქიმიის სერიის მთავარი რედაქტორი (1989 წლიდან). თ. ანდრონიკაშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ქრომატოგრაფიის განვითარებას, ქრომატოგრაფიაში ცეოლითების გამოყენებას. მისი ნაშრომები ძირითადად ეხება აირ-ადსორბციულ და აირ-თხევად ქრომატოგრაფიას, კაპილარულ ქრომატოგრაფიაში შემავსებლების, თხევადი კრისტალების გამოყენებას, აირადი ქრომატოგრაფიისათვის ახალი ტიპის მყარი სარჩულების შექმნას, ბუნებრივი ცეოლითების კვლევასა და გამოყენებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილისა (1965) და ა. თვალჭრელიძის (1987) სახელობის პრემიები.



არაბული ავთანდილ (დ. 24. III. 1953, სოფ. ჯუთა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), პროფესორი (1998), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2015; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1976) და არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა (1977–80). 1980 წელს მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ქართველურ ენათა განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1986 წლიდან – ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად.

იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე (1988–98, 2005–09), დირექტორის მოადგილე (2000–05), დირექტორი (2014–17), სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2006–13). 2005–06 წლებში თსუ-ში განაგებდა ქართული ენის კათედრას, 2008–10 – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. 2010–20 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის“ სწავლული მდივანი და ხელმძღვანელის მოადგილე, 2021 წლიდან – ხელმძღვანელი. მისი ძალისხმევით არსებითი ნაბიჯები გადაიდგა თესაურუსის (ისტორიული ლექსიკონი) შედგენის მიმართულებით, შექმნილია მოცულობითი ტექსტური ბაზები ძველი ქართული ბიბლიური წიგნების, მრავალთავებისა და აგიოგრაფიული

ლიტერატურის საფუძველზე. სრულად ლემატიზებულია ეს ტექსტური კორპუსი. მის საფუძველზე დამუშავდა ქართული ბიბლიის სიმფონია-ლექსიკონის ელექტრონული ვერსია და მიმდინარეობს მისი გამოსაცემად მომზადება. კომიტეტში დამუშავდა და გამოსაცემად გადაეცა „ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვებათა ლექსიკონი“.

ა. არაბული იკვლევს ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიის საკითხებს, ქართული კლასიკური მწერლობის (რუსთაველი, ილია, ვაჟა...) ენობრივსა და მხატვრულ თავისებურებებს. მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეები შესთავაზა მან სამეცნიერო საზოგადოებას ქართული ზმნისა და სახელის მორფოლოგიის, საერთოქართველურ ძირ-ფუძეთა წარმოქმნის პირველადი მექანიზმების, ცალკეულ კლასიკოსთა მემკვიდრეობის გააზრებაში.


2003–05 წლებში ა. არაბული იყო ავტორი და ხელმძღვანელი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისა (ლექსიკოლოგიური მონაკვეთი), რომლის საფუძველზეც განახლდა მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული სამუშაოები. იგი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის სამუშაოებს (1986–89), ქართული დიალექტური ლექსიკის კრებსითი ლექსიკონის შედგენას (XX ს. 90-იანი წლები). არის ინიციატორი და მთავარი რედაქტორი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციისა (2008–20; გამოსულია 4 ტომი). მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა ქეგლის ონლაინვერსია. ეროვნული სკოლის განვითარების ახალ ეტაპზე მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოების შედგენაში სწავლების ყველა საფეხურისათვის, მნიშვნელოვანი სიახლეებით იქნა წარმოდგენილი მშობლიური

ენის სასწავლო კურსები სკოლისა და უნივერსიტეტისათვის.

ა. არაბული არის 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათ შორის 20-ზე მეტი ცალკე წიგნად არის გამოცემული: „მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში“ (1984); „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“ (2001); „ქართული მეტყველების კულტურა“ (2004); „ენა ჩვენი არსობისა“ (2013); „ვეფხისტყაოსნის თავგადასავალი“ (2016); ახალი ქართული ენა. წიგნი 1, სალიტერატურო ენის მორფოლოგია (2016; თანაავტორი); „მარადიული თანამედროვე (შტრიხები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი პორტრეტისათვის“, 2020); „გულის ლექსიკონი“ (2023; თანაავტორი); „სინტაქსურ კოორდინაციასა და ზმნურ სიტყვაწარმოებას შორის (ზმნური დვანდვა ხევსურულში)“ (2023; ვ. ბოედერთან ერთად); „ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვებათა ლექსიკონი“ (2026; თანაავტორი და მთავარი რედაქტორი) და სხვ.

ა. არაბული არის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარე. მას აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული კანონშემოქმედებით მუშაობაში („მთის კანონი“, „სახელმწიფო ენის კანონი“, იუნესკოს მიერ აღიარებული ნომინაცია „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“).

2023 მიენიჭა თ. გამყრელიძის სახელობის პრემია ნაშრომთა ციკლისათვის „ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია“.



არაყიშვილი დიმიტრი [11 (23). II. 1873, ვლადიკავკაზი, – 13. VIII. 1953, თბილისი], კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო არტისტი (1929). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950). სტალინური პრემიის ლაურეატი (1950). ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

სიჭაბუკის წლები დ. არაყიშვილმა ჩრდილო კავკასიაში – არმავირსა და ეკატერინოდარში (კრასნოდარი) გაატარა. მუსიკისადმი სიყვარული გაუღვიძა ლ. აღნიაშვილის ქართულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ი. რატილი), რომელსაც პირველად 1890 წელს მოუსმინა არმავირში. ამ პერიოდს განეკუთვნება დ. არაყიშვილის პირველი ნაწარმოებები: რომანსი „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“ (ლექსი ი. ჭავჭავაძისა), ქართული ცეკვა ფორტეპიანოსათვის. 1894–1901 წლებში სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო-დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ა. ილინსკის (კომპოზიცია), ს. კრუგლიკოვისა (თეორიული საგნები) და ვ. კესის (დირიჟორობა) ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ყოფნის წლებში (1894–1918) დ. არაყიშვილმა ახლო ურთიერთობა დაამყარა გამოჩენილ კომპოზიტორებთან და მუსიკოსებთან. ამ პერიოდში იგი გატაცებით კრებდა, იკვლევდა და პროპაგანდას უწევდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული სამუსიკო-ეთნოგრაფიული კომისიის დავალებით მან ოთხი

(1901, 1902, 1904, 1908) სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მოაგროვა დიდძალი მუსიკალური მასალა (500-ზე მეტი ხალხური სიმღერა), რომლებიც შემდეგ ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ სამ დიდ კრებულად გამოსცა. დ. არაყიშვილის ნაშრომებმა საქვეყნოდ წარმოაჩინა ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფობა.

დ. არაყიშვილმა მოსკოვში საფუძველი ჩაუყარა „სახალხო კონსერვატორიას“ (1906), სადაც თვითონაც ასწავლიდა. იქვე მისი თაოსნობით გამოვიდა ჟურნალი „Музыка и жизнь“ (1908), რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თავადვე რედაქტორობდა. იგი აქტიური წევრი იყო მოსკოვის „მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოების“, მას სათავეში ედგა ა. სუმბათაშვილ-იუჟინი. ამ პერიოდში შექმნა ოცზე მეტი საუკეთესო რომანსი, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1914; დაიდგა თბილისის ოპერის სცენაზე), სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდს“ („საზანდრებს შორის“, 1911) და მრავალი საგუნდო ნაწარმოები.

1918 წელს დ. არაყიშვილი საქართველოში გადმოსახლდა და მთავარ ამოცანად მუსიკოსთა ახალგაზრდა კადრების მომზადება დაისახა. 1921 წელს მისი უშუალო ინიციატივით თბილისში დაარსდა მეორე კონსერვატორია, რომელთანაც ჩამოყალიბდა საგუნდო კლასი, სიმებიანი კვარტეტი, საოპერო სტუდია. 1926–30 წლებში დ. არაყიშვილი იყო თბილისის კონსერვატორიის (1924 წელს ორივე კონსერვატორია გაერთიანდა) დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. ამ პერიოდიდან მისი შემოქმედება გამდიდრდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით (კომიკური ოპერა „დინარა“, სიმფონიები, კანტატა). კომპოზიტორმა ჭეშ-

მარიტად კლასიკური მნიშვნელობის ნიმუშები შექმნა კამერულ-ვოკალურ ლირიკაში.

მეტად მრავალფეროვანია დ. არაყიშვილის სარომანსო შემოქმედების ლიტერატურულ-პოეტური საფუძველი (ჰაფეზი, ა. პუშკინი, ა. ფეტი, ი. პოლონსკი, ა. მაიკოვი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე). მისი რომანსებიდან აღსანიშნავია „ივერიის მთებზე“, „ნუ მღერ, ლამაზო“ (ა. პუშკინი), „აღსდექ, შეინავარდე“, „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“, „სიოვ ნაზო“ (ჰაფეზი), „ვარსკვლავიანსა ღამეს“ (ა. ფეტი), „მე შენ გელი“ (მ. დავიდოვა), „ღამეა ბნელი“, „შემოღამდება“, „ურმული“ (გ. ქუჩიშვილი). ეს რომანსები ფართოდ გავრცელდა ხალხში, დამკვიდრდა საკონცერტო და პედაგოგიურ რეპერტუარში.

დ. არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ საფუძვლად დაედო ხალხური თქმულება რუსთაველის ცხოვრების ერთი დრამატული ეპიზოდის შესახებ (ლიბრეტო – ა. ხახანაშვილი, ს. შანშიაშვილი, ი. მჭედლიშვილი).

უფროსი თაობის სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად (მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ვ. დოლიძე) დ. არაყიშვილი აღიარებულია ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებლად.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



არეშიძე ქრისტეფორე (12. II. 1906, ცხინვალი, – 28. XII. 1982, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969; წევრ-კორესპონდენტი – 1961). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1940–82 წლებში იყო პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული კატალიზის ლაბორატორიის გამგე, 1959–82 წლებში – თსუ-ის პროფესორი, 1970–82 წლებში – კათედრის გამგე.

ქ. არეშიძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ნავთობქიმიისა და ორგანული კატალიზის განვითარებას. შეისწავლა საქართველოს ნავთობის შედგენილობა; აღმოაჩინა ალკილციკლოპენტანური ნახშირწყალბადების იზომერიზაციის ახალი რეაქცია; გამოავლინა ბუნებრივ პირობებში ალკილციკლოპენტანების ციკლოჰექსანებად გარდაქმნის შესაძლებლობა და შეიმუშავა გოგირდიანი ნავთობპროდუქტების გაუგოგირდების ორიგინალური მეთოდი; გუმბრინის საფუძველზე მოამზადა ნიკელის, ქრომის, სპილენძისა და სხვა ლითონების კატალიზატორები; შეიმუშავა თხევადი ცხიმების ჰიდრირების ახალი მეთოდი და კატალიზატორი. სსრკ-ში ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითების კატალიზური თვისებები. შექმნა ახალი აფექტური კატალიზატორე-

ბი ფენოლის ციკლოჰექსანონში ერთსტადიიანი ჰიდრირებისა და ოლეფინური და ალკილარომატული ნახშირწყალბადების ჟანგვითი ამონოლიზის რეაქციებისათვის. მონაწილეობდა ქიმიის დარგში საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1974) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ასათიანი ვალერიან (დ. 15. XI. 1950, ქუთაისი), ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2021).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1972). სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1984), სახელმწიფო მეთაურის მრჩეველი კულტურის დარგში (1993), მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი (1994), პარლამენტის წევრი (1993–94), საქართველოს კულტურის მინისტრი (1985–90; 1995–2000), შოთა რუსთაველის სახ. პრემიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე (2022–24).

ვ. ასათიანი ავტორია მონოგრაფიებისა და სტატიების კლასიკურ ფილოლოგიაში, ბიზანტინისტიკასა და კულტუროლოგიაში. მათ შორის აღსანიშნავია: „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში“ (1987), „აკაკი ურუშაძე“ (1995), „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“ (1996), სტატიების კრებული (2010), „კლასიკოსი“ (2016), „ლეჩხუმი“ (2019), „ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო“ (2021), „ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები“ (თანაავტორი ვ. გოილაძე, 2023), ბიზანტიურ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი „CAUCASUS ANTIQUUS“ (თანაავტორი, 2010–21), ქართულ-იტალიური კულტურული ურთიერთობები – ITALICA-GEORGICA (პროექტის ხელმძღვანელი, თანაავტორი, 2025) და სხვ.

ვ. ასათიანის კვლევები ძირითადად ეძღვნება ქართულ-ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის საკითხებს, ქართველ მოღვაწეთა წვლილის დადგენას ცივილიზაციის ისტორიაში, ხელნაწერთა ფონდებსა და არქივებში წერილობითი წყაროების მოძიებასა და სხვ.

მიღებული აქვს ა. შვაიცერის მშვიდობის მედალი (2003, გერმანია), ჰომეროსის პრემია (2016, საბერძნეთი), დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია „ძლევაჲ საკვირველი“ და ოქროს მედალი (2024), აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია (2024).

არის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ასოციაცია „კულტურათა დიალოგი 21“-ის პრეზიდენტი. ქუთაისის საპატიო მოქალაქე (1998), საპატიო ლეჩხუმელი (2021).



ასათიანი ვლადიმერ (10. IX. 1901, ქ. ფერღანა, უზბეკეთი, – 9. III. 1972, თბილისი), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1931), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1946). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1955).

დაამთავრა პერუჯის (იტალია) სამეფო უმაღლესი ექსპერიმენტული აგროქიმიის ინსტიტუტი (1923). 1923–26 წლებში მუშაობდა უცხოეთში. 1926 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამედიცინო ფაკულტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის თანამშრომელია. 1930 წლიდან კათედრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გადაიტანეს. 1948 წლიდან ვ. ასათიანი იყო ამავე ინსტიტუტის ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგე, 1931 – 33 წლებში – ანასეულის ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და დირექტორის მოადგილე, 1937–39 – ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორი, 1964 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

ვ. ასათიანის ძირითადი ნაშრომებია (რუსულ ენაზე): „ბიოქიმიური ფოტომეტრია“ (1957), „ბიოქიმიური ფოტომეტრიის ახალი მეთოდები“ (1965), „ანალიზის ფერმენტული მეთოდები“ (1969; პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია, 1971), „შეცდომები ნივთიერებათა ცვლაში“ (1972) და სხვ.

ვ. ასათიანი არის მთის კლიმატის, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიისა და ბიოქიმიის ფარმაკოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, აგრეთვე საქართველოს, მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი და თავმჯდომარე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიის კომიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფერმენტების კომისიის თავმჯდომარე, ქართული ენციკლოპედიისა და დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიების წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



აფაქიძე ანდრია (3. IX. 1914, სოფ. ზანა, ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი, – 25. XI. 2005, თბილისი), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1967). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1937). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (1943–52), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი (1952–72), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოების (1968) და საქართველოს არქეოლოგიური კომისიის (1989 წლიდან) ხელმძღვანელი, ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე (1972–89), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1980–88), ვიცე-პრეზიდენტი (1988 წლიდან). ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტს (1994 წლიდან), 2002 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

ა. აფაქიძე მუშაობდა ანტიკური ხანის არქეოლოგიის,

საქართველოს ძვ. კულტურის ისტორიის საკითხებზე. 1936 წლიდან იკვლევდა ბაკურციხის, არმაზისხევის, სამთავროს, წიწამურის, ბაგინეთის, სარკინისა და მთაქართლის არქეოლოგიურ ძეგლებს. 1952–74 წლებში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ბიჭვინთაში („დიდი პიტიუნტი“), 1975 წლიდან კი – მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას.

ა. აფაქიძის ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ისტორიას, მათი წარმოქმნისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების თავისებურებებს. ბოლო წლებში მუშაობდა ქართული და კავკასიური ცივილიზაციის ისტორიის კვლევის გაფართოებაზე, რაც ქართველთმცოდნეობისა და კავკასიოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო მიმართულებად იქცა.

ა. აფაქიძის ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით შეიქმნა „საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (1959), პირველი არქეოლოგიური ლექსიკონი (1980), მისივე თაოსნობით დაარსდა სერია: „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“ (1955), „დიდი პიტიუნტი“ (1975), „მცხეთა – არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“. საფუძველი ჩაეყარა წყალქვეშა არქეოლოგიურ კვლევა ძიებას საქართველოში (1953), ორგანული წარმოშობის არქეოლოგიური ძეგლების რადიოაქტიური ნახშირბადის მეთოდით დათარიღებას, არქეოლოგიურ ძეგლთა პალეომაგნეტიზმის მეთოდით დათარიღებას, მათ ძიებას გეოფიზიკური მეთოდებით, ხოლო ბოლო წლებში არქეოლოგიურ კვლევაში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დანერგვას, კვლევის კომპიუტერიზაციასა და ავტომატიზებული საძიებო-საინფორმაციო სისტემის გამოყენებას.

ა. აფაქიძე იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990–91); ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წლის 9 აპრილი).

მონაწილეობდა კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის რომის (1958), საფრანგეთის (1963) და დამასკოს (1968) კონგრესებში.

მიღებული აქვს ს. ჯანაშიას სახ. პრემია (1964), თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1999), აგრეთვე სახელმწიფო ჯილდოები, საბრძოლო ორდენები და მედლები.



ახვლედიანი გიორგი (13. IV. 1887, სოფ. დერჩი, ახლანდელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 7. VII. 1973, თბილისი), ენათმეცნიერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პროფესორი (1918 წლის პირველ პროფესორთა კოლეგია), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943), ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო (1932) და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოებების წევრი (1940).

დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი (1914). მუშაობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). მისი კვლევის სფერო იყო ქართველოლოგია, ინდოლოგია, ირანისტიკა, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა.

თსუ-ში დააარსა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა და შექმნა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია. სხვადასხვა დროს თსუ-ში კითხულობდა საუნივერსიტეტო კურსებს: ენათმეცნიერების შესავალს, ზოგადსა და ექსპერიმენტულ ფონეტიკას, სანსკრიტს, ბერძნულს, ოსურს, რუსული ენის ისტორიასა და დიალექტოლოგიას, ინდოევროპული ენების შედარებით გრამატიკას, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიასა და სხვ.

გ. ახვლედიანმა ი. ყიფშიძესა და ა. შანიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერების კვლევა-ძიების საქმეს. 1923 მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა „ქა-

რთული საენათმეცნიერო საზოგადოება“. გ. ახვლედიანმა ნაშრომები – „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საფუძვლები“ (ტ. 1, 1938), „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949), „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ (1956) – გამოირჩევა ორიგინალობითა და საკვანძო საკითხების ახლებურად გაშუქებით.

გ. ახვლედიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენას და ლექსიკოგრაფიული მუშაობის განვითარებას. თანამშრომლობდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიასთან“ (1920 წლიდან).

გ. ახვლედიანს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ლექსიკოგრაფიული მუშაობის განვითარების საქმეში. შეადგინა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები: უცხო სიტყვათა (1933), რუსულ-ქართული (ტ.1–2,1931–35, ს. იორდანიშვილთან ერთად), ქართულ-რუსული (1942, გ. თოფურიასთან ერთად). იგი იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (რვატომეული) მთავარი რედაქციისა და „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ სამტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გ. ახვლედიანის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ოსური ენის მეცნიერული შესწავალა და ლოგოპედიის მეცნიერულ საფუძვლებზე დაყენება; გამოკვლევა მიუძღვნა ქართულ ენაზე მხატვრული თარგმნის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; თარგმნა და გამოაქვეყნა ძველი ინდურიდან „დასაბამი ნივთთა“ (ჰიმნი რიგვედიდან), ავესტურიდან – „ავესტა“ (17 გათა); ქართულ ზღაპრებში მიაკვლია ინდურ სიუჟეტს („ავესტის თრაეტაონა და ქართული ზღაპრების თრიტინო“ (1944). თავმჯდომარეობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდურ საბჭოს.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი (1950).

დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავანეში.



ბალავაძე ბენედიქტე [12 (25). VI. 1909, სოფ. ღანირი, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 26. III. 2010, თბილისი], გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1955), პროფესორი (1956), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპოდენტი – 1967). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1931). 1931–32 წლებში მუშაობდა საქართველოს მძიმე მრეწველობის სახელმწიფო კომისარიატში, თბილისის გეოფიზიკის ობსერვატორიაში (მონაწილეობდა სსრკ გენერალურ მაგნიტურ აგეგმვაში), 1933 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში, 1951–53, 1972–87 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი, 1987 წლიდან – ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, 1968–76 წლებში – თსუ-ის გეოფიზიკური ძიების კათედრის გამგე, 1976–89 წლებში – გეოფიზიკის კათედრის გამგე.

ბ. ბალავაძის ნაშრომები ეხება დედამიწის ქერქის აგებულებისა და სასარგებლო წიაღისეულის გრავიმეტრიული შესწავლის მეთოდების დამუშავებას, სიმძიმის ძალის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნას, კავკასიის ტერიტორიისა და მიმდებარე ზღვების აკვატორიების გრავიტაციული ველის გამოკვლევას, ამ რეგიონის დედამიწის ქერქისა და ზედა მანტიის აგებულებასა და ფიზიკური თვისებების შესწავლას.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (1988), ღირსების ორდენი (1996) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ბარამიძე ალექსანდრე [27. III (9. IV). 1902, სოფ. ჯუნჯუათი, ახლანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 30. XII. 1994, თბილისი], ლიტერატურათმცოდნე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1936), პროფესორი (1936), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1946). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1925). იყო ამავე ფაკულტეტის დეკანი (1944–45), პრორექტორი (1945–49), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი (1952–55), თსუ-ის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე (1962–70), შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი (1966–85), ამავე ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი (1985 წლიდან). 1968–89 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერია) მთავარი რედაქტორი; „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქტორი (1973) და ხელმძღვანელი (1992). კითხულობდა ლექციების კურსს თსუ-ში, ქუთაისის, გორისა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

ა. ბარამიძემ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო 1925 წლიდან. მან დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ფილოლოგიის, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობის გან-

ვითარებაში. იკვლევდა ძველ ქართულ (V–XVIII სს.), ძირითადად კი – XI–XVIII სს. ქართულ საერო მწერლობას. კ. კეკელიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთიანი მეცნიერული კურსის შექმნა-ჩამოყალიბებას (1954–69). მან მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა შოთა რუსთველის, ჩახრუხაძის, შავთელის, თეიმურაზ I-ის, არჩილ II-ის, ს.-ს. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ბესიკისა და სხვათა შემოქმედებას.

ა. ბარამიძეს დიდი წვლილი მიუძღვის სხვა ხალხებთან კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლაში. ამ მხრივ ცნობილია მისი გამოკვლევები ქართულ-ევროპულ, ქართულ-რუსულ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე; განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხების კვლევას. ცალკეული წერილების გარდა, მას ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები „შაჰ-ნამეს“, „ვისრამიანისა“ და „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიებზე.

ა. ბარამიძემ ერთ-ერთმა პირველმა გაარკვია „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხი, „რუსუდანიანის“ ლიტერატურული წყაროები, „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციების თავისებურებანი, რომლებიც უკავშირდება ვახტანგ VI-ისა და ს.-ს. ორბელიანის სახელებს.

ა. ბარამიძემ მრავალი გამოკვლევა უძღვნა შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“, რაც შეჯამებულია მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (1958, 1966, 1974). მან არაერთი წერილი თუ ნარკვევი მიუძღვნა ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებს (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე).

ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. 1965–

86 წლებში იყო საქართველო-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა და საქართველო-უნგრეთის ასოციაცია „ხიდის“ საპატიო წევრი (1995-მდე). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის პრემიები.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ბაქრაძე კონსტანტინე [24. XI (6. XII). 1898, თბილისი, – 28. IV. 1970, იქვე], ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია (1918) და ახლად გახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი (1922). 1923–25 წლებში მივლინებული იყო ფრაიბურგისა და ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტებში, სადაც სწავლობდა ე. ჰუსერლთან, ა. რიკერტსა და მ. ჰაიდეგერთან. 1925 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1926 წლიდან იყო თსუ-ის ასპირანტი, 1928 წლიდან – ლექტორი, 1930 წლიდან – პროფესორი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრებს.

კ. ბაქრაძე იყო ოთხი ფილოსოფიური სკოლის – ნეოკანტიანელობის, ფენომენოლოგიის, პრაგმატიზმისა და ეგზისტენციალიზმის ცნობილი მკვლევარი. პირველი მონოგრაფია „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ 1929 წელს გამოაქვეყნა. 1936 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“, იგი იცავდა მარქსიზმისათვის მიუღებელ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ჰეგელის დიალექტიკა მისი სისტემის იდენტურია. ეს ნაშრომი 1958 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა და კ. ბაქრაძეს დოქტორის ხარისხი მიანიჭეს, ამასთანავე მიიწვიეს მოსკოვში ჰეგელის თემაზე ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისთვის ლექციების კურსის წა-

საკითხად. იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორი იყო საბჭოთა კავშირსა და ასევე მთელ სოციალისტურ სივრცეში.

კ. ბაქრაძის ნაშრომებში განხილულია ფილოსოფიის ისტორიის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის აქტუალური პრობლემები; ნაჩვენებია დიალექტიკური მეთოდის ჩამოყალიბების პროცესის დიალექტიკური ხასიათი: ი. კანტის ფილოსოფიაში შესაძლებლობის სახითაა მოცემული მთელი შემდგომი გზა, რომელიც გ. ფ. ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკით მთავრდება. მან საფუძვლიანად გამოიკვლია ჰეგელის მოძღვრების მთავარი ასპექტები და დაასკვნა, რომ მის ფილოსოფიაში მეთოდი საბოლოოდ ემთხვევა სისტემას. დასავლური ფილოსოფიური აზრის განვითარებას მიეძღვნა ბაქრაძის მონოგრაფია „უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები“ (1960). რ. დეკარტის, ბ. სპინოზას, ჯ. ლოკის, დ. იუმის, გ. ლაიბნიცის, ფრანგი მატერიალისტების ფილოსოფიურ მოძღვრებათა ანალიზს მიეძღვნა მისივე წიგნი „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ (1969).

კ. ბაქრაძემ შეიმუშავა სუბიექტური იდეალიზმის ორიგინალური გაგება, რომლის თანახმადაც ეს ფილოსოფიური მიმართულება უნდა გავიგოთ როგორც წმინდა გნოსეოლოგიური და არა ონტოლოგიური თვალსაზრისი.

კ. ბაქრაძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ლოგიკის შესახებ შეხედულების შეცვლის შემდეგ დაწერა რამდენიმე სახელმძღვანელო ამ დარგში (1946 წელს; რუსულ ენაზე – 1951 წელს). მან შექმნა ორიგინალური კონცეფცია დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის მიმართების შესახებ. ჟურნალ „Вопросы философии“ -ს ფურცლებზე კ. ბაქრაძის სტატიის გამოქვეყნებით დაიწყო საკავშირო დისკუსია ლოგიკის საკითხებზე (1950). მისი თვალთახედვით, ლოგიკა ფილოსოფიური დისციპლინაა, რადგან იკვლევს შემეცნების

ერთ მომენტს – სწორ აზროვნებას. არსებობს ერთი ლოგიკა – მოძღვრება აზროვნების კანონების შესახებ; მარქსიზმის კლასიკოსების მიერ გამოყენებული ტერმინი „დიალექტიკური ლოგიკა“ აღნიშნავს დიალექტიკას და არა საკუთრივ ლოგიკას. ლოგიკას არ აინტერესებს აზროვნების შინაარსობრივი მხარე, ის ფორმალური მეცნიერებაა, მისი განვითარების ახალი ეტაპია „მათემატიკური ლოგიკა“.

თსუ-ში დაწესებულია კ. ბაქრაძის სახელობის სტიპენდია (1971).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ბახტაძე ქსენია [24. I (5. II). 1899, თბილისი, – 26. IX. 1978, ჩაქვი, ახლანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტი], სელექციონერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1950), საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1956), საქართველოსა (1960) და აჭარის არ-ის (1966) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1948).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი მემცენარეობის განხრით (1922). 1921–26 წლებში მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ყარაიაზის (ახლანდელი გარდაბნის მუნიციპალიტეტი) და განჯის საცდელ სადგურში (ახლანდელი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) ჩაის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების ხელმძღვანელად. ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილი ჩაის ჯიშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული სელექციური ჩაი №1“, „ქართული სელექციური ჩაი №2“ (სსრკ სახელმწიფო პრემია), „სელექციური №8“ – „ზამთრის გმირი“ და სხვ. ბახტაძისეული ჩაის ჯიშებს მაღალი საგემოვნო თვისებები აქვს და უხვმოსავლიანია.

მიღებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება (1966) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ბახუტაშვილი ვლადიმერ (23. III. 1931, თბილისი, – 15. VI. 2005, იქვე), ვირუსოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1983). საქართველოს სამედიცინო და სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი (1994).


1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1963 წლიდან დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა ამავე ინსტიტუტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. 1980–91 წლებში იყო აკად. ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1991 წლიდან – მისივე ჩამოყალიბებული სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (2014 წლიდან – ვ. ბახუტაშვილის სახ. ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი).

ვ. ბახუტაშვილი იკვლევდა ვირუსული ინფექციების პათოგენეზისა და იმუნიტეტის საკითხებს; დაადგინა შიგელების უჯრედშიდა პარაზიტიზმი და ვირუსული ინფექციების მნიშვნელობა დიზენტერიის პათოგენეზში; გამოიკვლია ინფექციური პროცესის მოდელი უჯრედულ და ორგანოს კულტურებში (1985). მისი ხელმძღვანელობით, ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა სამედიცინო პრეპარატი „პლაფერონი“ – იმუნომოდულატორი, რომელიც გამოიყენება ვირუსული ეტიოლოგიის დაავადების, გულის იშემიური დაავადების,

გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის, დიაბეტური ანგიო- და ნეიროპათიის დროს და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. 2022 წელს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.




ბერიკაშვილი ნოდარ (25. I. 1929, თბილისი, – 29. III. 2022, იქვე), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1989), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1979).

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1955–59), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1959–86), ამავე ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელდ (1986–89). 1989 წლიდან იყო გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების გამგე.

ნ. ბერიკაშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება ტოპოლოგიურ სივრცეთა და ვიბრაციათა ჰომოლოგიისა და ჰომოტოპიის საკითხებს, იკვლევდა აგრეთვე სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების ინდექსის საკითხს.

ნ. ბერიკაშვილმა სერის ფიბრაციისათვის შემოიტანა პრედიფერენციალის ცნება, რომლის საშუალებით აღწერა ფიბრაციის სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები და განმარტა D-ფუნქტორი, პრედიფერენციალების სიმრავლე. ტოპოლოგიაში არსებობს ცნებები: „ბერიკაშვილის D ფუნქტორი“, „ბერიკაშვილის მგრეხი ელემენტები“, „ბერიკაშვილის მოდელი“.



ბერიტაშვილი ივანე [29. XII. 1884 (10. I. 1885), სოფ. ვეჯინი, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 29. XII. 1974, თბილისი], ფიზიოლოგი. ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში. საქართველოსა (1941) და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა (1939) აკადემიების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1944) აკადემიკოსი. სტალინური პრემიის ლაურეატი (1941), სოციალისტური შრომის გმირი (1964), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1935).

სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1910) იქვე დაიწყო მუშაობა ნ. ვედენსკის ხელმძღვანელობით (1910–15). 1912 წელს მიავლინეს ქ. ყაზანის ა. სამოილოვის ლაბორატორიაში, შემდეგ – ქ. უტრეხტის (ჰოლანდია) რ. მაგნუსის ლაბორატორიაში (1914–15). 1915–19 წლებში იყო ოდესის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი. 1919 წლიდან მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), სადაც დააარსა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. 1935 წლიდან იყო აღნიშნული კათედრის ბაზაზე დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1951 წლიდან – სამეცნიერო ხელმძღვანელი).

ი. ბერიტაშვილს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი: კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის, უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის მექანიზმებისა და მათი სივრცითი ორიენტაციის, ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერე-


ბის მახასიათებლებისა და წარმოშობის შესახებ. იგი მრავალი აღმოჩენის ავტორია ფიზიოლოგიის დარგში. მან დაადგინა ზურგის ტვინის პროპრიოცეპტული, მოტორული ელემენტებისა და ჟელატინოზური სუბსტანციის როლი კიდურთა ფაზურ კოორდინირებულ მოძრაობებში (1909–14), ჩონჩხის კუნთების რეციპროკული შეკავების რიტმული ბუნება (1912–14), კისრისა და ლაბირინთულ-ტონური რეფლექსების ნერვული მექანიზმი (1914–15), პირობითი რეფლექსების გამომუშავების დროს ორმხრივი დროებითი ნერვული კავშირის წარმოშობა (პირდაპირი და უკუქცევითი დროებითი ნერვული კავშირები; 1916–22), პირობითი რეფლექსების წარმოშობა გაღიზიანებათა უკუშეულლებისას (1917), ნეირონთა გარკვეული კომპლექსის აგზნების ზოგადი შეკავების ერთდროული აღმოცენება ქცევითი აქტის დროს (1927–35), ინდივიდუალურად შეძენილი კვებითი ან თავდაცვითი ქცევის განხორციელება საკვების ან დამაზიანებელი აგენტისა და მათი ადგილმდებარეობის ერთჯერადი აღქმისას და ქცევის რეგულირება საკვების ან ცხოველის მტრის ადგილმდებარეობის რეპროდუქციით (1932–35), ხატური ფსიქონერვული მოქმედების არსებობა უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებში და ამ მოქმედებაში ტვინის ქერქული და ქერქქვეშა ელემენტების როლი (1935, 1947, 1961, 1969), პირობითი რეფლექსის ავტომატური უნებლიე ხასიათი (1961–69), სივრცეში ადამიანისა და ცხოველის ორიენტაციის ნერვულ-ფსიქიკური მექანიზმი (1959), ხატური და ემოციური მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა (1967) და სხვ.

ი. ბერიტაშვილი იყო ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა სრულიად საკავშირო საზოგადოების (1970), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის (1959), ტვინის გამოკვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (1960), ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების (1947), უმაღლესი

ნერვული მოქმედების საერთაშორისო კოლეგიის (1969), ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების (1969) საპატიო წევრი; ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ I–VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს ი. პავლოვისა (1938) და ი. სეჩენოვის სახელობის (1963) პრემიები, აგრეთვე სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის ლენინის ორდენი (1964).

დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავანეში.



ბერიძე ვახტანგ (30. V. 1914, ქუთაისი, – 21. XII. 2000, თბილისი), მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964).

1936 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის საარქიტექტორო განყოფილება, 1938 წელს – თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურა ხელოვნების ისტორიის განხრით. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი (1973–88) და საპატიო დირექტორი (1988 წლიდან).

1935 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მ. შ. თეატრალურ ინსტიტუტსა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

ვ. ბერიძის ნაშრომებში განხილულია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები ადრინდელი ფეოდალური ხანიდან დღემდე. „ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში“ (1981, რუსულ და ფრანგულ ენებზე) ფაქტობრივად პირველი წიგნია, რომელიც ხელოვნებათმცოდნეობის პოზიციიდან იხილავს საქართველოს ამ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული პროვინციის VIII–X სს. ხუროთმოძღვრებას მთლიანად ქართულ ხუროთმოძღვრებასთან ორგანულ კავშირში. ნაშრომში „ზოგი ასპექტი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრებისა X ს. II ნახევრიდან XIII ს. დასასრულამდე“ (1967, რუსულ და ფრანგულ ენებზე)

ასახულია ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფობა და მისი ადგილი მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული ხელოვნების საერთო განვითარებაში; გამოკვლევაში „სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII – XVI საუკუნეები“ (1955) განხილულია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, მოცემულია იმხანად მომხდარი სტილისტური ევოლუციის ანალიზი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „XVI–XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება“ (საერო და საეკლესიო, ტ. 1–2, თბ., 1983–94), რომელიც ავსებს ქართული არქიტექტურის ისტორიის მანამდე შეუსწავლელ პერიოდსა და ევოლუციას; ორტომეულში „თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები“ (1960, 1963) უცნობი საარქივო მასალის გამოყენებით ნაჩვენებია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების სურათი იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა და ამზადებდა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას.

ვ. ბერიძე ავტორია წიგნისა „ძველი ქართველი ოსტატები“ (1967), რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების, მხატვრების, მინიატიურისტების, კალიგრაფების, ოქრომქანდაკებლების ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონს, ხოლო „ქართული ნაქარგობის ისტორიიდან. გარდამოხსნები“ (1983) ეროვნული გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა; 1992 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918–1921 წლები)“, რომელშიც პირველად არის წარმოდგენილი იმ წლების ინტენსიური მეცნიერული და შემოქმედებითი ცხოვრების სურათი.

ვ. ბერიძის წიგნში „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება. 1921–1970“ (მოსკოვი, 1975, ნ. ეზერსკაიასთან ერთად, რუს. ენაზე), მოცემულია თანამედროვე ქართული ფერწერის,

გრაფიკის, ქანდაკების განვითარების რთული გზის საფუძვლიანი კვლევა.

ვ. ბერიძის კრიტიკული ხასიათის პუბლიკაციებში მოცემულია ქართული ხელოვნების ისტორიული მნიშვნელობის მცდარი გაშუქების კრიტიკა. მას ეკუთვნის მონოგრაფიები გამოჩენილ ქართველ მხატვრებზე (ნიკო ფიროსმანიშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი). იგი ავტორია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ნარკვევებისა ქართულ და უცხოურ ენებზე.

ვ. ბერიძე იყო ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმებისა (I ჩატარდა 1974, იმართებოდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იტალიასა და საქართველოში).

იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი, 1992 წლიდან – თავმჯდომარე.

არის თბილისის, ახალციხის, ხონის, იყალთოს, სოფ. უდაბნოს საპატიო მოქალაქე.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ბერიძე თენგიზ (26. X. 1939, თბილისი, – 3. XII. 2024, იქვე), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1980), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი (1962). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიის გამგე (1969–2012). თსუ-ის მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი (1969–99). 1963–66 წლებში – მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტი, 1967–68 წლებში – ქ. პუშჩინოს (რუსეთის ფედერაცია) ცილის ინსტიტუტის სტაჟიორი, 1968–69 წლებში – თბილისის ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1969 წლიდან – ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 2009 წლიდან – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორი (2012). 1994 წელს აირჩიეს საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

თ. ბერიძის მეცნიერული კვლევის საგანია უმაღლეს მცენარეთა გენომის ორგანიზაცია. მათ უჯრედებში აღმოაჩინა დნმ-ის სატელიტური კომპონენტები. დაადგინა უმაღლეს მცენარეთა სხვადასხვა სახეობის სატელიტური დნმ-ის ქიმიური სტრუქტურა, ჩაატარა არაერთი სამუშაო ქლოროპლასტუ-

რი დნმ-ის სტრუქტურული ორგანიზაციის შესწავლის მიმართულებით. აღმოაჩინა დნმ-ის ახალი, უჩვეულო ფორმა, ე. წ. დაგრეხილი ორმაგი სპირალი, რომელიც დამახასიათებელია დნმ-ის მრავალჯერ განმეორებადი თანამიმდევრობისათვის. ამ ფორმის არსებობა გასაგებს ხდის ჰეტეროქრომატინის კომპაქტურ აღნაგობას და საშუალებას იძლევა ახლებურად იქნეს განხილული ქრომატინის ორგანიზაცია ევკარიოტულ ორგანიზმებში.

თ. ბერიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ს. დურმიშიძის სახელობის პრემია (2011).



ბერძენიშვილი ნიკოლოზ [28. XII. 1894 (9. I. 1895), სოფ. გოგოლესუბანი, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 16. VII. 1965, თბილისი], ისტორიკოსი. პროფესორი (1939), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1943), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951–57).

1917 წელს დაასრულა ბათუმის გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ უსახსრობის გამო დაბრუნდა ჩოხატაურში და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ისტორიის განხრით (1926). ივ. ჯავახიშვილის შუამდგომლობით იქვე დატოვეს საქართველოს ისტორიის კათედრაზე. იყო თსუ-ის საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგე (1929), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელი (1929–36). 1938 წელს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (1939 წლიდან პროფესორი).

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისისა (1935–38) და თბილისის ა. პუშკინის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) პედაგოგიურ (1938–40) ინსტიტუტებში. თსუ-ში იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1946–56), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

(1934 წლიდან), ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის (1939 წლიდან), შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის (1941–58) და მისივე ჩამოყალიბებული ისტორიული გეოგრაფიის (1956–65) განყოფილების გამგე და ინსტიტუტის დირექტორი (1948–65).

ნ. ბერძენიშვილის კვლევის სფერო მოიცავდა საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგს და ყველა ეპოქას. მის ნაშრომებში გამოკვლეულია შუა საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო ისტორიის, პერიოდიზაციის, ისტორიული გეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, დიპლომატიკის, რუსთველოლოგიის, სხვა ხალხებთან ურთიერთობისა და სხვა საკითხები. ნ. ბერძენიშვილმა (ს. ჯანაშიასთან ერთად) ახალი ეტაპი შექმნა XX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, დანერგა მასში ახალი მიმართულებები. მის მიერ ჩატარებულ სოციალური ისტორიის კვლევაში უმთავრესია 4 ურთიერთდაკავშირებული პრობლემა: ფეოდალური მიწათმფლობელობა, ბატონყმობა, სათავადოები და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია. მან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში გამოყო პერიოდები: 1) VI–VII სს. – ადრინდელი ფეოდალური ხანის პირველი საფეხური; 2) VIII–IX სს. – გარდამავალი ხანა ადრინდელიდან განვითარებულ ფეოდალიზმზე; 3) X–XII სს. – განვითარებული ფეოდალიზმის ხანა; 4) XIII–XIV სს. – განვითარებული ფეოდალიზმის სტაგნაციის ხანა; 5) XV–XVIII სს. – სათავადოების ხანა – ფეოდ. „დაჩიხულობა“; 6) XIX ს. I ნახევარი – გვიანდელი ფეოდალიზმის ხანა, ფეოდალიზმის რღვევა და სათავადოების ლიკვიდაცია, კაპიტალიზმის ჩასახვა.

ნ. ბერძენიშვილის სახელთან არის დაკავშირებული


საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დისციპლინის წარმოქმნა. იგი იკვლევდა საქართველოს არაერთ ძირეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ პრობლემას, როგორიცაა: ეკონომიკური გეოგრაფიის, ეთნიკური გეოგრაფიისა და სოციალური გეოგრაფიის საკითხები. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო წყაროების, უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტური მასალის გამოქვეყნების საქმეში. ნ. ბერძენიშვილი ქვეყნის შიდა მოვლენებს განიხილავდა საგარეო ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში. ისტორიის საკითხების კვლევასთან ერთად იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა არც კულტურულ-ისტორიულ ფაქტებს.

ნ. ბერძენიშვილის სახელს უკავშირდება საქართველოს ისტორიის მაკეტის (1940), ხოლო შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოს (პირველი გამოც. 1943) გამოქვეყნება აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. ს. ჯანაშიას თანაავტორობით (ს. ჯანაშიას რედაქციით), XX ს. 50-იან წლებში – საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შესაქმნელად გაშლილი მუშაობა. 1958 წელს გამოქვეყნდა დამხმარე სახელმძღვანელოს I ტომი (უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე) და სახელმძღვანელო VIII–X კლასებისათვის უძველესი დროიდან დღემდე (ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია და პ. რატიანი). ის წარმატებით აგრძელებდა ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ტრადიციებს არქეოლოგიურ სამუშაოთა წარმართვის საქმეშიც. როგორც ინსტიტუტის დირექტორი და რესპუბლიკის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, XX ს. 50–იან და 60–იან წლებში იგი სათავეში ედგა არქეოლოგიურ სამუშაოთა ორგანიზაციას, მთელ რიგ არქეოლოგიურ ექსპედიციებს.

დიდია ნ. ბერძენიშვილის დამსახურება ისტორიკოსთა

კადრების აღზრდაში. იყო საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების შექმნის ინიციატორი და მისი უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მე-6 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. სტალინური პრემია (1949).

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ბიწაძე ანდრია [9 (22). V. 1916, სოფ. ცხრუკვეთი, ახლანდელი ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 6. IX. 1994, მოსკოვი], მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1951), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1958). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტსა და თსუ-ში (1940–48), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში (1948–59), ამავე აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტსა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში (1959–71). იყო ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა განყოფილების გამგე (1971 წლიდან), მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკის ინსტიტუტის კათედრის გამგე (1971–78), თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დირექტორი (1978–83), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1984 წლიდან).

ა. ბიწაძის ძირითადი ნაშრომები ეხება ელიფსური განტოლებებისა და სისტემების, შერეული და შედგენილი ტიპის განტოლებათა, ჰიპერბოლური სისტემების, მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა არალოკალურ სასაზღვრო ამოცანათა და სხვ. თეორიებს.

ელიფსური სისტემისათვის სიბრტყის შემთხვევაში დაამტკიცა დირიხლეს ამოცანის ფრედჰოლმურობა და პუანკარეს ამოცანის ნიოტერულობა; აღმოაჩინა დირიხლეს ამოცანის დასმის არაკორექტულობა იმ არეებში, სადაც განსახილველი განტოლება შერეული ტიპისაა; მოძებნა ფართო კლასის კერძოწარმოებულიანი კვაზიწრფივი განტოლებებისა და სისტემების ზუსტი ამონახსნების ერთობლიობები და გამოავლინა ამონახსნთა სტრუქტურული თვისებები.

მიღებული აქვს ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია (1982) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1952).



ბოკუჩავა მიხეილ (1. II. 1910, სოფ. საბოკუჩავო, ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტი, – 12. II. 1995, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1955). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979).

დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1932). იყო ანასეულის ბიოქიმიური ლაბორატორიისა (1937–39) და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახ. ბიოქიმიის ინსტიტუტის ტექნიკური ბიოქიმიური ლაბორატორიის (1953 წლიდან) გამგე.

მისი ძირითადი ნაშრომები ეხება ჩაის ბიოქიმიურ და ტექნოლოგიურ საკითხებს. შეიმუშავა ლაო ჩაის, შავი ჩაისა და ხსნადი ჩაის წარმოების ახალი ტექნოლოგიური მეთოდი. მისმა ნაშრომებმა: „ჩაის ფოთლის ფერმენტაციის გამოკვლევა“ მიიღო საკავშირო ალკკ ცკ-ის პრემია (1938), „ლაო ჩაისა და მწვანე აგურა ჩაის წარმოების ბიოქიმიურმა საფუძველმა“ – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პრემია (1955), „ჩაისა და ჩაის წარმოების ბიოქიმიამ“ – ა. ბახის სახელობის პრემია (1958).

მ. ბოკუჩავამ შექმნა საკვებ მცენარეთა საღებავების მიღების ორიგინალური ხერხი, რომელიც დაპატენტებულია უცხოეთის ქვეყნებში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ბოჭორიშვილი ანგია (16. XII. 1902, სოფ. ლახამულა, ახლანდელი მესტიის მუნიციპალიტეტი, – 15. IV. 1982, თბილისი), ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1942). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

ა. ბოჭორიშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი (1924), იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1933), ამავე ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე (1942–55), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1955–57), ვიცე-პრეზიდენტი (1957–60), ამავე აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალ „მოამბის“ (1964 წლიდან „მაცნე“) მთავარი რედაქტორი (1960–62), ამავე წლებში – დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის ისტორიის განყოფილების გამგე (1960–62), ფილოსოფიის ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების ფილოსოფიისა (1962–67) და ამავე ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის (1967–82) განყოფილების გამგე, საქართველოს ფსიქოლოგთა (1959–64) და ფილოსოფოსთა (1973–82) საზოგადოებების თავმჯდომარე.

ა. ბოჭორიშვილის სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირითადი სფეროები იყო ზოგადი ფსიქოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ისტორია, ენის ფი-


ლოსოფია, ესთეტიკა. იგი არსებითად იკვლევდა ფსიქოლოგიის საგნისა და მეთოდის პრობლემებს. მან მეცნიერებაში შემოიტანა ახალი ცნება – „ფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში“.

ა. ბოჭორიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დაფუძნებაში. 1967 წლიდან იგი საქართველოს ფილოსოფიის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებას, რომლის თანამშრომლებმაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს ადამიანის არსის შესწავლას სხვადასხვა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებში.

ა. ბოჭორიშვილმა და მისმა მოწაფეებმა (რ. ბალანჩივაძე, ა. ბაქრაძე, ა. ბრეგაძე, ვ. კაკაბაძე, ო. ტაბიძე, გ. ცინცაძე და სხვ.) 1970–1991 წლებში გამოსცეს სტატიების 9 კრებული, რომლებშიც განხილულია ადამიანის პრობლემა ისეთ მიმდინარეობებში, როგორებიცაა მარქსიზმი, ფენომენოლოგია, სიღრმის ფსიქოლოგია, პერსონალისტიკა, ეგზისტენციალიზმი, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ნეოთომიზმი და სხვ. ამ გამოკვლევებს თავისთავადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში დასავლური ფილოსოფიური მიმდინარეობების გაცნობისა და გააზრებისთვის. ამასთან ერთად, ა. ბოჭორიშვილი გამუდმებით ცდილობდა ცნობილი მოაზროვნეების კრიტიკის მიღმა გადმოეცა საკუთარი შეხედულებები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ბრეგვაძე ბაჩანა (11. II. 1936, სოფ. სხვავა, ახლანდელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 14. II. 2016, თბილისი), მწერალი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2014).

ბ. ბრეგვაძე 1954–60 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 1962–66 წლებში – ასპირანტურაში ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. 1961–66 წლებში მუშაობდა თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტად, 1966–72 წლებში – ქართულ ენციკლოპედიაში უფროს მეცნიერ-რედაქტორად. 1973–94 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მხატვრული თარგმანისა და „რუსთაველის ბიბლიოთეკის“ რედაქციის გამგე, 1994–97 წლებში – საგამომცემლო ცენტრ „ხომლის“ ქვესაწარმო „მთარგმნელის“ სამხატვრო საბჭოს წევრი, 1997–2000 წლებში – ამავე საბჭოს თავმჯდომარე, 1999–წლიდან – ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2001–2006 წლებში – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

1996 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პლატონის ნატურფილოსოფია“. მთარგმნელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, სხვადასხვა დროს

კითხულობდა ლექციებს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე.

ბ. ბრეგვაძეს გამოქვეყნებული აქვს ფილოსოფიური, ფილოლოგიური ნაშრომები და მსოფლიოს ფილოსოფიური, რელიგიური, ესთეტიკური, სოციოლოგიური, ისტორიული თუ ლიტერატურული კლასიკის შედევრთა თარგმანების ათეულობით წიგნი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დედნებიდან არის შესრულებული (ძველი ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, პორტუგალიური, რუსული). იგი ავტორია წიგნებისა: „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“, „ბლეზ პასკალი“, „მარკუს ავრელიუსი“, „მიქელანჯელოს პოეზია“, „სოკრატე“, „ფსევდო-ლონგინე“, „არისტოტელეს პოეტიკა“, „ნიკოლო მაკიაველი“, „დანტეს ახალი ცხოვრება“ (თ. ჩხენკელთან ერთად); თარგმანებისა: „ახალი აღთქმა“, ბ. პასკალის „აზრები“, მარკუს ავრელიუსის „ფიქრები“, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, ჰ. იბსენის „დრამები“, პ. ვალერის „სულის კრიზისი“, ნ. მაკიაველის „მთავარი“, ა. შტეკელის „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“, ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი“, „იტალიური ზღაპრები“, „ესპანური ზღაპრები“, ფ. დე ლაროშფუკოს „მაქსიმები“, მ. მონტენის, ნ. ლოსკის, ლაბრიუერის, მ. რეინალის, ნ. ბერდიაევის, ე. ჟებარის, პიერ ტეიარ დე შარდენის, ვ. ჰაიზინგერის ნაშრომები და სხვ. ლიტერატურული გემოვნება და ერუდიცია თვალნათლივ ვლინდება ბ. ბრეგვაძის გამჭვირვალე, ცხად და რაფინირებულ ენობრივ სტილში, რაც ბუნებრივი შედეგია სათარგმნი ნაწარმოების აზრისმიერი და მხატვრული ინტუიციური წვდომისა.

მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „საბა“ (2004, 2007), ღირსების ორდენი (1995, 2005), პრემია „საგურამო“

(2003), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი, ივ. ჯავახიშვილის, ი. მაჩაბლის, ი. ჭავჭავაძის, ე. თაყაიშვილის, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიები. იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (2014),

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ბუიშვილი ლევან (24. IV. 1933, ვორონეჟი, – 25. VII. 1996, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1983). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977).

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1959–62 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, 1962–66 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, 1966–73 წლებში – ნახევრადგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 1973 წლიდან გარდაცვალებამდე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში და თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე.

ლ. ბუიშვილის ნაშრომები ძირითადად ეხება პარამაგნიტური სპინური სისტემის სტატისტიკურ თეორიას.

საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა შრომათა ციკლისთვის მყარი სხეულების მაგნიტური რეზონანსის თეორიაში (გ. ხუციშვილთან ერთად).



ბურჭულაძე თენგიზ (12. III. 1929, თბილისი, – 7. V. 2000, იქვე), მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985).

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1957–58 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1977–89 წლებში – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1989 წლიდან – მათემატიკური ფიზიკის განყოფილების გამგე.

თ. ბურჭულაძის ძირითადი ნაშრომები ეხება მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანებს, კერძოდ, ორ- და სამგანზომილებიანი მათემატიკური დრეკადობის თეორიის ამოცანებს ოზოტროპიული და ანიზოტროპიული სხეულებისათვის და სხვ.

იყო რუსეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტისა და საერთაშორისო საზოგადოების „მათემატიკური მეთოდები მექანიკაში“ წევრი.

მიღებული აქვს ი. ვეკუას სახელობის პრემია (1987, თ. გეგელიასთან ერთად).



გაბუნია ლეონიდე (ლეო) (13. IX. 1920, ქ. ირკუტსკი, ახლანდელი რუსეთის ფედერაცია, – 8. V. 2001, თბილისი), პალეონტოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1954), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969; წევრ-კორესპონდენტი – 1961).

1943 წელს დაამთავრა კიროვის სახ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამთო ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1947–50), პალეობიოლოგიის სექტორის უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1950–57), პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების გამგედ (1957–77), ინსტიტუტის დირექტორად (1977–88). 1959 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1967–2001).

ლ. გაბუნიას კვლევები ეძღვნება ყოფილი სსრკ-ის ჰიპარიონულ ფაუნას (სამხრეთ ზოლის ნეოგენური ძუძუმწოვრები), კავკასიის ოლიგოცენურ, შუა მიოცენურ და აღმოსავლეთ ყაზახეთის ეოცენურ ხერხემლიანებს (ბენარის ოლიგოცენური ხერხემლიანების ფაუნა), მან შეისწავლა სათაფლიის ცარცული ეპოქის დინოზავრთა ნაკვალევი. მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დმანისში აღმოაჩინა და შეისწავლა ევრაზიაში უძველესი ჰომინიდების (დაახლოებით 1.8 მილიონი წლის) ნაშთები. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია ჰომინიდების აფრიკიდან პირველი

მიგრაციის თარიღისა და მარშრუტების დადგენაში, ნაშრომები გამოქვეყნდა – „Nature“ და „Science“-ში. მისი ნაშრომები ეძღვნება პალეონტოლოგიის თეორიულ პრობლემებს (პალეოანთროპოლოგია, პალეოიქნოლოგია, ბიოსტრატიგრაფიული კორელაცია), კაინოზოური ერის გეოქრონოლოგიასა და ისტორიის საკითხებს. ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს ყუბანისპირეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

ლ. გაბუნია იყო საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი (1967), აშშ-ის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოების წევრი (1972), ადამიანის პალეონტოლოგიური საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი (1982), მესამეულსა და მეოთხეულს შორის საზღვრის დამდგენი საერთაშორისო ქვეკომისიის ვიცე-პრეზიდენტი (1974), ხმელთაშუა ზღვის ნეოგენის სტრატიგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს წევრი (1971), საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი (1977–81). იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ლ. გაბუნიას ნაშრომები და მონოგრაფიები გამოქვეყნებულია უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო გამოცემებში. იგი ავტორია წიგნებისა: „დინოზავრების ნაკვალევი“ (1958); „ჰიპარიონების ისტორია“ (1959); „ბენარის ოლიგოცენურ ხერხემლიანთა ფაუნა“ (1974); „ლუი დოლო“ (1976). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები პალეონტოლოგიის თეორიულ პრობლემებზე.

ლ. გაბუნიას მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997), საფრანგეთის პალმის ორდენის ოფიცრის წოდება (1999), საქართველოს სახელმწიფო პრემია შრომათა ციკლისათვის „დმანისელი ადამიანის ადგილი ადრეულ ჰომინიდებს შორის, მისი მატერიალური კულტურა და ბუნებრივი გარემო“ (გარდაცვალების შემდეგ; თანაავტორებთან ერთად, 2004).

თბილისში არის ძმების ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩა.



გავარდაშვილი გივი (დ. 15. I. 1958, სოფ. ოჟიო, ახლანდელი ახმეტის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1996), პროფესორი (1998), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022), საქართველოს დამსახურებული მშენებელი (2023).

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი (1981). მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სექტორის ხელმძღვანელად (1981–92), შემდეგ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო ეკოლოგიისა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელად (1992–2005). იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი (2005–06), საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში (2003–06), სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი (2006–11), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი (2011 წლიდან), საერთაშორისო ორგანიზაციების (UN, NATO, EU, UNESCO, WB და GNSF) მიერ დაფინანსებული მრავალი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი, „Erasmus+“ პროგრამის პროფესორი (2017); მიწვეული პროფესორი გერმანიის, რუსეთის, ჩინეთის, ბელარუსის, ლიეტუვისა და პოლონეთის უნივერსიტეტებში.

ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას – არის ირიგაციისა და დრენაჟის საქართველოს ეროვნული კომისიის

ვიცე-პრეზიდენტი (2019 წლიდან); გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს ECOSOS-ის საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციის ეკოცენტრის დირექტორი (2010 წლიდან), სამოქალაქო საზოგადოების ასოციაცია ASCE-ის წევრი (აშშ; 2015); სოფლის მეურნეობის ექსპერტი (USAID, აშშ; 2014); ღვარცოფების საერთაშორისო ასოციაციისა (რუსეთი; 2011) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი; ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (2014).

გ. გავარდაშვილი იყო ჰიდრომელიორაციული და გარემოზე ზემოქმედების შეფასების 100-ზე მეტი პროექტის ექსპერტი (1982–2017); სარწყავი და დამშრობი სისტემების, გარემოსდამცავი ნაგებობების 300-ზე მეტი პროექტის მთავარი ინჟინერი (2000–22), 2008–14 – წლებში სახელმწიფო კომისიის წევრი.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ჰიდრომელიორაცია (ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია), წყლის რესურსების უსაფრთხოება, გარემოსდამცავი ინოვაციური ღონისძიებების დამუშავება, ლაბორატორიული მოდელირება, დაპროექტება და კომერციალიზაცია, ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობისა და რისკის შეფასება.

არის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 16 მონოგრაფიის (თარგმნილია 13 ენაზე), 12 სახელმძღვანელოსა და 23 გამოგონების (საავტორო მოწმობა – 10, პატენტები – 13) ავტორი.

მიღებული აქვს ო. ნათიშვილისა (2025) და ა. დიდებულიძის (2025) სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი (2013), ჩენსტოხოვას (პოლონეთი) ტექნოლოგიური (2012) და ვროცლავის (პოლონეთი) სიცოცხლის შემსწავლელი (2015) უნივერსიტეტების ვერცხლის მედალი და დიპლომები, უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მედალი (2018).



გამსახურდია კონსტანტინე [3 (15). V. 1891, აბაშა, – 17. VII. 1975, თბილისი], მწერალი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1965). ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის წარჩინებით დამთავრებისთანავე (1911) მიავლინეს პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ იმავე წელს გერმანიაში წავიდა სასწავლებლად. თავდაპირველად სწავლობდა კენიგსბერგის, შემდეგ – ლაიფციგის უნივერსიტეტებში. სწავლა განაგრძო მიუნხენის უნივერსიტეტში გერმანული ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1918 წელს არდადეგებზე ჩამოვიდა საქართველოში და მონაწილეობა მიიღო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ნატანების ფრონტზე. ამავე წელს დააარსა ჟურნალი „პრომეთე“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში. 1919 წელს დაბრუნდა ბერლინში, დაამთავრა უნივერსიტეტი ფილოსოფიის დოქტორის წოდებით. აქედან დაიწყო მისი აქტიური სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სამშობლოში გ. ტაბიძესა და ლ. ქიაჩელთან ერთად რედაქტორობდა ლიტერატურულ ჟურნალ „ლომისს“, გაზეთ „ქართულ სიტყვას“; დააარსა საკუთარი გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“, ჟურნალი „ილიონი“, 1922 წლიდან სათავეში ჩაუდგა „აკადემიური მწერლობის კავშირს“.

კ. გამსახურდიას პირველი ლექსები და კრიტიკული წერილები 1909 წელს დაიბეჭდა. 1924 წელს გამოქვეყნდა მისი

პირველი წიგნი – ექსპრესიონისტული ნოველების კრებული „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“, რომელშიც პირველად ქართულ მწერლობაში აისახა პიროვნების გაუცხოების პრობლემა („მკვდართან შეხვედრა“). 1924 წელი ქართველი ხალხის ეროვნულ ცხოვრებაში მძაფრი პოლიტიკური თარიღია და ნაწილობრივ მისი გამოძახილია რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1914–24, გამოქვეყნდა 1925).

1932 წელს გოეთეს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კ. გამსახურდიამ გამოაქვეყნა „გოეთეს ცხოვრების რომანი“, პირველი ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი ქართულ ენაზე.

კ. გამსახურდიას ერთ-ერთი ცენტრალური ქმნილებაა ტრილოგია „მთვარის მოტაცება“ (1936), რომელშიც მთელი სიმწვავითაა დასმული პრობლემა ინდივიდუალური კულტურის შეუთავსებლობისა ახალ კოლექტივისტურ ნებასთან.

1939 წელს გამოქვეყნდა ისტორიულ თემაზე დაწერილი პირველი რომანები „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და „ბელადი“.

კ. გამსახურდიას გვიანდელ შემოქმედებაში მთავარ ადგილს იკავებს ისტორიული რომანისტიკა (ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, დაუმთავრებელი ისტორიული რომანი „თამარ“). „დავით აღმაშენებელში“ (რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია) მრავალმხრივ აისახა XI ს. მიწურულისა და XII ს. დამდეგის ახლო აღმოსავლეთის ისტორიულად უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

1955 წელს გამოქვეყნდა რომანი „ვაზის ყვავილობა“.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში სრულყოფას მიაღწია ქართულმა მხატვრულმა ნარკვევმა („უკრაინის თემიდი“, „მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა“). მასვე ეკუთვნის მისტერია „გარსი მარადი“, მრავალი კრიტიკული წერილი, ესეები ქართველ, სომეხ, რუს და ევროპელ კლასიკოსთა მხატვრულ

შემოქმედებაზე. მან თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ (კ. ჭიჭინაძესთან ერთად), გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, უ. უიტმენის ლექსები და სხვ. განსაკუთრებულ შეფასებას საჭიროებს კ. გამსახურდიას XX ს. 10–20-იანი წლების პუბლიცისტიკა: „ტროიანული ცხენი“, „ველიკორუსები და არარუსები“, „პოეზიის დღე“, „რეფლექსიები 29 ნოემბერზე“, „გაორებული საქართველო“, „ეროვნული ყრილობისათვის“, „საქართველოს საკითხი საზღვარგარეთ“, „ძმები ხართ თუ მტრები“, „სპილენძის მხედარი განსაცდელშია“, „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“, „ვინ არის შოვინისტი“, „პასუხი“, „სიტყვები ქართველი ერისადმი“ და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია უცხო ენებზე.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია თავისი სახლის, – კოლხური კოშკის ეზოში.



გამყრელიძე ერეკლე (8. V. 1933, თბილისი, – 5. XII. 2025, იქვე), გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1984), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1983).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (1956). 1956–57 წლებში მუშაობდა საქართველოს ფერადი ლითონების საძიებო ტრესტში, 1957–58 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1958 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში (1975 წლიდან ტექტონიკის, 1986 წლიდან – რეგიონული გეოლოგიურ-ტექტონიკური და სეისმოტექტონიკური განყოფილების გამგე). 1988 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების განყოფილების აკადემიკოს-მდივანია. 1970 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1976–79 წლებში იყო საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, 1976–89 წლებში – სოციალისტური ქვეყნების აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, 1976 წლიდან – საერთაშორისო ტექტონიკური რუკის კომისიის ბიუროს, 1984 წლიდან – ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ე. გამყრელიძის ნაშრომები ეხება რეგიონალურ გეოლოგიას (მოიცავს საქართველოსა და მთელ კავკასიას, აგრეთვე

მომიჯნავე ტერიტორიებს), დეტალური სტრუქტურული ანალიზის მეთოდებს, პლანეტური ნაპრალოვნების კვლევას, ტექტონიკური სტრუქტურების (მ.შ. შარიაზების) წარმოშობის საკითხებს, გეოდინამიკისა და ზოგადი ტექტოგენეზისის პრობლემებს.

ე. გამყრელიძე თანაავტორია რამდენიმე ტექტონიკური რუკისა. მისმა გამოკვლევებმა ნაპრალოვან ტექტონიკაში დეტალურ გეოლოგიურ აგეგმვასთან ერთად მნიშვნელოვნად დააზუსტა საქართველოს მინერალური წყლების საბადოთა და ნავთობაირიანი რაიონების გეოლოგიური აგებულების საკითხები.

მინიჭებული აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიგელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

მიღებული აქვს ა. ჯანელიძის (1986), ა. თვალჭრელიძის (2008) და საქართველოს ეროვნული (2018) პრემიები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



გამყრელიძე თამაზ (23. X. 1929, ქუთაისი, – 10. II. 2021, თბილისი), ენათმეცნიერი. საქართველოს აკადემიის აკადემიკოსი (1974) და საკავშირო (შემდეგ რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიების (1984) აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979), ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (გერმანია, 1989).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიური განყოფილება სემიტოლოგიის სპეციალობით (1952). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ხოლო თსუ-ში აკადემიკოს გ. წერეთლის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა სემიტოლოგიის საფუძვლებს. გ. წერეთლისავე ინიციატივით გაიგზავნა ლენინგრადში (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) და პროფესორ ი. დიაკონოვის ხელმძღვანელობით შეისწავლა ძველი აღმოსავლური ენები: აქადური, ურარტული, ხეთური და სხვ.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თსუ-სა და აკადემიკოს გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1973–2005 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ – საპატიო დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1966 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრას (1999 წლიდან – ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრა, შემდეგ თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერ-

ების ეროვნული ინსტიტუტი). 2005–13 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო 2013 წლის ივლისიდან გარდაცვალებამდე – ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტი. გამორჩეულია თ. გამყრელიძის წვლილი ქართველოლოგიის, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობისა და ინდოევროპეისტიკის განვითარებაში, ზოგადად, ქართული მეცნიერების წარმატებასა და ავტორიტეტის შექმნაში საერთაშორისო ასპარეზზე.

თ. გამყრელიძე იკვლევდა აღმოსავლეთმცოდნეობისა და თეორიული ენათმეცნიერების, ძველი აღმოსავლური ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიის საკითხებს. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“, ხოლო 1963 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“. ხეთური სოლისებრი დამწერლობის წარმოშობისა და ამ ენის ფონემური სისტემის კვლევისას მან თავისებურად განავითარა „ლარინგალური თეორია“, რომელიც ინდოევროპულ ფონემათა ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესს ეხება.

განსაკუთრებულია თ. გამყრელიძის წვლილი ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევაში. კომპარატივისტიკის მეთოდოლოგიაში სტრუქტურიზმისა და ზოგადტიპოლოგიური ძიების უახლესი მეთოდების ჩართვით მან სრულიად ახლებურად დასვა და გადაწყვიტა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის თითქოს უკვე ამოწურული საკითხი. ამის დასტური იყო მისი პირველივე კომპარატივისტული ნაშრომი ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკაში – „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959). ამ ნაშრომის ზოგადმეთოდოლოგიური

და ზოგადლინგვისტური მნიშვნელობის შედეგი „გამყრელიძის კანონის“ სახელით არის ცნობილი.

ქართველურ ენათა კვლევის სრულიად ახალი ეტაპია ფუნდამენტური მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965, თანაავტორი გ. მაჭავარიანი). ავტორებმა შემოგვთავაზეს ქართველურ ენათა ისტორიული გრამატიკის არსებითად ახალი კონცეფცია, ხოლო თეორიული თვალსაზრისით ეს იყო ახალი სამეცნიერო პარადიგმა, რომლითაც ეს მონოგრაფია უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა არა მხოლოდ სამამულო, არამედ საერთაშორისო შედარებით ენათმეცნიერებაში, დიაქრონულ კვლევებში. ნაშრომი თარგმნილია და გამოცემული გერმანულ ენაზე.

თ. გამყრელიძის მონოგრაფია „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“ (1989; ინგლისურ ენაზე – 1995) ეძღვნება ქართული დამწერლობის სტრუქტურისა და ისტორიის ანალიზს. ქართული დამწერლობის შინაგანმა სისტემურმა ანალიზმა და მისმა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურმა შეპირისპირებამ ძველ სემიტურსა და ძველ ბერძნულ დამწერლობებთან ცხადი გახადა ქართული ანბანის მიმართება სხვა სისტემის ანბანებთან და განსაზღვრა მისი ტიპოლოგიური ადგილი ადრექრისტიანული პერიოდის დამწერლობათა (კოპტური, გოთური, ძველი სომხური, ძველი სლავური) შორის.

თ. გამყრელიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორტომიან მონოგრაფიას „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“ (1987, რუსულ ენაზე, ვ. ივანოვის თანაავტორობით; ინგლისურ ენაზე, 1994–98; 1988 – ლენინური პრემია). ნაშრომში

წამოყენებულია სრულიად ახლებური თეორია ინდოევროპული ენის ბუნებისა და ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის შესახებ. ამ თეორიის საფუძვლად აღებული ე. წ. გლოტალური თეორია პრინციპულად ახალი სამეცნიერო პარადიგმა იყო ინდოევროპულ ენათა შედარებითსა და ტიპოლოგიურ კვლევაში. ნაშრომმა ახალი ბიძგი მისცა ენათა და კულტურათა შედარებითსა და ტიპოლოგიურ კვლევებს მთელ მსოფლიოში.

თ. გამყრელიძის უშუალო ხელმძღვანელობით მეცნიერებათა აკადემიაში XX ს. 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტზე – „ქართული ენის თესაურუსზე“ (ისტორიული ლექსიკონი) მუშაობა, რომელსაც საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის“ (შემდეგ „რუსთაველის კომიტეტი“) მასალა, მისი ლექსიკური ბაზები. მეცნიერებათა აკადემიის ამ სტრუქტურას თ. გამყრელიძე 1997 წლიდან ხელმძღვანელობდა.

თ. გამყრელიძე იყო მსოფლიოს არაერთი აკადემიისა და საზოგადოების უცხოელი საპატიო წევრი: ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური (ვაშინგტონი), ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერებათა (კემბრიჯი), ევროპის მეცნიერებათა (ლონდონი), ბრიტანეთის (ლონდონი) აკადემიებისა და ამერიკისა (ვაშინგტონი) და ევროპის (პრეზიდენტი 1986) ლინგვისტური საზოგადოების წევრი და სხვ.; ასევე ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.

იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრი (1990–92, 1992–2003); ხელმძღვანელობდა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. ხელი აქვს მოწერილი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე“

(1991 წლის 9 აპრილი); იყო 1989 წელს მოსკოვში გამართული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის საქართველოს დელეგაციის წევრი.

თ. გამყრელიძეს მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია (1992), ღირსებისა (1999) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2020) ორდენები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“ (2013), არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.




გამყრელიძე პეტრე [3 (16). V. 1903, სოფ. სომიწო, ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტი, – 7.VII. 1979, თბილისი], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1948), პროფესორი (1948), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1955). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

1930 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) და იქვე დაიწყო მუშაობა. 1937–60 წლებში თავდაპირველად იყო გამოყენებითი გეოლოგიის, ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ – მადნეულ საბადოთა გეოლოგიისა და დაზვერვის კათედრის გამგე. 1933 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში (1955–78 – ინსტიტუტის დირექტორი). 1971 წლიდან საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების წევრი.

პ. გამყრელიძე იყო საქართველოსა და კავკასიის რეგიონული გეოლოგიისა და ტექტონიკის თვალსაჩინო მკვლევარი. მისი ნაშრომები ეხება საქართველოსა და ყოფილი სსრკ-ის სამხრეთ რაიონების ალპური ზონის სტრატიგრაფიისა და ტექტონიკის საკითხებს. მასვე ეკუთვნის საქართველოს გეოტექტონიკური დარაიონების ძირითადი სქემა. მან შეიმუშავა ახლებური წარმოდგენები კავკასიონის სამხრეთ ფერდობის გეოლოგიური აგებულების შესახებ. არის საქართველოს გეოლოგიის შესახებ შექმნილი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები მ. შ. ლენინის ორდენი.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში



გამყრელიძე რევაზ (4. II. 1927, ქუთაისი, – 6. V. 2025, მოსკოვი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1981) და რუსეთის (2003) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1950). 1953 წლიდან მუშაობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში, 1988 წლიდან იყო ამ ინსტიტუტის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა განყოფილების გამგე, 1997 წლიდან გარდაცვალებამდე – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველი, 1968–72 – თსუ-ში – მართვის თეორიის კათედრის დამფუძნებელი და პირველი გამგე.

1961 წლიდან იყო რუსეთის რეფერატულ ჟურნალ „Математика“-ს მთავარი რედაქტორი (2016 წლიდან გამოდის ელექტრონული სახით), აგრეთვე დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი მათემატიკური მეცნიერებების ენციკლოპედიისა (Encyclopedia of Mathematical Sciences, Springer-Verlag.). სერია „მათემატიკის თანამედროვე პრობლემები: ფუნდამენტური მიმართულებები“ „შპრინგერმა“ ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოსცა ას ტომად.

მისი ძირითადი ნაშრომები ეხება ტოპოლოგიის, დიფერენციალურ განტოლებათა, ავტომატური მართვისა და ოპტი-

მალურ პროცესთა თეორიულ საკითხებს და სხვ. გამოთვალა კომპლექსურ ალგებრულ მრავალსახეობათა მახასიათებელი კლასები, ე. წ. ჩერნის ციკლები. მან პირველმა მათემატიკურად დააფუძნა მაქსიმუმის პრინციპი წრფივი სწრაფქმედი ოპტიმალური სისტემებისათვის, გამოიკვლია შემოსაზღვრული ფაზურკოორდინატებიანი ოპტიმალური პროცესები, შემოიღო მცოცავი ოპტიმალური რეჟიმისა და კვაზიამოზნექილი სიმრავლის ცნებები წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეში. მათი დახმარებით შეიქმნა ექსტრემალურ ამოცანათა ზოგადი თეორია, რისთვისაც მიენიჭა ლენინური (1962; ლ. პონტრიაგინთან, ვ. ბოლტიანსკისა და ე. მიშჩენკოსთან ერთად) და ა. რაზმაძის სახელობის (1980) პრემიები.



გაჩეჩილაძე რევაზ (დ. 4. V. 1943, თბილისი), აღმოსავლეთმცოდნე, გეოგრაფი, დიპლომატი. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018; წევრ-კორესპონდენტი – 2009), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1965), გავლილი აქვს სამეცნიერო სტაჟირება ლონდონის უნივერსიტეტის კინგს კოლეჯში (1973–74), 1968 წლიდან მუშაობს თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრაზე (1993–98 წლებში კათედრის გამგე). 1980–87 წლებში იყო თსუ-ის პარტიული კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე, 1987–90 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, ხოლო 1990–98 წლებში – იმავე აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1995–97 წლებში – ნატოს მეცნიერ-მკვლევარი. 1994–2011 წლებში კითხულობდა ლექციებს ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი), აშშ-ში (მაუნთ ჰოლიოკ კოლეჯი, 1996), პოლონეთში, საფრანგეთში, ისრაელში, სლოვაკეთში და სხვ.

რ. გაჩეჩილაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინის-

ტროში იყო დეპარტამენტის დირექტორი (1997–98), საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში (1998–2004), სომხეთის რესპუბლიკაში (2005–09), დიდ ბრიტანეთში (2014–16) და სლოვაკეთის რესპუბლიკაში (2016–20).

რ. გაჩეჩილაძემ საქართველოში დააფუძნა ახალი სამეცნიერო დისციპლინები – სოციალური გეოგრაფია და პოლიტიკური გეოგრაფია.

იყო საქართველოს ა. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (2009–2016 და 2024 წლიდან), სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელი წევრი (1999), საერთაშორისო ჟურნალ Georgian Geographical Journal-ის მთავარი რედაქტორი (2020 წლიდან).

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია, მ. შ. „ჩემი მეოცე საუკუნე“, 2 ტომი (2008, 2011), „გაერთიანებული სამეფო“ (2016), „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“ (2017), „ახლო აღმოსავლეთი“, 2 ტომად (2019), „საქართველო რეგიონულ კონტექსტში“ (2023) და სხვ.

რ. გაჩეჩილაძეს მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია (2010), საქართველოს საგარეო სამინისტროს ს.-ს. ორბელიანის სახელობის მედალი (2021) და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედალი (2023).



გახოკიძე რამაზ (დ. 17. V. 1945, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022).

1967 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1971 წლიდან მუშაობს იქვე. 1983 წელს თსუ-ში ჩამოაყალიბა ბიოორგანული ქიმიის ლაბორატორია, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობს. 1991 წლიდან თსუ-ის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგეა.

რ. გახოკიძემ შეისწავლა ოქსიკარბონილურ ნაერთთა და ნახშირწყლების მოლეკულური გადაჯგუფების ახალი ტიპის რეაქციები, დაამუშავა დეზოქსიშაქრებისა და სხვა ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სინთეზის ორიგინალური მეთოდები; წამოაყენა ახალი მოსაზრება ზოგიერთი ბუნებრივი ნაერთის ალტერნატიული ბიოსინთეზის შესახებ; გამოავლინა მცენარეთა და ცხოველთა ზრდის ახალი ტიპის სტიმულატორები და დაამუშავა მათი მიღების მეთოდები. ნახშირწყლებისგან მიიღო აზოტის, გოგირდის, სილიციუმისა და კალის შემცველი ნაერთები.

მიღებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა (1985) და პ. მელიქიშვილის სახელობის (1989) პრემიები.



გველესიანი გურამ (23. II. 1928, თბილისი, – 13. VI. 2008, იქვე), მეტალურგიის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1988 წლიდან), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1993).

1950 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიის ფაკულტეტი. 1953–57 წლებში მუშაობდა მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა. ბაიკოვის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტში, 1957 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, მეტალურგიის პროცესების ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად (1961–80), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში (1980–88).

გ. გველესიანის სამეცნიერო ნაშრომები ეხება მაღალტემპერატურული მეტალურგიული პროცესების თეორიის აქტუალურ საკითხებს, მყარი არაორგანული ნაერთების თერმოდინამიკურ კონსტანტებს. გამოიკვლია და დაადგინა ლითონების მარტივი და რთული ჟანგეულების, აგრეთვე ნარევების აღდგენის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილია მრავალი მსუბუქი, იშვიათი და იშვიათ მიწათა ლითონების ჟანგეულების ვაკუუმში ლითონთერმული

აღდგენის თერმოდინამიკა, კინეტიკა, მექანიზმი, ზოგიერთი მძიმე ფერადი ლითონის მარტივი და რთული ჟანგეულების ნახშირჟანგით აღდგენის კანონზომიერებანი, მანგანუმის ფეროშენადნობთა მისაღები კაზმების ნახშირთერმული აღდგენის თეორიული საფუძვლები, მანგანუმისა და მისი შენადნობების დესულფურაციისა და დეფოსფორაციის თეორიული საკითხები, მყარი არაორგანული ნაერთები, განსაკუთრებით იშვიათ მიწათა ლითონების, მარტივი და რთული ჟანგეულების თერმოდინამიკური ფუნქციები.

მონოგრაფიისათვის „ფოსფორთან მანგანუმის ურთიერთქმედების თერმოდინამიკა“ (თანაავტორი, რუს. ენაზე, 1982) მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1984).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გვერდწითელი ირაკლი (22. XII. 1918, თბილისი, – 19. XII. 1991, იქვე), ფიზიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1967), ვიცე-პრეზიდენტი (1978–82). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1974).

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1941–46 წლებში მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, 1946–69 წლებში – სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში (დირექტორი 1962–69); 1969–76 წლებში იყო პოდოლსკის (უკრაინა) ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, 1976–84 წლებში – საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. 1984 წლიდან მუშაობდა სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და თსუ-ში.

ი. გვერდწითელის ძირითადი ნაშრომები ეხება იზოტოპების განცალკევების, ატომური ენერგიისა და მყარი სხეულების ფიზიკის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევები იზოტოპების განცალკევების ფიზიკური პროცესებისა და ტექნოლოგიურ დამუშავებაში საფუძვლად დაედო საქართველოში 1963 წელს სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბებას (ინსტიტუტს 1992 წელს მისი სახელი მიენიჭა).

ი. გვერდწითელმა გამოიკვლია არაწონასწორულ მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებებში იზოტოპურად სელექციური

ეფექტები და პროცესები; შეასრულა სამუშაო სითბური ენერგიის პირდაპირ ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის სფეროში, რაც დასრულდა მსოფლიოში პირველი თერმოელექტრული რეაქტორ-გარდამქმნელის შექმნით (1964); შეისწავლა მყარ სხეულებში იონური ლეგირების შედეგად მიმდინარე რადიაციული პროცესების ფიზიკური საფუძვლები და სხვ.

იყო საქართველოს IX, X და XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.




გიგაური გიორგი (23. XI. 1924, სტეფანწმინდა, ახლანდელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, – 21. II. 2009, თბილისი), მეტყევე-ინჟინერი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1978). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – 1990), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985).

1948 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ახლანდელი აგრარული უნივერსიტეტი). 1954 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა იქვე. 1977–80 წლებში იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, 1980–2006 წლებში – საქართველოს ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო-მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

შეისწავლა საქართველოს ტყეების წარმოშობის, ზრდის, განვითარებისა და ფორმირების კანონზომიერებანი. გამოიკვლია მთის ტყეების ტაქსაციისა და მოწყობის თავისებურებანი. შეიმუშავა საქართველოს ტყეების ეკონომიკური დარაიონების სქემა. დაადგინა მთის ტყეების (წიფელი, სოჭი, ნაძვი, ფიჭვი და სხვ.) ჭრის ოპტიმალური ხნოვანება, სიმწიფის ზღვრები და ამორჩევითი მეურნეობის პირობებში მერქნით სარგებლობის ყოველწლიური ოდენობის განსაზღვრის პრინციპები.

ავტორია მონოგრაფიული ნაშრომებისა მეტყევეობის, ტყემოწყობისა და ტაქსაციის მიმართულებით, აგრეთვე სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოსი ტყემოწყობაში.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996) და აშშ-ის ბიოგრაფიული კვლევის ინსტიტუტის საერთაშორისო ღირსების ორდენი (2000).



გიორგაძე გრიგოლ (28. VII. 1927, ქუთაისი, – 2. IV. 2005, თბილისი), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1991), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1952). იყო ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თავდაპირველად უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1956–88), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გამგე (1988–2005), თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე (1991–2005), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ძველი ისტორიისა და რელიგიის ისტორიის სამეცნიერო-საკონსულტაციო სექციის თავმჯდომარე.

გ. გიორგაძის კვლევის სფერო იყო ძველი აღმოსავლეთის ისტორია, კერძოდ, ხეთოლოგია და მისი მომიჯნავე დარგები. მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება ძირითადად ხეთების სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, სახელმწიფოებრივი წყობის, მათი პოლიტიკური და ეთნოგრაფიული ისტორიის, ისტორიის გეოგრაფიის, სამართლის საკითხებს. მისი აზრით, ხეთური საზოგადოება ადრეკლასობრივი პოლიტიკური ორგანიზმია, სადაც წარმოების პროცესში არამონურთან ერთად ვითარდებოდა აგრეთვე მონური ხასიათის წარ-

მოებითი ურთიერთობანი თავისუფალთა და არათავისუფალთა სოციალური ფენების წარმოქმნით. იკვლევდა აგრეთვე ხეთურ და ქართველურ ენათა, ხეთური და ძველი ქართული რელიგიური პანთეონის, ხეთებისა და ქართველურ ტომთა ურთიერთობის საკითხებს.



გოგიაშვილი ომარ (დ. 22. X. 1941, თბილისი), პოლიტოლოგი, პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1987), პროფესორი (1988), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2020).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1964). 1964–68 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი, 1964–73 წლებში ეწეოდა კომკავშირულ საქმიანობას. 1973 წლიდან იყო თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პოლიტოლოგიის კათედრის გამგე (1975–79), საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი (1984–2005), პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრის დირექტორი (1998–2006), სპორტის აკადემიის სრული პროფესორი (2005–07), ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უნივერსიტეტის (2007–09), საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტისა (2009 წლიდან) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (2015 წლიდან) პროფესორი, საქართველოს სპორტის უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი (2016 წლიდან). არის საქართველოს განათლების აკადემიის დამფუძნებელი წევრი (1996).

ო. გოგიაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ქართული პოლიტიკური აზრი (ისტორია და თანამედროვეობა); ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა პოლიტიკურ ფილოსოფიაში, იდეოლოგიაში, პოლიტიკაში; რუსულ-ქართული პოლიტიკურ-კულტუროლოგიური ურთიერთობები; პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემატიკა; შრომის ორგანიზაციის, სოციალური, პოლიტიკისა და ქართული პოლიტოლოგიური მემ-

კვიდრეობის საკითხები.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია და 19 მონოგრაფია, მ. შ. „ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები: ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი“ (2002), „ილია დღეს: პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები“ (წიგნი I–V, 2011–16).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), პრემია „საგურამო“ (2016).



გომელაური ვახტანგ [8 (21). IX. 1914, ჭიათურა, – 24. XII. 1995, თბილისი], ენერგეტიკისა და ტექნიკური თბური ფიზიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1983–87).

1936 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) ინჟინერ-თბოტექნიკოსის სპეციალობით. 1938–45 წლებში მუშაობდა თბილისის თბოელექტროცენტრალში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1947–59 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბოტექნიკის, 1959–65 წლებში – ამავე ინსტიტუტის თბოგადაცემისა და წვის, 1965–70 წლებში – სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტის თბური ფიზიკის განყოფილების გამგე, 1965–83 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული და ზოგადი თბოტექნიკის კათედრის პროფესორი, პარალელურად – სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ვ. გომელაურის ძირითადი ნაშრომები ეხება თბოგაცემის პროცესების ინტენსიფიკაციის ექსპერიმენტულ შესწავლას, თბური ტუმბოს სისტემის გამოყენებას სამრეწველო და კომუნალურ ენერგეტიკაში, ატომური და ჰიდრავლიკური

ელექტროსადგურების კომპლექსურ გამოყენებას ენერგოსისტემაში. მონაწილეობდა ფიზიკის ინსტიტუტის ატომური ცენტრის შექმნაში, თბილისის თბოელექტროცენტრალის აგებაში. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოში თბოტექნიკის მიმართულების რამდენიმე კვლევითი ლაბორატორია. 1987–95 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გორგილაძე ლეონიდე (5. IX. 1914, თბილისი, – 22. IX. 1989, იქვე), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964).

დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი (1933; ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). მუშაობდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, პარტიის ისტორიის სექტორის გამგედ (1938–52). იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმისა (1946–64) და მეცნიერული კომუნიზმის (1964 წლიდან) კათედრების გამგე, პრორექტორი (1962–66). მუშაობდა კომუნისტური პარტიის, მეცნიერული კომუნიზმის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გორდეზიანი რისმაგ (9. VI. 1940, თბილისი, – 13. VIII. 2025, იქვე), ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1963). სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ამავე უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე (1989–2006 წლებში – კათედრის გამგე). 1982 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის ხმელთაშუა ზღვის კულტურის კვლევის ლაბორატორიას, 1993–96 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი სასწავლო დარგში. 1997 წლიდან სათავეში ჩაუდგა თავისსავე ინიციატივით შექმნილ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს.

აქვს სამეცნიერო ნაშრომები ჰომეროლოგიის, ეგეისტიკის, ეტრუსკოლოგიის, ანტიკური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის, ქართველოლოგიის დარგებში ქართულ და უცხოურ ენებზე.

რ. გორდეზიანი მოხსენებებსა და ლექციებს კითხულობდა საზღვარგარეთის (საბერძნეთი, გერმანია, რუსეთი, იტალია, ნორვეგია, აშშ) სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში. სხვადასხვა დროს იყო საერთაშორისო ჟურნალ „Phasis“ -ის (თბილისი) მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“, „Caucasica“ -ს (თბილისი), „Philologus“ -ის (გერმანია) სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს

პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის თავმჯდომარე (1996–2003), 2007 წლიდან – საბერძნეთის მწერალთა კავშირის წევრი.

რ. გორდეზიანის კვლევაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს ეგეოსურ, მედიტერანულ, კავკასიურ ურთიერთმიმართებებს. მან წამოაყენა ახალი კონცეფცია ეგეოსურ-ქართველური ენობრივი პარალელების ინტერპრეტაციის შესაძლებლობათა თაობაზე. მისი აზრით, ეს პარალელები სამ ძირითად ქრონოლოგიურ დონემდე აიყვანება: ა) ნეოლითამდე, როდესაც მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიური კულტურის დიფუზიის პროცესი; ბ) ადრე და შუა ბრინჯაოს ეპოქათა მიჯნამდე, როდესაც ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი ეგეიდაში გადასახლდა და წინაბერძნულ სამყაროში მკვეთრად გამოხატული ქართული ელემენტი შეიტანა; გ) გვიანბრინჯაოს ეპოქის დასასრულამდე, როდესაც გადმოსახლებულ ხალხთა ტალღამ კავკასიაში ეგეოსური ელემენტები შემოიტანა.

რ. გორდეზიანი ავტორია მონოგრაფიებისა: „ილიადა“ და „ეგეოსის მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“ (1970), „ეტრუსკული და ქართველური“ (1980), „წინარე ბერძნული და ქართველური“ (1985), „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა“ (1993), „არგონავტები“ (1999), „მედიტერანულ-ქართველური მიმართებები“, 4 ტომად (2007–08), „ბერძნული ლიტერატურა“ (2011), „ბერძნული ცივილიზაცია“, ტ. 1–3, (2019–20), „Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных встреч“ (1975), „Gegenuberstellung Europa – Asien von Albertum bis zur Gegenwart“ (1977), „Проблемы гомерского эпоса“ (1978), „Kriterien der Schriftlichkeit and Mundlichkeit. Ein homerisches Epos“ (1986) და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რ. გორდეზიანის საერთო ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით ხუთ ტომად გამოცემული ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“ („CAUCASUS ANTIQUUS“; 2010–21).

იყო ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი (1971), საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1977), საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი (1987).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის ღირსების ორდენი (2003), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2010), საბერძნეთის რესპუბლიკის ღირსების ორდენი (2008) და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2021).

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.



გრიშაშვილი (ნამდვ. გვარი – მამულაიშვილი) იოსებ [11 (23). IV. 1889, თბილისი, – 3. VIII. 1965, იქვე], პოეტი, მკვლევარი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1945), საქართველოს სახელმწიფო (1949) და სტალინური პრემიების ლაურეატი (1950).

სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, თუმცა სწავლების კურსი არ დაუმთავრებია. მუშაობდა სტამბაში შეგირდად, თეატრში – სუფლიორად.

აშულურ-ყარაჩოხელურმა პოეზიამ თავიდანვე ღრმა კვალი დააჩნია მის ლექსებს, რომლებშიც ჭარბობს ქალაქური, თბილისური მოტივები, ლექსიკა, ფრაზეოლოგია. ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში იმთავითვე დომინირებს სატრფიალო პოეზია („მაჯამა“, „მიმღერე, ტურფავ“, „გიჟო, მიყვარხარ“, „ოლოლ! ოლოლ!“, „რა კარგი ხარ, რა კარგი!“, „თათრის ქალი სუბსარქისში“ და სხვ.).

1906 წელს საკუთარი და სხვათა ლექსებისაგან შეადგინა და გამოსცა კრებული „ვარდის კონა“. 1907 წელს გამოაქვეყნა ლექსების მომცრო წიგნი „ფანტაზია“. იმავე წელს ვ. გუნიამ მიიწვია ქართულ თეატრში და ჩააბარა ჟურნალი „ნიშადური“. ი. გრიშაშვილი აქ გაეცნო ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილს. ამავე ჟურნალში აქვეყნებდა ფელეტონებს, სცენებს, გამოცანებს, ეპიგრამებს სხვადასხვა ფსევდონიმით (1904 წლიდან იგი ცნობილია ფსევდონიმით „გრიშაშვილი“).

წერდა და დგამდა პიესებს („ტიმოთეს ლელვი“ და სხვ.),

თავად იყო მსახიობიც, რეჟისორიც და ადმინისტრატორიც. 1909 წელს თანამშრომლობა დაიწყო გაზეთ „ივერიის“ რედაქციასთან. 1909–10 წლებში გამოსცა ლიტერატურული ალმანახები: „ძალა“, „გუშაგი“, „606“. სატრფიალო ლექსების კრებულმა (1910) „ოცნების კოცნამ“ და ლექსების მეორე კრებულმა (1914) პოეტს საერთო აღიარება და დიდი წარმატება მოუტანა, რის შემდეგაც მის მთავარ სამოღვაწეო ასპარეზად მწერლობა იქცა. ი. გრიშაშვილის პოეტური ნიჭი სრულად გამოვლინდა თბილისური ყოფის კოლორიტული სურათებით აღსავსე ლექსებში: „ტრიოლეტები შეითანბაზარში“ (1918), „აშპაშხანისკენ“ (1920), „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ (1925). შემდეგშიც არაერთი ლექსი უძღვნა თავის სათაყვანებელ ქალაქს. 1922 წელს კ. გამსახურდიასთან ერთად რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს“. იმავე წელს გამოცემულმა თხზულებათა ტომმა ცხადყო, რომ მის შემოქმედებაში მომძლავრდა მოქალაქეობრივი და სოციალური მოტივები, განსხვავებული ჟღერადობა შეიძინა სიყვარულის თემამაც (ციკლი „მხოლოდ სიყვარული“). ომისდროინდელ (1941–45) ლირიკაში გამოირჩევა პატრიოტული ლექსები („ორი სიტყვა“, „ჩვენს დებს და დედებს“, „ბალადა ხელმანდილზე“, „გამარჯვების გაზაფხული“ და სხვ.). მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1949 წელს გამოცემული ერთტომეული.

ი. გრიშაშვილმა დიდი ამაგი დასდო საბავშვო ლიტერატურას. საყოველთაოდ ცნობილია მისი ამ ჟანრის ლექსები და ზღაპრები. ი. გრიშაშვილს ეკუთვნის ფრიად საყურადღებო გამოკვლევები ლიტერატურისა და თეატრის ისტორიის პრობლემებზე, ქალაქურ ფოლკლორზე, აშუღურ პოეზიაზე, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია „საიათნოვა“ (1914–18), „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1926–27), „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა“ (1940).

ფასდაუდებელია ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი მრავალათასსიტყვიანი ქალაქური ლექსიკონი, რომელიც დაისტამბა რ. კუსრაშვილის რედაქციით (1999). ი. გრიშაშვილმა ქართულად თარგმნა და გამოსცა ჰ. თუმანიანის „რჩეული“, აგრეთვე ი. კრილოვის იგავები, შირვანზადეს, მ. ფ. ახუნდოვის, კ. ხეთაგუროვის, ა. ახმატოვას, ვ. ინბერის, ნ. ჰიქმეთისა და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



გუგუშვილი პაატა [15 (28). IX. 1905, სოფ. კოდორი (ამჟამად კეთილარი), ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტი, – 27. II. 1987, თბილისი], ეკონომისტი. პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1940), პროფესორი (1940), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1961), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1938 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე, დისერტაციის დაცვის გარეშე (Honoris Cousa) მიანიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1930–67 წლებში იქვე კითხულობდა სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტეკონომიის, ხოლო 1968–86 წლებში – სოციოლოგიის კურსს. 1940–45 წლებში განაგებდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრას. იგი იყო პირველი მეცნიერ-ეკონომისტი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში აირჩიეს. მისი ძალისხმევით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსდა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც 1944–76 წლებში ედგა სათავეში. ინსტიტუტს 1991 წლიდან მიენიჭა პ. გუგუშვილის სახელი. მან ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეკონომიკურ სკოლას.

პ. გუგუშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სახალხო

მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, ქართული ეკონომიკური აზრის, გეგმიანობისა და პროგნოზირების პრობლემებს. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ნაშრომები ქართული ჟურნალისტიკისა და ბიბლიოლოგიის დარგში. მის სახელთანაა დაკავშირებული თსუ-ის ესთეტიკისა და ჟურნალისტიკის კათედრების შექმნა. არის 500-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მ.შ. 50-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორი.

პ. გუგუშვილის ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფია „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს.“ (I–VII ტომი, 1949–84), რომლის სამი წიგნი გამოცემულია რუსულ ენაზეც (ამ ნაშრომს 2000 წელს ეკონომიკური მეცნიერების დარგში „XX საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსით ჟურნალ „მაკრო-მიკროეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიენიჭა პირველი პრემია). პ. გუგუშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში, ეკონომიკური წყაროების მეცნიერულ პუბლიკაციაში. მუშაობდა მარქსიზმის კლასიკოსების თხზულებათა ქართული თარგმანის სარედაქციო კომისიაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მისი თაოსნობით შეიქმნა სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილება, რომლის ბაზაზეც შემდგომ (1991) დაარსდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იყო ჟურნალ „ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მისივე ინიციატივით აღდგენილი ჟურნალის, „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი (1958–67), საქართველოს საგეგმო კომისიის (შემდგომ საგეგმო კომიტეტი) წევრი (1946–76), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი

(1967–87) და მისი ეკონომიკის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1958–62), საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრი (1959–63) და სხვ.

თსუ-ში გაიხსნა პ. გუგუშვილის სახელობის აუდიტორია, ხოლო ეკონომიკის ინსტიტუტში დაარსდა მისი სახელობის სამეცნიერო პრემია და მედალი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.



გულისაშვილი ვასილ (23. IV. 1903, თბილისი, – 19. X. 1979, იქვე), მეტყევე-ეკოლოგი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1935), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946; წევრ-კორესპონდენტი – 1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1955), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1974).

დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) სატყეო-ტექნიკური აკადემიის სატყეო მეურნეობისა (1926) და ქიმიური ტექნოლოგიის (1931) ფაკულტეტები. 1931 წლიდან იყო თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი მეტყევეობის კათედრის გამგე, 1945 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სატყეო ინსტიტუტს.

ვ. გულისაშვილის ნაშრომები ეხება მცენარეთა მერქნიანი ჯიშების ბიოლოგიას, ეკოლოგიასა და ეკოლოგიურ გეოგრაფიას, ბუნების დაცვას. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

1980 წელს საქართველოს სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიენიჭა ვ. გულისაშვილის სახელი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში. თბილისში არის ვ. გულისაშვილის სახელობის ქუჩა.



გუნია ავთანდილ (27. IX. 1912, თბილისი, – 2. X. 1997, იქვე), ეკონომისტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1980).

1939 წელს დაამთავრა მოსკოვის გ. პლეხანოვის სახ. სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი. 1953 წელს იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, 1953–57 წლებში – საქართველოს კულტურის მინისტრი, 1957 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტეკონომიის განყოფილების გამგე, 1960 წლიდან – ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1976–91 წლებში – დირექტორი, 1991 წლიდან გარდაცვალებამდე – საპატიო დირექტორი.

ა. გუნია იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „მაცნეს“ (ეკონომიკის და სამართლის სერია) მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის დარგში საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტისა და სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ა. გუნიას ნაშრომები ეხება პოლიტეკონომიის, მრეწველო-

ბის ეკონომიკისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების საკითხებს. დიდია მისი წვლილი საქართველოში რეგიონული ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების ეკონომიკის მეცნიერულ კვლევაში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997). ა. გუნიას სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეძღვნება ბროშურები: ავთანდილ გუნია (ბიო-ბიბლიოგრაფია), 2002; აკადემიკოსი ავთანდილ გუნია – 100, 2012.

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.



გურგენიძე დავით (დ. 16. X. 1963, თბილისი), მეცნიერი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (2005), პროფესორი (2012), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2023), საქართველოს ენერგეტიკის (2006), საინჟინრო (2019), ეკონომიკურ (2020), იურიდიულ (2021), სამთო მეცნიერებათა (2025) და ფაზისის (2025) აკადემიების ნამდვილი წევრი. საქართველოს დამსახურებული მშენებელი (2019).

1981–83 სწავლობდა მოსკოვის ვ. კუიბიშევის სახ. საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ფაკულტეტზე, შემდეგ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტზე (დაამთავრა 1987), 1999–2001 წლებში კი – სტუ-ის სამართლის ფაკულტეტზე.

მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე სამშენებლო რაზმების მეთაურად (1983–87); იყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპლექსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე (1990–93). მონაწილეობდა მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული და სამრეწველო ობიექტების პროექტებში, თანამშრომლობდა სამშენებლო და ენერგეტიკულ კომპანიებთან საქართველოში, რუსეთსა და ავსტრიაში (1992–94). იყო სტუ-ის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრის გამგის მოადგილე (1997–98), სააქციო საზოგადოება „მერკური 92-ის“ გენერალური დირექტორი (1997–01), ამავე პერიოდში სტუ-ის საერთაშორისო ცენტრ „TEMPUS TACIS“-ის ხელმძღვანელი,

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე (2001–04), სტუ-ის მეცნიერი თანამშრომელი (2002–05), საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი (2005–11), სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის (2006–07), ასევე სამშენებლო ფაკულტეტის (2012–13) მოწვეული სპეციალისტი, ჰიდროტექნიკისა და სამოქალაქო ინჟინერიის დეპარტამენტის პროფესორი (2013 წლიდან), სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი (2013–15), სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (2015–17), სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი (2017–20), 2020 წლიდან – სტუ-ის რექტორი.

არის საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე და აშშ-ის სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი (2020 წლიდან), 2023 წლიდან კი – საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, CERN-ის CMS ექსპერიმენტის ასოცირებული წევრი (2024 წლიდან), აგრეთვე ი. ეგიაზაროვის სახ. წყლის პრობლემებისა და ჰიდროტექნიკის ინსტიტუტისა (სომხეთი) და ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის (პოლონეთი, 2019 წლიდან) საპატიო დოქტორი; უკრაინის ნაციონალური საავიაციო (2021) და სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის ნაციონალური (2021) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტისა (2024) და ლიუბლიანის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საპატიო დოქტო-

რი (2024), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი (2023 წლიდან).

დ. გურგენიძის სამეცნიერო კვლევები მოიცავს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთ არსებული სიმძლავრეების (ჰიდროენერგეტიკული, ჰიდრომელიორაციული, ჰიდროკვანძებისა და თბოელექტროსადგურების) საექსპლუატაციო ანალიზსა და მონიტორინგს, აგრეთვე სხვადასხვა ენერგეტიკული, სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტის მშენებლობა-რეკონსტრუქციის საკითხებს.

არის 115-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი (მ. შ. 2 გამოგონება, 10 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო, სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი). კოორდინაციას უწევს არაერთ საერთაშორისო საგრანტო პროექტს.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999), საქველმოქმედო საქმიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პრიზი „ოქროს ფრთა“ (2007), ლიეტუვის რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენი, რაინდის ჯვარი „დამსახურება ლიეტუვისთვის“ (2022), დანტე ალიგიერის საზოგადოების ოქროს მედალი და დიპლომი (იტალია, 2023), მეცნიერებისა და ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისთვის მიენიჭა ე. თაყაიშვილის სახელობის პრემიის ლაურიატის საპატიო წოდება და დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით, ასევე მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის მედალი (2023).



დავითაია თეოფანე [2. (15). IX.1911, სოფ. ეკი, ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1979, თბილისი], გეოგრაფი, აგრომეტეოროლოგი და კლიმატოლოგი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1951), პროფესორი (1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საქართველოსა (1971) და საბჭოთა კავშირის (1973) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების განყოფილების თავმჯდომარე (1963 წლიდან), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1970 წლიდან), საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1972 წლიდან).

1932 წელს დაამთავრა სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი თბილისში. 1932–41 და 1945–51 წლებში მუშაობდა ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) მემცენარეობის ინსტიტუტში, 1941–59 წლებში – სსრკ-ის ჰიდრომეტეროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. სხვადასხვა დროს იყო ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისისა და უისკონსინის (აშშ) უნივერსიტეტების პროფესორი, სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალ „მეტეოროლოგია და ჰიდროლოგიის“ მთავარი რედაქტორი (1955–62), „სსრკ. კლიმატური ატლასის“ 3-ტომიანი გამოცემის მთავარი რედაქტორი (1960–64). არჩეული იყო უცხოეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების წევრად.

თ. დავითაიას ნაშრომები ეხება ზოგად სასოფლო-სამეურნეო კლიმატოლოგიას, აგრომეტეოროლოგიას, სოფლის მეურნეობის გეოგრაფიას, ბუნების დაცვისა და გარდაქმნის პრობლემებს. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კლიმატისა და ამინდის არახელსაყრელ პირობებთან (გვალვა, ხორშაკი, წაყინვა) ბრძოლის მეთოდების თეორიულ დასაბუთებაში. დაამუშავა აგროკლიმატური დარაიონებისა და კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების მეთოდები; შექმნა კლიმატის საწარმოო შეფასების ახალი მეცნიერული მიმართულება; შეისწავლა თანამედროვე ცივილიზაციის ზეგავლენით ბუნებაში თავისუფალი ჟანგბადის სისტემატური კლების პრობლემები.

თ. დავითაიას დიდი წვლილი მიუძღვის „საქართველოს ატლასის“ შექმნასა და კუბის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებაში. მისი მონაწილეობით და რედაქტორობით შეიქმნა აგრეთვე „კუბის ეროვნული ატლასი“.

მიღებული აქვს ა. ვოეიკოვის სახ. პრემია (1956 და 1966), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების დიდი ოქროს მედალი (1976), კუბის გეოგრაფიული ინსტიტუტის თანადამაარსებლის დიპლომი (1965, კუბა), კუბის მეცნიერებათა აკადემიის დიდი ოქროს მედალი (1972) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

1980 წელს აირჩიეს კუბის სპელეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად (გარდაცვალების შემდეგ).

1980 წელს დაარსდა თ. დავითაიას სახ. პრემია ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში თვალსაჩინო სამეცნიერო შრომებისათვის, მის სახელს ატარებდა სანაოსნო თბომავალი „აკადემიკოსი დავითაია“.



დავითაშვილი ლეო (25.V. 1895, თბილისი, – 3. IX. 1977, იქვე), პალეობიოლოგ-ევოლუციონისტი, გეოლოგი. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), სტალინური პრემიის ლაურეატი (1949).

1925 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1926–50 წლებში მუშაობდა მოსკოვისა და თბილისის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. 1951 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდუმთან დააარსა პალეობიოლოგიის სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1951–58 წლებში. იყო პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1958–77).

ლ. დავითაშვილის ნაშრომები ეხება პალეონტოლოგიის და მესამეული პერიოდის სტრატიგრაფიის საკითხებსა და ბიოლოგიის ძირითად თეორიულ პრობლემებს. აღმოსავლეთ საქართველოში გამოყო საყარაულოსა და კოწახურის ჰორიზონტები, რომელიც საბჭოთა კავშირის ნეოგენური სისტემის რეგიონულ სართულებადაა მიჩნეული. დიდი ღვაწლი მიუძღვის ევოლუციური მოძღვრების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლაში, როგორიცაა ევოლუციური პროგრესი, სქესობრივი გადარჩევა, სახეობათა ამოწყდომა და სხვ.

აღსანიშნავია ლ. დავითაშვილის კაპიტალური გამოკვლევები მეცნიერების ისტორიის დარგშიც. მისი სახელმძღვა-

ნელო „პალეონტოლოგიის კურსი“ (1949) თარგმნილია უცხო ენებზე. ნაშრომს „ევოლუციური პალეონტოლოგიის ისტორია დარვინიდან დღემდე“ (1948) მიენიჭა სტალინური პრემია.

ლ. დავითაშვილი იყო ბულგარეთის გეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



დვალი რაფიელ [22. III (4. IV). 1909, ზესტაფონი, – 8. IX. 1985, თბილისი], მანქანათმცოდნეობის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1948), პროფესორი (1948), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1958–72), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).


დაამთავრა ამიერკავკასიის ენერგეტიკის ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი (1931). იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომობილების, ტრაქტორებისა და ავტოსატრაქტორო ძრავების კათედრის დამაარსებელი და გამგე (1946–66), ამავე ინსტიტუტის დირექტორი (1956–58), მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის შექმნის (1960) ერთ-ერთი ინიციატორი და მისი დირექტორი (1962, 1972–85). 1994 წლიდან ინსტიტუტი რ. დვალის სახელობისაა.

რ. დვალის ძირითადი ნაშრომები ეხება ავტომობილისა და ტრაქტორის თეორიას, მანქანების დინამიკის, აგრეთვე მთის ფერდობებზე ტრაქტორის მუშაობისა და სამთო გზებზე ავტომობილის მოძრაობის კვლევის საკითხებს. ავტორია ავტომობილისა და ტრაქტორის თეორიის ქართული სახელმძღვანელოებისა. მუშაობდა მობილური მანქანების დინამიკის საკითხებზე.

მონოგრაფიისათვის „ტრაქტორის თეორია“ (1970) მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. იყო საქართველოს სსრ

მე-7 და მე-8 მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (1963–71), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1971) და დრეზდენის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1972), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1970).



დიდებულიძე ალექსანდრე [14 (26). XII. 1882, თბილისი, – 18. IV. 1951, იქვე], ენერგეტიკოსი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1943), პროფესორი (1918), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1941), ფერადი ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი რუსეთში.

დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1911). 1910–16 წლებში იქვე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, ხოლო 1916–17 წლებში მუშაობდა ოდესაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნაში.

1918 წელს დაბრუნდა საქართველოში. იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) პროფესორი (1919–26) და რექტორი (1920–21), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის კათედრის გამგე (1919–33), იქვე პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი (1922–26), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1928). 1928 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგედ. 1923–25 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის გეოფიზიკის ობსერვატორიას, 1932–38 წლებში – ამიერკავკასიის ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერთა ინსტიტუტის ელექტროტექნიკის კათედრას, 1936–45 წლებში – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრას, ხოლო 1948–51 წლებში – საქა-

რთველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტს.

ა. დიდებულიძემ, კ. ამირაჯიბთან ერთად, შექმნა საბჭოთა კავშირში პირველი ელექტროტრაქტორი (1930), აგრეთვე ნათესების მოსარწყავი პირველი გრძელჭავლიანი საწვიმარი აპარატი (1932). ავტორია მნიშვნელოვანი გამოგონებებისა ტექნიკის დარგში. მისი ხელმძღვანელობით 1923 წლის 3 სექტემბერს მყინვარწვერზე ავიდა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც გ. ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად სათავე დაუდო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას. პირველად ჩატარდა დევდარაკის მყინვარისა და მყინვარწვერის გეოფიზიკური კვლევა-ძიება.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



დოლიძე ისიდორე (23. III (5. IV). 1915, სოფ. ხვარბეთი, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 17. VII. 1982, თბილისი), იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, სამართლის დოქტორი (1957), პროფესორი (1958), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960) და ვიცე-პრეზიდენტი (1960–66), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965).

1933 წელს დაამთავრა ბათუმის სამშენებლო ტექნიკუმი. სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ; დაასრულა 1936 წელს), მოსკოვისა და სვერდლოვსკის (ეკატერინბურგი) ინსტიტუტების იურიდიულ ფაკულტეტებზე, იმავე პერიოდში ჩაირიცხა მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1940 წლიდან ლექციებს კითხულობდა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1946–47 წლებში იყო საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელი ლონდონში, 1947–48 წლებში – თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, 1949 წელს – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი, 1954–57 წლებში – საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს (ახლანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლო) თავმჯდომარე, 1957–60 წლებში – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1967 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებას.

ი. დოლიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო ქართული სამართლისა და სამართლის ზოგადი ისტორია. აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები“ (1950), „ძველი ქართული სამართალი“ (1953), „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“ (1957), „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ (1960), „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ (1960), „სამართალი ვახტანგ მეექვსისა“ (1981). გამოსცა ქართული სამართლის წერილობითი წყაროების რვატომეული – „ქართული სამართლის ძეგლები“ (ტ. I–VIII, 1963–85), შეკრიბა და გამოაქვეყნა ნ. ხიზანაშვილის „რჩეული იურიდიული ნაწერები“ (1982).

მიღებული აქვს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია (1982) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ სერგი (27. II. 1910, საჩხერე, – 29. V. 1989, თბილისი), ბიოქიმიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1952), პროფესორი (1952), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985).მცენარეთა ბიოქიმიისა და ტექნიკური ბიოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

1931 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი. 1935–60 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრაზე (1944–45 – კათედრის გამგე). 1943–54 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, 1954–55 – სოფლის მეურნეობის მინისტრი, 1955–71 წლებში – მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი (1971 წლიდან – ვიცე-პრეზიდენტი) და მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის დამაარსებელი (1971–87 – დირექტორი).

მუშაობდა მეორეულ ნაერთთა ბიოქიმიის დარგში. დაადგინა სპირტის დუღილის ძირითადი მეორეული და გარეშე პროდუქტების გარდაქმნის ბიოქიმიური გზები; საფუძველი ჩაუყარა ვაზისა და ღვინის ფენოლურ ნაერთთა ბიოქიმიას; დაამუშავა არომატული ნაერთების უჯრედშიგა ცვლის თეორიული საფუძვლები; წამოაყენა ჰიპოთეზა უჯრედში ფენოლურ და უცხო ნაერთთა ღრმა ჟანგვითი გარდაქმნებისა და დეტოქსიკაციის შესახებ; გამოავლინა ატმოსფეროს, ნიადაგი-


სა და წყლის ბიოლოგიური გასუფთავების ახალი გზები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1987).

1990 წელს ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მიენიჭა ს. დურმიშიძის სახელი.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თბილისში არის ს. დურმიშიძის ქუჩა.



ერისთავი კონსტანტინე (22. I. 1889, სოფ. სალომინაო, ახლანდელი ვანის მუნიციპალიტეტი, – 12. III. 1975, თბილისი), ქირურგი, საზოგადო მოღვაწე. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1926), პროფესორი (1929), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975), სოციალისტური შრომის გმირი (1966).

დაამთავრა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1914). I მსოფლიო ომის დროს მოქმედ არმიაში მსახურობდა. 1918 წლიდან მუშაობდა საქართველოში, 1931 წლამდე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). 1928–41 წლებში განაგებდა ზოგადი ქირურგიის, 1941–50 წლებში – საფაკულტეტო ქირურგიის, ხოლო 1949–60 წლებში – ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. 1938–41 წლებში იყო თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი, 1941–50 წლებში – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, 1948–50 წლებში – სისხლის გადასხმის ინსტიტუტის, 1950–74 წლებში კი – ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. 1951–55 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებას, 1957–72 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.


კ. ერისთავმა საქართველოში დანერგა გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, საყლაპავი მილის, თავის ტვინისა და სხვ.

ოპერაციები. ასევე ითვლება სისხლის გადასხმის, სინთეზური მასალის გამოყენებისა და გაუტკივარების ერთ-ერთ პიონერად. დიდი დამსახურება მიუძღვის ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის დარგების განვითარებაში. იკვლევდა ინფიცირებული ჭრილობის, ჩირქოვანი პლევრიტის, ღვიძლის ექინოკოკის, წყლულოვანი დაავადების, სანაღვლე გზებისა და სხვ. ქირურგიული მკურნალობის მეთოდებს. თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა სისხლძარღვთა ტრანსპლანტაციის, ინდუცირებული სიმსივნის განვითარების საკითხები. შეიმუშავა პოსტტრანსფუზიული გართულებებისა და დამწვრობის მკურნალობის მეთოდები და სხვ.

სისხლძარღვთა აღდგენით ქირურგიაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (გ. იოსელიანთან, დ. კანდელაკთან და მ. კომახიძესთან ერთად).

კ. ერისთავი იყო საქართველოს ქირურგიული საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. სამი ლენინის ორდენი.




ვახანია ნიკოლოზ (28. VIII. 1930, ქუთაისი, – 23. VII. 2014, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1981).

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და ფუნქციური ანალიზის განყოფილების გამგე (1961 წლიდან), დირექტორი (1979–2005), თსუ-ის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1970–73), შემთხვევითი პროცესების თეორიის კათედრის გამგე (1971–78), ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი და მათემატიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1992 წლიდან).

ნ. ვახანიას ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ალბათობის თეორიისა და ფუნქციური ანალიზის, აგრეთვე გამოთვლითი მათემატიკის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის პრობლემებს. მან ჩამოაყალიბა უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში ალბათურ განაწილებათა კოვარიაციული თეორია, აღწერა გაუსის ზომები წრფივ სივრცეებში, გამოიკვლია ვექტორულ ფუნქციათა წრფივი აპროქსიმაციის თეორიის საკითხები, შეისწავლა არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ჰიპერბოლური ტიპის განტოლებებისათვის, სითხით გავსებული ბზრიალას მცირე რხევების მდგრადობის ამოცანა და სხვ.

ნ. ვახანიას მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგების დიდი ნაწილი თავმოყრილია მონოგრაფიებში: „ალბათური განაწილებები წრფივ სივრცეებში“ (1971, რუს. ენაზე) და „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“ (სხვა ავტორებთან ერთად, 1985, რუს. ენაზე). ორივე მონოგრაფია თარგმნილია ინგლისურად და გამოცემულია ჰოლანდიაში.

მიღებული აქვს ა. რაზმაძისა (1992) და ნ. მუსხელიშვილის (2003) სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი (2000).



ვეკუა აბესალომ (1. XI. 1925, ფოთი, – 19. II. 2014, თბილისი), პალეობიოლოგი და პალეოანთროპოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2004).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (1956) ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1956–57 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი) მხაზველი, უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1957–79 წლებში – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1979 წლიდან – ხერხემლიანთა განყოფილების ხელმძღვანელი, 2009 წლიდან – ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1981 წლიდან – საქართველოს მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, 1990 წლიდან – საქართველოს ტერიოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი.

ა. ვეკუას კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოსა და მიმდებარე რეგიონების ზედა ნეოგენის (პლიოცენი) და ანთროპოგენის (პლეისტოცენი და ჰოლოცენი) პერიოდის ძუძუმწოვართა ფაუნისა და პალეობიოლოგიის შესწავლა. მისი სამეცნიერო საქმიანობა მთლიანად მოიცავდა საქართველოსა და მიმდებარე რეგიონების ზედა ნეოგენისა

და ანთროპოგენის პერიოდების შესწავლას. კვლევები ფოკუსირებული იყო ძუძუმწოვართა პალეობიოლოგიასა და პალეოანთროპოლოგიაზე. მან შეისწავლა ძველი ქვის ხანის (პალეოლითი) ხერხემლიანთა ფაუნა ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორებიცაა ახალქალაქი, ქვაბები, ძეძვთახევი, კოწახური; შეისწავლა ახალქალაქის პლეისტოცენურ ძუძუმწოვართა ფაუნა. ქვაბების ფაუნის შესახებ გამოქვეყნებული მისი ნაშრომი (სადოქტორო დისერტაციის საფუძველი) ამ რეგიონის გვიანი აქჩაგილის ხერხემლიანთა ფაუნის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია. ა. ვეკუამ მეცნიერთა ჯგუფთან (ლ. გაბუნია, დ. ლორთქიფანიძე და სხვ.) ერთად დმანისში აღმოაჩინა და შეისწავლა ევრაზიაში უძველესი (დმანისის ჰომინიდები – Homo georgicus, დაახლოებით 1.8 მილიონი წლის) ჰომინიდების (ადამიანის წინაპრების) ნაშთები. ამ აღმოჩენამ რევოლუციური როლი ითამაშა ჰომინიდების აფრიკიდან პირველი მიგრაციის თარიღისა და მარშრუტების დადგენაში. ნაშრომები დმანისის შესახებ გამოქვეყნდა მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში – „Nature“ და „Science“.

ა. ვეკუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის განვითარებაში.

მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში – დმანისის ჰომინიდების კვლევის ციკლისათვის („დმანისელი ადამიანის ადგილი ადრეულ ჰომინიდებს შორის, მისი მატერიალური კულტურა და ბუნებრივი გარემო“, 1992–2001 წლების ნაშრომათა ციკლი).

იყო ფაზისის აკადემიის წევრი (2002), ღირსების ორდენის მფლობელი (2001) და ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე (2003).



ვეკუა ილია [23. IV (6. V). 1907, სოფ. შეშელეთი, ახლანდელი გალის მუნიციპალიტეტი, – 2. XII. 1977, თბილისი], მათემატიკოსი და მექანიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1940), პროფესორი (1940), საქართველოსა (1946) და სსრკ-ის (1958) მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი (1947–51), პრეზიდიუმის წევრი (1964 წლიდან), პრეზიდენტი (1972–77), საქართველოსა (1966) და აფხაზეთის (1967) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური (1950), ლენინის (1963) და სსრკ სახელმწიფო (1984, გარდაცვალების შემდეგ) პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი (1963).

1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). იყო ამავე უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1940–44), პრორექტორი (1944–47), რექტორი (1966–72), გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-ხელმძღვანელი და დირექტორი (1968–77), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1973–77), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის (მოსკოვი) დირექტორის მოადგილე (1955–59), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი (1958–64), ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი (1959–64).

ი. ვეკუას სამეცნიერო ნაშრომები ეხება თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის მრავალი დარგის საკითხებს, განსაკუთრებული ადგილი უკავია კერძოწარმოებულიანი განტოლე-

ბების თეორიას. ელიფსური განტოლებებისათვის დაამუშავა ამონახსნთა ზოგადი წარმოდგენების თეორია, რომელიც გამოიყენა სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში; განიხილა ფუნქციათა თეორიის ერთობ ზოგადი სასაზღვრო ამოცანა, შენიშნა მისი ახლებური ბუნება, ბოლომდე გამოიკვლია ამოხსნადობის საკითხი და მოგვცა ინდექსის გამოსახულება. ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედო ღრმა განზოგადებებს ელიფსური დიფერენციალური ოპერატორების ინდექსის პრობლემასთან დაკავშირებით; დაამუშავა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია, რომელიც კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის არსებითი გაფართოებაა. მას ეკუთვნის დრეკად გარსთა მათემატიკური თეორიის ახალი ვარიანტი, რომელიც გამოირჩევა მექანიკური სურათის ზუსტი შესაბამისობით.

ი. ვეკუა იყო სსრკ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის წევრი (1956 წლიდან), ედინბურგის (1958), სტოკჰოლმის (1962), მოსკოვის (1966), ნიცის (1970) მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესების მონაწილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის (1968), გერმანიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია „ლეოპოლდინა“ (1969, ჰალე), მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის (1976, პალერმო) უცხოელი წევრი, რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი, ჰალეს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1969), იენის უნივერსიტეტის საპატიო სენატორი (1969), სსრკ-ის VII–IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ვეკუა ნიკოლოზ [28. VII (10. VIII). 1913, სოფ. ახუთი, ახლანდელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 11. IV. 1993, თბილისი], მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975).

1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1948–51 წლებში იყო თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, თეორიული მექანიკის კათედრის გამგე (1961 წლიდან), 1976 წლიდან – ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა განყოფილების გამგე (1957 წლიდან).

ნ. ვეკუას ძირითადი ნაშრომები ეხება კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებს, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებსა და მათ გამოყენებას მათემატიკურ ფიზიკაში, მცირეპარამეტრიან დიფერენციალურ და ინტეგრალურ-დიფერენციალურ განტოლებებსა და თეორიული მექანიკის საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ მიღებული შედეგები რამდენიმე უცნობი ფუნქციისათვის ჰილბერტის წყვეტილკოეფიციენტებიანი ამოცანისა და წყვეტილკოეფიციენტებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების შესახებ. მანვე დაადგინა, რომ

არსებობს კავშირი მცირეპარამეტრებიან ამოცანებსა და დინამიკური სისტემების ამონახსნთა ლიაპუნოვის მიხედვით მდგრადობას შორის. ნ. ვეკუას შრომები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ზაალიშვილი თენგიზ (დ. 18. VI. 1949, თბილისი), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1992), პროფესორი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022; წევრ-კორესპონდენტი – 1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი (1971). 1974–86 წლებში მუშაობდა ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1986 წლიდან იყო მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორიის გამგე, 2000–06 წლებში – ამ ინსტიტუტის დირექტორი, 1996–2006 წლებში – თსსუ-ის ბიოქიმიის და თსუ-ის უჯრედის და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრების პროფესორი. 2010 წლიდან რამდენიმე ინსტიტუტის ბაზაზე ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ იგი არის ცენტრის გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორიის გამგე, 2011 წლიდან – ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

თ. ზაალიშვილის მეცნიერული ინტერესების სფეროს განეკუთვნება ეუკარიოტული გენომის სტრუქტურა და ფუნქცია, კერძოდ, ბირთვულ მატრიქსთან და არამატრიქსულ უბნებთან ასოცირებული ADP-რიბოზილ ტრანსფერაზისა და DNA ტოპო-იზომერაზების როლის შესწავლა გენეტიკურ პროცესებში. ამჟამად იგი სწავლობს სხვადასხვა სიძლიერის თერმული ზემოქმედების გავლენას ვირთაგვას ღვიძლისა და

თავის ტვინის უჯრედების ბირთვებში დნმ ტოპო-იზომერაზა I-ის და II-ის შემცველობისა და აქტივობის განაწილებაზე ბირთვულ მატრიქსსა და ნუკლეოპლაზმას შორის და დნმ-ტოპოიზომერაზა I-ის და დნმ-ტოპოიზომერაზა II-ის აქტივობას ვირთაგვას თავის ტვინის უჯრედებიდან იზოლირებულ ბირთვულ მატრიქსსა და ნუკლეოპლაზმაში ნორმასა და ჰიპერთერმიის პირობებში.

1999 წელს თ. ზაალიშვილი შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის ნობელის კომიტეტმა აირჩია ექსპერტად ქიმიაში 2000 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის გამოსავლენად. იგი არის ევრომეცნიერების ასოციაციის, საერთაშორისო კვლევითი საზოგადოება SIGMA Xi-ის და ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაცია IBRO-ის წევრი. 2006–10 წლებში იყო IBRO-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული კომიტეტის წევრი.

თ. ზაალიშვილი არის 70-ზე მეტის ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.



ზაალიშვილი მალხაზ (27. IX. 1920, მცხეთა, – 9. IX. 2016, თბილისი), ბიოფიზიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979), თეორიული და გამოყენებითი ბიოფიზიკის განათლების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი.

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი ფიზიკური ქიმიის სპეციალობით. პარალელურად სწავლობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1946 წლიდან მოსკოვში, აკად. ვ. ენგელგარდტის ხელმძღვანელობით მუშაობდა სადისერტაციო ნაშრომზე, რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულება – ბიოლოგიური ძვრადობის პრობლემების კვლევა. 1951 წელს მ. ზაალიშვილი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს არაორგანულ, ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში, 1956 წელს მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. მან პირველმა შეადგინა ბიოლოგიური ფიზიკის ზოგადი კურსის პროგრამა და 1956 წლიდან უძღვებოდა ბიოლოგიური ფიზიკის კურსს თსუ-ში. 1962 წელს ამავე უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა სპეციალიზაცია „ბიოფიზიკა“, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა, სადაც კითხულობდა ლექციებს ზოგად და უჯრედის ბიოფიზიკასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში. 1962 წელს, ი. ბერიტაშვილის

ინიციატივით, ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა საქართველოში პირველი ბიოფიზიკის ლაბორატორია, რომელსაც მ. ზაალიშვილი ხელმძღვანელობდა. ყოველივე ამან განაპირობა საქართველოში თანამედროვე ბიოლოგიის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა ბიოფიზიკა და მოლეკულური ბიოლოგია. ლაბორატორია შემდგომში ბიოფიზიკის სექტორად გარდაიქმნა, 1986 წელს კი მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი, რომელსაც მ. ზაალიშვილი 2000 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1990–2004 წლებში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2004–06 წლებში – პრეზიდიუმის მრჩეველი. მისი ხელმძღვანელობით მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში კვლევები წარმოებდა თანამედროვე ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით – ბიოლოგიური ძვრადობის ბიოფიზიკა, ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკო-ქიმია, გენომის მოლეკულური ორგანიზაცია.

1963–68 წლებში მ. ზაალიშვილის ხელმძღვანელობით დადგინდა, რომ მიტოქონდრიები არ შეიცავენ მიოზინის მსგავს ცილას და ამდენად, მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილება არ ეფუძნება აქტინ-მიოზინის ურთიერთქმედებას, რაც შემდგომში დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ასევე დაადგინა, რომ გიგანტური ცილა სმიტინი შედის არაკუნთოვანი უჯრედების შემადგენლობაში (ტვინი, ღვიძლი).

მ. ზაალიშვილი იკვლევდა იმ პროცესების მარეგულირებელ ფერმენტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გენეტიკური ინფორმაციის გადაცემას. სწავლობდა ამინომჟავების შემცველი ახალი ტიპის მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმიურ სინთეზს (ბუნებრივი ცილების სინთეზური ანალოგები) – შემუშა-

ვდა ჰეტეროჯაჭვური პოლიმერების სინთეზის ახალი მეთოდი.

1971 წელს გამოიცა მ. ზაალიშვილის მონოგრაფია „კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები“, რომელიც კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური პრობლემებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ფუნდამენტურ მონოგრაფიად ითვლება.

მ. ზაალიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბიოტექნოლოგიისა და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის პრობლემების საუწყებათაშორისო სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, ამავე აკადემიის ბიოფიზიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ბიოლოგიური მოძრაობის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალების „მოამბის“ და „მეცნიერება და ტექნიკის“ რედკოლეგიების, საკავშირო ჟურნალ „ბიოფიზიკისა“ და „მოლეკულური ბიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოების წევრი, СЭВ-ის (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო) წევრი, ქვეყნების საკოორდინაციო ცენტრის ექსპერტი.

მ. ზაალიშვილი იყო 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი იმ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც დაადგინა საბჭოთა ჯარის მიერ მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას 3 მომწამვლელი ნივთიერების გამოყენება.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).



ზავრიევი კირიაკ [16 (28). I. 1891, თბილისი, – 14. XII. 1978, იქვე], სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1924), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1941), სსრკ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი (1956), სეისმომედეგობის დინამიკური თეორიის ფუძემდებელი.

1914 წელს დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინსტიტუტი. მუშაობდა იქვე (1914–15). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში (1914–18). შემდეგ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ოდესისა (1918–19) და თბილისის (1921–30) პოლიტექნიკურ, სამშენებლო-საინჟინრო (1930–32), რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა (1933–59) ინსტიტუტებში. 1959 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ), პარალელურად, 1941–47 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ანტისეისმური მშენებლობის ბიუროს თავმჯდომარე, ხოლო 1947 წლიდან გარდაცვალებამდე – ამ ბიუროს ბაზაზე ჩამოყალიბებული სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი (1980 წლიდან ინსტიტუტი მისი სახელობისაა).

კ. ზავრიევი არის რუსეთსა და სამხრეთ კავკასიაში აგებული მრავალი დიდი ხიდის პროექტის ავტორი. მისი ნაშრომები ეხება ნაგებობათა თეორიას. მან საფუძველი ჩაუყარა მრღვევი

დატვირთვების შემთხვევაში ნაგებობათა გაანგარიშების მეთოდს (1913). 1926 წელს ჩამოაყალიბა სეისმომედეგობის დინამიკური თეორია. პირველმა დაასაბუთა ქვის სეისმომედეგ ნაგებობათა მშენებლობის შესაძლებლობა და დაამუშავა შენობათა ანტისეისმური სარტყელი. დიდი წვლილი მიუძღვის მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამუშავებასა და დანერგვაში, ხელმძღვანელობდა ბეტონის სპეციალისტთა ამიერკავკასიის სკოლას. იყო აშშ-ის წინასწარდაძაბული რკინაბეტონის ინსტიტუტის ნამდვილი წევრი (1957 წლიდან). 1960-იან წლებში შედიოდა სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო ასოციაციის (იაპონია) აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში როგორც ეროვნული დირექტორი.

კ. ზავრიევმა დიდი წვლილი შეიტანა მშენებლობის დარგში საკავშირო ნორმატიული დოკუმენტების დამუშავების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით და პირადი მონაწილეობით, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შეიქმნა სეისმურ რაიონებში მშენებლობისა და დაპროექტების ნორმები. შემდგომში ის აქტიურად მონაწილეობდა ამ ნორმების სრულყოფის საქმეში და აგრეთვე რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციათა დაპროექტებისათვის ნორმებისა და ტექნიკური პირობების შედგენაში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი (1966).

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.



ზაიცევი ფილიპე [14 (26). III. 1877, კიევი, – 10. VI. 1957, თბილისი], ბიოლოგი, ზოოლოგი, ენტომოლოგი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), საკავშირო ენტომოლოგიის საზოგადოების საპატიო წევრი.

1900 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1911 წელს დაიწყო კავკასიისა და საქართველოს ენტომოფაუნის კვლევა. 1920–28 წლებში იყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის პროფესორი და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ – ამავე ინსტიტუტის პრორექტორი და რექტორი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოყალიბდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ენტომოლოგიის კაბინეტი (1911), ყოფილი კავკასიის მუზეუმის ენტომოლოგიის განყოფილება (1917), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის თავდაპირველად ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს ფილიალის ზოოლოგიის სექტორი (1932), რომელიც 1941 წლიდან გადაკეთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტად (გარდაცვალებამდე იყო ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი). იგი რედაქტორობდა მრავალ პერიოდულ გამოცემასა და ცალკეულ წიგნებს ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის დარგში. მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში აწარმოებდა მუშა-

ობას მავნე მწერების წინააღმდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ფ. ზაიცევის ნაშრომები ეხება მწერების ჯგუფების ფაუნას, სისტემატიკას, ეკოლოგიისა და ზოოგეოგრაფიის საკითხებს, აგრეთვე ნაყოფის ბუზების ფაუნას, კავკასიური ტრიბის წარმომადგენლებს და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ზურაბაშვილი ავლიპ [2 (15). II. 1902, სოფ. ბოდბისხევი, ახლანდელი სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 15. VIII. 1994, თბილისი], ფსიქიატრი და ნეირომორფოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1955), სსრკ-ის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1960) აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტი (1927). 1927–31 წლებში მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ფსიქიატრიის კლინიკაში, 1931–38 წლებში – ლენინგრადში (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) ს. კიროვის სახ. სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფილურ კლინიკაში (ვ. ოსიპოვთან), ამავე დროს მუშაობდა ვ. ბეხტერევის სახ. ტვინის, ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის საკავშირო ინსტიტუტებში. 1938–50 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მორფოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1938–64 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე, 1938–94 წლებში – მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ა. ზურაბაშვილის გამოკვლევები ძირითადად ეხება კლინიკური ფსიქიატრიისა და ნეირომორფოლოგიის საკითხებს. მან ახლებურად გააშუქა სინაფსების არქიტექტონიკა და პათოარქიტექტონიკა, შეისწავლა ადამიანის თავის ტვი-

ნის ქერქის შუბლის წილის მორფოლოგიური განვითარების კანონზომიერებანი, შეიმუშავა მხედველობის ბორცვების ონტოგენეზური კლასიფიკაცია, შექმნა ასოციაციური ექსპერიმენტის ორიგინალური მეთოდი, განავითარა დებულებანი ფსიქონევროლოგიაში პერსონოლოგიური კვლევის მნიშვნელობის შესახებ. იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (1962).

ა. ზურაბაშვილს სინაფსოარქიტექტონიკაში შექმნილი გამოკვლევებისათვის მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია (1955), ხოლო ფსიქიატრიის თეორიული პრობლემების დამუშავებისათვის – სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ბეხტერევის სახელობის პრემია (1963).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენები და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1983).



თავაძე გიორგი (6. XII. 1945, თბილისი, – 7. I. 2021, იქვე), მეტალურგი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1995), პროფესორი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2015; წევრ-კორესპონდენტი – 2009), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988).

1967 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) მეტალურგიის ფაკულტეტი ლითონმცოდნეობისა და ლითონების თერმული დამუშავების სპეციალობით. 1967 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში (ახლანდელი ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი). შემდეგ იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოსა (1992–2004) და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების მთავარი სამმართველოს უფროსი (1998–2002), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი (2002–04), NATO-ს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციისა და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის ეროვნული კოორდინატორი (1997–2005), მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი (2006–21). 2006 წელს ამერიკის ბიოგრაფიული საზოგადოების მმართველ რედაქტორთა საბჭომ მიანიჭა მასალათმცოდნეობის ექსპერტის წოდება.

გ. თავაძის სამეცნიერო კვლევის მიმართულებებია: ამორ-

ფული და წვრილკრისტალური მასალების მიღება; ლითონური ნალღობიდან ზესწრაფი წრთობით თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ტექნოლოგიით A–15 ტიპის ლითონური და მაღალტემპერატურული კერამიკული ზეგამტარი მასალების მიღება; ამავე ტექნოლოგიით ბორისა და მისი ნაერთების მიღება და კვლევა.

1996 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება, მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი და გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (2013) .



თავაძე ფერდინანდ [8 (21). V. 1912, გორი, – 19. XI. 1989, თბილისი], მეტალურგი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1947), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1936 წელს დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1936–37 წლებში მუშაობდა იქვე ლაბორატორიაში, აგრეთვე ლითონთა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ს. კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის ლაბორატორიაში. 1937 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისში პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეტალურგიის ლაბორატორიაში. 1940–45 წლებში იყო თბილისის ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1945–51 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე, 1951–87 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორი (1991 წლიდან ინსტიტუტი ფ. თავაძის სახელობისაა), პარალელურად, 1948–88 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ლითონთა ტექნოლოგიისა და ლითონმცოდნეობის კათედრის გამგე, ქართული ენციკლოპედიის დაარსების დღიდან მისი მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ფ. თავაძის ძირითადი ნაშრომები ეხება შენადნობთა თეორიას; მაღალი სიმტკიცის თუჯის მიღებასა და სამსხმელო წარმოებას; ლითონის უწყვეტ ჩამოსხმას; უნიკელო, უჟან-

გავი, კრიოგენული, რადიაციამედეგი და მხურვალმედეგი ფოლადების ახალი კომპოზიციების, ძაფისებრი კრისტალების, თხელი აფსკებისა და დამცავი საფრის მიღებას, მათი თვისებების, აგრეთვე ლითონთა კოროზიის, ბორის, მისი შენადნობებისა და ნაერთების მიღების შესწავლას; ძველად საქართველოში ლითონის ნაკეთობათა წარმოების ტექნოლოგიის დადგენას და ა.შ.

ნაშრომთა ციკლისათვის „ლითონურ ნაკეთობათა ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევის მეთოდების შემუშავება“ მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1976).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



თავხელიძე ალბერტ (16. XII. 1930, თბილისი, – 27. II. 2010, მოსკოვი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1963). საქართველოსა (1974; წევრ-კორესპონდენტი 1967) და რუსეთის (1990; წევრ-კორესპონდენტი 1984) მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (1993) და აშშ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1996), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1986–2005), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი. 1956–70 წლებში მუშაობდა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა, მოსკოვის ოლქი) განყოფილების უფროსად, თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ, პარალელურად იმავე წლებში მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (პროტვინო, მოსკოვის ოლქი) თეორიული ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელად (1964–70). იყო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბოგოლიუბოვის სახ. თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყოფილების გამგე (1966–71), მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1970–86), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი (მოსკოვი, 1970) და პირველი დირექტორი (1970–86), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმა-

ძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგე დაარსების დღიდან (1971), თსუ-ის პროფესორი (1987 წლიდან), თსუ-ის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კათედრის გამგე (1987–95), თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი (1995–2004), მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2004 წლიდან), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „თეორიული და მათემატიკური ფიზიკის“ რედაქტორი (1969).

ა. თავხელიძის ნაშრომები ველის კვანტურ თეორიასა და ელემენტარული ნაწილაკების ბირთვის ფიზიკაში საფუძვლად დაედო მრავალი მიმართულების შექმნასა და განვითარებას. მან, ნ. ბოგოლიუბოვსა და ბ. სტრუმინსკისთან ერთად, შემოიტანა ფუნდამენტური კვანტური რიცხვის „ფერის“ და ძლიერად ურთიერთქმედი ელემენტარული ნაწილაკების (ჰადრონების) შემადგენელი „ფერადი კვარკების“ ცნება (1965); წარმოადგინა კვაზითავისუფალი ფერადი კვარკებისგან შედგენილი ელემენტარული ნაწილაკების დინამიკური მოდელი, რომლის საფუძველზეც შესწავლილი და ახსნილია აღნიშნული ნაწილაკების ძირითადი ფიზიკური თვისებები. შემდგომ, ვ. მატვეევსა და რ. მურადიანთან ერთად წამოაყენა ავტომოდელობის პრინციპი (1967), რომელზე დაყრდნობითაც ერთიანი თვალსაზრისით ახსნა ინვარიანტობის კანონზომიერებანი ელემენტარულ ნაწილაკთა ელექტრომაგნიტური, სუსტი და ძლიერი ურთიერთქმედებების პროცესებში და მიიღო კვარკული თვლის ფორმულები (1972). მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიუთითა ელემენტარული ნაწილაკების მასის წარმოქმნის დინამიკის მექანიზმზე, როგორც სიმეტრიის სპონტანური დარღვევის შედეგზე (1961); აჩვენა ფერმიონული ან ბარიონული რიცხვების შენახვის გლობალური კანონების დარღვევის შესაძლებლობა კვარკული მატერიის ზემაღალი სიმკვრივ-

ისას (1985); ახსნა სამყაროს ბარიონული ასიმეტრია (1978); ა. ლოგუნოვთან ერთად განაზოგადა ველის კვანტურ თეორიაში დისპერსიულ თანაფარდობათა მეთოდი არადრეკადი და მრავალნაწილაკოვანი პროცესებისათვის, რომლის საფუძველზეც მიიღო მიახლოებითი ინტეგრალური განტოლებები ნუკლონებზე π-მეზონების ფოტოდაბადების პროცესებისათვის, π-მეზონების ფიქსირებულ ნუკლონებზე გაბნევისათვის (1959) და სხვ. ა. ლოგუნოვთან ერთად შექმნა ე. წ. ლოგუნოვ-თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი (1963); დაადგინა გლობალური დუალობის თვისება გაბნევის პროცესებისათვის (1967); ნ. ბოგოლიუბოვსა და ვ. ვლადიმიროვთან ერთად დაამტკიცა გაბნევის ამპლიტუდების ავტომოდელური ქცევა მაღალი ენერგიებისა და იმპულსების დიდი გადაცემისას (1972). ერთობლივი კვლევის ციკლისთვის „π-მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება“ ა. თავხელიძეს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია (სხვებთან ერთად), ხოლო ერთობლივი ციკლისთვის „ახალი კვანტური რიცხვი – ფერი და ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომური ბირთვების კვარკულ სტრუქტურებში დინამიკურ კანონზომიერებათა დადგენა“ – ლენინური პრემია (1988; სხვებთან ერთად). „თავხელიძე-მატვეევ-მურადიანის კვარკული თვლის წესები“ აღიარებულია, როგორც აღმოჩენა №343 (1987).

მიღებული აქვს ნ. ბოგოლიუბოვის სახელობის პრემია (1996, უკრაინა), მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის ოქროს მედალი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის (1998), ღირსების ორდენი (2000), ივ. ჯავახიშვილის მედალი (2001), თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2003).

წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.



თავხელიძე დავით [25. X (7. XI). 1910, სოფ. ფერსათი, ახლანდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 20. XI. 1989, თბილისი], მექანიზმებისა და მანქანების თეორიის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1948), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1967), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1962).

1933 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი. იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრის გამგე (1948–87).

დ. თავხელიძის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები ეხება სივრცითი და ბრტყელი სახსროვანი მექანიზმების კვლევის საკითხებს. ნაშრომისათვის „სივრცითი ბერკეტული მექანიზმები“ მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1974).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე დაწესებულია დ. თავხელიძის სახელობის სტიპენდია.



თაყაიშვილი ექვთიმე (3. I. 1863, ლიხაური, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 21. II. 1953, თბილისი), ისტორიკოსი, პროფესორი (1918–21, 1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946).

დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია (1883), შემდეგ – პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით (1887). თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას (1887–94), ხელმძღვანელობდა სათავადაზნაურო გიმნაზიას (1894–1904).

აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, რომლის გამგეობის წევრად დაუსწრებლად აირჩიეს 1888 წელს. XIX ს. 90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოს სიძველეთა შეკრება და მათი მეცნიერული დამუშავება. პირველი შედეგები 1890 წელს გამოაქვეყნა „ივერიაში“ (საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავებში არსებულ ხელნაწერთა აღწერილობები), გამოსცა „სამი ისტორიული ხრონიკა“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, მესხური მატიანე). 1899–1915 წლებში მისი რედაქტორობით გამოიცა დოკუმენტთა კრებული „საქართველოს სიძველენი“ (ტ. 1–3).

ე. თაყაიშვილმა შეისწავლა და გამოიკვლია ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლის ხელნაწერები. დიდ ყურადღებას

უთმობდა ქართველი ხალხის სიტყვიერების ნიმუშების შეკრებასა და გამოცემას. შეაგროვა და აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ერთი ნაწილი – თავი მოუყარა 17 ხელნაწერს (1646 – უძველესი, 1680 – გიორგი XI-თვის გადაწერილი). შეისწავლა ბარათაშვილისეული, დადიანისეული, რუმიანცევისეული, ჯანაშვილისეული და მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები (უკანასკნელი გამოაქვეყნა 1906).

ეწეოდა ფართო არქეოლოგიურ საქმიანობას. სამხრეთ საქართველოში პირველი ექსპედიციის დროს (1902), მან აღმოაჩინა და გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გაარკვია ლიტერატურაში მანამდე უცნობი ზოგიერთი მონასტრის სახელი. ამ არქეოლოგიურმა მოგზაურობებმა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ძეგლების აღწერის, აზომვისა და შესწავლის საქმეში. მისი ნაშრომი „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“ დაჯილდოებულია რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით (1911).

1907 წელს ისტორიის მოყვარულთა წრის ბაზაზე დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (პირველი თავმჯდომარე იყო 1921 წლამდე, ემიგრაციაში წასვლამდე) და მისი პერიოდული გამოცემა „ძველი საქართველო“ (ტ. 1–4, 1909–15).

ე. თაყაიშვილი იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის (თსუ) დაარსებაში. იგი თავმჯდომარეობდა თსუ-ის დამფუძნებელთა პირველ შეკრებას 1917 წლის 12 მაისს. იყო ახლად დაარსებული თსუ-ის ერთ-ერთი პირველი პროფესორი, არქეოლოგიის კათედრის გამგე. ივ. ჯავახიშვილთან ერთად არჩეული იყო „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ კომისიაში. 1918 წლის 21 მაისს უნივერსიტეტის საბჭომ მას დისერტაციის დაუცველად (Honoris Cau-

sa) დოქტორის ხარისხი მიანიჭა. მისი სასწავლო კურსი, არქეოლოგიის გარდა, მოიცავდა უძველეს წარწერებს, ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, საქართველოს ეკლესია-მონასტრების ისტორიას და სხვ.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ე. თაყაიშვილი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატი და თავმჯდომარის მოადგილე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გადაწყდა ეროვნული განძის საზღვარგარეთ გატანა, რომლის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ე. თაყაიშვილი დანიშნა. 1921 წელს იგი განძთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა. მან საქართველოს საგანძური მეტად რთულ პირობებში დაიცვა და გაუძლო მეორე მსოფლიო ომის წლებს. ამ დროს შესაძლებელი იყო გერმანელებს განძი ოკუპირებული საფრანგეთიდან წაეღოთ.

ე. თაყაიშვილმა ემიგრაციის წლებში მოიძია და გამოაქვეყნა საფრანგეთის საცავებში შემონახული ქართული ხელნაწერები, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო ორგანოების („ბიზანტიონი“, „გეორგიკა“ და სხვ.) საქმიანობაში, აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში. იყო პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოებისა (1922) და პარიზის სააზიო საზოგადოების (1925) წევრი. 1937–39 წლებში ხელმძღვანელობდა „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდს“.

1944 წლის ბოლოს განძის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი შეხვდა სსრკ-ის ელჩს საფრანგეთში და გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ შარლ დე გოლის სახელზე, რომლის მოსკოვში ვიზიტისას ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და 1945 წლის 11 აპრილს უკლებლივ

მთელი განძით ე. თაყაიშვილი საქართველოში დაბრუნდა. იმავე წლის 15 აპრილს იგი აღადგინეს თსუ-ის პროფესორად.

ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ იგი თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიის, თსუ-ისა და სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ორგანოებთან. მეცნიერი ვერ ასცდა საბჭოთა რეპრესიებს – 1952 წელს უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს „საკმარისი პედაგოგიური დატვირთვის უქონლობის გამო“.

ე. თაყაიშვილის ნეშტი თავდაპირველად ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, დაბადებიდან 100 წლის თავზე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს, 2000 წელს კი მეუღლესთან ერთად (გადმოასვენეს ლევილიდან) ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

ე. თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ (1985, რეჟ. რ. თაბუკაშვილი) და ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმი „ექვთიმე ღვთისკაცი“ (2018; რეჟ. ნ. ხომასურიძე). ე. თაყაიშვილის მუზეუმები გაიხსნა მის საცხოვრებელ ადგილას, თბილისში (ვაშლოვანის ქ. № 7) და მშობლიურ სოფელ ლიხაურში. მის სახელს ატარებს გურიანთა-ვაშნარის მუზეუმ-ნაკრძალი გურიაში, მწვერვალი კავკასიონზე, ქუჩა თბილისში. მისი ძეგლები დგას თბილისსა და ქუთაისში.

2013 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება, ეს წელი იუნესკოს ეგიდით ე. თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ე. თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და წმინდა „ექვთიმე ღვთისკაცი“ უწოდა [ხსენების დღეა 3(16) იანვარი], დაწესდა „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის“ მედალი. მის სახელზე აიგო ტაძრები თბილისსა (2008) და კიკეთში (2010).



თევზაძე გურამ (30. I. 1932, თბილისი, – 31. VIII. 2018, იქვე), ფილოსოფოსი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1993–2007), ვიცე-პრეზიდენტი (2001–18).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიის ფაკულტეტი (1954). 1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (1957–66), ამავე ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგე (1966–70), თსუ-ის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე (1971–2005). მონაწილეობა მიიღო ი. კანტის III, V და VII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. იყო ჟურნალების: „გეორგიკა“ (1979 წლიდან), „რელიგია“ (1992 წლიდან), „ფილოსოფიის ინტერნაციონალური აკადემია“ (ერევანი, ათენი, ბერკლი), „News and Views“-ის რედკოლეგიების წევრი, 2008–18 წლებში – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი.

გ. თევზაძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია ქართული ფილოსოფიის ისტორია, კლასიკური გერმანული ფილოსოფია და მისი გავლენები მსოფლიო კულტურაზე. მან ქართულ ფილოსოფიაში დააყენა კაბადოკიური რენესანსის

საკითხი, ანალოგიისა და ადამიანის დანიშნულების პრობლემები იოანე პეტრიწის შემოქმედებაში. გერმანულ ფილოსოფიაში ახლებურად გაიაზრა სისტემის, როგორც ორგანიზმის საკითხი კანტის ფილოსოფიაში, ი. ა. შადის ადგილი გერმანულ კლასიკაში. წამოაყენა გერმანელი ნეოკანტიანელების ახალი განსაზღვრება; სკეპტიციზმის, ირაციონალიზმის, როგორც გონების თვითკრიტიკის, პრობლემა.

გ. თევზაძის ძირითადი ნაშრომებია: „გერმანელი ნეოკანტიანელების შემეცნების თეორია“ (1963), „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგია“ (1967), „ი. კანტი“ (1974), „იოანე პეტრიწი“ (2006), „პეტრე იბერი“ (2009); თარგმნა მ. ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრო“, ი. კანტის „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში“, ნ. ჰარტმანის „ონტოლოგიის ახალი გზები“. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე. როგორც მიწვეული პროფესორი ლექციებს კითხულობდა მოსკოვის, კალინინგრადის (რფ), ვილნიუსის (ლიეტუვა), იენის (გერმანია), ლოძის (პოლონეთი), ჩანჩუნის (ჩინეთი) უნივერსიტეტებში.

გ. თევზაძის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილია 2 კრებული: „ფილოსოფიური განაზრებანი“ და „ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, კულტურა“ (რედ. თ. ირემაძე, 2007); ავტორია სახელმძღვანელოებისა ფილოსოფიის ისტორიაში.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (1998), ღირსების ორდენი (2002).



თვალჭრელიძე ალექსანდრე [19. XI (1. XII). 1881, სტანიცა ბატალპაშინსკაია, ახლანდელი ჩერკესკი, რუსეთი, – 29. VII. 1957, თბილისი)], გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946).

1912 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1910 წლის ზაფხულში სტაჟირებას გადიოდა გეტინგენის (გერმანია) უნივერსიტეტში. 1912–13 წლებში მუშაობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც აკადემიკოს ვ. ვერნადსკის ხელმძღვანელობით შეასრულა გამოკვლევა რუბიდიუმის, ცეზიუმისა და თალიუმის გეოქიმიაში. 1918–19 წლებში მუშაობდა ქ. ნოვოჩერკასკში, დონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ა. თვალჭრელიძე ქართველ გეოლოგთა სკოლისა (საკუთრივ მინერალოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევის) და საქართველოში გეოლოგიის განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1919 წელს იგი სათავეში ჩაუდგა თავისსავე დაარსებულ მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), 1928–48 წლებში კი ხელმძღვანელობდა აგრეთვე თავისსავე დაარსებულ ამავე პროფილის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ა. თვალჭრელიძე იყო კავკასიის მინერალოგიური ნედლეუ-

ლის ინსტიტუტის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი (1929–57), 1941 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარე. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალტომიანი ნაშრომი საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესახებ.

ა. თვალჭრელიძის ნაშრომები ეხება მინერალოგიის, პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლოგიურ საკითხებს. მანვე აღმოაჩინა და შეისწავლა გუმბრისა და ასკანის ბენტონიტური თიხების, აგრეთვე სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოები.

ა. თვალჭრელიძის პატივსაცემად ერთ-ერთ მინერალს ეწოდა თვალჭრელიძეიტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაწესებულია ა. თვალჭრელიძის სახელობის პრემია.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი (1951).



თვალჭრელიძე გიორგი [27. XII.1914 (9. I. 1915), ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი, – 3. XII. 1991, თბილისი], გეოლოგი. გეოლოგ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1973).

1938 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი. 1946–81 წლებში მუშაობდა ა. თვალჭრელიძის სახ. კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტში, 1981–88 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, 1988 წლიდან – ამავე ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი.

გ. თვალჭრელიძე იკვლევდა სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიისა და მეტალოგენიის საკითხებს. თავის ნაშრომში განაზოგადა საქართველოს, კავკასიისა და მთელი ხმელთაშუა ზღვის სარტყლის ქვეყნებში ენდოგენური მეტალოგენიისა და სასარგებლო წიაღისეულის განაწილების კანონზომიერების საკითხები. ხელმძღვანელობდა მეტალოგენურ კვლევებს კავკასიაში. მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შედგა კავკასიის, ყირიმის, კარპატებისა და ბალკანების მეტალოგენური რუკები. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ).

გ. თვალჭრელიძე იყო მადნეული საბადოების გენეზისის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საკავშირო აკადემიის მადანწარმოშობის საბჭოს კავკასიური სექციისა

და კავკასია-ყირიმ-კარპატების პეტროგრაფიული საბჭოს თავმჯდომარე, საკავშირო პეტროგრაფიული კომიტეტის წევრი და სხვ.

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. პრემია (1986) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



თოდუა ფრიდონ (9. I. 1944, ზუგდიდი, – 7. X. 2017, თბილისი), რადიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1987), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001) და პირველი ვიცე-პრეზიდენტი (2004–13), ამავე აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2013), საქართველოს სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი (1995), სსრკ სახელმწიფო (1988) და საქართველოს სახელმწიფო (1996) პრემიების ლაურეატი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2008–12).

1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1968–91 წლებში მუშაობდა ქ. მოსკოვში, ა. ვ. ვიშნევსკის სახ. ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა რიგითი მეცნიერი თანამშრომლიდან კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების (სსრკ-ში პირველად მის მიერ შექმნილი) ხელმძღვანელამდე.

1990 წელს თბილისში დააარსა და ხელმძღვანელობდა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. 1998–2017 წლებში იყო საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი. 1999 წლიდან ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკური მედიცინის დეპარტამენტს.

ფ. თოდუა იყო სხვადასხვა საზოგადოებისა და ფედერაციის წევრი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენ-

ტი (1995), ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოსა და ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის (2010) წევრი. 2010 წელს აირჩიეს გრაცის (ავსტრია) სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, 2012 – რუსეთის სამედიცინო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

მიღებული აქვს ა. ა. ვიშნევსკის (1979), ა. ვ. ვიშნევსკის (1986) და ა. ჩაჩავას (1994) სახელობის პრემიები, მალტისა (1999) და ანდრია პირველწოდებულის (2000) ორდენები, ა. შვაიცერის ორდენი „ჰუმანიზმისა და ხალხის სამსახურისთვის“ (2003), ბელგიის სამეფო კარის შევალიეს წოდება (1999), ზაზა ფანასკერტელის ოქროს მედალი (2003) და მისივე სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ცერებროვასკულურ პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“ (2008), საფრანგეთის მთავრობის ჯილდო – მადლიერების ჯვარი (2004), აკად. გ. მუხაძის მედალი (1993) და პრემია (2010), ივ. ჯავახიშვილის ოქროს მედალი (2004).

არის 15 საპატენტო მოწმობისა და 5 გამოგონების ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996, 2006), ვახტანგ გორგასლის (2009), პრეზიდენტის ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2010) და წმ. გიორგის ოქროს (2014) ორდენები, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1998).



თოფურია ვარლამ (8. I. 1901, სოფ. ონტოფო, ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტი, – 21. VIII. 1966, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენათა მკვლევარი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1935), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი საენათმეცნიერო განხრით (1922). სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თსუ-სა (1926–66) და ენათმეცნიერების ინსტიტუტში (1936–66). თავდაპირველად იყო ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის (1936–41), შემდეგ – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების (1941–60) გამგე, დირექტორის მოადგილე (1941–43), დირექტორი (1943–49). 1945 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა თავისივე ინიციატივით დაარსებულ ახალი ქართული ენის კათედრას თსუ-ში.

ვ. თოფურია ხელმძღვანელობდა ქართული ენის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს, მონაწილეობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი რესპუბლიკური კომისიის მუშაობასა (ერთხანს იყო კომისიის მდივანი) და მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა-დანერგვაში. იგი იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ

ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ქართული ენის სწავლების აქტუალურ საკითხებს. მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომია „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ (1923). ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, ხოლო მისი რედაქციით გამოცემულია 70-მდე წიგნი.

ვ. თოფურია საქართველოში პირველთაგანია, რომელმაც მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლა დაიწყო ადგილზე, საველე პირობებში. ასე შეიქმნა მისი პირველხარისხოვანი ნაშრომები ლაკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიისა თუ სინტაქსის საკითხებზე. განსაკუთრებულია მისი როლი სვანური ენის მეცნიერულ შესწავლაში („სვანური ენა“, 1930). ა. შანიძესთან ერთად დააარსა სვანური ტექსტების გამოცემის სერია. გამოიცა „სვანური პოეზია“ (1939); „სვანური პროზაული ტექსტები“: 1. ბალსზემოური კილო (1939); 2. ბალსქვემოური კილო (1957); 3. ლენტეხური კილო (1967); 4. ლაშხური კილო (1979). ამ სერიაში გამოქვეყნებული ტექსტების საგრძნობი ნაწილი მის მიერაა ჩაწერილი.

ქართულ და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხებია განხილული ვ. თოფურიას ნაშრომათა ციკლში „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (5 ნაწილად, 1926–41); საგანგებო შრომათა სერია მიუძღვნა ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებას (6 ნაშრომი, 1938–59); ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხებს: „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“ (1937), „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“ (1946), „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“ (1954), „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (1961) და სხვ.

ვ. თოფურია 1922 წლიდან სწავლობდა ქართულ დიალე-

ქტებს, რაც აისახა მის ნაშრომში „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ (1963). მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოქვეყნდა „ქართული დიალექტოლოგია“, I (1961), რომელშიც დიალექტების მიმოხილვათა მეტი წილი მას ეკუთვნის.

ქართულ ეპიგრაფიკას ეძღვნება ვ. თოფურიას ნაშრომები: „შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები“ (1924), „ქვაჯვარანი საქართველოში“ (1942). ძველი ქართულის საკვანძო საკითხებს ეხება გამოკვლევები: „ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში“ (1942), „დ- თავსართიანი ზმნები ქართულში“ (1942) და სხვ. სახელთა ბრუნება, ფუნქციები გამოკვლეულია ნაშრომებში: „წოდებითი ბრუნვისათვის“ (1953), „ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებისათვის ქართულში“ (1942), „წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში“ (1965) და სხვ. გამოქვეყნდა მისი „თანამედროვე ქართული ენა“ 5 მონაკვეთად (1932–33), „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“ (1967) და სხვ.

ვ. თოფურიამ საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლების მეცნიერულ მეთოდიკას. გამოსცა „ქართული წერის დედანი“, „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“ (1953–60), „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965, 1988, 2005).

ვ. თოფურია იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის წევრი და III ტომის რედაქტორი, რისთვისაც მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. იყო ასევე „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“, „რუსულ-ქართული ლექსიკონისა“ და „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ თანაავტორი.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



იმედაძე ირაკლი (დ. 2. I. 1952, თბილისი), ფსიქოლოგი. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (2001). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2023; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით (1973) და დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1977–2011 წლებში იქვე მუშაობდა ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების, განწყობის ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის ისტორიის ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 2006–11 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორი. არის თსუ-ის პროფესორი (2014). საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლებისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი.

ი. იმედაძე იკვლევს ფსიქოლოგიის ისტორიისა და მეთოდოლოგიის, განწყობის თეორიისა და თეორიული ფსიქოლოგიის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს, ქცევისა და მოტივაციის პრობლემატიკას. მას ეკუთვნის ქცევის პოლიმოტივაციის ორიგინალური მოდელი, თავისი წვლილი შეიტანა განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის სრულყოფაში. იკვლევს განწყობის თეორიის მეთოდოლოგიურ სახეს და ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის საკვანძო პრობლემებს.

განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა ი. იმედაძის კვლევას ფსიქოლოგიის ისტორიის სფეროში. იგი ავტორია

ნაშრომისა „ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე“, სადაც ფსიქოლოგიის ისტორია განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციიდან არის დახასიათებული.

ი. იმედაძე არის საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი (1991 წლიდან), უცხოური სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და ორგანიზატორი. მონოგრაფიისთვის „საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები“ მიენიჭა დ. უზნაძის სახელობის პრემია (2004).



ინასარიძე ხვედრი (დ. 6. XII. 1932, პარიზი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1987), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1989).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1958). ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ – წამყვან მეცნიერ თანამშრომლად (1986–89). 1989 წლიდან იქვე იყო ალგებრის განყოფილების გამგე, 1990–97 წლებში – საქართველოს მათემატიკის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, 2006 წლიდან – თბილისის მათემატიკის მეცნიერების ცენტრის ხელმძღვანელი.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში (1966–2012 – თსუ, 1995–2003 – თსუ-ის მესხეთის ფილიალი, 2015 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

ხ. ინასარიძის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ჰომოლოგიური და ჰომოტოპიური ალგებრა, ასოციაციური რგოლების K-თეორია, არაკომუტატური გეომეტრია, ჰომოლოგიის თეორიები, ალგებრული ტოპოლოგია, კატეგორიათა თეორია.

არის საერთაშორისო მათემატიკური კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილე; რამდენიმე საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის დამფუძნებელი და მთავარი

რედაქტორი („Homology, Homotopy and Applications“, 1998–2006; „Journal of Homotopy and Related Structures“, 2006 წლიდან; „Tbilisi Mathematical Journal“, 2008 წლიდან); საერთაშორისო მათემატიკურ ჟურნალ „Georgian Mathematical Journal“-ის რედკოლეგიის წევრი (2006 წლიდან).

მიღებული აქვს ა. რაზმაძის სახელობის პრემია (1998) და ირანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ხორეზმის სახ. საერთაშორისო პირველი პრემია (1999).



იოსელიანი თეიმურაზ (21. X. 1929, ქუთაისი, – 16. VII. 2013, თბილისი), ფიზიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002). საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და მისი პირველი პრეზიდენტი (1994).

1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1958 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი, 1962 წლიდან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1976 – 83 წლებში – იქვე თავის ტვინის ნერვული ცენტრების ფუნქციური ორგანიზაციის კვლევითი ლაბორატორიის გამგე, 1960–70 წლებში – თსუ-ის ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი, 1978–2006 წლებში – ამავე კათედრის გამგე, 1970 წლიდან – პროფესორი. 1974 წელს კითხულობდა ლექციების კურსს იენის (გერმანია), 1980 წელს – ლუელის (აშშ), 1985 წელს – ჰომბურგ-ზაარის (გერმანია) უნივერსიტეტებში. იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალური საბჭოს თავმჯდომარე (1976–79), საქართველოს მედიცინის (1994) და საქართველოს ეკოლოგიურ (1995), ნიუ-იორკის (1995) მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

თ. იოსელიანმა შეისწავლა კუნთოვანი და ნერვული ბოჭკოების ფიზიოლოგიის ზოგიერთი ასპექტი, ტონური და

ტეტანური ნერვ-კუნთოვანი აპარატის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები, ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების შემაკავებელი მექანიზმები, თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები, მიკროელექტროდული ტექნიკის გამოყენებით – თავისა და ზურგის ტვინის ცალკეულ ნეირონთა უჯრედშიგა და უჯრედგარეთა ელექტრული პოტენციალები, ცხოველთა მოკლევადიანი მეხსიერების ფენომენი და სხვ. ავტორია მონოგრაფიების: „ზოგადი ნეიროფიზიოლოგია“ (1993), „ვისცერალური სისტემები“ (1996), „ადამიანის ფიზიოლოგია: კუნთოვანი და ნერვული სისტემები“ (2001). იყო თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (1974).

მიღებული აქვს ორიათასწლეულის საპატიო ოქროს მედალი (2000), აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის, ი. ვ. გოეთეს, ე. ჰეკელის, მ. მუხაძის და ზაზა ფანასკერტელის სამახსოვრო მედლები, ღირსების ორდენი (1998). არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2003).



კაკაბაძე მიხეილ (2. IV. 1939, თბილისი, – 18. I. 2026, იქვე), გეოლოგი. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1999). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2020, წევრ-კორესპონდენტი 2009). საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (2001).

1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1965 წლიდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში. 1989–95 წლებში იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 2004 წლიდან – სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

მ. კაკაბაძე ატარებდა სამეცნიერო კვლევებს ტიუბინგენის (გერმანია; 1979–80, 1989) და ჰაიდელბერგის (გერმანია, 1995, 2006, 2009, 2011, 2014) უნივერსიტეტებში, ხოლო 1994–96 წლებსა და 1999–2005 წლებში – ლეიდენის (ნიდერლანდი) ბუნების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში. 1971 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1990 წლიდან მიწვეული პროფესორის რანგში კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, გრენობლის (1990, საფრანგეთი) და ჰაიდელბერგის (1996–97, 1999; გერმანია) უნივერსიტეტებში.

მ. კაკაბაძის ძირითადი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს პალეონტოლოგიისა და სტრატიგრაფიის საკითხებს. მის მიერ შესწავლილია ყირიმ-კავკასიის, შუა აზიის, სამხრეთ აფრიკის,

მოზამბიკის, ბრაზილიისა და კოლუმბიის ადრეცარცული ფაუნა (ამონიტები), რის საფუძველზეც დადგენილია ამონიტების ახალი გვარები და სახეობები, გამოყოფილია ახალი ბიოსტრატიგრაფიული ზონები, გამოკვლეულია ტეთისისა და ბორიული სარტყლების ცარცული პერიოდის ბიოგეოგრაფიისა და სტრატიგრაფიული კორელაციის საკითხები.

იყო სსრკ-ის სტრატიგრაფიული კომიტეტისა (1981–90) და გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის (IUGS) (1991–2004) ცარცული კომისიის ბიუროს წევრი, 2004 წლიდან – გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის ქვედაცარცული ამონიტების სამუშაო ჯგუფის (კილიანის ჯგუფი) წევრი, ხოლო 1989 წლიდან – საქართველოს სტრატიგრაფიული კომიტეტის ცარცული კომისიის თავმჯდომარე.

მ. კაკაბაძე იყო საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1973), ა. ჰუმბოლდტის საერთაშორისო სტიპენდიატი (1979), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. პრემიის ლაურეატი (2012).



კალანდაძე ანა (15. XII. 1924, სოფ. ხიდისთავი, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 11. III. 2008, თბილისი), პოეტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო (1985) და საქართველოს სახელმწიფო პრემიების (1997) ლაურეატი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1946). 1952 წლიდან მუშაობდა ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის, აგრეთვე მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1946 წელს, ლექსების პირველი კრებული – 1953 წელს. ამ კრებულმა მას პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამის შემდეგ მისი პოეტური კრებულები მრავალჯერ გამოიცა (1957, 1960, 1967, 1976, 1984, 1985). 1995 წელს გამოვიდა ორტომეული, რომელშიც დაბეჭდილია მისი ლექსები და ს. მალარმეს, ა. პუშკინის და სხვათა პოეტური თარგმანები, აგრეთვე – წერილები, ესეები, მოგონებები.


ა. კალანდაძის პოეზია უაღრესად თვითმყოფადია. მის ლექსებს ახასიათებს პოეტური აზროვნების მაღალი კულტურა, გამოირჩევა ინტიმური ელფერით, სადა სტილითა და ჰარმონიული ფორმით. სინამდვილე მის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი სახით აისახება. მაღალი პათეტიკისა და წრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით მიიღწევა. ასე გახმოვანდა მის ლირ-

იკაში ომისშემდგომი მშვიდობიანი ცხოვრების დაწყების თემა („კარში გამო, ჭია-ჭიამარია“, 1946); ბუნების განცდა („თუთა“, 1945; „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ 1946; „ბეთანიის გზაზე“, 1954).

ა. კალანდაძის ლექსებში ისტორია არასოდეს გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად იწვევს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას („შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“; „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, ორივე 1945). ა. კალანდაძის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა – სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების – ორგანულ განცდას („საქართველოო, ლამაზო“, 1945; „ფეხი დამადგით“, „მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს“, ორივე 1959). სიყვარული ანას შემოქმედებაში განუმეორებელი, კდემით აღსავსე, ამაღლებული და სევდანარევი რომანტიკული განცდაა.

ა. კალანდაძის ლექსები თარგმნილია უცხოურ და სხვ. ენებზე. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1994), გ. ტაბიძის სახ. პრემია (1985) და ლიტერატურული პრემია „საბა“ (2006) და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1983).

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



კაჭარავა ივანე [24.VIII (5.IX). 1894, სოფ. საჭილაო, ახლანდელი მარანი, აბაშის მუნიციპალიტეტი, – 4. V. 1977, თბილისი], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1944), პროფესორი (1944), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1960), გეოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1933–77), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

1914–17 წლებში სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში. 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. 1925 წლიდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში. 1969 წლიდან ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის პალეოგენური ნალექების პალეონტოლოგიისა და სტრატიგრაფიის განყოფილებას. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-სა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ი. კაჭარავას ნაშრომები ძირითადად შეეხება საქართველოს პალეოგენური ნალექების სტრატიგრაფიას და მათში განამარხებულ ფაუნას. თანაავტორია საქართველოს გეოლოგიის შესახებ შექმნილი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომისა Геология СССР, т. 10, Грузинская СССР, ч. 1, Геологическое описание, М., 1964.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



კაჭარავა იური (22. III. 1913, სოფ. ბანძა, ახლანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 22. II. 1994, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1983), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით (1937). 1938 წლიდან თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, სკკპ ისტორიას, სსრკ ისტორიასა და ქართული ისტორიოგრაფიის კურსს. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე (1946–54), სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1954–58), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1958 წლიდან).

ი. კაჭარავა მუშაობდა XIX–XX სს. საქართველოს ისტორიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, საქართველოს კომპარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის, ეროვნული საკითხის თეორიისა და ისტორიის, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებზე.



კეკელიძე კორნელი [18 (30). IV. 1879, სოფ. ტობანიერი, ახლანდელი ვანის მუნიციპალიტეტი, – 7. VI. 1962, თბილისი], ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943).

1905 წლიდან იყო ქუთაისის წმ. მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი, შემდეგ – დეკანოზი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია (1904). 1905–06 წლებში მასწავლებლობდა ქუთაისსა და თბილისში. მონაწილეობდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში.

1916 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამაარსებელი, ერთადერთი სასულიერო პირი („მიტრაშემოსილი დეკანოზი“) პროფესორებს შორის. ივ. ჯავახიშვილმა მას შესთავაზა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დაარსება და დეკანის თანამდებობა. კათედრას 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. იგი აგრეთვე იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი (1919–25), სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი (1926–30). ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებულ სიძველეთსაცავს (1921–30), ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას (1933–36),

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს (1942–49). სხვადასხვა დროს იყო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1927, 1929).

კ. კეკელიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომი „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“ 1905 წელს ჟურნალ „მწყემსში“ (№13, 14) დაიბეჭდა. 1907 წელს გადამუშავებული საკანდიდატო ნაშრომისათვის „ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (რუსულ ენაზე; ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში 1908) მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 1905–12 წლებში თანამშრომლობდა სამეცნიერო ჟურნალთან „კიევის სასულიერო აკადემიის შრომები“, 1912–17 წლებში – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოსთან „ქრისტიანული აღმოსავლეთი“ („Христианский Восток“).

სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისთანავე კ. კეკელიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. მისმა ადრინდელმა სამეცნიერო ნაშრომებმა („იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“, „ძველი ქართული არქიერატიკონი“, ორივე რუსულ ენაზე, 1912) მრავალ უცხოელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწიგნობრობისადმი. კ. კეკელიძემ მეცნიერულად აღწერა გელათსა (1905) და სვანეთში (1911) დაცული ქართული ხელნაწერები. 1948–54 წლებში გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომი მისი საერთო რედაქციით.

განუზომელია მისი ღვაწლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 წლებში გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზუ-

ლებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული (პ. პეეტერსმა აქ გამოქვეყნებული ტექსტების ერთი ნაწილი ლათინურად თარგმნა), 1930 წელს – ნ. ციციშვილის „შვიდი მთიები“, 1935 წელს – იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, 1936 და 1948 წლებში – იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ორტომეული (თანარედაქტორი ა. ბარამიძე), 1938 წელს – „ვისრამიანი“ (თანარედაქტორები: ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა), 1941 წელს – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვ.

კ. კეკელიძის ღრმა განსწავლულობამ ძველი ქართული მწერლობის სპეციალურ საკითხებში განაპირობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923–81 წლებში გამოიცა რამდენჯერმე), რომლის საფუძველზე მეცნიერმა შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი“ (რუსულ ენაზე, 1938; 1955 წელს რომში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული კ. კეკელიძის ორტომეულის I ტომი).

კ. კეკელიძემ თავიდანვე განსაზღვრა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის დიდი მნიშვნელობა როგორც საკუთრივ ქართული კულტურის ისტორიის, ისე მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. იგი იკვლევდა ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, ძველი ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთმიმართების საკითხებს. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ისტორიოგრაფიასაც, აქვს საგანგებო გამოკვლევები ძველი ქართული დამწერლობის, ქართული წელთაღრიცხვისა და კალენდრის, ძველი ქართული სტამბისა და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის, ძველ ქართულ ლიტერატურაში მთარგმნელობითი მეთოდისა და სხვა

დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მისმა ნაშრომებმა აამაღლა და განამტკიცა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პრესტიჟი მთელ მსოფლიოში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველ მეცნიერთა კადრების აღზრდაშიც.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1945).

დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავანეში.



კეკელიძე ნოდარ (15. IV. 1930, ჩოხატაური, – 5. IV. 2019, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი (1984), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1955). 1961 წლიდან მუშაობდა თსუ-ში სხვადასხვა ლაბორატორიისა და კათედრის ხელმძღვანელად. 1984–85 წლებში იყო თსუ-ის სამეცნიერო ნაწილის გამგე, 1985–93 წლებში – პრორექტორი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. თანამშრომლობდა სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის, ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტებთან, ასევე სხვა სამეცნიერო ცენტრებთან. 2009 წლიდან იყო თსუ-ის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ნ. კეკელიძის კვლევის ძირითადი სფეროა ნახევარგამტარებისა და მყარი სხეულების ფიზიკა, ტექნოლოგია, ელექტრონიკა, მასალათმცოდნეობა, რადიაციული ფიზიკა, ფიზიკის მეთოდები ეკოლოგიაში. მის მიერ აღმოჩენილია მესრის ორმოდიანი რხევის მოვლენა InP-InAS მყარ ხსნარებში, რომელიც გამოიყენება მიკრო- და ოპტოელექტრონიკაში. მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1990), ლაიფციგის გამოფენის ოქროს მედალი და დიპლომი (1977), ივ. ჯავახიშვილის მედალი (2000), ღირსების ორდენი (2013).



კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) (26. XII. 1897, სოფ. ტყვიავი, ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტი, – 26. XII. 1982, თბილისი), ბიოლოგი, ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1945), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975). ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაში (1917), იყო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი; საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის წევრი (1922–24); საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი. 1921 წლის თებერვალში აქტიურად მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამდე დააპატიმრეს. ამბოხების ჩახშობის შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას.

ნ. კეცხოველმა 1916 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, ხოლო 1926 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1929 წლიდან იქვე იყო ბოტანიკის კათედრის დოცენტი, 1933 წლიდან – ამავე

კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სასოფლო-სამეურნეო (1942–57) და ბიოლოგიის განყოფილებების თავმჯდომარე (1957–63), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1943–45), თსუ-ის რექტორი (1945–52), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი (1963–82). საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1958) და უცვლელი თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ნ. კეცხოველის ნაშრომები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკა-გეოგრაფიულ და სისტემურ გამოკვლევას, მის თანამედროვე მდგომარეობას, აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. ავტორია მრავალი ლიტერატურული ნარკვევის, ნოველისა და მოთხრობის („თოვლიან მთებში“, 1927; „ცხრათვალა მზის ქვეშ“, 1968; „მორბის არაგვი არაგვიანი“, 1971; „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“, 1974; „მეცხრე მთაც გადავიარე“, 1976; „კიდევაც დაიზრდებიან“, 1978).

მიღებული აქვს „თეთრი გიორგის“ ჯვარი (1919) მხედრული მამაცობისთვის, ასევე ლენინის ორდენი (1945), ი. გოგებაშვილისა (1960) და ივ. ჯავახიშვილის (1970) პრემიები, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1980).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



კვარაცხელია გუჩა (2. X. 1940, თბილისი, – 23. VI. 2021, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1986), პროფესორი (1988), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილება (1963). იქვე იყო ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი, ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე (1984–94), განათლების მინისტრი (1992), არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების სამეცნიერო ლაბორატორიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1993–94), ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1993–2006), საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1995–2005), აგრეთვე – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

გ. კვარაცხელია იკვლევდა ზოგადი ენათმეცნიერების, ტექსტის ლინგვისტიკისა და ქართული ენის სტრუქტურის საკითხებს. მისმა გამოკვლევებმა ქართული სალიტერატურო ენის ისეთი ფუნქციური ქვესისტემების შესახებ, როგორებიცაა სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი და მხატვრული სტილი, საფუძველი ჩაუყარა

საქართველოში ფუნქციური სტილისტიკის შექმნას. იგი ავტორია ნაშრომებისა ენათმეცნიერების თეორიასა და ისტორიაში, მათემატიკური ლინგვისტიკისა და ენის სტატისტიკური მეთოდებით კვლევის სფეროში. მან შეისწავლა და დაადგინა პრაღის სკოლის ლინგვისტიკური კონცეფციის გენეზისური კავშირი „ოპოიაზის“ თეორიულ დებულებებთან. იკვლევდა აგრეთვე ქართული ენის კომპიუტერიზაციისა და ენის ფორმალიზაციის პრობლემებს.

გ. კვარაცხელია ეწეოდა აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და პოემების კრებულები: „საით მიემართება დრო“ (1981), „უფრო მაღლა ცა“ (1987), „მართალთა და უღმრთოთა გზები“ (2000), „ათინათები“ (2015) და სხვ. ასევე გატაცებული იყო მხატვრობით. თბილისის გალა-გალერეასა (2010) და ზ. წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (2015) გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა. წიგნად გამოიცა გრაფიკული ნამუშევრები (60 რეპროდუქცია, 2015).

გ. კვარაცხელია დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს სიგელით „ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისა და მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“ (2007), ა. შანიძის პრემიით ენციკლოპედია „ქართული ენის“ რედაქტორობისათვის (2011; ი. ქობალავასთან ერთად), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით (2014), საქართველოს ქალთა საბჭოსა (2015) და ივ. ჯავახიშვილის (2017) მედლებით.



კვარაცხელია ტარასი [10 (23). IV. 1889, სოფ. ნაკიფუ, ახლანდელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 23. VIII. 1951, თბილისი], აგრონომი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1936), პროფესორი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1948), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

1925 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აგრონომიული ფაკულტეტი. იკვლევდა სუბტროპიკული კულტურების დიფერენცირებული აგროტექნიკის, ნიადაგის ეროზიისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. შეისწავლა და გამოავლინა სუბტროპიკული კულტურების ახალი რაიონები. დაადგინა, რომ კონტინენტური სრულასაკოვანი ხეხილის ფესვთა სისტემა იკავებს რიგთაშორისებების მთელ ფართობს, სიღრმეში კი აქტიური ფესვების უმეტესი ნაწილი საშუალოდ 30 სმ-ზე ღრმად არ ვრცელდება. ამ გამოკვლევის საფუძველზე დამუშავდა ბაღის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკაც.

მისი თანაავტორობით გამოვიდა ნაშრომი „მეჩაიობა“ (1950), რომელიც ითარგმნა სხვადასხვა ენაზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1941).



კვესიტაძე გიორგი (დ. 30. V. 1942, თბილისი), ბიოტექნოლოგი, ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1980), პროფესორი (1984). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1983), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2013–23).

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1964). მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა სალექციო და პრაქტიკული კურსი ბიოქიმიაში, მოლეკულურ ბიოლოგიაში, ენზიმოლოგიასა და მცენარეთა ფიზიოლოგიაში (1966–69). სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახ. ბიოქიმიის ინსტიტუტში (1966–69). შემდეგ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის (1968 წლიდან – ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი) ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1971–83) და დირექტორი (1987–2008 და 2013 წლიდან), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ბიოტექნოლოგიის კათედრის დამაარსებელი და გამგე (2012 წლიდან – იქვე ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორი), საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი (1992–94), საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი მეცნიერებისა და ეკოლოგიის დარგში (1994–98), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2003–13); თსუ-ის, სტუ-ის, საქართველოს აგრარული უნი-

ვერსიტეტის მიწვეული პროფესორი (1972–2010). 2011 წლიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორია.

გ. კვესიტაძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ექსტრემოფილური მიკროორგანიზმების სტაბილური ფერმენტების ფუნქციური და სტრუქტურულ-კინეტიკური შესწავლა; მცენარეებსა და მიკროორგანიზმებზე დაფუძნებული ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიების დამუშავება; კავკასიის ბიომრავალფეროვნების შესწავლა, მიკროორგანიზმების, მ. შ. მათი ექსტრემოფილური ფორმების კოლექციების შექმნა, შემდგომი სელექცია და სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სტაბილური ფერმენტების (ამილაზები, ცელულაზები, პროტეაზები, ლიპაზები და სხვ.) პროდუცენტების სელექცია; მიკრობული ჰიდროლიზური ფერმენტების იმობილიზების ეფექტური მეთოდების შემუშავება და მათი გამოყენების სფეროები; ლიგნოცელულოზური და სახამებლის შემცველი დისუბსტრატების (მ. შ. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ნარჩენების) განახლება და ფერმენტული ჰიდროლიზი; ახალი თაობის ლიგნოცელულოზის დამშლელი ფერმენტები.

გ. კვესიტაძემ დააარსა საქართველოში პირველი და ერთადერთი სამრეწველო ბიოტექნოლოგიური ქარხანა „ბიოტექი“; დანერგა ალფა-ამილაზა თბილისის საფუვრის ქარხანაში (1972). მისი ტექნოლოგიები დაინერგა ქ. ოლაინეს ბიოპრეპარატების ქარხანაში (რიგა, ლატვია, 1970). შეისწავლა მიკროორგანიზმებისა და მცენარეების მიერ გარემოს დამაბინძურებელი ორგანული ტოქსიკური ნაერთების შთანთქმა და გარდაქმნა. ამ კვლევების საფუძველზე დამუშავებულია გარემოს დაცვის ახალი გლობალური კონცეფცია – ბიო- და ფიტორემედიაციული ტექნოლოგიები.

გ. კვესიტაძე არის საქართველოსა და საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემების („Fresenius Environmental Bulle-

tin“, „Ecotoxicology and Environmental Safety“, „Journal of Biological Physics and Chemistry“), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალების („Биохимия и Прикладная Биохимия“ და „Микробиология“), დონის ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალის („Almanach of Black Sea Region Countries“) რედკოლეგიების წევრი, იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორი და სხვ.

გ. კვესიტაძე არის მეცნიერების, განათლების, მრეწველობის და ხელოვნების საერთაშორისო (კალიფორნია, აშშ, 1995), ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების (2013), მსოფლიო ხელოვნებისა და მეცნიერების (2013), რუმინელ მეცნიერთა (2016) აკადემიების უცხოელი წევრი; ნატოსთან ასოცირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭოს (NATO Life Sciences Panel. 1999–2001), ევროპის ბიოტექნოლოგთა ფედერაციისა და ევროპის მიკრობიოლოგთა საზოგადოების (2004), გარემოს დაცვისა და მეცნიერების ასოციაციის (AEHS, 2005–06) წევრი; მრავალი საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და მიწვეული პროფესორი (პენსილვანიის უნივერსიტეტი, ფილადელფია, 1975–76; ლეჰაის უნივერსიტეტი, 1983–84; ორივე აშშ; მაქს პლანკის ბიოქიმიის ინსტიტუტი, 1986, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, 1987–88; ორივე გერმანია) და სხვ.

დაჯილდოებულია ჰეიდარ ალიევის მედლით (2014), ასევე სამახსოვრო მედლით რუმინელ მეცნიერთა აკადემიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის (2015), მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის მედლით (2017); ასევე არის ჩინეთის შანდონის პროვინციის სახალხო მთავრობის მეგობრობის პრემიის ლაურეატი (2017), ჯორჯიის შტატის (აშშ; 2006) და თბილისის (2016) საპატიო მოქალაქე.



კვინიხიძე ალექსანდრე (დ. 24. IX. 1945, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (2002). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2021; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1967). 1968–73 წლებში მუშაობდა ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (JINR, ქ. დუბნა) თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში, 1973 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობაზე.

ა. კვინიხიძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ველის კვანტური თეორია, მრავალნაწილაკოვანი განტოლებები, დენები და ყალიბური ინვარიანტობა, კვარკები და ჰადრონები ცხელ და მკვრივ გარემოში. გამოიყვანა სამი რელატივისტური ნაწილაკის აღმწერი განტოლებები ველის კვანტურ თეორიაში, რომელთა გამოყენებით პირველად (1970) გათვალისწინებულ იქნა ფარდობითობის თეორიის ეფექტები; ავტორია განტოლებებისა, რომლებიც ოცი წლის დაგვიანებით, 2012 წელს, საფუძვლად დაედო ე. წ. ეგზოტიკური ნაწილაკების კოვარიანტულად აღწერის მიმართულებას (1992); გადაჭრა ე. წ. „ორმაგი თვლის“ პრობლემა, რომელიც თან ახლდა მრავალნაწილაკოვანი სისტემების აღწერას კოვარიანტულ მიდგომებში (1994). მისი „განტოლებათა დაყალიბების“ მეთოდი (1995/97) ნაწილაკთა სტრუქტურის

შესწავლის ძირითად საშუალებად არის აღიარებული.

ა. კვინიხიძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი სინათლის ფრონტზე საწყისი პირობების გამოყენებასა და დაკვანტვაში ველის კვანტურ თეორიაში. მაგალითად, გრინის ფუნქციების ანალიზის საფუძველზე დაამტკიცა, რომ სინათლის ფრონტზე დაკვანტული ველის თეორია ეკვივალენტურია სტანდარტული თეორიისა სასრული ტემპერატურის შემთხვევაშიც (2004). მასვე ეკუთვნის ე. წ. რენორმალიზაციის ჯგუფის განტოლება დენებისთვის, რომელსაც იყენებენ, მაგ., ბირთვში მუხტის განაწილების თანამედროვე კვლევებში (2007, 2018); შეისწავლა პროტონისა და ნეიტრონის ფორმა, მათი დეფორმაცია რელატივისტური ეფექტების გამო (2007); 2025 წელს ა. კვინიხიძემ განავითარა შეშფოთების თეორია ბმული მდგომარეობების მოძრაობის ნებისმიერი სიზუსტით გასათვალისწინებლად, რამაც შესაძლებელი გახადა თანამედროვე ზემაღალი სიზუსტის ექსპერიმენტების გამოყენება ნაწილაკთა სტრუქტურის მაღალი სიზუსტით შესასწავლად.



კილურაძე ივანე (დ. 12. I. 1937, სოფ. ხიდისთავი, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1976), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1960). მუშაობდა თსუ-სა (1963–2006) და ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში (1966 წლიდან) სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო თსუ-ის პროფესორი და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა განყოფილების გამგე (1973–89), ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის (2011 წლიდან თსუ-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი) ინსტიტუტის დირექტორი (1989–2006), იმავდროულად არის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და დიფერენციალურ განტოლებათა განყოფილების გამგე (2001 წლიდან).

ი. კილურაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივი თეორიის საკითხები და მათთან დაკავშირებული სასაზღვრო ამოცანები. მან შემოიღო არაავტონომიურ დიფერენციალურ განტოლებათა კლასიფიკაცია მათი ამონახსნების ოსცილაციური თვისებების მიხედვით; დაადგინა არსებითად არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების წესიერ სინგულარულ, რხევად და მონოტონურ ამონახსნთა არსებობის აუცილებელი

და საკმარისი პირობები და მიიღო ასეთი ამონახსნების ზუსტი ასიმპტოტური შეფასებები და სხვ. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ი. კიღურაძე არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების – „Georgian Mathematical Journal“ („ქართული მათემატიკური ჟურნალი“; 1994 წლიდან) და „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“ („მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“) დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ასევე მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (1995–96), საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე (2012–16).

არის სამეცნიერო პუბლიკაციების, მ. შ. 9 მონოგრაფიის ავტორი.

მიღებული აქვს ა. რაზმაძის (1976) და ივ. ჯავახიშვილის (1977) სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი (1996), თ. მასარიკის სახელობის უნივერსიტეტის ვერცხლის (1977, ქ. ბრნო, ჩეხეთი) და ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ოქროს (1981), ჩეხოსლოვაკიის მათემატიკოსთა და ფიზიკოსთა კავშირის (1990), აგრეთვე ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოლცანოს (2006) მედლები.



კოკილაშვილი ვახტანგ (1.V. 1938, თბილისი, – 16. V. 2022, იქვე), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1986), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1959) და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში. 1990 წლიდან იქვე იყო მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგე, 1989–2006 წლებში – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 2014–19 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

ვ. კოკილაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი, არაწრფივი ჰარმონიული ანალიზი და ფუნქციათა აპროქსიმაციის თეორია; ინტეგრალური ოპერატორები წონიან ფუნქციურ სივრცეებში და მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ორწონიანი ამოცანის ამოხსნაში წილადური ინტეგრალებისათვის, ოპერატორთა ასახვის თვისებების დადგენაში არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში, ფუნქციათა აპროქსიმაციისა და ანალიზური ფუნქციების სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევაში და სხვ.

არის სამეცნიერო ნაშრომებისა და 9 მონოგრაფიის (მონოგრაფიების უმრავლესობა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ)

ავტორი. იყო მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესის (1996, 1998, 2002, 2014, 2018) მონაწილე, 2014 წელს – ამავე კონგრესის (ICM2014) რეგიონალური ელჩი.

მიღებული აქვს ა. რაზმაძის სახელობის პრემია (1986).



კოპალეიშვილი თეიმურაზ (30. I. 1930, სამტრედია, – 19. II. 2019, თბილისი), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1976). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1953). 1958–61 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში (2006 წლიდან – თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი), 1961 წლიდან – თსუ-ში, 1964 წლიდან – იქვე ბირთვული ფიზიკის პრობლემურ ლაბორატორიაში (1979 წლიდან – თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი) განყოფილების გამგედ. 1974–87 წლებში იყო (შეთავსებით) თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე, 1987 წლიდან – ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კათედრის პროფესორი.

თ. კოპალეიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ფიზიკოსების აღზრდაში, დუბნის ბირთვული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტთან თსუ-ის თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას, იყო ამავე უნივერსიტეტში მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

თ. კოპალეიშვილის ნაშრომები ეხება შუალედური ენერგიების კვანტებისა და მეზონების ურთიერთქმედებას ატომ-

ბირთვებთან, ჰადრონთა კვარკულ სტრუქტურას და სხვ. ბირთვის გარსული მოდელის ჩარჩოებში მან იწინასწარმეტყველა მეზონების შთანთქმის წყვილური ნუკლონური მექანიზმი, რაც შემდგომ დადასტურდა ექსპერიმენტულად. რელატივისტური კვაზიპოტენციალური მიდგომის საფუძველზე აღწერა პიონ-დეიტრონული გაბნევის პროცესი, ასევე კვარკების ბმული მდგომარეობები ბარიონებსა და მეზონებში.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. 2 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილისა (1973) და ნ. მუსხელიშვილის სახელობის (1988) პრემიები, ასევე სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



კორახაშვილი ავთანდილ (ბიძინა) (დ. 24. IX. 1949, თბილისი), აგროტექნოლოგი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (1995), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1971). მუშაობდა თბილისის საბაზისო სანერგე მეურნეობაში (1972–76), საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის (1975–79), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის (2011–15) სამინისტროებში, 1979 წლიდან – საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (1989–2007 – კათედრის გამგე).

მონაწილეობდა USAID-ის 5 პროექტში. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არის საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საბჭოს წევრი (2006–18); ევროპის გენეტიკური რესურსების (ECP/GR), სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ევროპის ფედერაციისა (EFITA) და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის (TACIS, GTZ, CGIAR, TEMPUS-EU-IPCR, USDA, DAI-USAID და სხვ.) სამეცნიერო საბჭოს წევრი, ექსპერტი, კოორდინატორი და ანალიტიკოსი. ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების კვლევით დაწესებულებებში.

ა. კორახაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროა აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და გაუმჯობესება, აგრარული ნანო-, ბიო- და საინფორმაციო ტექნოლოგიების (ხელოვნური

ინტელექტი) ადაპტაცია საქართველოსთვის; საქართველოს საკვებისა და სურსათის უვნებლობის, ხარისხის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შექმნა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს, აშშ-ის, იაპონიის, უნგრეთის, ჩინეთის უნივერსიტეტებში. გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 12 მონოგრაფია და 23 სახელმძღვანელო; აქვს 2 პატენტი და 15 გამოგონება.

მიღებული აქვს კვების მრეწველობის წარჩინებულის ვერცხლის (1979), გაეროს იუნესკოს კონფუცის ოქროს (1995), მალაიზიის HACCP-ის ოქროს (2005) მედლები, საქართველოს ღირსების ორდენი (1999) და ლ. დეკაპრელევიჩის სახელობითი პრემია (2019).



კუპრაძე ვიქტორ (2. XI. 1903, სოფ. ყელა, ახლანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 25. IV. 1985, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1939), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1943), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).


1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), 1927–31 წლებში მუშაობდა იქვე. 1933–35 წლებში იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1936–41 წლებში –ამავე აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი. ხელმძღვანელობდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკისა და თსუ-ის დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრებს. იყო საქართველოს სსრ განათლების მინისტრი (1944–53), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (1954–63), თსუ-ის რექტორი (1954–58), საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი (1962–66), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1963–81), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვ. კუპრაძის ნაშრომებში გამოკვლეულია დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის, სტაციონარული რხევების, სტატიკისა და დინამიკის ძირითადი და საკონტაქტო სასაზ-

ღვრო ამოცანები. მან გადაწყვიტა ამ ამოცანათა კლასიკური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხები. შექმნა ამოხსნების მიახლოებითი აგების მეთოდები და მათი რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმები (მ. ალექსიძესთან ერთად) ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით. შეისწავლა დრეკადი, სეისმური, ელექტრომაგნიტური და სხვა ტალღების გავრცელებისა და დიფრაქციის, აგრეთვე სინგულარული ინტეგრალური და ფუნქციონალური განტოლებების თეორიის საკითხები და განიხილა მათი გამოყენებითი ასპექტები.

იყო სსრკ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის (1976), საერთაშორისო საზოგადოების „მათემატიკის მეთოდები მექანიკაში“ პრეზიდიუმის (1977) და სსრკ მათემატიკოსთა ნაციონალური კომიტეტის (1980) წევრი.

მიღებული აქვს 2 ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1981).



კუფტინი ბორის [21. I (2. II). 1892, სამარა, – 2. VIII. 1953, ლენინგრადი], არქეოლოგი და ეთნოგრაფი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946; წევრ-კორესპონდენტი – 1944). სტალინური პრემიის ლაურეატი (1942).

დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოტანიკის განხრით (1914). 1919 წლიდან იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პედაგოგი. კითხულობდა სსრკ-ის თითქმის ყველა რეგიონის ეთნოგრაფიის კურსებს, ასევე ლექციებს თეორიული ეთნოგრაფიის, მუზეუმის მუშაობის მეთოდების შესახებ, ატარებდა საველე სემინარებს და ა. შ.

1930 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით ბ. კუფტინი დააპატიმრეს და სამი წლით გადაასახლეს ჩრდილოეთში (ვოლოგდა).

1933–53 წლებში მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და იკვლევდა ძირითადად საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებს. აღმოაჩინა და შეისწავლა თრიალეთის კულტურა. შედეგები გამოაქვეყნა წიგნში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. ბ. კუფტინმა აგრეთვე გამოყო მტკვარ-არაქსის კულტურა. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგები მოცემულია მის ორტომიან ნაშრომში „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის“ (1949–50). მან თეორიული კვლევის შედეგად მრავალმხრივ განსაზღვრა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის უძველესი მატერიალური კულტურის ისტორია, შექმნა, შეავსო და დააზუსტა პერიოდიზაციის სქემები, საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარება.

თბილისში არის ბ. კუფტინის სახელობის ქუჩა.



ლანდია ნიკოლოზ (26. I. 1919, ქუთაისი, – 25. II. 1984, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1958), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), აკადემიკოს-მდივანი (1972–81), ვიცე-პრეზიდენტი (1981–84). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967).

1940 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. 1941–45 წლებში მუშაობდა „საქკვებმრეწვპროექტის“ ინსტიტუტში ინჟინერ-ტექნოლოგად, შემდგომ – უფროს ინჟინრად. 1945 წლიდან ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1960–72 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

ნ. ლანდიას პირველი სამეცნიერო ნაშრომები (1945) ეხება მირაბილიტების გამოყენებას სოდის წარმოებისთვის და კალცინირებული და კაუსტიკური სოდის მიღების ახალი მეთოდის შემუშავებას. მომდევნო ნაშრომები ეძღვნება ქიმიურ თერმოდინამიკას და მისი მეთოდების გამოყენებას ქიმიური ტექნოლოგიური პროცესების შესწავლისას. მან დიდი ყურადღება დაუთმო ქიმიური ტექნოლოგიისათვის უმნიშვნელოვანეს ნაერთთა თერმული და თერმოდინამიკური თვისებების შესწავლას და შეიმუშავა მყარი არაორგანული ნივთიერებების მაღალტემპერატურული თბოტევადობის განსაზღვრის ენტროპიული მეთოდი, რომელმაც დიდი აღიარე-

ბა მოიპოვა. 1959–60 წლებში მისი თაოსნობით მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიისა და არაორგანული ქიმიის, აგრეთვე ელექტროქიმიის ინსტიტუტებში ჩამოყალიბდა თერმოდინამიკური და თერმოქიმიური კვლევების ლაბორატორიები, რომლებიც ექსპერიმენტული თერმოდინამიკის ძირითად კერად იქცა. 1960–72 წლებში ნ. ლანდია ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თერმოქიმიის ლაბორატორიას, სადაც მყარ ნივთიერებათა მაღალტემპერატურული თერმოდინამიკური მახასიათებლების შესასწავლად შექმნა ორიგინალური, პრეციზიული შერევის ტიპის მასიური ადიაბატური კალორიმეტრი მთავარი კვანძების ავტომატური მართვით.

ნ. ლანდიამ თავის მოწაფეებთან ერთად დაადგინა უმნიშვნელოვანესი მასალების თბოტევადობა და მათზე ფაზური გადასვლების გავლენა. მისი მეთოდი მთლიანად არის აღწერილი ცნობარში: „Термодинамические свойства неорганических веществ“ (Атомиздат, 1965) და ჩართულია სხვადასხვა ავტორის მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ნ. ლანდია კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და მრავალი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თერმოქიმიისა და ქიმიური თერმოდინამიკის ნაციონალური საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ლეონიძე გიორგი [27. XII. 1899 (8. I. 1900), სოფ. პატარძეული, ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 9. VIII. 1966, თბილისი], პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944). სტალინური პრემიის ლაურეატი (1952).

თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების (1913) შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პირველი ლექსი „მცხეთა“ ყრმობის ჟამს გამოაქვეყნა (1911, გაზეთი „სინათლე“). ერთი წლის შემდეგ ლექსი უძღვნა ვაჟა-ფშაველას, რომელიც საპასუხო ლექსით (1912, დაიბეჭდა 1915 გაზეთ „განათლებაში“) გამოეხმაურა პოეტს. 1912 წლიდან გ. ლეონიძის ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა პოეტი თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისად 1915 წელს ასახელებდა. ამ წელს დასტამბულ ლექსებში, წერილში „ოსკარ უაილდი“ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №15) და სხვა აშკარად გამოჩნდა მისი მოდერნისტული განწყობილება. 1918 წელს იგი დაუახლოვდა „ცისფერყანწელებს“, რომლებთანაც ანათესავებდა ქართულ ნიადაგზე მოდერნიზმის გადმონერგვის სურვილი და ლექსის ტექნიკური სრულყოფისაკენ სწრაფვა. ეს წლები ერთგვარი „ოსტატობის სკოლა“ გამოდგა ახალგაზრდა პოეტისათვის, რომელმაც გარკვეული ხარკი მიუზღო სიმბოლიზმს [ლექსები: „ოფორტი“ (1919); „მზე ტაბასტა“ (1922); „ავტოპორტრეტი“ და სხვ., წერილები და ნარკვევები]. 1921 წელს გ. ლეონიძემ ტ. ტაბიძესთან ერთად გამოსცა

პოეტური კრებული „რევოლუციის პოეტები“, 1922–23 წლებში რედაქტორობდა „ცისფერყანწელთა“ ყოველკვირეულ სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს“.

გ. ლეონიძე თვითმყოფი და ღრმად ეროვნული პოეტია, რომლის ადრინდელმა ლირიკულმა შედევრებმა [„ნინოწმინდის ღამე“, „სიმღერა პირველი თოვლისა“ (1926); „მყვირალობა“, „ყივჩაღის პაემანი“, „ყივჩაღური ღამე“ (1928); „ოლე“ (1931) და სხვ.) იმთავითვე განსაზღვრა პოეტის როლი XX ს. ქართულ პოეზიაში.

საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი „ქართლის ცხოვრება“ პატარა ერის ისტორიის ტრაგიკული ფურცლებია. პოეტი წარსულშიც მომავალს განჭვრეტს, ამიტომაც მისი თუნდაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები ოპტიმიზმით არის გამსჭვალული [«წიგნი „ქართლის ცხოვრება“», «მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“» , „წინაპრებს“ (1928), «მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“» (1929); „დიდ თამარს“, „დავით აღმაშენებელს“ (1941) და სხვ.].

გ. ლეონიძის პატრიოტიზმი, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი ჩამოყალიბებულია ლექსში „ვუმღერ სამშობლოს“. პოეტის იდეალია „ადიდებული, დამწიფებული“ სიცოცხლე, ამავე დროს, ლექსის ის უჭკნობი სიჭაბუკე, რომლის საწინდარია ლექსისა და ეპოქის თანხმოვანება („სიჭაბუკე და ლექსი ერთია“). თბილისს მიუძღვნა გ. ლეონიძემ ლექსების კრებული „თბილისის განთიადები“ [„მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“ (1926); „თბილისის განთიადი“ (1935); „თბილისო, ჩვენო თბილისო“ (1940); „თბილისს“ (1947) და სხვ.]. პოეტი გამოეხმაურა II მსოფლიო ომს („მხედარი პირტახია“ (1941); „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“ (1943), „არ დაიდარდო, დედაო“ (1944) და სხვ.]. სამშობლოს ძნელბედობის ჟამს შექმნილი ზოგიერთი მისი ლექსი სიმღერად იქცა.

გ. ლეონიძის ლირიკულ-ეპიკურ პოემებში „სამგორი“ (1950) და „ფორთოხალა“ (1951; სტალინური პრემია) თანამედროვეობის, „ახალი ქართლის“ თემა გადაწყვეტილია ისტორიულ თემასთან თავისებურ კავშირში. „ფორთოხალა“ უსახელო გლეხის ქალისადმი მიძღვნილი ჰიმნია. აგრეთვე ავტორია სტალინისადმი მიძღვნილი პოემებისა: „ბავშვობა და ყრმობა“ (1939; სტალინური პრემია, 1941), „ბერშოულა“ (1943), „რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი“ (1937) და სხვ.

გ. ლეონიძის მოთხრობების წიგნმა „ნატვრის ხემ“ (1962) სრულიად ახალ მხატვრულ სამყაროს აზიარა მკითხველი. დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით გააზრებული პოეტის ყრმობის ხორცშესხმული აჩრდილები თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით წარმოგვიდგება. ერთმანეთთან დაუკავშირებელი მცირე მოთხრობების ეპიკურობა მძლავრი პოეტური ნაკადით არის გაჯერებული.

გ. ლეონიძე ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურათმცოდნეობაშიც. იყო ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-რუსულ, ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარი, ძველი ხელნაწერების მაძიებელი და გამომცემელი. XX ს. 30-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ალმანახი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა. 1940–48 წლებში იყო „ლიტერატურული მატიანის“ რედაქტორი. 1951–53 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, 1957–66 წლებში – შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

გ. ლეონიძემ სათანადო კომენტარებითა და გამოკვ-

ლევებით გამოსცა მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ (1920), ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (1928), იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ (1939) და სხვ. ავტორია გამოკვლევებისა „ვეფხისტყაოსნის“, ვახტანგ VI-ის, დ. გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვისა და სხვათა შესახებ. კინოფილმ „ჯურღაის ფარის“ (1944, რეჟისორები ს. დოლიძე, დ. რონდელი) სცენარისთვის მიენიჭა სტალინური პრემია.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი (1950) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ლოლაძე თეიმურაზ (24. V. 1920, ქუთაისი, – 13. VI. 2000, თბილისი), ინჟინერი (მანქანათმშენებელი). ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1974), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1966), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1997).

დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით (1942). მუშაობდა დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხანაში ტექნოლოგად (1942–46), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) მანქანათმშენებლობის კათედრაზე (1946 წლიდან), 1958 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამ კათედრის გამგე.

თ. ლოლაძე გაეროს ხაზით მივლინებული იყო ინდოეთსა (1961–63) და ეგვიპტეში (1967–69), სადაც ბომბეის (ახლანდელი მუმბაი) და მანსურიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში ხელმძღვანელობდა პროექტებს (მთავარი ტექნიკური მრჩეველი); იყო სპი-ის პრორექტორი (1971–80) და რექტორი (1981–88).

თ. ლოლაძის სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს ლითონთა ჭრის პროცესის თანმხლები ფიზიკური მოვლენების შესწავლას. მის მიერ დამუშავებული კვლევის ორიგინალური მეთოდი ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევების შედეგად განვითარდა ლითონების ჭრის პროცესების მექა-

ნიკის, ჭრის დროს კონტაქტური მოვლენების, საიარაღო მასალების შექმნის, გახურებული ლითონების ჭრის და მასალათა აბრაზიული დამუშავების ახალი მეთოდები; შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების მრავალმწარმოებლური ჩარხები და მანქანები, ახალი შენადნობები მჭრელი იარაღისათვის; დედამიწისა და კოსმოსური ბაზირების დიდგაბარიტიანი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების უნიკალური გამოსაცდელი კომპლექსი და ჩამოყალიბდა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი. ამავე პერიოდში მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა უნიკალური დგუშიანი მიკრომანქანები, მ. შ. კოსმოსურ ხომალდ „ბურანზე“ დადგმული თხევადი ჟანგბადის მოწყობილობა.

თ. ლოლაძის ინიციატივითა და აქტიური ხელშეწყობით ჩამოყალიბდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ცენტრი. არჩეული იყო უცხოეთის მრავალი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის საპატიო დოქტორად. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას.

არის სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიის ავტორი, საავტორო მოწმობისა და პატენტების მფლობელი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ლომთათიძე ქეთევან (11. II. 1911, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 22. XI. 2007, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ ენათა და ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1950), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1955), საქართველოსა (1962) და აფხაზეთის (1961) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილება (1931). სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში; ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების (ელხი), ასევე – ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის (ენიმკი), ენათმეცნიერების ინსტიტუტებში. 1953–63 და 1975–87 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, 1987 წლიდან – ამავე ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა აფხაზური და აბაზური ენების კურსს, აგრეთვე იკვლევდა აფხაზურ-ადიღური და ქართველური ენების გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს. საფუძველი ჩაუყარა აფხაზური ენისა და მისი დიალექტების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლას.

ქ. ლომთათიძის ნაშრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიები: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944), „აშხ-

არული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954), „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1976), „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი აფხაზურსა და აბაზურში“ (1982), „აბაზური ენა“ (2006).

ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს ეძღვნება ქ. ლომთათიძის წერილები: „თბება ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში“ (1952), „ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში“ (1953) და სხვ.; მონოგრაფია „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (1984). მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა აკადემიური რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული (1956–59) და ერთტომეული (1983), ასევე – სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მომზადებაში, იყო ამ ლექსიკონის VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი, რისთვისაც კოლეგებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულისა“ და „ეტიმოლოგიური ძიებანის“ რამდენიმე ტომი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ლომინაძე ჯუმბერ (20. IX. 1930, თბილისი, – 20. I. 2014, იქვე), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002).

დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1955). მონაწილეობდა სსრკ-ის ბირთვულ პროგრამაში. ცხოვრობდა და მუშაობდა ე. წ. დახურულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დასახლება ჩელიაბინსკ-70-ში (1956–58). თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში სწავლულ მდივნად (1958 წლიდან), პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივნის მოადგილედ (1974–82), მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად (1982 წლიდან გარდაცვალებამდე). მისი ინიციატივით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შეიქმნა თეორიული ასტროფიზიკის განყოფილება, რომელსაც 1979–92 წლებში ხელმძღვანელობდა (1992–2000 – ობსერვატორიის დირექტორი). იყო აგრეთვე პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელი (2000–06), საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (1997–2003) და საქართველოს კოსმოსური სააგენტოს თავმჯდომარე (2003–06), მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი (2006 წლიდან).

ჯ. ლომინაძის სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფიები ეხება პლაზმაში ციკლოტრონული ტალღების არამდგრადობისა და ტურბულენტობის თეორიას, პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული რეაქციების პრობლემას, პულსარების გამოსხივების მექანიზმებს, აკრეციულ მოვლენებს შავი ხვრელების სისტემებში.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2000), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით (2010).



ლორთქიფანიძე დავით (დ. 5. VIII. 1963, თბილისი), ანთროპოლოგი, არქეოლოგი. გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (2001), პროფესორი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (1985), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა (1991). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1992–97), ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე (1997–2002), დირექტორის მოადგილე (2002–04) და დირექტორი (2004–05); 2005 წლიდან არის საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი.

დ. ლორთქიფანიძე იყო მიწვეული პროფესორი პარიზის ბუნების ისტორიის მუზეუმში (1999–2000), ტარაგონის (2001, 2004, 2011), ჰარვარდის (2002), მელბურნის (2014) უნივერსიტეტებში. 2018 წლიდან არის თსუ-ის სრული პროფესორი.

დ. ლორთქიფანიძის ძირითადი კვლევის სფეროა ადამიანის ევოლუცია და ბუნების ისტორიის საკითხები, გარემოს ცვლილებებისა და კულტურული პროცესების ურთიერთკავშირები. ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამეცნიერო პროექტს დმანისში, სადაც აღმოჩენილია ყველაზე ადრეული ადამიანის ნაშთები აფრიკის გარეთ. უძღვებოდა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტს, რომლის საფუძველზეც დადგენილი და შესწავლილია ღვინის უძველესი კვალი საქართველოს ტერი-

ტორიაზე არსებულ ნეოლითურ ნამოსახლარში. მისი ინიციატივით მომზადდა მრავალი გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში.

დ. ლორთქიფანიძე არის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოსა და სამეცნიერო კომიტეტის წევრი. არჩეულია აშშ-ის ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად (2007), გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად (2007), მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული აკადემიისა (2008) და ევროპის აკადემიის (2010) წევრად.

მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის პრემია ახალგაზრდა მეცნიერთათვის (1997), ღირსების ორდენი (2001), მონაკოს პრინცის პრემია (2001), საფრანგეთის ორდენი „აკადემიური პალმა“ (2002), საფრანგეთის ღირსების ორდენი (2006), ლინჩეის ეროვნული აკადემიის ჯილდო – „ფაბიო ფრასეტოს“ საერთაშორისო პრიზი (2008, იტალია), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2011), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ლ. დავითაშვილის სახ. პრემია პალეობიოლოგიაში (2012), ჰუმბოლდტის პრემია (2014, გერმანია), გერმანიის სახელმწიფო ორდენი – გოეთეს მედალი (2016) და სხვ.



ლორთქიფანიძე ვაჟა (დ. 29. 11. 1949, თბილისი), მეცნიერი, სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის (2002), საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა (1999), საქართველოსა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (2006) აკადემიების ნამდვილი წევრი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი (1973), თსუ-ის ასპირანტურა სოციოლოგიის სპეციალობით (1978), მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (1990). არის საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის დამაარსებელი და პრეზიდენტი (1998 წლიდან). 2003–05 წლებში იყო თსუ-ის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, 2000–06 წლებში იქვე დააარსა და ხელმძღვანელობდა დემოგრაფიის კათედრას, სამეცნიერო ჟურნალ „დემოგრაფიის“ დამაარსებელი და გამომცემელი (1999 წლიდან), აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1993) და პრეზიდენტი (2003 წლიდან), საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს დამტკიცებული საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის ინიციატორი და თანაავტორი. 2016 წლიდან – საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრი.

ვ. ლორთქიფანიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიონალი დემოგრაფების აღზრდის სამსაფეხურიან სისტემას. 2014 წლიდან არის თსუ-ის პროფესორი, დემოგრაფიაში სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი. 2017 წელს საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში დააარსა საბაკალავრო სასწავლო პროგრამა დემოგრაფიასა და სოციოლოგიაში.

ეკავა სხვადასხვა პოლიტიკური და სახელმწიფო თანამდებობა. იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1989–90), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში (1995–98), საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (პრემიერ-მინისტრი – 1998–2000), საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1983–90), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995–98 და 2001–04), პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის“ თავმჯდომარე (2002–14), საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (1999–2005).

ვ. ლორთქიფანიძე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 7 მონოგრაფიის ავტორი, რომლებიც ეხება საქართველოსა და რეგიონული დემოგრაფიის პრობლემებს.



ლორთქიფანიძე მარიამ (28. VIII. 1922, ბათუმი, – 8. I. 2018, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1965), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1983), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1976), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტი (1943). სწავლობდა არაბულ და სომხურ ენებს. 1947–2006 იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1948 წლიდან მუშაობდა თსუ-ში, 1972–97 – საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 1988 წლიდან – თბილისის სასულიერო აკადემიაში, 2008 წლიდან – ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში.

მ. ლორთქიფანიძე იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური სახელმწიფო წყობილებისა და კულტურის ისტორიის, გლეხობისა და ქართული ისტორიული აზროვნების, ქვეყნის გაერთიანების სოციალ-ეკონომიკურ საკითხებს, ეკლესიის როლს ამ პროცესში; საქართველოს ურთიერთობას სომხეთთან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის საამიროს ისტორია. კვლევის შედეგად წარმოაჩინა საქართველოსა და არაბთა სახალიფოს ურთიერთობისა და

საქართველოში არაბთა მფლობელობის ისტორიის ურთულესი ასპექტები [ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ (თარგმანი და გამოკვლევა), თბ., 1951; სომეხი და ქართველი ხალხის ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ, 1958]. ეწეოდა წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიული ხასიათის მუშაობას; იკვლევდა სამოქალაქო საისტორიო მწერლობას და მის წარმოშობას, ქართულ საისტორიო წყაროებს (რა არის „ქართლის ცხოვრება“, 1989), რუსულად თარგმნა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები („მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“). იგი აქტიურად იცავდა საქართველოს ისტორიას გამყალბებლებისგან; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის ისტორიის შესწავლაში.

მ. ლორთქიფანიძე მონაწილეობდა ისტორიკოსთა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნაში. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 1996 მისი თაოსნობით თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა „საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია“. დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში.

მ. ლორთქიფანიძეს მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის (1976), ნ. ბერძენიშვილის (1981) აკადემიური პრემიები, ღირსების ორდენი (2000), ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2010), ს. ჯანაშიას აკადემიური პრემია (2013), თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1988).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ლორთქიფანიძე ოთარ (30. X. 1930, თბილისი, – 18. V. 2002, ბორჯომი), ისტორიკოსი, არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1997), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის სპეციალობით (1953). 1955 წელს უნივერსიტეტმა მიავლინა ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) უნივერსიტეტის ანტიკური ისტორიის კათედრაზე. 1957 წლიდან იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში. 1960 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობდა მცხეთის, ხოვლეს, ვანის, ბიჭვინთის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, მირმეკიონისა და ილურატის (ორივე ყირიმი) საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში, 1966 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ვანის არქეოლოგიურ გათხრებს. 1972 წელს დაინიშნა ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. 1977 წელს ო. ლორთქიფანიძემ ჩამოაყალიბა არქეოლოგიის კვლევის ცენტრი, რომლის უცვლელი დირექტორი თავადვე იყო.

ო. ლორთქიფანიძის ნაშრომებში განხილულია საქართველოსა და ძველი სამყაროს არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხები – ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცივილი-

ზაციის გენეზისი, ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში, ელინიზმი, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, კოლხეთის რელიგია და ა. შ. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

ო. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა სამეცნიერო კრებულები. იყო არაერთი საერთაშორისო გამოფენის ორგანიზატორი. მისი კონცეფციით შეიქმნა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენა და ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, საფუძველი ჩაეყარა რეგულარულ საერთაშორისო სიმპოზიუმებს შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის (1977 წლიდან წყალტუბო–ვანი), ასევე ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ისტორიის (1997 წლიდან) საკითხებზე.

ლექციებს კითხულობდა ევროპისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. არჩეული იყო გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად, კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად, ესპანეთის საისტორიო მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, პოლონეთის არქეოლოგიური სამეცნიერო საზოგადობის წევრად, კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის, აგრეთვე სამეცნიერო ჟურნალების – „შავი ზღვა“ (რომი), „კოლოქვია პონტიკა“ (ოქსფორდი) და სხვა სარედაქციო საბჭოების წევრად.

იყო ვანის საპატიო მოქალაქე. მისი სახელი მიენიჭა ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს და ქუჩას, აგრეთვე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ჰუმბოლდტის პრემია (2000).




მამასახლისოვი ვაგან [22. XI (5. XII). 1907, თბილისი, – 19. VI. 1972, იქვე], ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1943), პროფესორი (1944), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მათემატიკის ფაკულტეტი (1930). ხელმძღვანელობდა თსუ-ის თეორიული ფიზიკის კათედრას (1937 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილებას (1941 წლიდან), ფიზიკის ინსტიტუტის ატომბირთვის თეორიულ ლაბორატორიას (1964).

ვ. მამასახლისოვის ნაშრომები ძირითადად ეხება ატომბირთვის თეორიას. მან საფუძველი ჩაუყარა და შემდგომ მოწაფეებთან ერთად განავითარა ატომბირთვის ე. წ. ნუკლონთა ასოციაციების, ანუ კლასტერული მოდელი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



მანაგაძე ლავრენტი (ლაურ) (14. X. 1944, თბილისი, – 7. VIII. 2019, იქვე), უროლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1981), პროფესორი (1988), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2004).


1967 წელს დაამთავრა ი. სეჩენოვის სახ. მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი. 1970 –72 წლებში მუშაობდა სსრკ სამედიცინო აკადემიის ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვის ლაბორატორიის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1972–74 წლებში – კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1974–84 წლებში – ხელმძღვანელად. 1984–85 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1985–2000 წლებში – ა. წულუკიძის სახ. უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, შემდგომში (2000–04) – უროლოგიის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, 2004–06 წლებში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 2007–11 წლებში – გენერალური დირექტორი, 2012–19 წლებში – უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორი, 1991–92 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, 1998 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის კათედრის გამგე, 2006–12 წლებში – დეპარტამენტის სრული პროფესორი.

ლ. მანაგაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო ონკოუროლოგია, ენდოსკოპიური, მ. შ. ლაპაროსკოპიული და პერ-

კუტანული ქირურგია, შარდკენჭოვანი დაავადებების მკურნალობა, ბავშვთა უროლოგია, თირკმლის ტრანსპლანტაცია.

იყო დარგობრივი აკადემიების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრი, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (2000).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



მაჭავარიანი მუხრან (12. IV. 1929, სოფ. არგვეთი, ახლანდელი საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 2010, თბილისი), პოეტი, მთარგმნელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2009), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987), საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1988–92).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1954). იყო ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების გამგე (1957–63), ჟურნალების – „პიონერის“ (1963–64), „დილისა“ (1967–82) და ალმანახ „საუნჯის“ (1982–88) მთავარი რედაქტორი. საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოსა (1989–91) და მე-5 მოწვევის პარლამენტის (1999–2004) წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

1952 წელს თსუ-ის ლიტერატურული წრის ყოველწლიურ ალმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსები, 1955 წელს – პირველი წიგნი „ლექსები“. მ. მაჭავარიანის შემოქმედება იმთავითვე გამოირჩეოდა როგორც თემატური სიახლით, ასევე – პოეტური ფორმის ნოვატორობით. იგი XX ს. 40-იანი წლების ბოლოს ახალი ესთეტიკის დამამკვიდრებლად მოგვევლინა – აღადგინა ხელოვნურად გაწყვეტილი კავშირი 20-იანი წლების ავანგარდისტულ ტრადიციებთან, რომელთა განვითარებამ პოეტის შემოქმედებაში, ეპოქის შესაბამისად, პოსტმოდერნისტული სახე მიიღო. ამ სტილის ნიშნებმა მკაფიოდ

და დიდი მხატვრული ძალით იჩინა თავი 1958 წელს დაწერილ პოემაში „ვახტანგი“. პოეტის ლექსების ერთი მძლავრი ნაკადი პატრიოტული ლირიკაა („საბა“, „შენ – სისხლო ჩემო...“, „დავითი და კონსტანტინე“, „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე...“, „ანდუყაფარო...“, „დუმილი რეკავს“, „ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი“ და სხვ.). მან ქართული პოეზია ფილოსოფიური ლირიკის უაღრესად საყურადღებო ნიმუშებითაც გაამდიდრა. მისი შემოქმედების ეს ნაწილიც თვალშისაცემი ორიგინალურობით, წერის პარადოქსული მანერით, გონებამახვილობითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა („თქვი“, „ვეძებ და ვეძებ“, „გაივლის დრო და...“, „გუშინ ნატრობდა ვინც დაფნის გვირგვინს...“, „ამ საწუთროსი როა კანონი...“ და სხვ.).

მ. მაჭავარიანი ჭეშმარიტი ლირიკოსი, სიკეთის მომღერალი („განთიადია!..“, „უძლიერესი გაზაფხული“, „ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე“, „კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა...“ და სხვ.), ამავე დროს, სოციალურ უგვანობათა („სხდომა“, „ხმას ამოიღებ...“, „არა იმიტომ...“) და ეროვნულ ნაკლოვანებათა („მიზეზი ყოვლის“, „თქვა ოპიზარმა“, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“ „სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ ძმათა თვისთა თანა, შუამთაში“, „ფასკუნჯი“) დაუნდობელი კრიტიკოსიცაა.

1983 წელს გამოქვეყნებულმა ლექსების ციკლმა „1832“ საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურთა მრისხანება გამოიწვია, ვინაიდან მათში აშკარად იგრძნობოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების არა მარტო სურვილი, არამედ მისკენ მოწოდებაც. პოეტის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამოუკიდებელი ეროვნული ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის პროცესში. გამორჩეულია მისი პოეტური ტექსტების ენა, კერძოდ, უახლესი სასაუბრო მეტყველებისა და ძველი ქართულისთვის დამახასი-

ათებელი ენობრივი ფორმების თანაარსებობა, ასევე ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები, სემანტიკითაც და ბგერითი შემადგენლობითაც გამორჩეული რითმები (ასონანსები და დისონანსები). რიტორიკული პოეზიის ჩინებული ნიმუშების გვერდით გვხვდება პლასტიკურობით აღბეჭდილი მხატვრული სახეები [„ქარი, ჩვეული ლაღობით...“, „ცხენის წინა ფეხები“ (პოემიდან „ვახტანგი“, „ხეები ზეცას აჩნია შავად...“, „წიფლიანი“]. მ. მაჭავარიანს ეკუთვნის ენათმეცნიერული ნაშრომებიც („რამდენიმე სიტყვა“ და სხვ.).

მ. მაჭავარიანის ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.




მახალდიანი ვახტანგ [8 (21). I. 1911, სოფ. მლეთა, ახლანდელი დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 4. XII. 1982, თბილისი], მანქანათმცოდნეობის დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1949), პროფესორი (1955), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971, 1981).

ამიერკავკასიის ენერგეტიკული ინსტიტუტის დამთავრების (1932) შემდეგ, 1934 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში მთავარ ინჟინრად. იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე (1938 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პრეზიდიუმის წევრი (1954), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე.

ვ. მახალდიანის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება შიგაწვის ძრავების თბურ პროცესებს. ფართოდ გავრცელდა მის მიერ დამუშავებული მაღალმთის პირობებში მომუშავე ძრავას თბური გაანგარიშების მეთოდი და არასრული დატვირთვით მომუშავე ძრავას დროსელირების თეორია. შექმნა კუმშვის ხარისხის ავტომატური რეგულირების ძრავა, დაამუშავა მისი თეორია და გაანგარიშების მეთოდები, აგრეთვე როტაციული (მოცულობითი და რეაქტიული) ძრავების მუშაობის პრინციპები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



მახვილაძე ლევან (27. IV. 1931, ქუთაისი, – 30. III. 2014, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1992), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2013), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამშენებლო ფაკულტეტი (1955). მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე (1955–63). იყო საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მეტალურგმშენის“ უბნისა და „ტრანსსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსი, რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის დირექტორი (1963–71), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (1971–73), საქართველოს მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ტექნოლოგიური ინსტიტუტის, „მშენინდუსტრიის“ (1973–76) და რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის (1976 წლიდან) დირექტორი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ლ. მახვილაძეს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეხება ახალი სისტემის მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობის სეისმომედეგობისა და კომპლექსური საიმედოობის საკითხებს. არის გამოგონებების ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2002).



მელიქაძე ლეონიდე (7. X. 1912, ერევანი, – 26. VII. 1990, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1967), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1974).

დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი (1934). 1936 წლიდან მუშაობდა საქართველოს ქიმიის ინსტიტუტში (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი), იყო ამ ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის გამგე (1947–90) და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1947–78).

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნავთობისა და ორგანულ ნაერთთა ქიმია და ტექნოლოგია. მან შექმნა ნავთობის კვლევის მრავალი ეფექტური ფოტოქიმიური მეთოდი, გამოიკვლია ნავთობის ლუმინესცენციის განმაპირობებელი ნივთიერებების მანამდე უცნობი ბუნება და დაამუშავა ნავთობიდან სახალხო მეურნეობისათვის ახალი მასალების (ლუმინოფორი „ნორიოლი“) მიღების ტექნოლოგია. მიიღო მცენარეთა დაცვის პრეპარატები, რომლებიც წარმოებაში დაინერგა. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1959) და სხვა სამთავრობო ჯილდოები.



მელიქიშვილი გიორგი (30. XII. 1918, თბილისი, – 27. III. 2002, იქვე), ისტორიკოსი. პროფესორი (1956), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1939). 1944 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს (1974), შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1944–53), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1953–61). იყო თავისივე დაარსებული ძველი ისტორიის განყოფილების გამგე (1961–99), დირექტორი (1965–99), საპატიო დირექტორი (1999–2002), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1967–71) და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1988).

გ. მელიქიშვილის ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში ახალი ეტაპი შექმნა მსოფლიო ურარტოლოგიაში. იგი იკვლევდა ხურიტების, ხეთების, ასურეთის, ზაგროსის მთიანეთისა და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიას.

გ. მელიქიშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კვლევას. ასურულ და ურარტულ წერილობით

წყაროებზე დაყრდნობით მან გამოიკვლია უძველესი ქართველური პოლიტიკური გაერთიანებების – კულხას სამეფოსა და დიაუხის – ისტორიის საკითხები; დაამუშავა საქართველოს ძველი ისტორიისა და ფეოდალური ხანის მრავალი კარდინალური პრობლემა; ძველი წინა აზიისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების (მ. შ. საქართველოს) სოციალურ-ეკონომიკური წყობის, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის საკითხები. ამ საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას გ. მელიქიშვილი ტიპოლოგიურად ახასიათებს როგორც „წინაფეოდალურს“ („პროტოფეოდალურს“), ხოლო სტადიალურად – როგორც „ადრეკლასობრივს“.

გ. მელიქიშვილი იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მთავარი რედაქტორი, I ტომის რედაქტორი და იმავე ტომის ერთ-ერთი ავტორი. მონაწილეობდა სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება-გამოცემაში, თანამშრომლობდა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციასთან; იყო მეცნიერთა არაერთი საერთაშორისო ფორუმის მონაწილე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინური (მონოგრაფიებისათვის „Наири-Урарту“ და „Урартски клинообразны надпис“, 1957), ივ. ჯავახიშვილის სახელობის (1976) და საქართველოს სახელმწიფო (გამოცემისათვის „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ჯგუფთან ერთად) პრემიები.

2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დააწესა გ. მელიქიშვილის სახელობის პრემია.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



მელიქიშვილი ლიანა (დ. 17. III. 1943, თბილისი), ეთნოლოგი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2023; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1965). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე, ეთნოკონფლიქტების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი (1965–2006), ამასთანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1990–92), ადამიანთა და ნაციონალური უმცირესობების უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1992–94), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტში – სამეცნიერო ხელმძღვანელი (1995–2002), თბილისის საკრებულოს ეროვნულ უმცირესობათა კომისიის თავმჯდომარე (2000–03), კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2003 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2023 წლიდან).

ლ. მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ეთნოპოლიტიკა, საზოგადოების განვითარებისა და სახელ-

მწიფოს უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, ეროვნული უმცირესობა და პოლიეთნიკური საზოგადოება, ეთნიკური ურთიერთობები, ტრადიცია და კულტურა. მისი თაოსნობით ეთნოლოგიურ მეცნიერებაში საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას – კონფლიქტოლოგიას. საქართველოს სასაზღვრო ზონის პოლიეთნიკური საზოგადოებების შესწავლა მისი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

ლ. მელიქიშვილი არის საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული 50 ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი (1967–2017), ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილე, მრავალი სამეცნიერო გრანტის მფლობელი, ეთნოგრაფიული ფოტოგამოფენებისა და 6 ფილმის ავტორი, სამეცნიერო საზოგადოებების წევრი, სამეცნიერო ნაშრომების (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე), მონოგრაფიის, წიგნის, სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია (1996), სიგელები სამეცნიერო მიღწევებისათვის და ღირსების ორდენი (2001).



მენაბდე ვლადიმერ (28. I. 1896, სოფ. ბუნებისკარი, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 16. II. 1981, თბილისი), გენეტიკოს-სელექციონერი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1950), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1950), საქართველოს კულტურული ფლორის მკვლევარი.

1924 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1923 წლიდან მუშაობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილებაში, 1930 წლიდან – საქართველოს ცენტრალური სელექციის სადგურში. 1938–60 წლებში იყო ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1938 წლიდან – საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი.

ვ. მენაბდემ გამოავლინა მარცვლოვანი კულტურების უნიკალური ფორმები, დაადასტურა, რომ საქართველო ხორბლის კულტურის უძველესი კერაა. შეიმუშავა ხორბლის გენეზისის სქემა, სადაც სრულად ასახა ქართული ხორბლის როლი და ადგილი ამ მცენარის გაკულტურების პროცესში. მის მიერ გამოყვანილი ხორბლის 4 და ქერის 1 ჯიში დაინერგა წარმოებაში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



მერაბიშვილი ინესა (დ. 5. III. 1950, გორი), ფილოლოგი, მთარგმნელი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2000), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1972). მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1972–78). 1979 წლიდან თსუ-ის მოწვეული პედაგოგია (შემდეგ – დოცენტი, პროფესორი). 1990 წელს იქვე, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე, დააფუძნა უცხო ენებისა და თარგმანის კათედრა, ხოლო 2012 წელს – თსუ-ის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში თარგმანმცოდნეობის კათედრა, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს.

ი. მერაბიშვილმა 1988 წელს საქართველოში დააარსა ბაირონის საზოგადოება (არის მისი უცვლელი პრეზიდენტი), 1995 წლიდან კი – ბაირონის სკოლა (ინგლისური ენისა და კულტურის შემსწავლელი სასწავლებელი, რომლის დირექტორია დღემდე). 1995–2005 წლებში იყო ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი.

ი. მერაბიშვილმა, როგორც ბაირონის ქართველმა მთარგმნელმა და მკვლევარმა, გამოავლინა ქართველ ქალთან დაკავშირებული ეპიზოდის არსებობა ინგლისელი პოეტის ცხოვრებაში, აგრეთვე დაასაბუთა, რომ ბაირონის მისტიკური პერსონაჟი თირზა ქართველი ქალისადმი განცდილი გრძნობითაა შთაგონებული, რამაც სრულიად შეცვალა ამ საკითხზე

ბაირონოლოგიაში არსებული წარმოდგენები. 2014 წელს მისი ინიციატივით თსუ-ში ჩატარდა ბაირონის მე-40 საერთაშორისო კონფერენცია.

ენათმეცნიერებაში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ი. მერაბიშვილის სწავლების მეთოდმა სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. ამ მეთოდმა, ტექსტის ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა მისეული შემდგომი განვითარების პარალელურად, მას საშუალება მისცა შეექმნა თარგმანის ახალი თეორია. შესაბამისად, 2018 წლიდან მოყოლებული, ნიუ-იორკის საერთაშორისო ლინგვისტური ჟურნალის სარედაქციო საბჭომ ი. მერაბიშვილი არაერთგზის აირჩია თავის წევრად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მიგნებები გ. ტაბიძის უჩვეულო შესიტყვებებისა და მერის პერსონაჟის გახსნის თვალსაზრისით, აგრეთვე ის დიდი ღვაწლი, რაც მან გ. ტაბიძის პოეზიის თარგმნით გასწია. ლონდონში ორჯერ (2011, 2017) გალაკტიონის ბრიტანულ გამოცემათა კვალდაკვალ (ი. მერაბიშვილის თარგმანი), აღინიშნა ქართველი პოეტის იუბილე.

ი. მერაბიშვილი ასევე იკვლევს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკას. მისი თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით დაიბეჭდა „ბაირონი ქართულად, ლექსები, სიმართლე ბაირონის შესახებ“ (2002), „ლორდ ბაირონი, ლექსები“ (2013), „ლორდ ბაირონი, შილონელი ტუსაღი“ (2018). ავტორია მონოგრაფიებისა: „გალაკტიონის ენიგმები“ (2003), „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ (2005), „თარგმანი – კულტურათა დიალოგი“ (2005), „გალაკტიონის მერი, პროტოტიპის ძიებაში“ (2012), „Lord Byron’s Thyrza“ (2007); „Galaktion Tabidze, Poems“, translated by Innes Merabishvili, CCCP, Nottingham (2011), „Encounter with Lord Byron“ (2014), „Discover Galaktion Tabidze: A Selecrion of his Poems in a New Parallel Translation“ (2017).

მიღებული აქვს ჯილდოები, მ.შ. საერთაშორისო ელჩის ორდენი და წოდება (HE; აშშ, 2005), თსუ-ის მედალი (2014), ი. მაჩაბლისა (2014) და გ. ტაბიძის (2019) სახელობის პრემიები, ბაირონისა (დიდი ბრიტანეთი, 2000) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის (2020) მედლები. არის გორის საპატიო მოქალაქე (2016).



მერაბიშვილი მერაბ (6. VII. 1931, თბილისი, – 11. I. 2022, იქვე), მოქანდაკე. საქართველოს სახალხო მხატვარი (1980), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1988).

1949–55 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (იყო მამის, კ. მერაბიშვილის მოწაფე). 1961–2004 წლებში იქვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1980 წლიდან – პროფესორი), იყო ხატვის კათედრის გამგე (1990–2004).

მ. მერაბიშვილი მოქანდაკე-მონუმენტალისტია, ამავე დროს ქმნიდა სკულპტურული პორტრეტებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია შესრულების რეალისტური მანერა. ძირითადი ნამუშევრებია: ძეგლები – ა. გრიბოედოვი (1961, თბილისი, არქიტექტორი გ. მელქაძე), ვ. ლენინი (1969, არქიტექტორი ბ. ტხორი, მოსკოვი. აიღეს 2009), ერეკლე II (1971, თელავი, არქიტ. თ. კანდელაკი), გ. დიმიტროვი (1972, მოსკოვი, მოქანდაკე კ. მერაბიშვილთან ერთად, არქიტექტორი რ. გვოზდევი), ბ. ძნელაძე (1978, ახალგაზრდული ქალაქი „ჟიული შარტავა“, არქიტექტორი გ. მელქაძე. აიღეს 1990), პეტრე ბაგრატიონი (1984, არქიტ. ნ. მგალობლიშვილი, თბილისი. 1999, არქიტექტორი ბ. ტხორი, მოსკოვი), აგრეთვე შოთა რუსთაველი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილთან ერთად, არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი. ძეგლი 1988 დაიდგა უნგრეთის ქ. კეჩკემეტში, 2011 გადაიტანეს ბუდაპეშტში), ნ. ბოგოლიუბოვი

(2001), ვ. ვეკსლერი (2012, ორივე ქ. დუბნა, რუსეთი); დაზგური ქანდაკება – კომპოზიცია „ძირს იარაღი“ (1959), „ნიუ“ (1968), ტორსი (1974), „ქალიშვილი“ (1975), „წმინდა ნინო“ (1988); ბარელიეფი – „თამარ მეფე“ (1999) და სხვ.; სკულპტურული პორტრეტები: გ. აზმაიფარაშვილი (1961), ოპიზარი (1963), ხუროთმოძღვარი არსუკისძე (1965), ი. ჯორჯაძე (1970), ე. მანჯგალაძე (1976), ნ. ამაღლობელი (1995), არქიმედე (1997), ე. ხარაძე (1997), ა. თავხელიძე (1997), ვ. აზარაშვილი (2011), თ. გამყრელიძე (2011) და სხვ.; გრაფიკული ნამუშევრები – ნახატების სერია (1974–98). 1956 წლიდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში: „საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება“ (1987, მოსკოვი), „საბერძნეთი თანამედროვე ქართველი მხატვრების ნაწარმოებებში“ (1998, საქართველოს ეროვნული გალერეა, თბილისი) და სხვ.

მ. მერაბიშვილის ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. საქართველოს ეროვნულ გალერეაში, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში (მოსკოვი) და კერძო კოლექციებში.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001), თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2002), სსრკ-ის (1961) და რუსეთის სამხატვრო აკადემიების (2001) ოქროს მედლები.



მეტრეველი ელენე (13. XII. 1917, ზესტაფონი, – 5. III. 2003, თბილისი), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1974), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1977), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1940). 1944–48 წლებში მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1946–58 წლებში – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხოლო 1948–52 წლებში – თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1958–68 წლებში იყო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი, 1968–88 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორი, 1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი. იკვლევდა VIII–XIX სს. ქართულ მწერლობას, XVI–XVIII სს. ლექსიკოლოგიურ, სამართლებრივ, კარტოგრაფიულ ძეგლებს, ცალკეული მწერლების შემოქმედებას. მანვე გამოკვლევებითურთ გამოსცა ტ. გაბაშვილის „მიმოსლვა“ (1956), გ. ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ (1967).

ე. მეტრეველის ნაშრომები ეძღვნება ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების კვლევას. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ძველი ქართული მწერლობის, რუსთველოლოგიის, ქართული სასულიერო პოეზიის საკით-

ხების შესწავლაში. არჩეული იყო ტიუბინგენის (გერმანია) უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის საპატიო დოქტორად.

მიღებული აქვს შრომის წითელი დროშის ორდენი (1976), საქართველოს სახელმწიფო პრემია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კვლევის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის), ღირსების ორდენი (1996) და კ. კეკელიძის სახელობის პრემია (1998).



მეტრეველი როინ (დ. 7. XII. 1939, აბასთუმანი), ისტორიკოსი, მედიევისტი, კავკასიოლოგი, საზოგადო მოღვაწე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2023 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი (1988, 2026).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1962). იქვე კითხულობდა ლექციებს (1965 წლიდან). სამეცნიერო მუშაობის პარალელურად რ. მეტრეველს ეკავა კომკავშირული და პარტიული თანამდებობები (1960–72) – იყო კომკავშირის ცკ-ის მდივანი, მეორე და პირველი მდივანი, პარტიის ცკ-ის საორგანიზაციო-პარტიული განყოფილების გამგე (1970–72). არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (1966–74), დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პარლამენტის წევრად (1990). არის პირველი ქართული ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი (1972–85). იყო ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) რექტორი (1985–88), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1988–91, 2005–13), თსუ-ის რექტორი (1991–2005), საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1997–2005), საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემიის ვიცე-პრეზიდენტი (2013–23). მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (2023).

რ. მეტრეველი არის კალიფორნიის ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო (აშშ, სან-ფრანცისკო, 1996), უმაღლესი განათლების საერთაშორისო (რუსეთი, მოსკოვი, 1997), ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების (ავსტრია, ზალცბურგი, 2009) აკადემიების ნამდვილი წევრი, (CORE) აკადემიის წევრი (ჩინეთი, 2024). CORE აკადემიის აკადემიური კომიტეტის წევრი (ჩინეთი, 2025). აზიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდიუმის წევრი (ჩინეთი, ჰონკონგი, 2025). იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (1996–2004), საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტისა (1996) და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების (2002 წლიდან) პრეზიდენტი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (2004), სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (2008 წლიდან არჩეულია უვადოდ), პოლიტიკურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2013).

1991 წლიდან არის ჟურნალ „მაცნეს“ (ისტორიის სერია) რედაქტორი, წელიწდეულების „ქართული დიპლომატიისა“ (გამოცემულია 20 ტომი) და „კავკაზიკის“ (გამოცემულია 7 ტომი) მთავარი რედაქტორი, ე. თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულისა და „ქართლის ცხოვრების“ ქართული (2008) და რუსული (2011) გამოცემების მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე (1995), საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების: „გეორგიკის“ (გერმანია-საქართველო, 1997), „Историческое пространство“-ს (2007), „კავკასია და გლობალიზაციის“ (ქ. სტოქჰოლმი, ინგლი-

სურ ენაზე, 2009) სარედაქციო კოლეგიების წევრი.

რ. მეტრეველის კვლევის სფეროა საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის, საზოგადოებრივი აზრისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 12 მონოგრაფია. არის საქართველოს ისტორიის უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების ავტორი.

რ. მეტრეველი არის აფხაზეთის არ-ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1996). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), ივ. ჯავახიშვილის სახ. საუნივერსიტეტო (1999) და სააკადემიო (2010) პრემიები, ა. წერეთლის სახ. პრემია (2000), ფ. ნანსენის მედალი (2000), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდო – ოქროს ჯვარი (2001), აკადემია (სარეიტინგო) „ფორტუნას“ წმ. გიორგის (2003), ე. თაყაიშვილისა (2003) და ფ. გოგიჩაიშვილის (2003) მედლები, ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2011), შ. მესხიას სახ. პრემია (2012), საქართველოს ეროვნული პრემია (2026), ნაშრომისთვის „კავკასიის ისტორია“ (ორტომეული). არის იყალთოს (1991), ქუთაისის (1996), თბილისისა (1999) და ბორჯომის (2000) საპატიო მოქალაქე, საქართველოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. როგორც პარლამენტარმა, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წლის 9 აპრილი).



მეძმარიაშვილი ელგუჯა (დ. 17. VII. 1946, ბათუმი), კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის (1994) და სამხედრო (2004) მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001), პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი (1999), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996), გენერალ-მაიორი (1999).

1969 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამშენებლო ფაკულტეტი. იმავე წლიდან იქვე მუშაობდა დოცენტად, პროფესორად, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის, შემდგომ კი – თავისივე დაარსებული სამხედრო-საინჟინრო შეიარაღებისა და სპეციალური ნაგებობების კათედრის გამგედ, აგრეთვე მოსკოვის ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომეტას“ თბილისის ქვედანაყოფის, შემდგომ სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორად და უფროსად (1981–91); იყო საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი და გენერალური დირექტორი (1991–2006), საქართველოს პარლამენტის მე-3 მოწვევის წევრი (1999–2004), საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში (1991–2006), მისივე ინიციატივით შექმნილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი (2001–06). არის სტუ-

ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი (2006 წლიდან), სტუ-ის პროფესორი (2009 წლიდან) და სამთო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2015 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2019 წლიდან), აკადემიის მიერ დაარსებული სამხედრო ჟურნალ „სამხედრო მეცნიერება. საქართველოს“ რედაქტორი (2016 წლიდან).

ე. მეძმარიაშვილის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კოსმოსური და მიწისზედა სპეციალური დანიშნულებისა და სამხედრო-საინჟინრო ნაგებობები და კომპლექსები; ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია; საინჟინრო მომზადება; საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისთვის საბრძოლო მოქმედებების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა და სამხედრო თეორია. მან დაამუშავა რაკეტების თვალთვალისა და დამიზნების ავტონომიური დიდი ზომის კოსმოსური თანამგზავრული კომპლექსი (1981–89). მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური და მიწისზედა კომპლექსები, რომლებიც აგებული იყო დიდი ზომის გასაშლელი რეფლექტორული ანტენების ბაზაზე. ასევე შეწყვილებული წრიული 20-მეტრიანი კონსტრუქცია „კრაბი“ (განხორციელდა კოსმოსურ ხომალდ „პროგრეს 40-ზე“; 1989) და 18-მეტრიანი ნაგებობა „სოფორას“ საბაზო კონსტრუქცია (რეალიზებულია ორბიტულ სადგურ „მირზე“ ღია კოსმოსურ სივრცეში; 1991).

აღსანიშნავია ე. მეძმარიაშვილის მიერ შექმნილი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – „რეფლექტორი“, რომელიც ორბიტაზე გავიდა 1999 წლის 23 ივლისს, წარმატებით გაიშალა და გამოიცადა, აგრეთვე თავდაცვითი დანიშნულებისა და

ექსტრემალური პირობებისთვის შექმნილი მობილური, სწრაფასაგები 48-მეტრიანი ხიდი; საქართველოს სამგანზომილებიანი სამხედრო-საინჟინრო რუკა; საქართველოს ტერიტორიის და მასზე განლაგებული ობიექტების სამხედრო-საინჟინრო კატალოგების შექმნა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შესრულება და სხვ.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მ. შ. სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები; არის რამდენიმე გამოგონების ავტორი, ევროკავშირისა და აშშ-ის პატენტების მფლობელი.

მიღებული აქვს ღირსებისა (1996) და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის (1999) ორდენები, გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (2007), ასევე სხვა სახელმწიფო ჯილდოები, მცხეთის (1999), თბილისისა და ბათუმის (ორივე 2018) საპატიო მოქალაქის წოდება.



მითაგვარია ნოდარ (დ. 29. I. 1941, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1990), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1964). იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (1967–71), თავის ტვინის ფუნქციათა მეტაბოლური უზრუნველყოფის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1971–91), დირექტორის მოადგილე (1980–91), თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და მეტაბოლიზმის განყოფილების (1991–2011), ასევე ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და მეტაბოლიზმის განყოფილების ხელმძღვანელი (2011–21), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2015–21).

ნ. მითაგვარიას სამეცნიერო ინტერესების სფეროა თავის ტვინის სისხლით მომარაგების მარეგულირებელი მექანიზმების ფუნქციონირების ექსპერიმენტული კვლევა და ანალიზი ნორმისა და სხვადასხვა პათოლოგიის პირობებში; ონკოლოგიურ კლინიკაში გამოსაყენებელი ლოკალური და მთელი სხეულის ჰიპერთერმიით მკურნალობის თერაპიული ეფექტისა და მისი დარღვევის ფიზიოლოგიური მექანიზმების კვლევა და სხვ.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა

კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ცენტრში (1973, ვარშავა, პოლონეთი), მ. პლანკის ფიზიოლოგიურ სისტემათა (1975, დორტმუნდი, გერმანია) და როზველპარკის მემორიალის (1978, ბუფალო, აშშ) ინსტიტუტებში, Western Tumor Medical Group-ში (1983, ვენ ნაისი, აშშ), Pan Dynammics Medical Corporation-ში (1986), Valley Cancer Institute-სა (1990, ორივე ლოს-ანჯელესი, აშშ) და Rollins College-ში (ვინტერ პარკი, ფლორიდა, აშშ).

ნ. მითაგვარია არის სხვადასხვა საერთაშორისო, მ. შ. საქართველოს სამეცნიერო საბჭოს წევრი, თავმჯდომარე და კონსულტანტი; Valley Cancer Institute-ის უფროსი კონსულტანტი (1991 წლიდან); კლინიკური ჰიპერთერმიის საერთაშორისო საზოგადოების (ICHS) პრეზიდენტი (2010–11); თავის ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) და ევროპის ნეირომეცნიერთა საზოგადოებების ფედერაციის (FENS) მმართველი საბჭოს (2008–16), ასევე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოება Sigma-Xi-ის (2012 წლიდან) წევრი; BAC Health Resource Corporation-ის (ტარზანა, აშშ) სამეცნიერო მრჩეველი (2017–19); საქართველოს ნეირომეცნიერთა საზოგადოების აღმასრულების მდივანი და პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი (2008–16); საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (2000 წლიდან).

მონაწილეობდა საერთაშორისო ფორუმებში, ასევე კვლევით პროექტებში: NATO-ს სამეცნიერო პროგრამაში – თავის ტვინში იშემია-ჰიპოქსიით გამოწვეული დარღვევების მექანიზმები (ერთობლივად ბრისტოლის უნივერსიტეტის ანატომიის დეპარტამენტთან – 1998–99; პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან); დეპრესიის პირობებში ანტიდეპრესანტების კვლევის პროგრამებში – მკურნალობისას თავის ტვი-

ნის ფუნქციათა კორექციის ახალი მეთოდები (ISTC, 1999–2004; ჯგუფის ხელმძღვანელი), ადაპტური ქცევის სწრაფი შეფასების ქართული ინსტრუმენტი (WORLD VISION, GABSI-RV 2006; შემსრულებელი), სისხლის რეოლოგიური თვისებების და თავისუფალი რადიკალების როლი თავის ტვინში ლოკალური ჰიპერთერმიით ინდუცირებული მორფოლოგიური ცვლილებების განვითარებაში (STCU, 2009–11; სამეცნიერო ხელმძღვანელი); მთელი სხეულის ჰიპერთერმიით ინდუცირებული ქცევითი დარღვევების მექანიზმების ანალიზი (ექსპერიმენტული კვლევა, STCU, 2012–14, სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი); კიბოს უჯრედების თვითრეგულირებული მაგნიტური ჰიპერთერმიისათვის ახალი ნანომასალების დამუშავება და შესწავლა (STCU, 2018–20, სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი).

ნ. მითაგვარია არის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი. მიღებული აქვს ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია (2001), საერთაშორისო ორდენი „Merit for Life“ (1991), ასევე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილების პირველი პრემია და საპატიო დიპლომი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პროგრამით მაღალი ხარისხის კვლევების ჩატარებისთვის (1991) და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2025).



მირიანაშვილი მათე [5 (18). X. 1906, თბილისი, – 23. I. 1975, იქვე], ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1958), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1961), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1927 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო ზოგადი ფიზიკის კათედრაზე ლაბორანტად, იქვე მიიწვიეს ასისტენტად (1930). მუშაობდა ხარკოვის (უკრაინა) ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში (1931–33), იყო თსუ-ის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე (1933–75), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1941–43), დირექტორი (1943–51), თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი (1955–59) და პრორექტორი (1959–69), სსრკ გრავიტაციული კომისიის წევრი (1963). ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მ. მირიანაშვილის კვლევის სფეროა კვანტური ელექტროდინამიკა, ფერიტების თეორია, გრავიტაცია და კოსმოლოგია. დაამუშავა აინშტაინის განტოლებების ინტეგრირების ახალი მეთოდები. ნაშრომები აქვს აგრეთვე ფიზიკის ფილოსოფიის საკითხებზე. არის ზოგადი ფიზიკის პირველი ქართული სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფიზიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1966–75).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



მირცხულავა ცოტნე (25. VII. 1920, ფოთი, – 17. III. 2010, თბილისი), ინჟინერი, ჰიდრავლიკოსი, ჰიდრომელიორატორი, ჰიდროტექნიკოსი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2000), სსრკ სოფლის მეურნეობის საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი (1973; წევრ-კორესპონდენტი – 1970), რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (1997).

დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამშენებლო ფაკულტეტი (1942). მუშაობდა „საქნავთობის“ სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1942–53). იყო სტუ-ის პროფესორი (1953–2005). 1954–2010 წლებში მუშაობდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1968–2005 – დირექტორი).

ც. მირცხულავას ნაშრომები ეხება ჰიდროტექნიკის, ჰიდრავლიკის, მელიორაციისა და სხვა საკითხებს. მან დაადგინა სხვადასხვა გრუნტის გამრეცხი სიჩქარეების ზოგადი კანონზომიერებანი და შექმნა მისი პროგნოზირების მეთოდოლოგია, აგრეთვე ბმული გრუნტების გამრეცხი სიჩქარის დადგენის ანალიტიკური მეთოდი, გარეცხვის მოდელირების ხერხი და წყლისმიერი ეროზიის ინტენსიურობის პროგნოზირების მეთოდიკა.

ც. მირცხულავა ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების. სამეცნიერო კვლევებისთვის მინიჭებული აქვს აკადემიკოს ა. კოსტიაკოვის ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება (1981). სახელმწიფო პრემია მიიღო შრომათა ციკლისათვის „ნიადაგისა და კალაპოტების ეროზია, პროგნოზი და დაცვა“. იყო გაეროს ექსპერტი წყალდიდობებთან ბრძოლის საკითხებში, სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).




მიქელაძე დავით (დ. 8. VII. 1947, თბილისი), ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1987), პროფესორი (2000), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი (1970). იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1974–83), ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ბიოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელი (1983), სოროსის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო პროგრამა NSF-ის პროფესორი (1995–2000), თსუ-ის პროფესორი, ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (2005–08), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2008).

დ. მიქელაძის სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროა ნერვული და იმუნური სისტემების მეტაბოლიზმი, ბიოენერგეტიკა და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მოქმედების მექანიზმები, ნეირო- და იმუნოპათოლოგიის მოლეკულური საფუძვლები.

იყო სსრკ-ის ნეიროქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმისა (1987–91) და ევროპის ნეირომეცნიერებების საზოგადოების ფედერაციის (1998), ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების (1998) წევრი, ჟურნალ „Journal Biological Physics and Chemistry“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „Нейрохимия“-ს რედკოლეგიის წევრი.



მიქელაძე ირაკლი (3. VIII. 1902, ერევანი, სომხეთი, – 19. VIII. 1984, თბილისი), ეკონომისტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1963), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1972, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1930 წლიდან იმავე ფაკულტეტზე ეკავა დოცენტის, შემდეგ პროფესორის თანამდებობა. 1937 წელს დაინიშნა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის, 1977 წლიდან – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგედ. 1954–56 წლებში იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი. 1956–60 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში თავმჯდომარის მოადგილედ, 1960–63 წლებში კი – თავმჯდომარის მოადგილედ მინისტრის სტატუსით.

ი. მიქელაძის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავდა მრეწველობის ეკონომიკას. დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში. მისი ნაშრომები ეხება ქვეყნის ეკონომიკის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების, ტემპების, პროპორციებისა და სტრუქტურის; მრეწველობისა და ენერგეტიკის ფუნქციონირების, შრომის ტერიტორიული და დარგობრივი განაწილებისა და სხვა პრო-

ბლემებს. გარკვეული წვლილი შეიტანა რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და სხვა საწარმოთა მშენებლობის ეკონომიკური დასაბუთების საქმეში. აღსანიშნავია ი. მიქელაძის დამსახურება ეკონომისტთა მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

ი. მიქელაძე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოპტიმალური დაგეგმვის პრობლემური საბჭოს საქართველოს რეგიონული კომისიის თავმჯდომარე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის და ამავე უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოების წევრი და სხვ. მის საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობას გ. ბაქრაძემ მიუძღვნა წიგნი „გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“ (1982).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.



მიქელაძე შალვა [16 (28). III. 1895, თელავი, – 27. VIII. 1976, თბილისი], მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1935), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1952). გამოთვლითი მათემატიკის ქართული სკოლის ფუძემდებელი.

დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი (1915) და იმავე წელს სწავლა განაგრძო პეტროგრადის ელექტროტექნიკის ინსტიტუტში, შემდეგ სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის ოფიცერთა მომზადების კურსებზე (1916), რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ (1917) გააგზავნეს ოსმალეთის ფრონტზე მე-4 მესანგრე ათასეულის საინჟინრო პარკის უფროსად. საბრძოლო მოქმედებების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა ოქროს იარაღითა და მედლებით. მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საჯარისო ერთეულების შექმნაში და თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. შ. მიქელაძეს დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთის არმიისაგან მესხეთ-ჯავახეთის (მამასთან, ე. მიქელაძესთან ერთად) გათავისუფლებაში. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი ნაშრომები: „საფორტიფიკაციო საქმის საფუძვლები“ და „საველე ტელეფონები“. მომდევნო წლებში დაასრულა სამხედრო კარიერა. მუშაობდა თბილისის ელექტროქსელის დაგეგმარებაზე, შემდეგ – ზაჰესში (1924–29). 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის

ფაკულტეტი. მუშაობდა ლენინგრადში სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში (1933–35), შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში გამოთვლითი მათემატიკის განყოფილების გამგედ (1935–76). იყო თსუ-ში თავისივე დაარსებული მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე (1954–70). იქვე მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა პრობლემური ლაბორატორია (1962), რომლის ბაზაზე შეიქმნა თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი. იყო აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

შ. მიქელაძის ნაშრომები და მონოგრაფიები ეხება ფუნქციათა მიახლოების, რიცხვითი ინტეგრირებისა და რიცხვითი გაწარმოების, რიცხვითი განტოლებების ამოხსნის, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა რიცხვითი ამოხსნის, აგრეთვე მექანიკის ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდებს. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



მუსხელიშვილი დავით (დ. 19. X. 1928, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1952). მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს (1952–60) და უფროს (1960–67) მეცნიერ თანამშრომლად. იყო ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების გამგე (1967–99), ინსტიტუტის დირექტორი (1999–2006), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი (1972–82), მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი, აგრეთვე ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის თავმჯდომარე (2007 წლიდან), საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის ხელმძღვანელი (2001 წლიდან); ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე (2006 წლიდან).

დ. მუსხელიშვილის სამეცნიერო ინტერესები მოიცავს არქეოლოგიას, საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას, ქართველთა ეთნოგენეზს, უძველესი ხანის გორანამოსახლარებსა და ხევებს, ფეოდალურ საერისთავოებს და საქალაქო ქვეყნებს, ციხესიმაგრეთა ლოკალიზაციას და სხვ. კვლევის ძირითადი სფეროა ისტორიული გეოგრაფია. საქა-

რთველოსა თუ მისი ცალკეული კუთხეების (კახეთ-ჰერეთი, ქვემო ქართლი, აჭარა, აფხაზეთი) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური გეოგრაფიის შესწავლის საფუძველზე წარმოაჩინა სახელმწიფოს ტერიტორიული ჩამოყალიბების პროცესი, შინაგანი სტრუქტურა და მისი ისტორიული ევოლუცია; განსაზღვრა ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ძირითადი ეტაპები და დაადგინა ტერიტორიული ევოლუციის კანონზომიერებანი. მიღებული დასკვნები მეთოდოლოგიური ხასიათისაა და სახელმძღვანელო პრინციპადაა ქცეული ისტორიული გეოგრაფიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის. მნიშვნელოვანია მისი რედაქციითა და თანაავტორობით მომზადებული „საქართველოს ისტორიის ატლასი“ (2003, მეორე შევსებული გამოცემა – 2016), რომელიც 74 რუკისა და განმარტებითი ტექსტებისაგან შემდგარი დოკუმენტური პუბლიკაციაა.

დ. მუსხელიშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998), ივ. ჯავახიშვილის მედლით (2003), ივ. ჯავახიშვილისა (2008) და ნ. ბერძენიშვილის (2011) სახელობის პრემიებით, წმ. გიორგის ოქროს ორდენით (2013).



მუსხელიშვილი ნიკოლოზ [4 (16). II. 1891, თბილისი, – 15. VII. 1976, იქვე], მათემატიკოსი და მექანიკოსი. საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1941–72), საპატიო პრეზიდენტი (1972–76). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939, წევრ-კორესპონდენტი – 1933) და პრეზიდიუმის წევრი (1942–53; 1957–72), სტალინური პრემიის ლაურეატი (1941, 1946), მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი.

ნ. მუსხელიშვილმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი (1914) და იქვე დაიწყო მუშაობა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, კითხულობდა ლექციებს და ეწეოდა სამეცნიერო კვლევებს გ. კოლოსოვის ხელმძღვანელობით (1915–20). საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1920) კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1922 წლიდან – პროფესორი) და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ). მისი ინიციატივით შეიქმნა ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი თავადვე იყო 1933–35 წლებში და 1941 წლიდან გარდაცვალებამდე. მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახ. ინსტიტუტში (მოსკოვი) დრეკადობის თეორიის განყოფილების გამგედ (1936–41).

ნ. მუსხელიშვილს ფუნდამენტური გამოკვლევები აქვს დრეკადობის თეორიასა და ინტეგრალურ განტოლებებ-

ში, ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებში და სხვ. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება დრეკადობის თეორიის ამოცანებისათვის, შემოიღო მრავალი მეთოდი, რომელსაც წარმატებით იყენებენ მათემატიკის სხვა დარგებშიც, თეორიულ ფიზიკასა და მექანიკაში. მის ნაშრომებში ამოხსნილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ყველა ძირითადი ამოცანა სტატიკური შემთხვევისათვის; აღმოაჩინა არეთა ფართო კლასი, რომელთათვისაც ბრტყელი ამოცანა რედუცირდება ალგებრულ განტოლებათა სრულ წრფივ სისტემაზე. ფუნდამენტური წვლილი შეიტანა ანალიზური ფუნქციების წრფივი სასაზღვრო ამოცანებისა და ერთგანზომილებიანი განსაკუთრებული ბირთვების მქონე ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. მას ეკუთვნის ინდექსის მნიშვნელოვანი ფორმულა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემისათვის.

ნ. მუსხელიშვილი ავტორია ფუნდამენტური სახელმძღვანელოების ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში. მისი მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ დიდი ხანია მეცნიერთა სამაგიდო წიგნად იქცა. იგი იყო სსრკ-ის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე (1957 წლიდან გარდაცვალებამდე); თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს (1960), სომხეთისა (1961) და აზერბაიჯანის (1972) მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ბულგარეთის (1952), პოლონეთის (1960), გდრ-ის (1967) მეცნიერებათა აკადემიების წევრი, გლაზგოს უნივერსიტეტის სამართლის საპატიო დოქტორი (1960).

ნ. მუსხელიშვილის სახელი მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს (1977), თბილისის 55-ე საშუალო სკოლას. მასვე ეძღვნე-

ბა ფილმი „ნიკოლოზ მუსხელიშვილი“ (რეჟ. ზ. კაკაბაძე, 1980), მათემატიკის ინსტუტუტში არის მისი სახელობის კაბინეტი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე დგას ნ. მუსხელიშვილის ძეგლი (ქვა, თ. ღვინიაშვილი, 1983), ბიუსტები კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, მათემატიკის ინსტიტუტში (ბრინჯაო, ბ. ყაზეიშვილი, 1979), თსუ-ისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსებში (ბრინჯაო, ნ. ყაზეიშვილი, 1977).

მიღებული აქვს სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ლომონოსოვის სახ. ოქროს მედალი (1972), ტურინის მეცნიერებათა აკადემიის „მოდესტო პანეტის“ სახელობის საერთაშორისო პრემია და ოქროს მედალი (1969), სლოვენიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი „მეცნიერებისა და კაცობრიობის წინაშე დამსახურებისათვის“ (1970), სოციალისტური შრომის გმირის წოდება (1945), სსრკ-ისა და ბულგარეთის ორდენები და მედლები.

მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა მისი სახელობის პრემია მათემატიკა-მექანიკისა და ფიზიკის დარგში (1977), თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



მუხაძე გრიგოლ (8. I. 1879, თბილისი, – 8. X. 1948, იქვე), ქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1914), პროფესორი (1919), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1944) და სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1944) აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), საქართველოში მეცნიერული და პრაქტიკული ქირურგიის და ტრანსფუზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1908 წელს დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ) და მისი სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებაში. 1919–21 წლებში განაგებდა თსუ-ის ზოგადი ქირურგიის, ხოლო 1921–48 წლებში ჯერ თსუ-ის, შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას. 1924–25 წლებში იყო თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, 1925–37 წლებში საქართველოს ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის (ამჟამად, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“) დირექტორი.

გ. მუხაძის თაოსნობით, 1932 წელს შეიქმნა სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, რომელიც 1935 წელს მისივე თაოსნობით სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა და პირველი დირექტორი თვითონ იყო. 1946 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

გ. მუხაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ორთოპედიის, ტრავმატოლოგიის, ოტორინოლარინგოლოგიის, ონკოლოგიის, ნეიროქირურგიის, ზოგადი ქირურგიისა და სხვა სპეციალობების განვითარებაში. იყო საქართველოს ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარე (1947–48).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თბილისის ერთ-ერთი ქუჩას მისი სახელობისაა.



ნადარაია ელიზბარ (დ. 17. IV. 1935, სოფ. ახალი ხიბულა, ახლანდელი ხობის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1981), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2023; წევრ-კორესპონდენტი – 2001).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1959). მუშაობდა მოსკოვის სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში (1960–63), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში (1964–66), თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1966–73), შემდეგ ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელად (1971–73), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგედ (1973–78), თსუ-ის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დოცენტად, პროფესორად (1978–86), ამავე კათედრის გამგედ (1986–2006), თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულების ხელმძღვანელად (2006–18). არის თსუ-ის ამავე კათედრის პროფესორი და გამგე. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ე. ნადარაიას სამეცნიერო ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკის, კერძოდ, განაწილების სიმკვრივისა და რეგრესიის ფუნქცი-

ის არაპარამეტრულ შეფასებათა თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მან ამოხსნა განაწილების სიმკვრივისა და რეგრესიის ფუნქციის შეფასებასთან დაკავშირებული არაერთი ფუნდამენტური პრობლემა, მ.შ. განაწილების სიმკვრივის შეფასების სმირნოვის და ბერნშტეინის პრობლემები, გულოვან შეფასებათა თანაბარი და L_1 – მეტრიკით კრებადობის პრობლემები, განაწილების სიმკვრივის პროექციული და გულოვანი ტიპის შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრების ზღვარითი განაწილების მოძებნის პრობლემა და სხვ. ლიტერატურაში ცნობილია ნადარაია-ვატსონის (Nadaraya-Watson) რეგრესიის ფუნქციის გულოვანი შეფასება, რომელსაც ასევე ნადარაია-ვატსონის პირობით ემპირიულ შემთხვევით პროცესსაც უწოდებენ. ე. ნადარაიას მიერ მიღებული შედეგები შესულია არაერთ მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოში, ნადარაია-ვატსონის ფორმულა კი გამოიყენება მრავალ დარგში, განსაკუთრებით ეკონომიკასა და ფინანსებში. არის სამი მონოგრაფიის ავტორი, მ. შ. ერთი გამოქვეყნებულია ჰოლანდიაში.

მიღებული აქვს ი. ვეკუას სახელობის პრემია (1990), ივ. ჯავახიშვილის სახელობისა (1996) და თსუ-ის ოქროს (2023) მედლები, ღირსების ორდენი (2003, 2013).



ნადარეიშვილი კიაზო (14. I. 1929, სენაკი, – 13. VII. 2010, თბილისი), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1988), ქართული რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიური სკოლის ფუძემდებელი.


1953 წელს დაამთავრა ქ. ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) სამხედრო სამედიცინო აკადემია. 1957 წლიდან მუშაობდა ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, 1959 წელს იქვე ჩამოაყალიბა რადიაციული ფიზიოლოგიის განყოფილება, რომლის ბაზაზეც 1990 წელს შექმნა რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და იყო მისი ხელმძღვანელი.

კ. ნადარეიშვილის სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს თანამედროვე ბიოლოგიისა და მედიცინის ფართო სპექტრს. არის 14 მონოგრაფიისა და 8 გამოგონების ავტორი. მისი გამოკვლევები ეძღვნება რადიაციისა და სხვა ეკოლოგიური რისკ-ფაქტორების გავლენას ბიოლოგიურ სისტემათა ორგანიზაციის ყველა დონეზე – მოლეკულურიდან პოპულაციურამდე. იყო მისივე ინიციატივით დაარსებული საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი (1995), აგრეთვე საქართველოს ბიოლოგიურ-სამედიცინო საზოგადოების დამაარსებელი და მისი უცვლელი პრეზიდენტი (1968 წლიდან).

კ. ნადარეიშვილი იყო სამი პერიოდული გამოცემის („რადიაციული გამოკვლევები“, „ეკოლოგიური პრობლემები“, „ბიომედტექნიკა“) დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. 1988 წელს აშშ-ის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა დააჯილდოვა მიღწევათა ოქროს ჩანაწერის დისკით „ნიშნად წარმატებისა საერთაშორისო საზოგადოებისთვის მოღვაწეობაში და ამ საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“, 1999 წელს კი – ორიათასწლეულის საპატიო ოქროს მედლით.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია (1983).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ნადირაშვილი შოთა (26. VI. 1926, თბილისი, – 13. VIII. 2011, იქვე), ფსიქოლოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1949) და დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1954 წლიდან გარდაცვალებამდე იქვე მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე. იყო სოციალური და შრომის ფსიქოლოგიის, ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 1985–2006 წლებში – დირექტორი. იქვე 1990 წელს დააფუძნა და ხელმძღვანელობდა თბილისის ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტს.

შ. ნადირაშვილის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ზოგადი, ასაკობრივი, პედაგოგიური, სოციალური, განწყობის ფსიქოლოგია და ეთნოფსიქოლოგია. ექსპერიმენტულად იკვლევდა აღქმის პროცესს, ემპირიულად შეისწავლა ცნების შემუშავების ონტოგენეზი. სოციალური ფსიქოლოგია, როგორც დარგი საქართველოში, პირდაპირ უკავშირდება მის სახელს.

გაიაზრა რა სოციალური განწყობის ცნება განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციებიდან, შ. ნადირაშვილმა დაადგინა მისი მოქმედების მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი. უდიდესი წვლილი შეიტანა განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული და თეორიული საკითხების კვლევაში,

რაც დაგვირგვინდა ე. წ. „განწყობის ანთროპული თეორიის“ ფორმულირებით, რომელშიც ნაჩვენებია ადამიანური ქცევის სპეციფიკური თავისებურებანი. აქვე გამოთქვა ორიგინალური მოსაზრებები ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

შ. ნადირაშვილი მონაწილეობდა ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესებში, იყო მრავალი საერთაშორისო ფსიქოლოგიური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის პროცესებში.

მიღებული აქვს დ. უზნაძის სახელობის პრემია.



ნათაძე რევაზ [29. X (11. XI) 1903, თბილისი, – 18. IX. 1984, იქვე], ფსიქოლოგი. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1951), სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1957).

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე და ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტურაში. 1926 წლიდან გახდა ამ კათედრის თანამშრომელი, პარალელურად მუშაობდა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც განაგებდა ფსიქოლოგიის სექტორს. 1941–62 წლებში ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილებას, ხოლო 1950 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრას. იყო საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი (1964–74).

რ. ნათაძის კვლევის სფერო ძირითადად უკავშირდება ზოგადი, გენეტიკური და განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებს. ორიგინალური მეთოდებით სისტემურად შეისწავლა ცნების ფსიქოლოგიური ბუნება და გენეზისი. დაადგინა ცნებითი აზროვნების საფეხურები 7–იდან 17 წლამდე. სპეციალურად კონსტრუირებული აპარატით ჩატარებული ცდების საფუძველზე დაასაბუთა, რომ აღქმის კონსტანტობის ფსიქოლოგიურ მექანიზმს აქტუალური განწყობა წარმოადგენს. აღსანიშნავია გამოკვლევები წარმოსახვის საფუძველზე განწყობის

აღმოცენების თავისებურებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელი გახადა სასცენო გარდასახვის მექანიზმის ახლებურად გააზრება.

რ. ნათაძის შრომები გამოქვეყნებეულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მას ეკუთვნის ფსიქოლოგიის რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლებიც პედაგოგიური და მეთოდური თვალსაზრისით დღესაც მისაბაძ სტანდარტად ითვლება.



ნათიშვილი ალექსანდრე [15 (27). V. 1878, თბილისი, – 3. V. 1959, იქვე], ანატომი, მეცნიერული ანატომიის ფუძემდებელი და უმაღლესი სამედიცინო განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1917), პროფესორი (1918), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941).

1905 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1905–07 წლებში იყო ერობის ექიმი ხარკოვის გუბერნიის სოფელ ალექსეევკაში. 1907 წელს მუშაობა დაიწყო ხარკოვის უნივერსიტეტის ანატომიის კათედრაზე პროფესორ ბელოუსოვთან. აგრეთვე იყო ხარკოვის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის კათედრის პროზექტორი. 1918 წელს პ. მელიქიშვილის მოწვევით გადმოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), სადაც სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა თავისსავე დაარსებულ ადამიანის ანატომიის კათედრას.

ა. ნათიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში დააარსა პლასტიკური ანატომიის, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში – შინაურ ცხოველთა ანატომიის, ფიზკულტურის ინსტიტუტში – ადამიანის ანატომიის კათედრები, პარალელურად განაგებდა თსუ-ის ჰისტოლოგიის კათედრას (1921–30) და ხელმძღვანელობდა ტოპოგრაფიული ანატომიის დოცენტურას (1926–28). იყო თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი (1919–20), თსუ-ის (1923–25) და თბილისის სახელ-

მწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (1930–32) პრორექტორი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და სასწავლო ნაწილის გამგე (1944–47), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (1946–50). 1946 წელს დააარსა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც თავადვე იყო სიცოცხლის ბოლომდე, (1959 წლიდან ეწოდა მისი სახელი) 1952–55 წლებში პარალელურად ხელმძღვანელობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს.

ა. ნათიშვილი ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა: იყო ანთროპოლოგთა და ეთნოლოგთა (1924), საქართველოს საექიმო (1926–27), თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა (1952–59) საზოგადოებების თავმჯდომარე; ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი (1949, 1958 წლიდან – საპატიო წევრი) და სხვ.

ა. ნათიშვილმა ქართულ ენაზე პირველმა დაამუშავა ანატომიის ნომენკლატურა, შექმნა პირველი სახელმძღვანელოები („ადამიანის ნორმალური ანატომია“, 1921, 1976; „შინაურ ცხოველთა ანატომია“ 2 ტომად, 1931–53; პლასტიკური ანატომია, 1947, თანაავტორი ა. მალაევი). წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესწავლის პრობლემებს, ნერვული სისტემის მოდელების დამზადებას, რის შემდეგაც დაიწყო მათი სერიული წარმოება (1951).

ავტორია ფუნდამენტური ნაშრომებისა შინაგანი ორგანოების, განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავის მორფოლოგიური თავისებურებების, ნაწლავის ვასკულარიზაციის და ფიქსაციის, ასევე, სხვა პრობლემების შესახებ.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1947).



ნათიშვილი ოთარ (11. V. 1929, თბილისი, – 23. I. 2021, იქვე), ჰიდროტექნიკისა და აგროეკოსისტემების მდგრადობის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1980), მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1990–2021).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით (1952). მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში: იყო ასისტენტი, დოცენტი (1956–59), ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრის გამგე (1970–83), ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სასწავლო დარგში (1976–83), რექტორი (1983–90), საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ-ის ც. მირცხულავას სახ. საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების გამგე (1960–70).

ო. ნათიშვილის ნაშრომები ეხება აგროეკოსისტემების მდგრადობის პრობლემებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ლანდშაფტების ბუნებრივი სახით შენარჩუნებას და აღდგენითი ღონისძიებების აქტუალურ საკითხებს, სამთო მელიორაციას. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. 5 მონოგრაფია და 6 სახელმძღვანელო.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ნანეიშვილი ბიძინა (16. VI. 1920, სამტრედია, – 9. I. 1993, თბილისი), ფსიქიატრი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988), საქართველოს დამსახურებული მოღვაწე (1979).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1941). 1942–45 წლებში მოქმედ არმიაში იყო ლეგიონის უფროსი ექიმი; 1947–93 წლებში მუშაობდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1953–68 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის თავის ტვინის ნატიფი პათომორფოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1968 წლიდან – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1993 წლიდან – დირექტორი, 1972 – 93 წლებში – ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის ფსიქონევროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი.

ბ. ნანეიშვილის კვლევის სფეროს წარმოადგენს ფსიქოზთა პათომორფოლოგიის საკითხები.

1997 წელს ხონის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაზაზე დაარსდა მისი სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. თბილისის ერთერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.



ნანეიშვილი თეიმურაზ (დ. 4. VIII. 1940, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1986), პროფესორი (2006), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013), ვიცე-პრეზიდენტი (2013–18).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი (1963). სამეცნიერო კვლევა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. იყო ამავე ინსტიტუტის უმცროსი (1966–71), უფროსი (1971–85) მეცნიერი თანამშრომელი, მეხსიერების ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1985–2006), ამავე ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2000–06), სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აგრეთვე ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2006–10; 2011 წლიდან – ემერიტუს პროფესორი), საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ნეირობიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2010–18), „საქართველოს ნეირომეცნიერთა ჟურნალის“ მთავარი რედაქტორი, მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ბიოლოგიური სერიის მთავარი რედაქტორის მოადგილე.

თ. ნანეიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია, ქცევის ფსიქოფიზიოლოგია, მეხსიერების ნეიროფიზიოლოგია, ელექტროფიზიოლოგია, ნეიროდეგენერაციული და ნეიროგანვითარების დარღვევების

პათოფიზიოლოგიური მექანიზმები.

თ. ნანეიშვილი არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული აკადემიის“ თავმჯდომარე (2007), აშშ-ის სამეცნიერო საზოგადოება Sigma-Xi-ის წევრი (2002). საქართველოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების სწავლული მდივანი, გამგეობის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი (1972–2011), ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი (2003–07).



ნასყიდაშვილი პეტრე (27.XI. 1928, სოფ. ვალე, ახლანდელი ახალციხის მუნიციპალიტეტი, – 19. I. 2014, თბილისი), მემცენარე გენეტიკოს-სელექციონერი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1992; წევრ-კორესპონდენტი – 1991), აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (2000), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1990).

1952 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1973–74 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრის გამგე, 1974–79 წლებში – აგრონომიული ფაკულტეტის დეკანი, 1989–95 წლებში – პრორექტორი სასწავლო დარგში, 1995–2006 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის კომისიის თავმჯდომარე (შემდეგ – ინსპექციის უფროსი), 2007–10 წლებში – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიის დეპარტამენტის მთავარი კონსულტანტი, 2008 წლიდან – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი და აკადემიური დეპარტამენტის მთავარი ექსპერტი.

პ. ნასყიდაშვილის მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებებია გამოყენებითი ბოტანიკის, სისტემატიკის, ევოლუციიის, გენეტიკის, სელექციის, მეთესლეობისა და მემცენარეობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. მისი თანაავტორობით მიღებული და დარაიონებულია ხორბლის, ქერის, სიმინდისა და ლობიოს 10 ჯიში და ჰიბრიდი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები.

2005 წელს მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ (იუნესკოს გადაწყვეტილებით) პ. ნასყიდაშვილი დააჯილდოვა მედლით. მიღებული აქვს ლ. დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია (2011), ნ. ვავილოვის სახელობის მედალი (2012), ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ნატრიაშვილი თამაზ (დ. 9. V. 1950, სოფ. მაიაკოვსკი, ახლანდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტი), მანქანათმშენებლობისა და მანქანათა მექანიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (2003), პროფესორი (2012), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018).

1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) და იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში, იყო სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილე (1995–2006), ხოლო 2006 წლიდან – დირექტორი.

ავტორია ნაშრომებისა და ინოვაციური მიგნებების ისეთი მიმართულებით, როგორებიცაა ტურბოჩაბერვით ფორსირებული საავტოტრაქტორო შიგაწვის ძრავების ექსპლუატაცია მაღალმთიან პირობებში, მათი სამუშაო პროცესის, სიმძლავრის, ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლების კვლევა-გაუმჯობესება, ტრადიციული შიგაწვის ძრავების კონვერტაცია წყალბადზე, სამანქანო სისტემებში დარტყმითი მოვლენების პარამეტრების გაანგარიშების საინჟინრო მეთოდების დამუშავება, ხახუნისა და ცვეთის პრობლემები მექანიზმებში და სხვ. მას ასევე ეკუთვნის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ნაშრომები, რომლებიც ეხება ახალი ტექნოლოგიური მანქანებისა და რობოტიზებული სისტემების დამუშავებას, თბურ ძრავებში ალტერნატიული საწვავის გამოყენებას, ენერგიის არატრადიციული წყაროების კვლევას, დისტანციუ-

რი მართვის მობილური მანქანების დამუშავებასა და გამოცდას. მისი კვლევები მიეკუთვნება როგორც სამოქალაქო, ისე თავდაცვის სფეროებს.

მიღებული აქვს საქართველოს ეროვნული (2012) და გ. ნიკოლაძის სახელობის (2024) პრემიები.



ნერსესიანი ალექსანდრე (დ. 27. XI. 1943, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (2009), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2024).

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ამავე ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის კათედრაზე (1966–69), იყო ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ნეიტრონოგრაფიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (1969–75), შემდეგ უფროსი (1975–98) და წამყვანი (1998–2006) მეცნიერი თანამშრომელი, კონდენსირებულ გარემოთა განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2006 წლიდან).

მუშაობდა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში – NORDITA (დანია; 1988–92). იყო მიწვეული პროფესორი ჩალმერსის ტექნოლოგიური (გეტებორგი, შვედეთი; 1992–94) და ოქსფორდის (1995–96) უნივერსიტეტების თეორიული ფიზიკის ინსტიტუტებში, აგრეთვე ბონის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი (1997–98), აბდუს სალამის სახ. თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ICTP, ტრიესტი, იტალია) ასოცირებული მკვლევარი (1998–2016).

ძირითადი ნაშრომები შესრულებული აქვს დაბალგანზომილებიანი ძლიერად კორელირებული სისტემების ფიზიკა-

ში. არის თანაავტორი (ა. გოგოლინთან და ა. ცველიკთან ერთად) მონოგრაფიისა „ბოზონიზაცია და ძლიერად კორელირებული სისტემები“ („Bosonization and Strongly Correlated Systems“, Oxford University Press 1998).

მიღებული აქვს საქართველოს ეროვნული პრემია (2024).



ნუცუბიძე ნოდარ (22. VIII. 1928, თბილისი, – 9. IX. 2011, იქვე), ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1980), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1979).

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი (1952), იქვე გაიარა ასპირანტურა (1952–55) და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1956). იყო ბოტანიკის ინსტიტუტის უმცროსი (1956–58), უფროსი (1958–66) მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1966 წლიდან – ლაბორატორია, 1971 წელს ინსტიტუტად ჩამოყალიბდა). 1963 წლიდან კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში.

ნ. ნუცუბიძე ავტორია ხუთი მონოგრაფიის, მათ შორისაა „აზოტის ასიმილაცია ვაზში“, „მცენარის აზოტური კვება და ცვლა“, ასევე ბიოტექნოლოგიის სახელმძღვანელოსი. მიღებული აქვს საავტორო უფლება ოთხ პატენტზე.

ნ. ნუცუბიძის სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებები იყო აზოტის ასიმილაციისა და ფიქსაციის ფერმენტების შესწავლა მცენარეებში, სიმბიოტურ სისტემებსა და თავისუფალ აზოტფიქსატორებში; ფერმენტების მოლეკულების არქიტექტონიკის თავისებურებების დადგენა; ენდო- და ეგზორეგულატორების მოქმედების გამოკვლევა ნიტროგენაზის, ნიტრატ- და ნიტრიტრედუქტაზების, გლუ-

ტამატდეჰიდროგენაზის, გლუტამინსინთეტაზისა და გლუტამატსინთაზისათვის. იკვლევდა ვაზისა და ღვინის კატექინებს, ანთოციანებს და ფლავონოლებს. გამოავლინა ახალი კატექინები, მათი გარდაქმნის თავისებურებები ღვინის სითბური დამუშავების, ვაზის ვეგეტაციისა და ყურძნის გადამუშავების დროს. შეისწავლა აზოტის ასიმილაცია მრავალწლიან მცენარეებში – ვაზში, ჩაიში, ფორთოხალსა და ლიმონში. გამოყო და შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა ნიადაგში არსებული აზოტბაქტერიები, აზოტსპირილიუმი და რიგი აქტინომიცეტების მაღალეფექტური შტამები. მისი კვლევების პრაქტიკული რეკომენდაციები დანერგილია მცენარეთა კვების, ბიოლოგიური სასუქების შექმნასა და რეკომენდაციებში.

იყო საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1973–2011), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).



ნუცუბიძე შალვა (14. XII. 1888, სოფ. ფარცხანაყანები, ახლანდელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 6. I. 1969, თბილისი), ფილოსოფოსი, კულტურის ისტორიკოსი, რუსთველოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი.

შ. ნუცუბიძემ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1910). სწავლობდა აგრეთვე ბერლინსა და ლაიფციგში. 1917 წელს მიენიჭა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის წოდება, 1927 წელს – ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

1904–11 წლებში იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის წევრი, 1915 წელს შეუერთდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რომლის მთავარი კომიტეტის წევრად 1918 წელს აირჩიეს. 1919–21 წლებში ამავე პარტიიდან იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1921 წლის იანვარში ხელმძღვანელობდა სოციალისტ-ფედერალისტების მემარცხენე ჯგუფს, რომელიც დაუპირისპირდა პარტიის მმართველობას და ემხრობოდა საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობას.

1918 წელს შ. ნუცუბიძემ თანამოაზრეებთან (ს. გორგაძე და სხვ.) ერთად თსუ-ში დააარსა „პეტრიწის სახელობის საფილოსოფოსო საზოგადოება“, რომელიც ქართული ფილოსოფიური ძეგლების შეგროვებისა და ფილოსოფიური ცოდნის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. 1920–29 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი, ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე.

შ. ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივია. 1911–14 წლებში, გერმანიაში ყოფნისას, საფუძველი ჩაუყარა ორიგინალურ ფილოსოფიურ მოძღვრება ალეთოლოგიას. მის მიერ გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ ფილოსოფიურ ჟურნალებში.

შ. ნუცუბიძემ თავისი ნაშრომის, „ხელოვნების თეორია. მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“ (1929), წინასიტყვაობაში ჩამოაყალიბა მონისტური ესთეტიკის საფუძვლები ხელოვნების ზოგადი თეორიის სახით, რომელიც მჭიდრო კავშირშია ალეთოლოგიასთან, მთლიანად ემყარება „ალეთოლოგიური რეალიზმის ნიადაგზე მიღწეულ შედეგებს“ და წარმოადგენს ხელოვნების სისტემურ თეორიას.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა იდეოლოგიურმა დიქტატმა შეუძლებელი გახადა ფილოსოფიური კვლევის დამოუკიდებლობა. 1937 წელს შ. ნუცუბიძე იდეოლოგიური ბრალდებით დააპატიმრეს, მაგრამ 1938 წელს ი. სტალინის ჩარევით გაათავისუფლეს. იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა ორიგინალური და სისტემური კვლევები ალეთოლოგიასა და ესთეტიკაში და დაიწყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლა მსოფლიო კულტურაში მისი ადგილის დასადგენად.

ვრცელი ნაშრომით („ქართული ფილოსოფიის ისტორია“, 1956–58) შ. ნუცუბიძემ სცადა ქართული ფილოსოფიის ისტო-

რიის დამოუკიდებელ დისციპლინად დაფუძნება. ამ ნაშრომში განხილულია ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან ახალი დროის ჩათვლით. აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური რუსთველოლოგიური ნაშრომები: „რუსთველის მსოფლმხედველობისათვის“ (1936) და „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947; რუსულ ენაზე).

ნაშრომში „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ (1942, რუსულ ენაზე) შ. ნუცუბიძემ სცადა დიონისე არეოპაგელისა და პალესტინაში V ს-ში მოღვაწე გავლენიანი ქართველი მოაზროვნის, პეტრე იბერის იდენტურობის დასაბუთება. 1952 წელს იგივე დასკვნა გამოიტანა ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა ე. ჰონიგმანმა. ეს მოსაზრება ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის სახელითაა ცნობილი.

შ. ნუცუბიძის კონცეფციის თანახმად, დასავლეთის კულტურის ძირები აღმოსავლეთშია საძიებელი, აღმოსავლური რენესანსი კი საუკუნეებით უსწრებს დასავლურს. ის მოიცავს „ქართული რენესანსის“ ცნებასაც. მის კალამს ეკუთვნის შუა საუკუნეების ქართული პოეზიის შესანიშნავი ნიმუშების მაღალკვალიფიციური თარგმანები. რუსულ ენაზე თარგმნა: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1937), ჩახრუხაძის „თამარიანი“ (1942), იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ (1943) და სხვ.

ფილოსოფიის სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოებზე, რომლებიც შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის, აღიზარდნენ თაობები.

1969 წლიდან თსუ-ის ფილოსოფიის ფაკულტეტზე დაწესდა შ. ნუცუბიძის სახელობის სტიპენდია, მისივე სახელობისაა 107-ე აუდიტორია პირველ კორპუსში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავანეში.



ოკუჯავა ვაჟა (25. II. 1930, თბილისი, – 17. III. 2011, იქვე), ნეიროფიზიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1981), საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1996).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტი (1956). 1961–2000 წლებში ხელმძღვანელობდა პ. სარაჯიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი პ. სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიის ინსტიტუტი) ექსპერიმენტული ნევროლოგიის განყოფილებას. 1967 წელს მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბეტესდაში, სადაც მუშაობდა ნევროლოგიურ დაავადებათა და ინსულტის ინსტიტუტში. 1973–1975 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, 1975 წლიდან – საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1975–89), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, 1975–80 წლებში – მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 1978–88 წლებში სათავეში ჩაუდგა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი ი. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი)

უჯრედის ფიზიოლოგიის, პათოლოგიისა და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიას, 1980–85 წლებში – თსუ-ის რექტორი, 1985 წლიდან – ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე, 1993–97 წლებში – სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის (ახლანდელი ფ. თოდუას კლინიკა) ნევროლოგიური ელექტროდიაგნოსტიკის განყოფილების გამგე, 2000–06 წლებში – ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი. 1998 წელს იყო ევროპის ეპილეფსიის აკადემიის (EUREPA), 1962 წელს კი – ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი.

ვ. ოკუჯავა სამეცნიერო ნაშრომებსა და მონოგრაფიებში იკვლევდა თავის ტვინის ნერვული უჯრედების ბიოფიზიკურ თვისებებსა და ელექტრული აქტივობის ბუნებას, თავის ტვინის ეპილეფსიური აქტივობის ნატიფ ნეირო-ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, ნეირო-ფარმაკოლოგიური ნივთიერებების ბუნებას, ადამიანისა და ცხოველების ძილ-ღვიძილის ციკლის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს და სხვ.

1981 წელს მიენიჭა ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია. 1999 წელს თეირანში გადაეცა ხვარაზმის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია, მიღებული აქვს აგრეთვე სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ონიანი თენგიზ (25. VI. 1928, სოფ. სასაში, ახლანდელი ლენტეხის მუნიციპალიტეტი, – 22. VI. 2012, თბილისი), ბიოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1971), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1967).

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1954–58 წლებში იყო თსუ-ის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი, 1958–61 წლებში – ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი, 1961–68 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1968 წლიდან – ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 1975–80 წლებში – დირექტორი, 1980 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიომედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

თ. ონიანის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევები საფუძვლად დაედო საქართველოში ძილის მედიცინის განვითარებას. მიღებულმა სამეცნიერო შედეგებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ძილის ფენომენოლოგია, წარმოდგენები ძილის ფაზათა ნეირობიოლოგიურ მექანიზმებსა და ფუნქციებზე ნორმისას და სხვადასხვა პათოლოგიის დროს. მან დააფუძნა ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია, 1980 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის (შემდგომში – ფიზიოლოგიისა და მედიცინის) განყოფილებას.

თ. ონიანის წვლილი მოტივაციურ-ემოციური რეაქციების

ნეიროფიზიოლოგიის, ძილის ფენომენოლოგიის, ძილ-ღვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმებისა და ფუნქციური დანიშნულების, ძილის დარღვევათა პათოფიზიოლოგიის კვლევაში ასახულია მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში. ავტორია სამი მონოგრაფიის: „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგია“ (1965), „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოში“ (1970), „ლიმბრული სისტემის ინტეგრაციული ფუნქცია“ (1976).

1995–99 წლებში იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, IBRO-ს ასოციაციის, უნგრეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების საპატიო, ძილის შემსწავლელი ევროპის და მსოფლიოს ასოციაციების წევრი.

მიღებული აქვს ი. თარხნიშვილისა (1966) და ივ. ბერიტაშვილის (1983) სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი (1998).



ონიაშვილი ოთარ (13. V. 1915, თბილისი, – 14. VIII. 1968, იქვე), სამშენებლო მექანიკის დარგის მეცნიერი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1955), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1964).

დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი (1935). მუშაობდა მოსკოვისა და თბილისის საპროექტო დაწესებულებებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში (1936–44). 1944 წლიდან უმთავრესად სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა; იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკისა და კონსტრუქციების განყოფილების გამგე (1947 წლიდან).

ო. ონიაშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეხება გარსების დინამიკასა და სეისმომედეგობას. მან ფუძემდებლური წვლილი შეიტანა ამ დარგის განვითარებაში; საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე გარსთა ტექნოლოგიური თეორიის ქართულ სკოლას. ხელმძღვანელობდა კვლევით სამუშაოებს თაღოვანი კაშხლების გაანგარიშებისა და კიდულ სისტემათა თეორიაში.

იყო სივრცითი კონსტრუქციების საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასკომის წევრი, ბრიტანული გამოცემის, „მყარი სხეულის მექანიკის მიღწევების“ სარედაქციო კოლეგიისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



პავლიაშვილი სოლომონ (დ. 24. VIII. 1959, სოფ. კაკაბეთი, ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი, იურისტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2021), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2013).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა (1982) და იურიდიული (1999) ფაკულტეტები. იყო თსუ-ის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის კათედრის ასისტენტი (1982–84), 1986 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, სოციალური დაზღვევის ინსპექციის უფროსი (1993–99), საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2004); პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1999–2001), საქართველოს ქონების მართვის მინისტრი (2001–03), ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე (2003–04), თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი (2011–16); საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მთავარი მრჩეველი, პირველი მოადგილე და მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (2016–17). 2017 წლიდან არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

2025 წლიდან არჩეულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ს. პავლიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 19 მონოგრაფია და ასზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის, აგრარული მეცნიერებების, გარემოს დაცვის, „მწვანე“ ეკონომიკის, ცირკულარული ეკონომიკის, გეოპოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ნაშრომები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში.

მიღებული აქვს პ. გუგუშვილის (2019) და პ. ჟღენტის (2024) სახელობის სამეცნიერო პრემიები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედალი (2023), საპატიო გარეჯელის ჯილდო (2024) და სხვ.

არის მესტიის (2023), ლენტეხისა (2024) და ბათუმის (2025) საპატიო მოქალაქე.



პაპავა ვლადიმერ (დ. 25. III. 1955, თბილისი), ეკონომისტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1995), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით (1977). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს (1977–79), უფროს, წამყვან და მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (1982–91), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად (1991–96), სამეცნიერო ხელმძღვანელად (1996–2000), მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (2008 წლიდან). იყო თსუ-ის პროფესორი (1990–96; 2014 წლიდან), საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე (2000–01), საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2001–25), თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე (2003–05), საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი (2004–08), თსუ-ის რექტორი (2013–16). 2023 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე (1995).

ვ. პაპავა ავტორია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა (მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების), რომლებიც ეძღვნება გამოყენებითი ეკონომიკის, ეკონომიკური განვითარების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, პოსტკომუნისტური ეკონომიკის, გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის თეორიულ და გამოყენებით საკითხებს. მან დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი არის წარმოების მე-5 ფაქტორი, ხოლო ირიბი გადასახადები – შესაბამისი ფაქტორული შემოსავალი. ქართველი მეცნიერის ეს შედეგი ასახულია „გამოყენებითი ეკონომიკის“ ცნობილ ბრიტანულ სახელმძღვანელოში, რითაც აღიარებულია მისი წვლილი ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების თეორიული საფუძვლების განვითარებაში; ჩამოაყალიბა ნეკროეკონომიკის თეორია, როგორც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტეკონომიის საფუძველი, ასევე – რეტროეკონომიკის თეორია, საბაზრო თანასწორობის დოქტრინა; გამოყო და დაასაბუთა ადამიანის ახალი ტიპების – ჰომო ტრანსფორმატიკუსისა და ზომბი ეკონომიკუსის (მათგან პირველი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის, ხოლო მეორე ზომბი ეკონომიკის მთავარი შემოქმედია) არსებობა ეკონომიკაში; შემოიღო ინფლაციის გაზომვის არატრადიციული მაჩვენებლები და მისი კომპლექსური განვითარების რეჟიმი (ვ. ჭარაიასთან ერთად); შექმნა საგადასახადო კორუფციის ინდექსები, სანქციონომიკის თეორიის საფუძვლები; ააგო ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდები, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მკვეთრი ზრდის ეფექტის ზეგავლენის გამორიცხვის გზით; საფუძველი ჩაუყარა ლაფერ-კეინზიანურ სინთეზს (შემდგომში განავითარა ი. ანანიაშვილთან ერთად); შეიმუშავა ცენტრალური კავკაზიის (ამ რეგიონს ქმნის ცენტრალური აზიისა და ცენტრალური კავკასიის ქვეყნები) გეო-

პოლიტიკური და გეოეკონომიკური კონცეფციები. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე.

ვ. პაპავა არის არაერთი უცხოური და საერთაშორისო აკადემიის, საზოგადოებისა და ასოციაციის წევრი, მ. შ. საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის ნამდვილი წევრი (2024), დიდი ბრიტანეთის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების საპატიო წევრი (2025 წლიდან). საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ მინიჭებული აქვს საპატიო დოქტორის წოდება.

მიღებული აქვს ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია (2008) და სხვა ჯილდოები. მის მეცნიერულ მოღვაწეობას ეძღვნება ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნები: Greer N. P. (ed), „Vladimer Papava“, Beau Bassin, 2012; Russell J., Cohn R., „Vladimer Papava“, Edinburgh, 2012.



პაპუნიძე ვანო (დ. 10. II. 1940, სოფ. ზენდიდი, ახლანდელი ქედის, მუნიციპალიტეტი), სატყეო ეკოლოგიის დარგის მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1991). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2020; წევრ–კორესპონდენტი – 2001), საქართველოს დამსახურებული მეტყევე (1988).


დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი საინჟინრო განხრით (1965). მუშაობდა ქედის რაიონის კოლმეურნეობაში (1957–61); გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის სატყეო-საპროექტო საწარმოში ტექნიკოსად (1965–66); თბილისის სატყეო ინსტიტუტში (1970–76). სხვადასხვა თანამდებობაზე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1974–76). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში – იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1976–89), დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (1989–91), დირექტორი (1991–2006), მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის განყოფილების გამგე (2006–08), დირექტორის მოადგილე (2008–10). 2009 წლიდან ხელმძღვანელობს აჭარის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს, არის შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (1992 წლიდან).

ვ. პაპუნიძის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: სატყეო ეკოლოგია, ბუნების დაცვა, მერქნიან მცენარეთა ბიოეკოლოგია, დეკორატიული მებაღეობა. შესწავლილი აქვს საქართველოს ცალკეული რეგიონების ტყის

მცენარეულობის ზრდა-განვითარების ეკოლოგიური პირობები და კორომის ბიოლოგიური პროდუქტიულობა; უმეტესად გავრცელებული ტყის ტიპების სამეურნეო ჯგუფებში განახლების პროცესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები; მთის ტყეების ძირითადი ეკოლოგიური ფუნქციები (წყალდაცვითი, წყალშენახვითი, ნიადაგდაცვითი, ბალნეოლოგიური, ეროზიისა და ზვავსაწინააღმდეგო, აგროსატყეო-სამელიორაციო და სხვა); ტყის მეურნეობისა და დეკორატიული მებაღეობისათვის პერსპექტიული ეკზოტების ბიოლოგიური თავისებურებები და სეზონური განვითარების რიტმი; დეგრადირებული ტყის კორომების აღდგენისა და სატყეო მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზები (მოვლითი და მთავარი სარგებლობის ჭრა, სწრაფმოზარდი ჯიშებისაგან სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნა, განოყიერება და ა.შ.) თანამედროვე ტექნოლოგიისა და ტექნიკის გამოყენებით.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).



ჟიჟიაშვილი ლევან (12. III. 1934, სოფ. ხორხი, ახლანდელი დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 4. XII. 2006, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1974).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1956). იყო თსუ-ის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის პროფესორი (1968 წლიდან), აღნიშნული კათედრის გამგე (1978 წლიდან); თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1972–78).

ლ. ჟიჟიაშვილს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული მრავალგანზომილებიან ჰარმონიულ ანალიზში, ფუნქციათა თეორიასა და ფუნქციონალურ ანალიზში; აღსანიშნავია მის მიერ მრავალგანზომილებიან ჰარმონიულ ანალიზში დადგენილი მრავალი ცვლადის შეუღლებულ ფუნქციათა არსებობისა და ინტეგრირების პირობები, ფურიეს ჯერადი და მათი შეუღლებული მწკრივების თანაბრად კრებადობისა და თანაბრად შეჯამებადობის საბოლოო სახის საკმარისი პირობები. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და ხუთი მონოგრაფია, მათ შორისაა გამომცემლობა „კლუვერში“ დაბეჭდილი წიგნი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების აქტუალურ პრობლემებზე..

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჟორდანია ირაკლი (17. IX. 1931, თბილისი, – 28. IV. 2018, იქვე), ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი (2015–18).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) საინჟინრო ფაკულტეტი (1955). მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში: იყო მუშა, ოსტატი, ცვლის უფროსი, ინჟინერ-მკვლევარი, საამქროს უფროსი, ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი (1955–76). ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა მოსკოვის მეტალურიული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში (1965–69). იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე (1976–80), ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მადგილე (1980–85), თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1985–89), სტუ-ის ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის პროფესორი (1985–96); საქართველოს მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში – ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, დირექციის კონსულტანტი (1989–2018); საქართველოს მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების მინისტრი (1990–93); საქართველოს ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგის“ პრეზიდენტი (1996–2002), ამასთანავე რუს-

თავის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი (1997–2005); სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2006–18). 2018 წლიდან ეს ცენტრი ი. ჟორდანიას სახელს ატარებს.

იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (1990), რომლის ხელმძღვანელობით 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები საქართველოში.

ი. ჟორდანიას ძირითადი ნაშრომები ეხება მეტალურგიული პროცესების პარამეტრების დადგენას, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიის დახვეწას, შესაბამისი მანქანა-დანადგარების გამართვასა და გაუმჯობესებას. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის 20 მონოგრაფია.

მიღებული აქვს ლენინური პრემია (1962) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჟღენტი ვლადიმერ (2. XI. 1891, სოფ. ფიჩხისჯვარი (ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 24. VII. 1972, თბილისი), პათოლოგანატომი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1925), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950; წევრ-კორესპონდენტი – 1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941). პათოლოგიური ანატომიის ფუძემდებელი საქართველოში.

1914 წელს დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1922–72 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პათანატომიის კათედრის გამგე; მან თსუ-ში სამკურნალო ფაკულტეტზე დააარსა სასამართლო მედიცინის კათედრა (1925), პათოლოგიური ანატომიის კათედრები ზოოვეტერინარულ (1932–46) და თბილისის ექიმთა დახელოვნების (1935–47) ინსტიტუტებში, რომელთაც თვითონვე განაგებდა. 1932–59 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1945 წლიდან – პრორექტორი), 1954–58 წლებში – საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; დააარსა საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოება და იყო მისი პირველი თავმჯდომარე (1943–72; ვ. ჟღენტის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებას მისი სახელი მიენიჭა).

ვ. ჟღენტმა შეისწავლა ინფექციური სნეულებები, ონკოლოგიის, კარდიო-ანგიოპათოლოგიის, გერონტოლოგიის, ასევე საქართველოს უმაღლესი სამედიცინო განათლებისა

და მედიცინის ისტორიის საკითხები; ქართულ ენაზე შეადგინა პათოლოგიური ანატომიის პირველი სახელმძღვანელოები – ზოგადი პათოლოგიური ანატომია (1956), ავადმყოფობათა სტრუქტურული საფუძვლები (1968), პათოლოგანატომიური სექციის ტექნიკა (1959), ინფექციურ სნეულებათა პათოლოგიური ანატომია (1961).

ვ. ჟღენტი იყო ჟურნალ „Архив патологии-ის“ და სხვა საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



საბაშვილი მიხეილ (7. VIII. 1900, ბათუმი, – 9. VII. 1979, თბილისი). ნიადაგმცოდნე. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1926 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად სტუ) აგრონომიის ფაკულტეტი. 1930–42 წლებში მუშაობდა სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითსა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში. 1936–45 და 1962–68 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე, 1946–50 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, 1946–58 წლებში – იქვე აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიური განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

მ. საბაშვილმა შეისწავლა საქართველოს ნიადაგების გენეზისი, გავრცელება, კლასიფიკაცია, აგროსაწარმოო მაჩვენებლები, თეორია და პრაქტიკული საკითხები. მისი ხელმძღვანელობით შედგენილია სხვადასხვა მასშტაბის ნიადაგური რუკები. 1981 წელს საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიენიჭა მ. საბაშვილის სახელი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



სადუნიშვილი თინათინ (დ. 22. XII. 1952, თბილისი), ბიოქიმიკოსი, ბიოტექნოლოგი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2015; წევრ-კორესპონდენტი – 2009), აკადემიკოს-მდივანი (2019), მეცნიერებათა მსოფლიო აკადემიის (TWAS) წევრი (2021). საქართველოს ეროვნული პრემიის ორგზის (2022, 2020) ლაურეატი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1995), პროფესორი (1996).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი (1975), თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტის სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები (1987), იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის საერთაშორისო სწავლების დეპარტამენტის ბიოტექნოლოგიისა და კვების ტექნოლოგიის კურსები (1996).

მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში (ახლანდელი ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი) უფროს ლაბორანტად (1974–78), უმცროს (1978–85), უფროს (1986–94) და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად (1994–96); აზოტის ასიმილაციისა და ფიქსაციის ფერმენტების ლაბორატორიის (2011 წლიდან გადატანილია აგრარულ უნივერსიტეტში) ხელმძღვანელად (2005). იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის კათედრის პროფესორი (1994–2004), მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1996–2005); აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2013); ე. ლორანდის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) მიწვეული

პროფესორი (1987–88); შანდუნის (ჩინეთი) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (2015).

თ. სადუნიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა აზოტის შეთვისება და მეტაბოლიზმი მცენარეებში; ამონიუმის პირველადი ასიმილაცია; აზოტისა და ენერგეტიკული ცვლის ფერმენტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, კინეტიკა და რეგულაცია; ამონიუმის პირველადი ასიმილაციისა და ჭარბი ამონიუმის დეტოქსიკაციის გზები უმაღლეს მცენარეებში; მცენარის უჯრედის ჰომეოსტაზი და რეორგანიზაცია გარემოს დამაბინძურებელი ტოქსიკანტების გავლენით; მცენარეთა ადაპტაციის მექანიზმები, მცენარეთა ბაქტერიული დაავადებები, მათი გამომწვევების მორფოლოგიური და გენეტიკური მრავალფეროვნება; ფიტოპათოგენური ბაქტერიების ვირუსები – აღმოჩენილია ახალი უნიკალური გენომის მქონე ბაქტერიული ვირუსი, რის საფუძველზეც ვირუსების ტაქსონომიის საერთაშორისო კომიტეტმა შემოიღო ახალი ტაქსონი – გვარი Dibbivirus, რომელიც დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ინგლისური დასახელების აბრევიატურაა, და სხვ.

არის საერთაშორისო სემინარების, კვლევებისა და პროგრამების მონაწილე და ხელმძღვანელი; აზიის მეცნიერებათა აკადემიებისა და საზოგადოებების ასოციაციის (AASSA), ასევე მეცნიერების და ინჟინერიის ქალთა სპეციალური კომიტეტის (WISE) წევრი (2017); საქართველოს ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაციის თანადამფუძნებელი (2018); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“, აგრეთვე „Journal of Agrarian Science“-ის სარედაქციო საბჭოსა და არაერთი საერთაშორისო საზოგადოების წევრი; მრავალი საპატიო სიგელისა და მედლის მფლობელი.



სალუქვაძე მინდია (3. V. 1933, თბილისი, – 31. XII. 2018, იქვე), მართვის პროცესების დარგში მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი (1980), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993, წევრ-კორესპონდენტი – 1983), გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1994 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1979, 2004).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1955). მუშაობდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად (1955–57); 1957 წლიდან – ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ახლანდელი ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტი) ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1964–67), ლაბორატორიის ხელმძღვანლად (1967–71), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1971–81), დირექტორად (1981–2006), მთავარ მეცნიერ თანამშრომლად და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ (2007–18).

მ. სალუქვაძის სამეცნიერო ნაშრომები ეხება ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანებს, ავტომატური სისტემების მართვის თეორიას. სამეცნიერო ლიტერატურაში შესულია ტერმინები „სალუქვაძის მეთოდი“, „სალუქვაძის ამოხსნა“, „სალუქვაძის პრინციპი“, „სალუქვაძის ოპტიმუმი“. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. 8 მონოგრაფია (აქედან 2 გამოქ-

ვეყნებულია აშშ-ში) და 5 სახელმძღვანელო (თანაავტორებთან ერთად).

იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990–91), ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალის“ (2001 წლიდან – საპატიო თავმჯდომარე) და საქართველოს „ჩოხოსანთა“ საზოგადოების (1997–2018) თავმჯდომარე.

მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1998), ღირსების ორდენი (1998), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2019; გარდაცვალების შემდეგ) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



სალუქვაძე რევაზ (15. IX. 1929, თბილისი, – 22. X. 2000, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1981), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1952), მუშაობდა იქვე ლაბორანტად (1952–54); იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის (ახლანდელი ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი) უფროსი მეცნიერი მუშაკი (1954–57), უფროსი ინჟინერი (1957–62). ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის (ქ. დუბნა, რფ) ბირთვული პრობლემების ლაბორატორიაში, სადაც გამოჩენილი მეცნიერის ბ. პონტეკორვოს ხელმძღვანელობით მონაწილეობდა ბუშტოვანი კამერის შექმნაში, იქვე განახორციელა ექსპერიმენტები ამ კამერაში სინქროტრონიდან მიღებულ ელექტრონულ ნაკადზე (1952–59). იყო თსუ-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის განყოფილების გამგე, მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი და დეკანი (1962–74), – სოხუმის (1985 წლიდან ი. ვეკუას სახელობის) ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი (1974–93); აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ტექნიკური ფიზიკის კათედრის გამგე (1979–85), აგრეთვე სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატი (1989–91); საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990–91) – ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

რ. სალუქვაძის გამოკვლევები ეხება მაღალი ენერგიების ფიზიკას და ბუშტოვანი კამერების ტექნიკას. გამოიკვლია მაღალი ენერგიების პი-მეზონების ურთიერთქმედება ნახშირბადის ატომბირთვებთან და დაადგინა ბირთვული რეაქციების ზოგიერთი ახალი კანონზომიერება. ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, მ.შ. მონოგრაფიის და 30 გამოგონების. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სამუშაოთა ციკლისთვის „ნანო- და მიკროწამის ხანგრძლივობის სუსტად რელატივისტური და დიდი დენების ელექტრონების ამაჩქარებლის დამუშავება“ მიენიჭა სახელმწიფო პრემია (1985, ჯგუფთან ერთად). იყო საერთაშორისო ბირთვული სამეცნიერო საზოგადოების წევრი (1986).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1995), პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1979) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



სამსონია შოთა (24. I. 1941, თბილისი, – 3. IV. 2022, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001), ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2018–20).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი (1963). მუშაობდა დ. მენდელეევის სახ. მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1964–67), თსუ-ის ორგანული ქიმიის კათედრაზე სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო დოცენტი (1970–77), პროფესორი, კათედრის გამგე (1978–90); ორგანული და ბუნებრივი ნაერთების ქიმიის კათედრის გამგე (1990–2006); ორგანული სინთეზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი (1987–2005); ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ქიმიის მიმართულებით (2006–07); სრული პროფესორი, ორგანული ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი (2006–22).

მ. სამსონიას სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს ჰეტეროციკლური, ბიოლოგიურად აქტიური და ბუნებრივი ნაერთების ქიმიას; ნავთობქიმიურ სინთეზს და პოლიპეპტიდების ქიმიას.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის 28 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. არის 18 პატენტის მფლობელი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1980), ღირსების მედალი (1998) და ღირსების ორდენი (2013).



სამუშია ჯაბა (დ. 15. VIII. 1971, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1994). ამავე წლიდან მუშაობს თსუ-ში ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელად (1994–2006), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორად (2006–11), ასოცირებულ (2011–12) და სრულ პროფესორად (2018 წლიდან). 2022 წლიდან არის თსუ-ის რექტორი.

თბილისის საკრებულოში იყო თავმჯდომარის მოადგილე (2011–12), ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (2014–17), შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე (2018–20), გენერალური დირექტორი (2020–22).

ჯ. სამუშიას კვლევის სფეროა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია. მისი მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები ეძღვნება ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს, ქართულ დიპლომატიას, სამხედრო ისტორიას, თბილისის ისტორიას, ქართულ ციხესიმაგრეებს, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას [ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (1999), ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი (XI–XII სს.), გენეალოგი-

ური ნარკვევი (2003), ბაგრატ III (სერია „დიდი ქართველები“, 2012), ძველი თბილისი, ისტორიული ნარკვევი (2012) და სხვ.].

არის მნიშვნელოვანი გამოცემების ავტორი და სახელმძღვანელოების თანაავტორი. ხელმძღვანელობდა საგრანტო-სახელშეკრულებო პროექტებს: „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“ (2014–17), „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“ (30 ტომად 2014–17), „ქართველი მეფეები“ (24 ტომად; 2018 წლიდან), მონაწილეობდა მედია პროექტებში, არის ჟურნალ „ისტორიანის“ დამაარსებელი (2010) და მთავარი რედაქტორი.

მიღებული აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიგელი (2003); ვარშავის უნივერსიტეტის მედალი (2015), სამუზეუმო ჯილდო „ბროლის აპოლონი“ (2016).



სანაძე გივი (30. VII. 1929, თბილისი, – 11. I. 2021, იქვე). ბიოლოგი. მცენარეთა ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1979).

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1959 წელს დაასრულა ასპირანტურა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კ. ტიმირიაზევის სახ. მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (მოსკოვი). 1953–61 წლებში მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1961–68 წლებში – უფროს მეცნიერ თანამშრომელად. 1968–82 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრას.

1973–2006 წლებში იყო თსუ-ის ფოტოსინთეზის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, 1983 წლიდან – იქვე მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე; 1988–2000 წლებში ეკავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა.

გ. სანაძემ 1957 წელს აღმოაჩინა „იზოპრენის ეფექტი“ – მცენარის უნარი, სინათლეზე გამოყოს მსუბუქი ნახშირწყალბადი და ტერპენოიდები, უპირველეს ყოვლისა, იზოპრენი. ამ აღმოჩენამ შემდგომში პრაქტიკული გამოყენება პოვა – 2008 წელს აშშ-ში აშენდა პირველი რეაქტორი იზოპრენის, როგორც ენერგიის წყაროს, მისაღებად. 1978 წელს აშშ-ის სამეცნიერო საზოგადოებამ გ. სანაძე წარადგინა ნობელის პრემიაზე.

მის სამეცნიერო პუბლიკაციებში აღწერილია მცენარეთა მიერ აქროლადი ორგანული ნივთიერებების გამოყოფა, იზოპრენის ბიოსინთეზი, ფოთლების მიერ სინათლეზე მისი გამოყოფა და სხვ. იყო ჟურნალ „Russian Journal of Plant Physiology“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1949 წელს მიღებული აქვს საკავშირო სამეცნიერო პრემია (მცენარეთა ორგანოთწარმოქმნაში ულტრაიისფერი სხივების როლის შესწავლისთვის).

2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.



სანაძე თენგიზ (30. I. 1930, თბილისი, – 15. XII. 2011, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1971), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2002; წევრ-კორესპონდენტი – 1974).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1953) და იქვე დაიწყო მუშაობა: იყო დაბალი ტემპერატურების ლაბორატორიისა (1959–60) და რადიოფიზიკის კათედრის (1960–2005) გამგე, ამავე კათედრის პროფესორი (2005–06), ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი (1973–76), აგრეთვე ახლად შექმნილი ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე (1966–71).

თ. სანაძის ნაშრომები ეხება ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის საკითხებს. 1954 წელს ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა ლებედევის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში (მოსკოვი), სადაც ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ა. პროხოროვის ხელმძღვანელობით აითვისა ზემაღალი სიხშირეების ტექნიკა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ააწყო ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრი. ასევე შექმნა დაბალტემპერატურული რეზონატორი – ლითონის კრიოსტატი თხევადი წყალბადისა და თხევადი ჰელიუმის ტემპერატურაზე სამუშაოდ.

მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომები ეხებოდა დაბალ ტემპერატურებზე ლანთანიდების ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრების შესწავლას მონოკრისტალებ-

ში. შემდგომ წლებში გამოიკვლია ურანისა და ლანთანიდების ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრების რელაქსაციური პროცესები დაბალ ტემპერატურაზე, შემდეგ კი აღმოაჩინა დისკრეტული გაჯერების მოვლენა, რომელიც გამოწვეული იყო პარამაგნიტური ცენტრის გარემომცველი ბირთვების ზენაზი ურთიერთქმედებით. ამ მოვლენის მექანიზმის ახსნასა და თეორიულ გაანალიზებას პროფ. გ. ხუციშვილთან ერთად დაეთმო მომდევნო ნაშრომები. ამის შემდგომ გზა გაეხსნა დისკრეტული გაჯერების იმპულსურ სპექტროსკოპიას, რამაც შესაძლებელი გახადა ელექტრონულ პარამაგნიტურ რეზონანსში ურთულესი ზენაზი სტრუქტურების ახსნა. 1972 წელს თ. სანაძემ თანამშრომლებთან ერთად აღმოაჩინა რადიოსიხშირული ველის იმპულსის გავლენა დისკრეტული გაჯერების სპექტრზე – ე.წ. რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერება, რაც ელექტრონული და ბირთვული ორმაგი რეზონანსის იმპულსური ანალოგიაა. ამ აღმოჩენამ ხელი შეუწყო რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერების სპექტროსკოპიის განვითარებას. 2000 წელს ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის საერთაშორისო საზოგადოებამ თ. სანაძეს მიანიჭა FELLOW-ის ტიტული, რაც ამ დარგის უმაღლესი შეფასებაა. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს თსუ-ის პირველი პრემია (1968; ბ. ბერულავასთან ერთად), პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1970; გ. ხუციშვილთან ერთად) და ღირსების ორდენი (1998).



სეხნიაშვილი ემილ (3. VIII. 1924, თელავი, – 21. XII. 1992, თბილისი), სამშენებლო მექანიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1974), აკადემიკოს-მდივანი (1981–88), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982).

დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (1946). წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1956 წლიდან); 1961 წლიდან მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში: იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკის კათედრის გამგე (1972–92); კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი (1988–90).

ე. სეხნიაშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეხება რხევათა თეორიას, ნაგებობათა დინამიკასა და სეისმომედეგობას, წინასწარ დაძაბული და მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების წინაღობას და ტექნოლოგიას. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



სვანიძე გივი (20. IX. 1921, სოფ. ცხუკუშერი, ახლანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტი, – 10. VIII. 1999, თბილისი), ჰიდროლოგი და ჰიდროტექნიკოსი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1981), სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1981), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1981).

დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით (1944). მუშაობდა ტრესტ „ჰიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილებაში (1944–17) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში (1946 წლიდან). იყო წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების განყოფილების გამგე (1958–1971); იმავდროულად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად (1952–60), აგრეთვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორად (1967–70). 1971 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგე, 1976 წლიდან გარდაცვალებამდე – სსრკ-ის ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის რეგიონული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

გ. სვანიძე თანამედროვე სტოქასტიკური ჰიდროლოგიის

ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისმა გამოკვლევებმა ჰიდროლოგიური პროცესების მოდელირების დარგში დასაბამი მისცა ახალ სამეცნიერო მიმართულებას მდინარეული ჩამონადენის რეგულირების თეორიაში. გამოკვლევები აქვს ჰიდროფიზიკაში, წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და ჰიდროენერგეტიკის დარგში.

გ. სვანიძემ შეადგინა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, ენგურჰესის მაღლივი კაშხლის, ჟინვალჰესისა და სხვ. პირველადი სქემები.

მის მიერ დამუშავებული მეთოდები ფართოდაა გამოყენებული ანგარა-ენისეისა და ენგურის ჰესების კასკადების დაპროექტების, აგრეთვე მინგეჩაურის, ბუქთარმისა და სხვა ჰესების საექსპლუატაციო გეგმების შედგენის დროს.

გ. სვანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომი „საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება“ (1960–61, ტ. 1–10) და „მდინარე ბზიფის ჰიდროლოგია“ (1981).

ხელმძღვანელობდა მეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გზით ატმოსფერული ნალექების ხელოვნური სტიმულირების სამუშაოებს, კოლხეთის დაბლობის დაშრობით შესაძლო კლიმატური ცვლილებების პროგნოზირების საქმეს. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1980 წლიდან).

მიღებული აქვს თსუ-ის პ. მელიქიშვილისა (1972) და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი (1996) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



სილაგაძე ავთანდილ (დ. 5. II. 1954, ცაგერი), ეკონომისტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1992), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტი (1977) და სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (1988, ახლანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). იყო თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1982–86), დეკანი (1986–92), საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე (1992), საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი (1992–98), საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი (2004–08); თსუ-ის პრორექტორი (1998–2005), თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის (შემდგომში უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯია“) სრული პროფესორი (2009–13), თსუ-ის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი (2004–06; 2014 წლიდან).

ა. სილაგაძე არის განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის წევრი (აშშ, კალიფორნია, 1996), რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ მეცნიერებათა და სამეწარმეო საქმიანობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1997), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2022), თსუ-ის აკადემიური

(2016–24), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (2015–16), საქართველოს განვითარების ფონდის სამეთვალყურეო (2022) საბჭოების წევრი; ეროვნული („ეკონომიკა და ბიზნესი“ – თსუ, „ეკონომიკა“ და „სოციალური ეკონომიკა“ – სტუ, „ეკონომისტი“ – პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი) და საერთაშორისო (Asian Development Policy Review – ZESS; Scientific Bulletin of Mukachevo State University Series „Economics“; The Caucasus & Globalization) ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ა. სილაგაძის კვლევის სფერო მოიცავს გლობალური, გარდამავალი და საერთაშორისო ეკონომიკის, აგრეთვე ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკის ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს და სხვ. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია უცხოეთში.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001), პ. გუგუშვილის (2019), ფ. გოგიჩაიშვილის (2022), ივ. ჯავახიშვილის (2024) სახელობის და თსუ-ის ოქროს (2021) მედლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია (2025).



სილაგაძე აპოლონ (29. V. 1942, თბილისი, – 25. VII. 2017, იქვე), ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1987), პროფესორი (1990), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2015; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1965). 1981–85 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის პრორექტორი; 1986–88 წლებში – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი; 2004–06 წლებში – სემიტოლოგიის კათედრის გამგე, 2006–17 წლებში – ჰუმანიტარული ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1988–92 წლებში – გაზეთ „სახალხო განათლების“ (შემდგომში უზენაესი საბჭოს გაზეთი „ერი“) მთავარი რედაქტორი, 1990–91 წლებში – საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი – ხელი აქვს მოწერილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი), 1992–98 წლებში მუშაობდა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორად. 1998–2004 წლებში იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში, ლიბანის რესპუბლიკასა და იორდანიის ჰაშიმითურ სამეფოში. მინიჭებული ჰქონდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ა. სილაგაძის მეცნიერული ინტერესების სფერო იყო არაბისტიკა, ქართველოლოგია (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა და ლექსთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია).

ავტორია მონოგრაფიებისა: „ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ“ (1987), „უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ“ (1992), „ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა“ (1997), „სასულიერო პოეზიის რიტმული ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი“ (1997), „ახალი მასალები XVIII საუკუნის ეგვიპტის ეპიგრაფიკისათვის“ (2002), „ყურანი, თარგმანი არაბულიდან და კომენტარები ა. სილაგაძისა“ (2009–12), „ახალი არაბული ვერსიფიკაციის ისტორიიდან“ (2009), „ვეფხისტყაოსნის ლექსი და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (2013), „დიგლოსია: არაბული სპეციფიკა“ (თანაავტორი, 2017).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2017).



სოსიაშვილი გიორგი (დ. 22. VI. 1977, სოფ. დიცი, ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი, მწერალი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (2005). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2024).

დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1999), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ასპირანტურა (სპეციალობა – საქართველოს ისტორია, 2003). იყო ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის მასწავლებელი (2001–02), უფროსი მასწავლებელი (2002–06), ასოცირებული პროფესორი (2006–07), გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი (2006–10), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (2007–12), პროფესორი (2012 წლიდან), რექტორი (2010–23); არის თსუ-ის მოწვეული პროფესორი (2016 წლიდან), საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტი (2018 წლიდან); გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი (2010–14; 2021–23), საქართველოს მე-10 და მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი.

გ. სოსიაშვილის სამეცნიერო კვლევის სფეროა შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, შიდა ქართლის სათავადოები, ქართულ-ოსური ურთიერთობები, ევროპელი მოგზაურები საქართველოს შესახებ; არის მრავალი სამეცნი-

ერო ნაშრომის, მ. შ. მონოგრაფიების, აგრეთვე პროზაული კრებულების ავტორი.

მიღებული აქვს „რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის“ მადლობისა (2019) და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო (2019) სიგელები.

არის რ. ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებული.



სოსნოვსკი დიმიტრი [19. VII. 1886, ალექსანდროპოლი, ახლანდელი გიუმრი (ყოფილი ლენინაკანი) სომხეთი, – 20. IV. 1952, თბილისი], ბოტანიკოსი. სისტემატიკოსი და ფიტოგეოგრაფი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950; წევრ-კორესპონდენტი – 1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941).

ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე განაგებდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ჰერბარიუმს (1909), იყო ბაღის მთავარი ბოტანიკოსი (1918), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1933), ამავე ინსტიტუტის დირექტორი (1935–37), მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგე (1937–52). დ. სოსნოვსკის ნაშრომები ეხება კავკასიის მცენარეთა სისტემატიკას, გეოგრაფიული ფლორისტიკისა და ფიტოცენოლოგიის საკითხებს. იყო საქართველოს ფლორის პირველი 8-ტომიანი გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი (1941–52), მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების ერთ-ერთი დამაარსებელი (1938) და რედაქტორი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



სხირტლაძე ნიკოლოზ (25. VIII.1911, სოფ. მრავალძალი, ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტი, – 20. VI. 2006, თბილისი), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1973).

1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) და იქვე დაიწყო მუშაობა. 1960 წლიდან იყო მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, 1951–60 წლებში – საქართველოს ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტის ლითოლოგიის, ხოლო 1978–79 წლებში – ვულკანოლოგიის განყოფილების გამგე.

ნ. სხირტლაძის ნაშრომები ეხება შემდეგ გეოლოგიურ საკითხებს: პალეოვულკანოლოგიას, ფუძე-გაბროიდების პეტროგრაფიას, ლითოლოგიას, მინერალოგიასა და სასარგებლო წიაღისეულს (ბენტონიტური თიხები, ცეოლითები, საშენი მასალები და სხვ.). მან გამოიკვლია და პალეონტოლოგიურად დაათარიღა ძველი ზედაპალეოზური და იურული ვულკანური პროდუქტები. დიდი წვლილი შეიტანა მინერალოგიის დარგში. მან პირველმა საქართველოში აღმოაჩინა იშვიათი მინერალი – პექტოლიტი. არის 170-ზე მეტი ნაშრომის, 9 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ტაბიძე გალაკტიონ (17. XI. 1891, სოფ. ჭყვიში, ახლანდელი ვანის მუნიციპალიტეტი, – 17. III. 1959, თბილისი), საქართველოს სახალხო პოეტი (1933), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944).

1900 წლიდან სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1908 წლიდან – თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1912 წელს ქუთაისში დასახლდა. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. 1917–18 წლებში იმყოფებოდა მოსკოვსა და პეტროგრადში, დაამთავრა მოსკოვის სცენისმოყვარულთა ლიგის ხუთთვიანი სარეჟისორო კურსები. 1918 წლიდან თბილისში დამკვიდრდა. 1922–23 გამოსცა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. არის აგრეთვე ჟურნალ „მნათობის“ (1924) ერთ-ერთი დამაარსებელი. 1928 წელს კომინტერნის VI კონგრესის დელეგატებთან ერთად იმოგზაურა სსრკ-ში. 1935 წელს მონაწილეობდა პარიზის ანტიფაშისტურ კონგრესში.

გ. ტაბიძის შემოქმედების დასაწყისი XX ს. 10-იან წლებზე მოდის (პირველი ლექსები 1908 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ჩვენს კვალსა“ და გაზეთ „ამირანში“). ეს იყო პერიოდი, როცა ლირიკაში განუყოფლად ბატონობდა ა. წერეთლის ავტორიტეტი. გ. ტაბიძემ თვისებრივად ახალ ხარისხში აიყვანა აკაკის პოეტური ვირტუოზობა და ქართულ ლექსს უაღრესად თანამედროვე ჟღერადობა შესძინა.

გამოქვეყნებულმა კრებულებმა – „ლექსები“ (1914) და „არტისტული ყვავილები“ (1919), გ. ტაბიძეს მოუტანა საყოველთაო აღიარება, „გენიალური გალაკტიონისა“ და „პოეტ-

ების მეფის“ სახელი. „მე და ღამემ“, „მთაწმინდის მთვარემ“; „ლურჯა ცხენებმა“, „სილაჟვარდემ...“, „მერიმ“ მკითხველს წარმოუდგინა სრულიად ახლებური პოეტური სამყარო – ქართული ბგერის კეთილხმოვანება, სიტყვის მოქნილობა და საოცარი უნარი რიტმის, ფერის, ტონისა თუ ნახევარტონების გადმოცემისა. ეს იყო რომანტიკული სამყარო, რომელშიც პოეტმა აამეტყველა თავისი დროის ადამიანის განცდები. ამ მხრივ გ. ტაბიძის პოეზია ორგანულად ეფუძნებოდა და აგრძელებდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებით ტრადიციას, რომლის გავლენით გ. ტაბიძის ადრინდელ პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა სიმარტოვის, სულით ობლობის, ტანჯვის მოტივები. მათ მომძლავრებას ხელი შეუწყო უცხოელ რომანტიკოსთა და ფრანგ და რუს სიმბოლისტთა შემოქმედებამაც. ინტენსიური სულიერი ძიებების საფუძველზე გ. ტაბიძეს გამოეკვეთა რწმენა, რომ ტანჯვა-წამების გრძნობა თვითკმარი რამ, ბედნიერებისა და სულიერი ზეობის მიღწევის გზაც არის. სულ მალე კი ამ რწმენის კრახს მოჰყვა სასტიკი დეპრესია და სინამდვილესთან დაბრუნების წინასწარვე განწირული ცდა. გ. ტაბიძისთვის არსებობის ერთადერთი წყარო არის პოეზია, რომელიც არ ემორჩილება სიზმარეული სამყაროს მსწრაფლწარმავლობას და მშვენიერი, სიკეთით სავსე და მარადიულია („ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „ვილანელი“ და სხვ.). ამის პარალელურად გ. ტაბიძის პოეზიაში ვლინდება და შემდგომ სულ უფრო ძლიერდება საპირისპირო ძიების შედეგებიც: სიკეთის, მშვენიერების, ჰარმონიის მიკვლევა არა მხოლოდ შემოქმედების, არამედ სინამდვილის, რეალობის სფეროშიც. აქ იღებს სათავეს ბავშვობის მოგონებები, სოფლისკენ სწრაფვა, ბუნებასთან დაბრუნების მოთხოვნილება, სამშობლოს მშვენიერებისა და, ამავე დროს, უბედური ყოფის ახლებური განცდა („იმ

ატმებს გაუმარჯოს“, „შინდისის ჭადრებს“, „გაგონდება თუ არა“, „ომნიბუსით“, „ყანები“, „მშობლიური ეფემერა“ და სხვ.).

სევდისა და უიმედობის მოტივებს გ. ტაბიძის შემოქმედებაში ასაზრდოებდა მძიმე საზოგადოებრივი ვითარება – 1905–07 წლების რევოლუციის დამარცხების შემდგომი გულგატეხილობის პერიოდი. ეს იყო საფუძველი გ. ტაბიძის პოეზიაში 10-იანი წლების ბოლოს მომძლავრებული ურბანისტული მოტივებისა, რასაც ორგანულად უკავშირდებოდა სოციალური ქაოსისა და მსოფლიო ომის თემები („ტფილისი“, „თეთრი პელიკანი“, „ქრონიკა ერთი დღის“, „კაფეში“, „1914“, „იგი ომია“ და სხვ.) და მომავალ ბრძოლათა მოლოდინის განწყობილება („გადანახული დროშები“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „ნასაკირალთან“). გ. ტაბიძის შემოქმედების ეს მოტივი უცბად გახდა დომინანტური 1917 წლიდან, მის პოეზიაში დამკვიდრდა რევოლუციური რომანტიკა („დროშები ჩქარა“, „რა საჭიროა სიტყვები, მჯერა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „წერილი მეგობრებისადმი“, „კოსმიური ორკესტრი“ და სხვ.).

20-იანი წლების მიწურულისა და 30-იანი წლების დამდეგის მისი ლექსები ყოველდღიურობით საზრდოობს, მრავალი მათგანი პლაკატურობის ნიშნითაც არის აღბეჭდილი და მაინც მის ლირიკაში გამოიკვეთა ახალი წახნაგი – ნაზი, დახვეწილი მელოდიურობა შეცვალა მძაფრმა და მრავალფერმა თემებმა და რიტმებმა („ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „რევოლუციურ საქართველოს“, „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“ და სხვ.). მის ზოგიერთ ქმნილებაში კი საოცარი სინთეზით წარმოდგა ჩვეული ლირიკული სინატიფეც და მგზნებარებაც („პროლოგი 100 ლექსისა“, „ერთხელ საღამოთი“, „არხევს ახალი სოცოცხლის აკვანს“ და სხვ.). ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსთა წიგნი „ეპოქა“ (1928), რომელშიც რევოლუციის შუაგულში მდგარი გმირის განცდებია გადმოცემული.

30-იანი წლების ბოლოს პოეტს ჩამოუყალიბდა მსოფლმხედველობრივი კრედო: საბოლოო სულიერი ზეობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა შემოქმედს შესწევს უნარი სხვებისათვის ისე მიიტანოს თავი სამსხვერპლოზე, სანაცვლო საზღაურს არც ელოდეს. ამან საბოლოოდ განდევნა მისი შემოქმედებიდან მარტოსულობა და 40-იანი წლებიდან შექმნა არაერთი შედევრი („ვარდები“, „უკანასკნელი ლხინი“, „მესხის გამოხედვა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ზღვა ახმაურდა!“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“); იგივე მრწამსია გამოხატული გ. ტაბიძის მეორე მსოფლიო ომისდროინდელ პატრიოტულ ლირიკაში („მამულო, სიცოცხლეო!..“, „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“, „ღრუბლები ძაუგთან“) და შემოქმედების ბოლო წლების მთელ პოეტიკაშიც. მაგრამ მთლიანი აღქმის გარეშე გ. ტაბიძის ლექსის სიდიადის შეცნობა საერთოდ შეუძლებელია. აქ იღებს დასაბამს მისი გამომსახველობითი საშუალებები, სახეთა სისტემა, უჩვეულო, აუხსნელი მუსიკალურობა, მეტრულ-რიტმული სტრუქტურის ნაირგვაროვნობა, რითმის ბუნება, ლექსიკა, ფრაზის წყობა.

გ. ტაბიძის შემოქმედება უკვე რამდენიმე ათეული წელია გადაულახავ მწვერვალად დგას თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ამ ხნის განმავლობაში არ მოსულა არც ერთი პოეტური თაობა, რომელსაც მისი გავლენა არ განეცადოს. მისი დაძლევა მხოლოდ პოეტების მცირე ნაწილმა შეძლო. თანამედროვე ქართულ პოეზიაში გ. ტაბიძის ავტორიტეტი კვლავ განუხრელად ბატონობს.

გ. ტაბიძის ლექსები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი (1950).

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ტატიშვილი ირაკლი (27. II. 1902, დაბა ბაკურიანი, ახლანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტი, – 4. XII. 1980, თბილისი), პათოლოგანატომი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1941), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1960).

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. 1937–48 წლებში განაგებდა თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრას. 1948–59 წლებში იყო მ. წინამძღვრიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათომორფოლოგიის განყოფილების გამგე, 1942–80 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის პროფესორი, 1953–58 წლებში – ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო (1959–61 წლებში – სასწავლო) დარგში, 1961–63 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი, 1948–79 წლებში – საქართველოს მთავარი პათოლოგანატომი, 1972–80 წლებში – საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე; 1976 – 80 წლებში – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე.

ი. ტატიშვილი იკვლევდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის

დაავადებათა მორფოლოგიურ საფუძვლებს, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების და აქტინომიკოზის პათოლოგიის საკითხებს. ფუნდამენტური ნაშრომები აქვს საქართველოს მედიცინის ისტორიასა და სხვა საკითხებზე.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.



უგრეხელიძე მინდია (დ. 19. V. 1942, ქუთაისი) იურისტი. პროფესორი (2012), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022), მიკუთვნებული აქვს უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება (1991).

1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი. 1974 წლიდან იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია. 1963–76 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1975 წლიდან – თსუ-ის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი. 1983 წელს დაინიშნა საქართველოს კპ ცკ-ის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილედ. 1986 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი.

1988–90 წლებში იყო გაზეთ „კომუნისტის“, 1990 წლიდან კი – „ახალი საქართველოს“ რედაქტორი. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. 1990–99 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, 1995 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის კათედრის გამგე (უძღვებოდა ლექციების კურსს სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის, სამართლის პოლიტიკის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის მოდელირების პრობლემებზე), 1997 წლიდან – საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი, 1999–2009 წლებში – ადამიანის უფლებათა ევროპუ-


ლი სასამართლოს პირველი ქართველი მოსამართლე, 2012–17 წლებში – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, 2011 წლიდან – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი. 2021 წლიდან არის საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი.

იყო საქართველოს საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიის წევრი; არის იურისტთა მსოფლიო ასოციაციისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

საქართველოში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია.

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდული პრემია (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია (1991), ღირსების ორდენი (1999), მერაბ კოსტავას ფონდის ვახტანგ VI-ის სახელობითი პრემია (2017), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თ. წერეთლის სახელობის პრემია (2020).

არის ოსტინის (1991), ჰიუსტონის (1991), პასადენას (1996) და თბილისის (2022) საპატიო მოქალაქე.



უზნაძე დიმიტრი (2. I. 1887, სოფ. ქვედა საქარა, ახლანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 9. X. 1950, თბილისი), ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1931), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941). მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების დამაარსებელი (1927).

1909 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, სადაც ფსიქოლოგიას ეუფლებოდა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, ვ. ვუნდტის ხელმძღვანელობით. იმავე წელს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება ნაშრომისათვის „ვ. სოლოვიოვი – მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“ (ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტი, გერმანია); 1913 წელს ექსტერნად დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის (უკრაინა) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულეტეტი ისტორიის განხრით.

XX ს. 10-იან წლებში დ. უზნაძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, 1917–19 წლებში კი – საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომაზე ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“.

1909–18 წლებში მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ხოლო ფსიქოლოგიასა და ლოგიკას – ეპარქიულ სასწავლებელში. 1912 წელს გამოსცა „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“, რომელმაც ფაქტობრივად სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას – ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას. 1915 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ქალთა ქართული სკოლა „სინათლე“, რომლის დირექტორი თავად იყო. ამ პერიოდში მრავალი წერილი გამოაქვეყნა ესთეტიკის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკითხებზე. შექმნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები მსოფლიო ისტორიაში.

დ. უზნაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ, 1918) ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი (1918–50) და მის მიერვე დაარსებული ფსიქოლოგიის კათედრისა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორიის გამგე, 1933–42 წლებში – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფსიქოლოგიის კათედრის პირველი გამგე. 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დ. უზნაძემ დააარსა ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 წელს გარდაიქმნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტად.

დ. უზნაძე იყო საქართველოში შრომის, ბავშვთა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. შვეიცარიელმა ფსიქოლოგებმა ჟ. პიაჟემ და მ. ლამბერსიესმა ჯერ კიდევ დ. უზნაძის სიცოცხლეშივე, 1944 წელს გამოაქვეყნეს ნაშრომი, სადაც განხილული იყო ქართველი მეცნიერის კვლევის შედეგები აღქმის ილუზიების სფეროში. მათ დ. უზნაძის მიერ სხვადასხვა გრძნობად მოდალობაში აღმოჩენილ ილუზიებს, რომელთაც საფუძვლად უდევს ფიქსირებული განწყობა,

„უზნაძის ეფექტი“ უწოდეს, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს განწყობის ექსპერიმენტულ მეთოდს.

დ. უზნაძის და მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა გამოკვლევების შედეგად განწყობის „მცირე თეორია“, რომელშიც განწყობის, როგორც ფსიქიკური ფენომენის, თავისებურებებს შეისწავლიდნენ, გადაიქცა ზოგადფსიქოლოგიურ დიდ თეორიად, რომელიც ადამიანის აქტივობის ძირითად ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს შეისწავლის.

დ. უზნაძის ფუნდამენტურ ნაშრომებს შორის ფსიქოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა მონოგრაფიებმა: „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (1925), „ზოგადი ფსიქოლოგია“ (1940), „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ (1949).

1939 წელს სკანდინავიაში ჟურნალ „Acta Psychologia“-ში გამოქვეყნდა განწყობის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი დ. უზნაძის ვრცელი ნაშრომი, რომელმაც მსოფლიოს ფსიქოლოგთა ყურადღება მიიპყრო. გარდაცვალების შემდეგ ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა დ. უზნაძის ფუძემდებლური მონოგრაფია „განწყობის ფსიქოლოგია“ (D. N. Uznadze „The Psychology of Set“, New York, 1966). მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

1950 წელს ფსიქოლოგიის ინსტიტუტს მიენიჭა დ. უზნაძის სახელი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაწესებულია მისი სახელობის პრემიები ფსიქოლოგიის დარგში. თბილისსა და ქუთაისში გახსნილია დ. უზნაძის სახლ-მუზეუმები. დაკრძალული იყო ვაკის სასაფლაოზე, 1988 წელს მისი ნეშტი გადმოასვენეს თსუ-ის ეზო-სავანეში.




ურუშაძე თენგიზ (14. I. 1940, თბილისი, – 12. XI. 2021, იქვე), ნიადაგმცოდნე. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1980), პროფესორი (1983), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1991), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002).

1963 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი, 1979 წელს – თბილისის უცხო ენთა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. 1967–82 წლებში იყო თბილისის სატყეო ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, 1982–2000 წლებში – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ახლანდელი აგრარული უნივერსიტეტი) ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე, 1992 წლიდან – პრეზიდენტის მრჩეველი ეკოლოგიის საკითხებში, 1995–2005 წლებში – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, 2005–06 წლებში – რექტორი, 1991–2006 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პროფესორი, 2004–06 წლებში – ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის გამგე. 2006–07 წლებში – კონტრაქტორი, 2006 წლიდან – თსუ-ის ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების გეოგრაფიის ლაბორატორიის გამგე, 2018 წლიდან – მსოფლიო ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო საზოგადოების წევრი.

თ. ურუშაძემ შეისწავლა საქართველოს ნიადაგების გენეზი-

სისა და კლასიფიკაციის საკითხები, გამოყო ახალი ნიადაგური ტიპები (ყვითელ-ყომრალი, ყომრალ-შავი). ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია უცხოეთში; არის საერთაშორისო ჟურნალ „აგრარულ მეცნიერებათა მაცნის“ დამფუძნებელი (2003).

მიღებული აქვს ნ. ვავილოვის სახელობის პრემია (1993; მონოგრაფიისთვის „სსრკ მთის ნიადაგები“), ღირსების ორდენი (1999) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ფიფია ეგნატე (3. I. 1901, სოფ. ჯვარი, ახლანდელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 6. VII. 1979, თბილისი), ქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1940), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1955), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977).

1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. 1940–50 წლებში განაგებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის და სანჰიგიენის ფაკულტეტებს, ხოლო 1950 წლიდან – იმავე ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრას. იმავდროულად 1946–53 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ქირურგიის განყოფილების გამგე, 1941 წელს – თბილისის ერთ-ერთი ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი.

ე. ფიფიამ დანერგა ღვიძლის აბსცესის პუნქციით და ემეტინიზაციით მკურნალობის მეთოდი; შეისწავლა დაკბილული იოგის მორფოლოგია, დაადგინა მისი ადსორბციული და დრენაჟული თვისებები და მნიშვნელობა თავისა და ზურგის ტვინის სითხის ცირკულაციაში. სწავლობდა ღვიძლის ექინოკოკს, სამხედრო ტრავმატიზმის, პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების საკითხებს; ფართოდ დანერგა საქართველოში წყლულოვანი დაავადების რადიკალური ოპერაცია, შეიმუშავა მხრის წნულის კომბინირებული

დაზიანების ოპერაციის მეთოდი, პანკრეასის მყარი ფისტულის ოპერაციული დახურვის წესი და სხვა.

კუჭის პათოლოგიის პრობლემებზე შრომათა ციკლისთვის მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და სხვა სახელმწიფო ჯილდოებით.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მისი ბიუსტი დგას თევდორე მღვდლის ქუჩის სკვერში. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



ფიცხელაური კონსტანტინე (კიაზო) (26. XI. 1930, თბილისი, – 17. III. 2024, იქვე), ისტორიკოსი, არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1972). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2020, წევრ-კორესპონდენტი – 1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1954). იყო ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი (1957–60), უფროსი (1960–68) მეცნიერი თანამშრომელი, არქეოლოგიის განყოფილების გამგე (1969–2000); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2006), იმავე უნივერსიტეტის ემერიტუსი (2009), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კონსულტანტი (2008 წლიდან).

კ. ფიცხელაურმა უნივერსიტეტში სწავლისას დაიწყო კახეთის არქეოლოგიური ძეგლების დაზვერვითი შესწავლა. 1992 წლიდან კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში ჩართო ზაარბრიუკენის, ჰალეს და ტიუბინგენის უნივერსიტეტების არაერთი სპეციალისტი. საგანგებო მიწვევით ტიუბინგენის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს კავკასიის არქეოლოგიაზე.

მისი სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავდა კავკასიის არქეოლოგიას, ბრინჯაოს ხანის კულტურათა გენეზისს, ქრონოლოგიას, პერიოდიზაციას, საქართველოში სახელმწიფოებრიობის სათავეების კვლევას არქეოლოგიური მასალების მიხედვით. მისი კვლევის ძირითადი მიმართულება იყო კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების გაანალიზება თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა ახლებურად დასმულიყო კავკასიის უძველესი კულტურების გააზრება – დაეახლოვებინა იგი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან. არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



ფრანგიშვილი ალექსანდრე (1. IX. 1904, სამტრედია, – 16. I. 1991, თბილისი), ფსიქოლოგი. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1967), მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1976–89), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ფსიქოლოგიის განხრით (1927). ამავე წელს მუშაობა დაიწყო ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად თელავის პედაგოგიურ ტექნიკუმში. მალე გადაიყვანეს კახეთის რაიონის სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკად, შემდგომ კი – ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ლექტორად. 1937–41 წლებში მუშაობდა განათლების კომისარიატთან არსებულ თბილისის პედაგოგიური მეცნიერების საკვლევ ინსტიტუტსა და თსუ-ში; 1941 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორის სწავლული მდივანი, ხოლო სექტორის ინსტიტუტად გადაკეთების შემდეგ – დირექტორის მოადგილე (1943–50), დირექტორი (1950–85), საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე (1950–64). 1971 წელს აირჩიეს სსრკ ფსიქოლოგთა საზოგადოების IV ყრილობის თავმჯდომარედ.

ა. ფრანგიშვილის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო განწყობის თეორიის პრობლემები, პიროვნების ფსიქოლოგია, სწავლის, სოციალური ფსიქოლოგიისა და სხვა საკითხები.

მან დაამუშავა მეცნიერული გამოკვლევის რამდენიმე ციკლი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოლოგიური აქტივობის გაგებისა და ახსნისათვის, შედეგად განწყობის თეორია იქცა საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად. მისი მიღწევები დღეს ფართოდაა ცნობილი მსოფლიოს ფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრებში.

ა. ფრანგიშვილმა პირველმა შეისწავლა ქართული ლექსიკის ფსიქოლოგიური ბუნება და საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიის საკითხები. მისი რედაქტორობით გამოვიდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1979).

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ფრანგიშვილი არჩილ (დ. 13. IV. 1961, თბილისი), ინფორმატიკის დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1992), პროფესორი (1993), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997), საქართველოს სახელმწიფო (1990) და ეროვნული (2012) პრემიების ლაურეატი.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1983) და იქვე დაიწყო მუშაობა. იყო სტუ-ის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის დოცენტი და საპრობლემო ლაბორატორიის სექტორის გამგე (1988–92); კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი (1992–2005); ინფორმატიკის, მართვის სისტემებისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1992–2003); საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული ენერგეტიკის სფეროში (2002–05); სტუ-ის რექტორის მოადგილე (2005–08); სტუ-ის რექტორი (2009–20); სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2020–24), საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი (2007 წლიდან) და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი (2016 წლიდან). საქართველოს წარმომადგენელი საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია «ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის» ფინანსურ კომიტეტში (2011–20).


იყო საქართველოს წარმომადგენელი სუამ-ის ქვეყნების ნანოტექნოლოგიების განვითარების საბჭოში (2011–13); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნანოტექნოლოგიების პრობლემების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი (2010–13); საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (2005–07) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის პრობლემების (1998–2003) სამეცნიერო საბჭოების წევრი.

იგი არის რამდენიმე საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მმართველი საბჭოს წევრი (2013 წლიდან).

ა. ფრანგიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულებებია ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული ინჟინერია, რთული სისტემების მოდელირებისა და მართვის თეორია. კვლევების ძირითადი დანერგვის სფეროები კი – ასტროფიზიკა, კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმაციის პარალელური დამუშავების საშუალებები, ხომალდური მართვის მრავალმანქანური სისტემები, კომპიუტერული სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, ბირთვული ინჟინერია. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით შესრულებულია საერთაშორისო ინოვაციური პროექტები სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუტებთან კოლაბორაციით. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინოვაციური კვლევითი და სასწავლო პროგრამების დანერგვაში. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, მათ შორისაა 25 მონოგრაფია და 24 სახელმძღვანელო, არის 24 პატენტის მფლობელი.

დაჯილდოებულია ღირსების (2003), ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2013) ორდენებით, ასევე ღირსების (1996), გ. ნიკოლაძის სახელობის (2020), მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების (2005) მედლებით და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის დიდი ოქროს მედლით (2022).



ფრანგიშვილი დავით (დ. 24. XI. 1948, თბილისი), ვირუსოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1989), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (2011–25) და აკადემიკოსი (2025). პარიზის პასტერის ინსტიტუტის პროფესორი (2004 წლიდან) და წამყვანი ექსპერტი არქეების ვირუსების კვლევაში.

1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხები მიენიჭა მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში. 1986–91 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. 1992–2004 წლებში მუშაობდა გერმანიაში, მაქს პლანკის ბიოქიმიის ინსტიტუტში (მიუნხენი) და რეგენსბურგის უნივერსიტეტში. 2019 წლიდან არის ევროპის მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ცენტრის აკადემიური დირექტორი, ხოლო 2020 წლიდან – თსუ-ის მიწვეული პროფესორი.

დ. ფრანგიშვილს მიღებული აქვს სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1979), ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის და მაქს პლანკის სტიპენდიები (1983, 1992–99). არის ევროპის მეცნიერებათა აკადემიის (Academia Europaea) წევრი (2018), მიკრობიოლოგიის ევროპული აკადემიის (European Academy of Microbiology) წევრი (2015), ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის მოწვეული პროფესორი (2015), საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი (2015).

დ. ფრანგიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის არქეების ვირუსების კვლევაში. მის ნაშრომებში აღმოჩენილი და აღწერილია მათი მრავალი ახალი სახეობა და ოჯახი.

დ. ფრანგიშვილის კვლევამ გამოავლინა, რომ არქეების ვირუსები წარმოადგენს ვირუსული სამყაროს განსხვავებულ ნაწილს, უჩვეულო მორფოლოგიური და გენომური თვისებებით. მისი კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად შეცვალა შეხედულებები ვირუსების მრავალფეროვნებისა და წარმოშობის შესახებ, მანვე დასახა ვირუს-მასპინძლის ურთიერთობის შესწავლის ახალი პერსპექტივები.



ფრანგიშვილი ივერი (6. VI. 1930, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 28. II. 2006, მოსკოვი), მეცნიერი ინფორმატიკის, გამოთვლითი ტექნიკის, პროცესების და სისტემების მართვის დარგში. საზოგადო მოღვაწე. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1969). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), ვიცე-პრეზიდენტი (1985–2004). დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ენერგეტიკის ფაკულტეტი (1952). იყო „ჰიდროენერგოპროექტის“ საქართველოს ფილიალის ინჟინერ-მაპროექტირებელი (1952–53); „საქენერგოს“ უფროსი ინჟინერი (1953–55); 1955 წლიდან მოღვაწეობდა მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკის და ტელემექანიკის (ამჟამად მართვის პრობლემების) ინსტიტუტში წამყვან ინჟინრად, უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად; ლაბორატორიის გამგედ (1964 წლიდან). იყო ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1970–87), დირექტორი (1987–2006). 1987 წელს დაინიშნა სსრკ-ის ატომური ელექტროსადგურების ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების გენერალურ კონსტრუქტორად. ამ მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულია ახალი თაობის მართვის სისტემები, რაც ასევე მოიცავდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, ინდოეთისა და ირანის მშენებარე ატომურ სადგურებს. ხელმძღვანელობდა (1995 წლიდან) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიზაციისა და მართვადი

პროცესების თეორიის სამეცნიერო საბჭოს. იყო ავტომატური მართვის რუსეთის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს საინჟინრო აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1992 წლიდან). საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1992 წლიდან); საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990–91); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

ი. ფრანგიშვილის სამეცნიერო კვლევების სფეროში შედის: სისტემური მიდგომისა და ზოგადსისტემური კანონზომიერებების თეორიისა და პრინციპების დამუშავება; სხვადასხვა ბუნების მსხვილმასშტაბიანი სისტემების და მაღალი რისკის ობიექტების მართვის თეორიის დამუშავება, მოძრავი ობიექტების აღმოჩენისა და ამოცნობის ახალი (ფონური) პრინციპების დამუშავება; პრინციპულად ახალი კლასის პარალელური, გადაწყობადი სტრუქტურების მქონე მრავალპროცესორიანი მმართველი გამოთვლითი სისტემების თეორიული საფუძვლებისა და პრინციპების დამუშავება; მეცნიერული ცოდნის ინტეგრაციის მართვის პრობლემების დამუშავება და სხვ.

მის სახელს უკავშირდება ავტომატურ მართვაში ახალი მიმართულების („ტელეავტომატიკა“) დამკვიდრება. კვლევების შედეგები ფართოდ არის გამოყენებული გეოფიზიკაში, ჰიდროაკუსტიკაში, სამხედრო მრეწველობაში, ენერგეტიკაში, კოსმოსური ფრენების მართვის ცენტრში, ფსიქოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში და სხვ.

ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 20 მონოგრაფიის; მეცნიერული აღმოჩენებისა და 40-ზე მეტი გამოგონების. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

იყო არაერთი საერთაშორისო და საზღვარგარეთის აკადემიების ნამდვილი და საპატიო წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ქადეიშვილი თორნიკე (დ. VII. 1948, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (2008). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2023).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მათემატიკის ფაკულტეტი (1971), მუშაობდა იქვე მექანიკა-მათემატიკის კათედრაზე (1971–74). 1974 წლიდან არის თსუ-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2023), ამ ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების გამგე (2003) და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2011).

თ. ქადეიშვილის კვლევის საგანია ალგებრული ტოპოლოგია. შედეგად მიიღო ე.წ. მინიმალობის თეორემა, რომელმაც ფართო გამოყენება პოვა მათემატიკის სხვადასხვა დარგში. ნაშრომები გამოქვეყნებულია საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მრავალ სამეცნიერო ჟურნალში და ხშირადაა ციტირებული. აქვს ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომები ცნობილ ევროპელ და ამერიკელ მეცნიერებთან. იგი მრავალგზის იყო მიწვეული საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში მოხსენებებისა და ლექციების წასაკითხად, იყო საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებული კონფერენციების ორგანიზატორი, ტრიესტში (იტალია) – საზაფხულო სკოლის დირექტორი (2008).

თ. ქადეიშვილი იყო ჰუმბოლდტის სახელობის სტიპენდიატი (1987; გერმანია). არჩეულია თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ინსტიტუტის (ICTP) უფროს ასოცირებულ წევრად (2008, ტრიესტი, იტალია); არის ამერიკის მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი (1989).

მიღებული აქვს ა. რაზმაძის სახელობის პრემია (1995).



ქავთარაძე პეტრე (20.V. 1889, სოფ. ნოსირი, ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი, – 1. III. 1966, თბილისი), ნევროპათოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1959), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941).

1915 წელს დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის (ოდესა) სამედიცინო ფაკულტეტი. I მსოფლიო ომის დროს ექიმად იყო გაგზავნილი დასავლეთის ფრონტზე, 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ნერვულ სნეულებათა კათედრაზე. 1931–53 წლებში განაგებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ, სანჰიგიენურ და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებს, ხოლო 1953–66 წლებში – სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრებს.

პ. ქავთარაძე იკვლევდა ნერვ-კუნთოვანი აპარატის ელექტროაგზნებადობას, ნერვული ბარიერების მნიშვნელობას, სამხარეო პათოლოგიის საკითხებს, საკურორტო ფაქტორების გავლენას ნერვულ სისიტემაზე, ნერვული სისტემის ტრავმას და მედიცინის ისტორიის საკითხებს.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



ქაცარავა რამაზ (დ. 15. IX. 1943, ხონი), პოლიმერული ქიმიის დარგის მეცნიერი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1988). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2019), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2019).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი (1966). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის (1966), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნესმეიანოვის სახ. ელემენტორგანულ ნაერთთა (1966–73), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის (1974–86), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის (1986–98) ინსტიტუტებში, სტუ-ში (1993 წლიდან). იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დირექტორი (2009–13), არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიისა და მოლეკულური ინჟინერიის ინსტიტუტის დირექტორი (2013 წლიდან).

რ. ქაცარავას სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება არომატული პოლი (ამინო- ამიდო- მჟავების) სინთეზს არომატული ტეტრაამინების ურთიერთქმედებით არომატულ დიანჰიდრიდებთან, ხსნადი პოლი (ბენზოილენ ბენზიმიდაზოლების), პოლიიმიდების და სხვა თერმულად სტაბილური და რადიაციის მიმართ მდგრადი პოლიმერების სინთეზს. ბუნებრივი ამინომჟავების, მაღალი რიგის არატოქსიკური დიკარბომ-

ჟავებისა და დიოლების საფუძველზე ახალი, ბიოდეგრადირებადი და ბიოშეთავსებადი პოლიმერების ე.წ. ბიომიმეტიკების უმნიშვნელოვანესი ოჯახის – ფსევდოპროტეინების მიღებას და კვლევას. რამდენიმე ფსევდოპროტეინი უკვე დანერგილია პრაქტიკაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ – MediVas, SurModics, Intralytix, Precisio Biotix Therapeutics, Inc. ყველა DSM (ნიდერლანდები, აშშ), Polymerit, JSC (ვიეტნამი).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999), მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის (WIPO) ოქროს მედალი (2007), სვანტე არენიუსის საერთაშორისო პრიზი (2018), გ. ციციშვილის პრემია (2024). 2017 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მიანიჭა „წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის“ წოდება.



ქევანიშვილი ზურაბ (დ. 15. III. 1941, თბილისი), აუდიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1981), პროფესორი (1983), საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018; წევრ-კორესპონდენტი – 2009), სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1995).

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1968–69 წლებში იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1969–75 წლებში – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ექსპერიმენტული და კლინიკური აუდიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1975–90 წლებში – ამავე ლაბორატორიის ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი. 1990 წლიდან აუდიოლოგიის და სმენის რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორია.

ზ. ქევანიშვილის სამეცნიერო ნაშრომები (ქართულ და უცხოურ ენებზე) ეხება ადამიანის სმენის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემებს. არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1996), ოტორინოლარინგოლოგთა მსოფლიო კოლეგიის წევრი (1994), გერმანელ ოტორინოლარინგოლოგთა საზოგადოებისა (1999) და ამერიკის აკუსტიკური საზოგადოების ასოცირებული (1995) წევრი, გერმანიის ოტორინოლარინგოლოგთა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1998), თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო

ორგანიზაციის (International Brain Research Organization – IBRO) საქართველოს ფილიალის საბჭოს წევრი (1996).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001), ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია (1987) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ქემერტელიძე ეთერ (დ. 23. III. 1926, საჩხერე), ქიმიკოსი. ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1984). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2004).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი (1946). იქვე მუშაობდა წამლის ფორმათა და გალენური პრეპარატების კათედრის უფროს ლაბორანტად (1946–49), თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1949–53), ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უმცროს (1953–58), შემდეგ უფროს (1958–61) მეცნიერ თანამშრომელად, ფიტოქიმიის განყოფილების გამგედ (1961–2006), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად (1958–63), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1964–72), დირექტორად (1972–2006). არის სტეროიდულ ნივთიერებათა განყოფილების გამგე (2006 წლიდან). იყო საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2006 წლიდან) და საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (2009 წლიდან).

ე. ქემერტელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა სხვადასხვა ქიმიური კლასის მცენარეული ბოლოგიურად აქტიური ნივთიერების გამოვლინება, შესწავლა, ქიმიური სტრუქტურების დადგენა, ანალიზის მეთოდების შემუშავება; ფარმაკოლო-


გიურად ეფექტურ ნივთიერებათა ტექნოლოგიების დამუშავება; კანონზომიერი ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ქიმიურ სტრუქტურასა და ბიოლოგიურ აქტივობას შორის; ორიგინალური სამკურნალო და სხვა დანიშნულების პრეპარატების შექმნა; ბუნებრივ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიური მოდიფიკაცია გაუმჯობესებული თვისებების, ანდა ახალი ეფექტურობის მქონე პრეპარატების მისაღებად. მის მიერ (მოწაფეებთან ერთად) შემუშავებულია 22 ორიგინალური სამკურნალო საშუალება და იშვიათი ბიოქიმიური რეაქტივი, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკაში.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, 9 მონოგრაფია. მიღებული აქვს 84 საავტორო მოწმობა და პატენტი, ავტორია 35 ახალი სამკურნალო პრეპარატის.

1997 წელს დაჯილდოვდა ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო კოლეგიის „ოქროს ფირფიტით“ და აღიარეს წლის გამორჩეულ პიროვნებად მცენარეთა ქიმიის მეცნიერების დარგში; 2000 წელს – კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მედლით „1900–2000 საუკუნის პიროვნება“ (XX საუკუნეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის) „

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996), პ. მელიქიშვილის (1995) და ი. ქუთათელაძის (2010) სახელობის პრემიები 1960–2001 წლებში შესრულებულ შრომათა ციკლისათვის – „ბიოლოგიურად აქტიურ მცენარეულ ნივთიერებათა შესწავლა და ახალი სამკურნალო პრეპარატები“, აგრეთვე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის მედალი (1989), წმიდა გიორგის ოქროს ორდენი (2013) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2017).



ქოქეთიანი პეტრე (16. X. 1901, ქუთაისი, – 25. V. 1984, თბილისი), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1936), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1944). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964). ნეიროქიმიის სკოლის ფუძემდებელი საქართველოში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი (1924). იყო ამავე უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ცხოველთა კვების კათედრის ქიმიკოს-ასისტენტი (1924–27); 1930 წელს მიიწვიეს დოცენტად უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც 1934 წლამდე კითხულობდა ბიოქიმიის კურსს; პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას ეწეოდა საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ ინსტიტუტში (1932–46). ამავე წლებში მიიწვიეს თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ბიოქიმიის კურსის წასაკითხად და უნივერსიტეტთან არსებული ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტში ბიოქიმიური ლაბორატორიის ჩამოსაყალიბებლად. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნეიროქიმიისა (1933–41) და ბიოქიმიის (1941–84) განყოფილებების გამგე, მეორე მსოფლიო ომის წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 1943 წელს თავდაცვითი ხასიათის კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად მიავლინეს ქ. სოჭის ჰოსპიტალში.

პ. ქომეთიანის თაოსნობითა და მონაწილეობით 1968 წელს ჩამოყალიბდა თსუ-ის ბიოქიმიის კათედრა, რომელსაც განაგებდა 1973 წლამდე. მან შექმნა ბიოქიმიის პირველი სახელმძღვანელო ბიოლოგებისათვის ქართულ ენაზე, დაასაბუთა ბიოპოტენციალების წარმოშობის კავშირი ჟანგვა-აღდგენით პროცესებთან, აჩვენა აცეტილქოლინის სინთეზის ახალი გზა ფოსფორილქოლინიდან, განავითარა ახალი წარმოდგენები თავის ტვინში ამიაკის აცილებისა და მისი წარმოშობის წყაროების შესახებ. მნიშვნელოვანი იყო მისი ნაშრომები ბიოლოგიური მემბრანების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესახებ. დიდი წვლილი შეიტანა მეხსიერების ბიოქიმიური მექანიზმების შესწავლაში. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი (1945) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ქუთათელაძე იოველ (2. X. 1887, ხონი, – 15. XII. 1963, თბილისი), ფარმაკოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1921), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941). საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების, ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობისა და ფარმაკოქიმიის მეცნიერების ფუძემდებელი.

დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი (1910). მუშაობა დაიწყო აფთიაქის მმართველად. მუშაობდა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაციის, ფარმაკოგნოზიის (1910–13) და ფარმაკოლოგიის (1913–20) კათედრებზე. 1920 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. მუშაობდა ოდესის სამედიცინო აკადემიაში პრორექტორად და ფარმაციისა ფარმაკოგნოზიის გამგედ (1920–21).

1921 წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) კათედრის პროფესორად. 1924 წლიდან განაგებდა უნივერსიტეტის ანალიზური, სასამართლო ქიმიისა და ბიოლოგიური ქიმიის კათედრებს და კითხულობდა ლექციებს შესაბამის დისციპლინებში (1927–30). 1932 წელს ი. ქუთათელაძემ თბილისში დააარსა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი (ამჟამად ი. ქუთათელაძის სახელობისა), რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. იმავდროულად (1937–48 წლებში) იყო ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექტორი, 1937 წლიდან – ამავე ინსტიტუტის, ხოლო 1948 წლიდან – თბილისის სამედი-

ცინო ინსტიტუტის სასამართლო და ანალიზური ქიმიის კათედრების გამგე, საქართველოს ფარმაცევტული საზოგადოების თავმჯდომარე (1951–63).

ი. ქუთათელაძემ მეცნიერული კვლევების საფუძველზე შექმნა ოცამდე ახალი სამკურნალო ფორმა. მისი ხელმძღვანელობით ადგილობრივი ნედლეულიდან შემუშავდა 50-მდე სამკურნალო პრეპარატი, რომლებიც სხვადასხვა დროს იხმარებოდა მედიცინაში. მათი წარმოებისათვის აუცილებელი იყო ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების ორგანიზაცია. მისივე ინიციატივით საქართველოში გაიხსნა ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ღუდუშაური ოთარ (17. V. 1925, ყაზბეგი, – 22. XII. 1991, მცხეთა), ტრავმატოლოგ-ორთოპედი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1965), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986).

1949 წელს დაამთავრა ქ. ორჯონიკიძის სამედიცინო ინსტიტუტი. 1949–52 წლებში მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, 1952–70 – მოსკოვში. 1970–72, 1975–91 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (ახლანდელი აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი), იმავდროულად, 1970 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის გამგე, 1972–75 წლებში – იმავე ინსტიტუტის რექტორი.

ო. ღუდუშაურმა, საბჭოთა კავშირში პირველმა, პლასტიკური ოპერაციისთვის გამოიყენა კორუნდული კერამიკა. კლინიკაში დანერგა ოპერაციული მკურნალობის ორიგინალური მეთოდები – შეუხორცებელი ინფიცირებული მოტეხილობის, აგრეთვე ყალბი სახსრებისა და გრძელი ლულოვანი ძვლების დეფექტების მკურნალობა, მენჯ-ბარძაყის და იდაყვის სახსრების ჩანაცვლება კონსერვირებული ჰომოტრანსპლანტატებით და სხვ. არაკეროვანი კომპრესიულ-დისტრაქციული მეთოდის შექმნისა და დანერგვისათვის მას 1978 წელს მიენი-

ჭა ლენინური პრემია. 1975 წლიდან იყო ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, 1971 წლიდან – საქართველოს ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ცენტრის ეზოში დგას მისი ბიუსტი. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ყანჩაველი ლევან (21. VIII. 1900, სოფ. ალავერდი, ახლანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 8. IX. 1987, თბილისი), ფიტოპათოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950; წევრ-კორესპონდენტი – 1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ბოტანიკის განხრით. იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიკოლოგიისა და ფიტოპათოლოგიის განყოფილების (შემდგომ კათედრის) პრეპარატორი (1925–27), ასისტენტი (1927–29), დოცენტი (1930), კათედრის გამგე (1938), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის უფროსი სპეციალისტი (1929–31), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1931–32) და ინსტიტუტის დირექტორი (1932–76). 1936 წელს მივლინებით იმყოფებოდა იაპონიასა და ჩინეთში მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი და საორგანიზაციო მეთოდების გასაცნობად.

ლ. ყანჩაველი უმთავრესად იკვლევდა საქართველოს მიკოფლორას, კერძოდ, ქართლ-კახეთში – ვაზის დაავადებათა გავრცელებას, დასავლეთ საქართველოში – ციტრუსების დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, საქართველოს მთიანი ზონის მარცვლეული კულტურების ჯიშების და სხვა კულტურათა სოკოვან დაავადებებს და სხვ. ავტორია თხზულებებისა: „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავად-

მყოფობანი და მათთან ბრძოლა“ (1960), „ზოგადი ფიტოპათოლოგია“ (1978).

არის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

მიღებული აქვს საბრძოლო და სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ორი ლენინის ორდენი (1951, 1966).

1994 წელს საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიენიჭა მისი სახელი.



ყაუხჩიშვილი თინათინ (10. V. 1919, თბილისი, – 29. III. 2011, იქვე), ფილოლოგი, წყაროთმცოდნე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1953), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1975).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით (1941). სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში (1995–2006) და თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე (1945–52, 1968 წლიდან). გამოავლინა, შეისწავლა, თარგმნა და გამოსცა ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები, საქართველოს ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები. იკვლევდა აგრეთვე ქართულ-ანტიკურ სამყაროს, ქართულ-ბერძნულ კულტურასა და პოლიტიკურ ურთიერთობებს.

ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 16 მონოგრაფიის. ბერძნულ-რომაული და ქართული წყაროების კვლევისას მან მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართული ტოპონიმიკის, ონომასტიკისა და ტერმინოლოგიის შესახებ. დააზუსტა არაერთი სახელისა და ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია. საკუთრივ ქართული ენისა და ქართული წერილობითი წყაროების კვლევას მიუძღვნა ნაშრომები: „მასალები ისტორიისათვის VI–X სს. ძეგლების მიხედვით“ (1946), „ზოგიერთი კავშირისა და ნაწილაკის მნიშვნელობი-

სათვის ძველ ქართულში“, „კომპოზიტები ძველ ქართულში“ (1952). ქართულ-ბერძნული ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“ (1999–2000), „ახალი ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან (1996); „ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან“ (1998).

თ. ყაუხჩიშვილი იყო ვინკელმანის საზოგადოების პრეზიდიუმისა (1971) და რუსეთ-საბერძნეთის საზოგადოების პრეზიდიუმის (1981) წევრი, საქართველოს ისტორიული წყაროების კომისიის უცხოური წყაროების კომისიის თავმჯდომარე (1982).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა (1999) და ს. ყაუხჩიშვილის სახელობის პრემიით (2008).



ყაუხჩიშვილი სიმონ [1 (13). X. 1895, ქუთაისი, – 11. V. 1981, თბილისი], ფილოლოგი და ისტორიკოსი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1930), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969; წევრ-კორესპონდენტი – 1950). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1917), პარალელურად სწავლობდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1918 წელს ივ. ჯავახიშვილის წარდგენით დატოვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). 1920–23 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საბერძნეთსა და გერმანიაში. 1923–26 წლებში თსუ-ში კითხულობდა ლექციებს ლათინურ-ბერძნულ ფილოლოგიაში, შემდეგ – ბიზანტიის ისტორიის კურსს. 1927–38 წლებში იქვე განაგებდა ბიზანტინოლოგიის კათედრას. 1940–54 წლებში იყო კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებას.

ს. ყაუხჩიშვილი არის ბიზანტინოლოგიის ქართული სკოლის დამაარსებელი, გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ კი მეთაურობდა კლასიკური ფილოლოგიის სკოლას. იგი მრავალმხრივი მეცნიერი იყო. 1920 წელს გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი – „ხრონოგრაფი გიორგი მონოზნისაჲ“ (გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანი). მან-

ვე გამოსცა იოანე პეტრიწის „შრომების“ 2 ტომი (1937–40), პეტრიწონის მონასტრის „ტიპიკონის“ ბერძნული ვერსია ქართული თარგმანით (1963), მიქაელ ფსელოსის ტრაქტატები (1966), „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ (1946–63). მასში ავტორმა დაასაბუთა, რომ ბიზანტიური ლიტერატურა არის ბერძნული ლიტერატურის განვითარებული ეტაპი, შემუშავებული ბიზანტინიზმის პირობებში და პირველმა განსაზღვრა ბიზანტინიზმი, როგორც 4 საწყისის – ელინურობის, რომაულობის, აღმოსავლურისა და ქრისტიანობის სინთეზი. გამოავლინა ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებაში ქართველების, სომხებისა და სლავების როლი. მან 1932 წელს დააარსა სერია „გეორგიკა“, ანუ „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (ტ. 1–8, 1934–70), შეადგინა ლათინურ-ქართული ლექსიკონი (1920, 1926, 1961), თავი მოუყარა ბერძნულ წერილობით ძეგლებში საქართველოს შესახებ დაცულ ცნობებს და მოახდინა მათი მეცნიერული ანალიზი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლას. მასვე ეკუთვნის პირველი მეცნიერული კურსი ბიზანტიის ისტორიის შესახებ („ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, 1948). 1942 წელს მისი რედაქციით დაიბეჭდა „ანასეული ქართლის ცხოვრება“, შემდეგ – მთლიანად „ქართლის ცხოვრება“ (ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით). დიდია ს. ყაუხჩიშვილის ღვაწლი „არეოპაგიტიკისა“ და „ბალავარიანის“ პრობლემების კვლევაში. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის პრემია (1973).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ყაჭიაშვილი ქართლოს (დ. 23. XII.1950 ქ. გურჯაანი), მეცნიერი ინფორმატიკოსი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (2000), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022). 1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). მუშაობდა გორის მრეწველობის ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინჟინრად (1972–74), მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრაზე უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1974–77), სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ ლაბორატორიის გამგედ (1977–81), თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში“ განყოფილების გამგედ (1981–92). იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს მონიტორინგის ეროვნული ცენტრის უფროსი (1992–2001), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2001-07), პაკისტანის ქ. ლაჰორის სახელმწიფო კოლეჯ-უნივერსიტეტის აბდუს სალამის სახ. მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლის უცხოელი პროფესორი (2007–12), იმავდროულად მოღვაწეობს სტუ-ში 1981 წლიდან.


ქ. ყაჭიაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა მათემატიკური სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი (გარემო, სოფლის მეურნეობა, მედიცინა), მათემატიკური მოდელირება და იმიტაცია, ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების დამუშავება, სისტემური ანალიზი, გამოთვლითი მათემატიკა, მანქა-

ნური სწავლება. მან გადაწყვიტა სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მრავალი პრობლემა, მ. შ. შექმნა სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების პირობითი ბაიესის მეთოდი, რომელიც არის არსებული მეთოდოლოგიების განზოგადება და იძლევა უნიკალურ შედეგებს მიღებული გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის თვალსაზრისით დაკვირვებათა მინიმალური რაოდენობის პირობებში. ამ მეთოდის საშუალებით გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია ყველა შესაძლო შეცდომის დაშვების ალბათობა შემოვზღუდოთ საჭირო დონეზე; დაამუშავა მრავალი უნივერსალური პროგრამული პაკეტი და სისტემა. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ქ. ყაჭიაშვილი არის საერთაშორისო ჟურნალების მთავარი რედაქტორი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, სარედაქციო საბჭოს და რეცენზენტთა საბჭოს წევრი. მათ შორისაა Sequential Analysis, International Journal of Statistics in Medical Research, American Journal of Statistics and Probability, American Journal of Biomedical Science and Research, Contemporary Mathematics, Journal of Mathematics, Statistics and Computing, Asian Journal of Statistical Sciences და სხვ., აგრეთვე საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის, ამერიკის მათემატიკური საზოგადოების წევრი და ალგორითმებისა და გამოთვლითი ტექნოლოგიების ჰონკონგის საზოგადოების უფროსი წევრი, გლობალური ღია გამოცემების აკადემიური საბჭოს წევრი.

არის სამეცნიერო ნაშრომების, 7 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი. მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა პროგრამულმა პაკეტებმა არაერთხელ დაიკავა პირველი ადგილი და მიიღო მთავარი პრიზი საერთაშორისო ფორუმებზე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2013) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ფრანგიშვილის სახელობის პრემია ინფორმატიკაში (2025).



ყიფშიძე ნიკოლოზ (6. XII. 1888, გორი, – 6. VI. 1954, თბილისი), თერაპევტი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1935), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946).

1914 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. 1931 წლიდან განაგებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრას. შეისწავლიდა კურორტოლოგიის, ადამიანის ჰელმინთებით და ზოგიერთი უმარტივესით ინვაზიის საკითხებს, ტროპიკული აბსცესის კლინიკასა და მკურნალობას, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას და სხვ. პირველმა აღწერა საქართველოში რამდენიმე სახის უმარტივესი და ჰელმინთოზი, შემოიღო ახალი საკვები არე უმარტივესთა კულტურის მისაღებად. ქართულ ენაზე შეადგინა სახელმძღვანელო „შინაგანი სნეულებანი“ (1946).

იყო თერაპევტთა სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე (1950–54). მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

მისი სახელი მიენიჭა საქართველოს ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოსა (ახლანდელი აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა) და თბილისის ერთერთ ქუჩას.



ყიფშიძე ნოდარ (12. X. 1923, თბილისი, – 11. VI. 2016, იქვე), თერაპევტი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1964). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1975) და რუსეთის სამედიცინო (1990) აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967).

1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1954–57 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის თერაპიის ინსტიტუტის (მოსკოვი) დოქტორანტი, 1957–59 წლებში მიავლინეს ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

1960 წელს მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ლაბორატორია, რომელიც 1961 წელს გადაკეთდა ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად (ახლანდელი თერაპიის ეროვნული ცენტრი), რომელსაც ხელმძღვანელობდა 1999 წლამდე (1999 წლიდან ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე). 1963–65 წლებში მივლინებით იმყოფებოდა ჟენევაში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბიოლოგიის, ფარმაკოლოგიის და თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

ნ. ყიფშიძე შეისწავლიდა მიოკარდიუმის ინფარქტის პათოგენეზს, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. შექმნა გულის

კუნთის ინფარქტის ორიგინალური ექსპერიმენტული მოდელი. შეისწავლა ვირუსული მიოკარდიტის გადასვლის შესაძლებლობა შეგუებით კარდიომიოპათიაში. 1966 წელს მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა სპეციალიზებული კარდიოლოგიური განყოფილება გულის კუნთის ინფარქტით დაავადებულთათვის, სადაც დანერგა კარდიომონიტორული დაკვირვება და ელექტროიმპულსური მკურნალობა. იგი ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც – მუშაობდა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის კათედრის პროფესორად. 1963 წლიდან იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გულ-სისხლძარღვთა დაავადების შემსწავლელი კომიტეტის ექსპერტი. 1966–68 წლებში აირჩიეს შვედეთის სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების, გერმანიის თერაპევტთა და კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრად. იყო ათეროსკლეროზის, ჰიპერტონული და გულის იშემიური დაავადების შემსწავლელი საპრობლემო კომისიების წევრი, კარდიოლოგთა საზოგადოების, წამალთა ტოქსიკურობის შემსწავლელი ევროპული საზოგადოების წევრი და სხვ., 1994 წლიდან – ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიის, 1995 წლიდან კი – ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის წევრი.

ნ. ყიფშიძის ნაშრომები ეხება კარდიოლოგიისა და შინაგან სნეულებათა კლინიკის აქტუალურ საკითხებს. 1986 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის ა. მიასნიკოვის სახელობის პრემია.

მიღებული აქვს ღირსებისა (1998) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენები (2012) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2003).



შანიძე აკაკი [14 (26). II. 1887, სოფ. ნოღა, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 28. III. 1987, თბილისი], ენათმეცნიერი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1920), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (1946) და ვიცე-პრეზიდენტი (1948–51), საქართველოსა (1943) და სომხეთის (1967) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამაარსებელი.

დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სამრევლო სკოლაში. 1909 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1913 წელს – პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. ნ. მარის წარდგენით იქვე, სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრაზე დატოვეს პროფესორის ხარისხის მოსაპოვებლად. სხვადასხვა დროს თსუ-ში იყო სომხური ენის (1918–30), ქართული ენისა (1919–45) და ძველი ქართული ენის (1945–87) კათედრების გამგე.

ა. შანიძე იკვლევდა ქართული დიალექტოლოგიის საკითხებს, კერძოდ – მთის კილოებს, რომელთა მოკლე მიმოხილვა წარმოდგენილია ნაშრომში „ქართული კილოები მთაში“ (1915). მნიშვნელოვანია მის მიერ ზმნური პირის პრეფიქსთა

ფუნქციების დადგენა, რომელსაც მიეძღვნა მონოგრაფიული ნაშრომი „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში“. ეს იყო პირველი სადისერტაციო ნაშრომი, დაცული თბილისის უნივერსიტეტში. ნაშრომში ქართული ზმნის სტრუქტურა პირველად არის განხილული როგორც სისტემა, რის გამოც იგი მიჩნეულია ენათმეცნიერებაში სტრუქტურულ-ფუნქციური მიმდინარეობის წინამორბედად. კვლევის ორიგინალურობით გამოირჩევა მისი სამეცნიერო ნაშრომები: „ნასახელარი ზმნები ქართულში“ (1919), „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924), „უმლაუტი სვანურში“ (1925), „ქართული ზმნის საქცევი“ (1926) და სხვ. საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომია „ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (1930), რომელიც აღიარებულია ახალი ქართული ენის პირველ მეცნიერულ გრამატიკად. ასევე მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „მწკრივის კატეგორია ზმნაში“ (1941, რუსულ ენაზე), „ასპექტის ზმნური კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლა ქართულში და მისი შედეგები“ (1942), „აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით“ (1943), „აქტისა და კონტაქტის გრამატიკული კატეგორიები ქართული ზმნის მიხედვით“ (1946, რუსულ ენაზე) და სხვ. ძველი ქართულისთვის მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: «„მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში“» (1918), „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“ (1923), „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (1923), „ხანმეტობის გადმონაშთები IX–X–XI საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში“ (1940, რუსულ ენაზე), „სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში“ (1945), „ძველი ქართულის -ოდ სავრცობიან ზმნათა წარმოების ისტორიისათვის“ (1953) და სხვ., აგრეთვე „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (1976), რომელიც ითარ-

გმნა და გამოიცა გერმანულ და სომხურ ენებზე.

სალიტერატურო ქართულის შუა საფეხურს ეხება რამდენიმე ნარკვევი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან: „ვნებითი გვარის ზმნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში“ (1947), „ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში“ (1964), აგრეთვე წერილების სერია „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები“. მან რუსთველოლოგიის საკითხებს 60-მდე ნაშრომი მიუძღვნა.

ა. შანიძის განსაკუთრებული წვლილი რუსთველოლოგიაში თვალსაჩინოა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციების შესწავლის, ტექსტის დადგენისა და გამოცემის მხრივაც. მისი აქტიური მონაწილეობით გამოვიდა პოემის რამდენიმე გამოცემა, მათ შორის საიუბილეო (1966, თანარედაქტორი ა. ბარამიძე), რომლის ტექსტიც დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერისა და ბეჭდური გამოცემის გათვალისწინებით. ა. შანიძემ აღადგინა პოემის პირველი (1712, ე. წ. ვახტანგისეული) ბეჭდური გამოცემა (1937, 1975), გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია გამოკვლევითურთ (1956) და სხვ.

ა. შანიძე ი. აბაშიძესა და გ. წერეთელთან ერთად იყო 1960 წლის იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრი. რუსთველოლოგიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია.

განსაკუთრებით დიდია ა. შანიძის დამსახურება ძველი ქართული ენის ძეგლების, მათ შორის ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენაში, შესწავლასა და გამოცემაში (1955, თსუ). ამათგან მისი რედაქციითა და გამოკვლევით 1945 წელს დაიბეჭდა ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ოშკის (ანუ ათონის), ბიბლიის (978) რამდენიმე წიგნი (1947–48), პირველი ქართული

თარიღიანი ხელნაწერი (864) – სინური მრავალთავი (1959), უდაბნოს მრავალთავი (თანარედაქტორი ზ. ჭუმბურიძე, 1994), გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ (1946), „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ (1975), პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი (1975), ჭილ-ეტრატის იადგარი (1977) და სხვ. ცალკე აღსანიშნავია ა. შანიძის მიერ გამოცემული „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული“ (1931), რომელიც სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართული ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციის საქმეში.

1920–21 წლებში ა. შანიძე იყო ქართული ენის ნორმების დამდგენი საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა პირველი ოფიციალური სახელმწიფო პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაგვარებლად. იგი ავტორია საყურადღებო ნაშრომებისა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე: „ორი ჭანურ-მეგრული სუფიქსი ქართულსა და სომხურ ენებში“ (1916, რუსულ ენაზე), „ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“ (1960), „ნა – პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1972) და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევა „უმლაუტი სვანურში“ (1925), სადაც ახსნილია სვანური უმლაუტის ბუნება, მისი გამომწვევი მიზეზები. ამასთანავე გარკვეულია არაერთი მორფოლოგიური კატეგორიის რაობა, კერძოდ, პირველად არის ნახსენები ქცევის კატეგორია ზმნაში, დადგენილია სვანური ზმნის უღლების ტიპები, სახელობითი ბრუნვის ნიშნის წარმომავლობა ქართველურ ენებში და მისი ევოლუცია სვანურში; ზედსართავ სახელთა ხარისხები და მათი მაწარმოებლები, სვანური ენის დიალექტების დამახასიათებელი ნიშნები.

ა. შანიძეს ეკუთვნის რამდენიმე ასეული სიტყვის ეტი-

მოლოგია. მის სახელს უკავშირდება კავკასიელ ალბანელთა დამწერლობის შესწავლა და ახალი სამეცნიერო დისციპლინის – ალბანოლოგიის დაფუძნება. მას თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ეპიგრაფიკის, ფოლკლორისტიკის საკითხების შესწავლის საქმეში.

ა. შანიძე ასევე იყო პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი (1937), ფ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1966) და ინგლისის „ფილოლოგთა საზოგადოების“ საპატიო წევრი (1979).

მიღებული აქვს 3 ლენინის ორდენი (1970) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



შანიძე მზექალა (დ. 16. I. 1926, თბილისი), ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1981), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997), გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1995).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1948). ასპირანტურაში სწავლის დროს (1948–51) მივლინებული იყო (1948–49) ქ. ლენინგრადში, სადაც სწავლობდა აკადემიკოს ე. კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით. 1953–2006 წლებში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თსუ-ში სემიტოლოგიისა და ძველი ქართული ენის კათედრებზე, კითხულობდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ძველი ქართული ენის ისტორიის კურსებს. 1996–98 წლებში სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა ქართული ენის, ძველი ქართული ენის კურსები.

სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი (1953–61), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1961–68), ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ხელნაწერთა ინსტიტუტის კონსულტანტი (2002–06). მონაწილეა სამეცნიერო ექსპედიციებისა, მათ შორის სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში (1994, 2002) ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად.

მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციაში 1996 წელს – საერთაშორისო ლინგვისტური სემინარი, ბერგენი, ნორვეგია; 1999 წელს – პარიზში გამართულ ლინგვისტიკის ისტორიის საერთაშორისო კონგრესში.

მისი სამეცნიერო ნაშრომები დაბეჭდილია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთსა და საბერძნეთში.

მ. შანიძის კვლევის სფეროა სემიტოლოგია, ბიბლიური ტექსტები, ქართული ენა – ლექსიკოლოგია და ძველი ქართული ტექსტების პუბლიკაცია, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა ტექსტის შესწავლა და დადგენა.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).



შაქარიშვილი რომან (დ. 18. IV.1944, თბილისი), ნევროლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი (1994), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2009), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2010). საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1992), სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო (1994) აკადემიების ნამდვილი წევრი.

1968 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტი. იყო კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის უმცროსი (1968–74) და უფროსი (1974–84) მეცნიერი მუშაკი, პ. სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის კლინიკური ნევროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი (1984–89), დირექტორი (1989–2003; 2009 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი (1994–2004). პარალელურად, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის გამგე (1994 წლიდან).

რ. შაქარიშვილის ნაშრომები ეხება ანგიონევროლოგიის, ეპილეფტოლოგიის, ნეიროგერონტოლოგიის, თავის ტვინის ცირკულაციის პათოფიზიოლოგიისა და დემენტოლოგიის საკითხებს. იგი ითვლება საქართველოს ცენტრალური ნერვული სისტემის თავისუფალრადიკალოვანი პათოლოგიის შესწავლის ფუძემდებლად.

რ. შაქარიშვილი არის ამერიკის ნევროლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის (1997), აშშ-ის ინსულტის კვლევის სამეცნიერო საბჭოს (2001), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის (1993) წევრი, საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1991).

მიღებული აქვს გ. მუხაძის სახელობის მედალი (1993), ღირსების ორდენი (1996), საერთაშორისო ორდენი „დამსახურებისთვის“ (1999), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემია (2008), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2014), პ. სარაჯიშვილის სახელობის მედალი, პრემია და სხვა ჯილდოები. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2017).




შენგელაია ალექსანდრე (დ. 3. XI. 1968, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (2004), პროფესორი (2006), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2023), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2020).

დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის (რუსეთის ფედერაცია) ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (1990). მუშაობდა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის დაბალი ტემპერატურებისა და სტრუქტურული კვლევების ინსტიტუტში (ქ. ვროცლავი, პოლონეთი, 1992–95), სადაც მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ფიზიკაში PhD (1995); ასევე ციურიხის (შვეიცარია) უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტში პროფესორების – ჰ. კელერისა და კ. ა. მიულერის (ნობელის პრემია, 1987) ჯგუფში (1996–2005). 2006 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში. იყო თსუ-ის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის გამგე (2006–08), აკადემიური საბჭოს წევრი (2006–14), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2008–16). მუშაობს ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. არის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის განყოფილების გამგე (2018 წლიდან), სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2023 წლიდან).

ა. შენგელაიას სამეცნიერო ნაშრომები ეხება ექსპერიმენ-

ტული კონდენსირებული გარემოს ფიზიკას, მაგნიტურ რეზონანსს, ზეგამტარობას და მაგნეტიზმს, მაღალტემპერატურულ ზეგამტარებს და მომავლის ტექნოლოგიებისთვის პერსპექტიული მასალების კვლევას. ამ კვლევების საფუძველზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო ჟურნალებსა და გამოცემებში. მიღებული აქვს საქართველოსა და ევროპის ქვეყნების პატენტები.

მისი ორგანიზატორობით ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია. არის ჟურნალ Journal of Superconductivity and Novel Magnetism-ის (Springer) ასოცირებული რედაქტორი, ევროპის მაგნეტიზმის ასოციაციის გენერალური საბჭოს წევრი (2021 წლიდან).



შენგელაია დემნა [9 (21). V. 1896, სოფ. საჭილაო, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 7. XII. 1980, თბილისი], მწერალი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969).

1920 წლიდან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, შემდეგ – პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) გეოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი მოთხრობა „ნირვანა“ 1915 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „თემში“, შემდეგ რომანი „სანავარდო“ (1924, ჟურნალი „მნათობი“), რომლის კომპოზიცია – კლასიკური სიუჟეტის რღვევა, შინაგანი მონოლოგები, მდიდარი მითოლოგიური პლანი და სხვა იდეურ-მხატვრული კომპონენტები ქმნიდნენ ქართული რომანის ახალ სახეობას. რომანი „ბათა ქექია“ (1928) მოიცავს ქართველი გლეხკაცის ცხოვრებას ბატონყმობის გადავარდნიდან XX ს. 20-იან წლებამდე. ბათა ქართველი გლეხის ტიპობრივი, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიო სახეა. მასში შერწყმულია მძიმე ცხოვრებასთან ჭიდილში გამომუშავებული სიბრძნე და ეშმაკობა, ცინცხალი ჭკუა, ოპტიმიზმი, მახვილგონიერება, სიცოცხლის მძაფრი სიყვარული და გმირული სული. ქართული ანდაზების, იდიომების, ხალხური იუმორის გამოყენება რომანს უაღრესად ეროვნულ ხასიათს ანიჭებს.

დ. შენგელაიას შემოქმედებიდან აღსანიშნავია რომანი „ირმის ნახტომი“, რომელიც საინტერესოა რიტმული პოლიფონიურობით. აქ XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყისის თბილისის ფონზე წარმოდგენილია, თუ როგორ იკარგება

ქალაქის სპეციფიკური კოლორიტი და იწყება კაპიტალისტურ ქალაქებთან მისი ნიველირება. 40-იან წლებში შეიქმნა დ. შენგელაიას რომანები: „შთაგონება“, „წითელი ყაყაჩო“. ვრცელმა მოთხრობამ „განძი“ (1958) ბიძგი მისცა 60–70-იანი წლების ქართული პროზისთვის ტიპურ მორალურ-ფსიქოლოგიურ ძიებებს.

ფერწერული სახეები, სიტყვის რიტმული ფენომენი, ფრაზისა და პასაჟების შინაარსის გამძაფრება, ხალხური მეტყველების უმდიდრესი საგანძურის შემოქმედებითი ფლობა ქმნის დ. შენგელაიას მაღალმხატვრული სტილის საფუძველს. მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ფოლკლორისტიკაში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



შენგელია დავით [დ. 4. V. 1933, თბილისი), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001).

1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი სამთო-ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. ამავე წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომელად (1956–96), მეტროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად (1996 წლიდან); 1978–98 წლებში იყო საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის კათედრის გამგე და პროფესორი, 1998 წლიდან – ამავე აკადემიის გეოლოგიისა და სამთო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

დ. შენგელიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პეტროლოგიური მეცნიერების განვითარებაში. იგი პეტროლოგიის მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელია. ლექციების კურსს კითხულობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის კათედრაზე მაგმურ პეტროლოგიაში (1976–2006), ასევე პრაღის კარლოვის უნივერსიტეტში (1984–86).

მის ძირითად სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს გრანიტწარმოშობის პრობლემა, პეტრომინერალოგიური კვლევა, გეო-

თერმობარომეტრია, იზოტოპური გეოქრონოლოგია, ტექტონიკის როლი რეგიონული მეტამორფიზმისა და მაგმური ქანების ფორმირების პროცესში.

დ. შენგელია არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ.შ. 9 მონოგრაფიის (3 გამოქვეყნებულია უცხოეთში) და 2 საერთაშორისო რუკის ავტორი.

დ. შენგელიას მიღებული აქვს ა. ჯანელიძისა (1992) და ა. თვალჭრელიძის (2008) სახელობის პრემიები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სპეციალური სიგელი გეოლოგიის დარგში მიღწეული წარმატებისთვის (2023; იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერებათა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით).



შენგელია პავლე (25. III. 1903, ქუთაისი, – 26. V. 1971, თბილისი), ჰიდროენერგეტიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1956), პროფესორი (1958), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1962).

1930 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). მუშაობდა რიონჰესის მშენებლობაზე, იყო მშენებლობის სამმართველოს საპროექტო განყოფილების ტექნიკოსი (1922–30), ინჟინერი და უფროსი ინჟინერი (1930–32). მან შეადგინა რიონის კომპლექსური გამოყენების ახალი სრულყოფილი სქემა, რაც აუმჯობესებდა გერმანელი სპეციალისტის, ა. ლუდინის მიერ შედგენილ ამავე მდინარის გამოყენების სქემას. 1932–51 წლებში მუშაობდა ჰიდროენერგეტიკის საპროექტო ინსტიტუტში უფროს, შემდეგ ჰესების დაპროექტების ბიუროს მთავარ ინჟინრად.

პ. შენგელიას უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა მრავალი სქემა სამხრეთ კავკასიის მდინარეებზე. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1936–71). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი (1951–70); ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1970–71).

ჰიდროენერგეტიკის განვითარების საკითხებზე აქვეყნებ-

და სამეცნიერო ნაშრომებს. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში მაღალ კაშხლებთან დაკავშირებული საპროექტო-ექსპერიმენტული სამუშაოების ორგანიზაციის საქმეში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



შენგელია რამაზ (დ. 28. IX. 1952, თბილისი), ექიმი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1997), პროფესორი (1998), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018).

1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსუ) სამკურნალო ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ხელოვნების ფაკულტეტი (კინოდრამატურგის სპეციალობით). იყო საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების წევრი.

1975–76 წლებში გაიარა ინტერნატურა ქალაქის მე-2 საავადმყოფოში, იმავდროულად კითხულობდა ლექციებს ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტში. 1976–78 წლებში იყო ახალციხის რაიონული საავადმყოფოს ქირურგი, 1978–84 წლებში – თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, 1984–96 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1985–88 წლებში – მოწვეული პედაგოგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, 1987–94 წლებში – საქართველოს სანიტარიული ავიაციის კონსულტანტი, 1991 წლიდან თსსუ-ის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და იმავე უნივერსიტეტის სრული პროფესორია, 1996 წელს იყო ლონდონის უნივერსიტეტის ჰენრი უელქომის მედიცინის ისტორიის ინსტიტუტის (Wellcome Institute) მკვლევარი. 1992–97 წლებში იყო ამერიკული ჰუმანიტარული კორპორაცია ACTS International-ის მენეჯერი, 1999–2004 – თსსუ-ის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1999 წლიდან – ფარმაკოლოგიური ფირმა Quanta – Medical Group-ის გლობალ მენეჯერის თანაშემწე, 2002–05 წლებში – ქართული სამედიცინო ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, 2005–06 წლებში – თსსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, 2006–09 წლებში იქვე – გამომცემლობის მთავარი რედაქტორი. 2000 წლიდან არის მ. შენგელიას სახ. ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის დირექტორი, 2013 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი.

რ. შენგელიას სამეცნიერო ინტერესების სფეროა: მოლეკულური ანთროპოლოგია (პოპულაციური გენეტიკა, არქეოგენეტიკა, ბიოარქეოლოგია), სამედიცინო ანთროპოლოგია (მედიცინის ისტორია, ბიოეთიკა, ეთნომედიცინა), კულტუროლოგია.

რ. შენგელია არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და მისი პროზაული ნაწარმოები შესულია უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიაში (2010); არის ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის წევრი (2015); 2012–24 წლებში იყო მედიცინის ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების (ISHM) ვიცე-პრეზიდენტი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, სახელობითი პრემიები და მედლები. მ. შ. მედალი, პამირში ზღვის დონიდან 4000 მ-ზე ჩატარებული ქირურგიული ოპერაციისთვის.



შილაკაძე თამაზ (დ. 19. II. 1932, თბილისი), საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (2005), პროფესორი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018), საქართველოს დამსახურებული ინჟინერი (1986), საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი (1971), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1983).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) სპეციალობით – ავტომაგისტრალები და საქალაქო გზები (1955) და იქვე დაიწყო მუშაობა; გზების კვლევა-ძიებისა და პროექტირების სპეციალობით მუშაობდა მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტში (1958–61), იყო საქართველოს საგზაო სამეცნიერო-კვლევითი სადგურის პირველი დირექტორი (1965). არის 1965 წელს თავისივე დაარსებული შპს საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის, „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი. იყო საქართველოს ტექნიკური შემოქმედებისა და პატენტმცოდნეობის ინსტიტუტის რექტორი (1969–93), საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის პროფესორი (2002), კათედრის ხელმძღვანელი (1971–99), სტუ-ის სრული პროფესორი (2021), საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე (2017 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი (2018 წლიდან).

თ. შილაკაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შესწავლა (არქიტექტურის, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით) და ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა; საგზაო-სატრანსპორტო ქსელის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების საკითხები; ადგილობრივი საგზაო-სამშენებლო მასალებისა და მრეწველობის ნარჩენების შესწავლა საგზაო სისტემაში დანერგვის მიზნით; გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების დამუშავება ახალი ეფექტური ავტოტრანსპორტის დამცავი ნაგებობების შექმნა და სხვ.

თ. შილაკაძეს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. არის რამდენიმე ათეული გამოგონების ავტორი. მისი ნაშრომების ნაწილი თარგმნილია ინგლისურ, რუსულ და ჩინურ ენებზე. ზოგიერთი მათგანი გამოიყენება სასწავლო დაწესებულებებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

არის საქართველოს საპატიო მეგზევე (1971), იტალიის ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების გ. მაკრონის სახ. საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1994). მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემია, 2005), ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდება ტექნიკის მეცნიერებათა დარგში მოპოვებული მიღწევებისა და ღვაწლისთვის (დიდი ბრიტანეთი, 2018).

მიღებული აქვს ი. ჭავჭავაძის სახელობის პრემია (2024), ღირსების ორდენი (1999), ღირსების საერთაშორისო ორდენი მშენებლობისა და სატრანსპორტო დარგში (გაერთიანებული სამეფო, 2000) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

არის თბილისისა (2003) და ბათუმის (2024) საპატიო მოქალაქე.



ჩაგელიშვილი გიორგი (დ. 3. XII. 1952, თბილისი), ფიზიკოსი, თეორეტიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1990), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013, წევრ-კორესპონდენტი – 2001), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1974). მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (ახლანდელი ე. ხარაძის სახ. ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია) უმცროს (1986 წლამდე), უფროს (1987–91), წამყვან (1991–97), მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (1997 წლიდან).

2019 წლიდან არის ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პარალელურად, იმავე წლიდან – თსუ-ის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

გ. ჩაგელიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა არაწრფივი განივი კასკადის და სუბკრიტიკული ტურბულენტობა წანაცვლებით დინებებში; წანაცვლებითი დინებების არაორთოგონალობით გამოწვეულ შეშფოთებათა მოდების წრფივი ბმა; თვითორგანიზაცია და ტურბულენტობა: ჰიდროდინამიკურ და მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებსა და დიფერენციალურად მბრუნავ, დამაგნიტებულ, სტრატიფიცირებულ ასტროფიზიკურ დიკსოებში, ასევე გეოფიზიკურ დინებებსა და მართვად თერმობირთვულ პლაზმაში.



ჩანტლაძე ვასილ (8. I. 1905, ზესტაფონი, – 18. X. 1995, თბილისი), ეკონომისტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966).

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1930 წლიდან აქვე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1967 წელს დაინიშნა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ. 1945 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ვ. ჩანტლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ ფინანსებისა და კრედიტის თეორიის განვითარებაში. მისი შრომები ეძღვნება სახალხო მეურნეობის დარგების ფინანსებს, ფინანსებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის, სტატისტიკის საკითხებს. შეადგინა საფინანსო-საკრედიტო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) და სტატისტიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო თსუ-ის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს ცენტრალური სტატისტი-

კური სამმართველოს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სექციის კონკრეტულ სოციალურ გამოკვლევათა პრობლემების სამეცნიერო საბჭოების წევრი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საგამომცემლო საბჭოს ეკონომიკური დისციპლინების სამეცნიერო მეთოდური სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საშუალო და უმაღლესი სკოლების კომისიის წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს – ფინანსების, ფულის და კრედიტის სექციის თავმჯდომარე და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჩიტაია გიორგი [10 (23). XI. 1890, ფოთი, – 28. VIII. 1986, თბილისი], ეთნოლოგი, ეთნოგრაფი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969; წევრ-კორესპონდენტი – 1944), ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი.

დაამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი (1907), თბილისის II ვაჟთა გიმნაზია (1911), პეტერბურგის უნივერსისტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1911–16), კენიგსბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა გერმანულ ენას (1913). მუშაობდა პედაგოგად ფოთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში (1917–22), 1922 წლიდან – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექციის ხელმძღვანელი (1936–38), ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე (1938–41), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი (1941–61), საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორისა (1961–70) და საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების (1970–86) გამგე.

გ. ჩიტაიას თაოსნობით თბილისში დაარსდა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი (1936–39), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეთნოგრაფიის კათედრა (1940, კათედრის გამგე 1940–73), საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი (1966), ასევე ხელმძღვანელობდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების დაარსებას. საქართველოს

სახელმწიფო მუზეუმში მოაწყო პრობლემურ-თემატური, რეგიონული და ეთნოგრაფიული გამოფენები. შექმნა პირველი სალექციო კურსი, ზოგადი ეთნოგრაფიის შესავალი. დააზუსტა ეთნოგრაფიის საგნის მიზნები და ამოცანები, შეიმუშავა საველე კამერალური ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ახალი „კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი“. შეისწავლა ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურა და დაადგინა სახვნელი იარაღების განვითარების ძირითადი ფორმები, ქართული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების სტრუქტურული კლასიფიკაციის პრინციპები, ქართული ხალხური ორნამენტის ორი სტილი (მთური და ლაზური).

გ. ჩიტაიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეტიკური პრობლემის კვლევაში. განსაზღვრა თანამედროვე სოციალური ყოფის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური ამოცანები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მეთოდები და პრინციპები.

გ. ჩიტაია იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ. მისი ნაშრომები თავმოყრილია „შრომების“ ხუთტომეულში (1997 – 2001, მეორე გამოცემა – 2023).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ჩიქობავა არნოლდ [14(26). III. 1898, სოფ. საჩიქობავო, ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი, – 5. XI. 1985, თბილისი], ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1929), პროფესორი (1933), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), პრეზიდიუმის წევრი (1950–63), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ფუძემდებელი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი საენათმეცნიერო განხრით (1922). მან, პირველმა თსუ-ის კურსდამთავრებულთაგან, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I (1929), თსუ-ის აღზრდილთაგან პირველს მიენიჭა პროფესორის წოდება (1933).

ა. ჩიქობავა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თსუ-სა (1926–85) და ენათმეცნიერების ინსტიტუტში (1933–85). 1933 წელს თსუ-ში დააარსა კავკასიურ ენათა კათედრა, რომელსაც განაგებდა 1960 წლამდე. 1936 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით შექმნილ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას ენიმკიში, შემდეგ – ენათმეცნიერების ინსტიტუტში (1950–52 წლებში – დირექტორი), ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში იყო ქართული ენის კათედრის გამგე (1933–37).

ა. ჩიქობავა იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკო-

ნის კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი (1950–63), „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1974–85), იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ რეგიონულ სამეცნიერო სესიათა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე (1965 წლიდან).

ა. ჩიქობავა იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ქართული ენის სწავლების საკითხებს. მის პირველ მეცნიერულ ნაშრომს „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“ (1923) მოჰყვა 20-მდე მონოგრაფია ქართულ და უცხოურ ენებზე. იგი მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს სწავლობდა ადგილზე, საველე პირობებში (1929–41). შედეგად შეიქმნა არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი ხუნძურის ფონეტიკა-მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებზე, კერძოდ – „ხუნძური ენა“ (ი. ცერცვაძის თანაავტორობით, 1962). მან აგრეთვე გამოაქვეყნა შემაჯამებელი ხასიათის მონოგრაფია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (1979).

ა. ჩიქობავამ ძველი და ახალი ქართული ენის შესწავლის სხვადასხვა საკითხს მიუძღვნა ნაშრომები: „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში“ (1928), „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“ (1941), „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“ (2 წერილად; 1942) და სხვ. მის მიერ შემუშავებულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის პრინციპები, აგრეთვე დაკვირვებანი მწერლის ენაზე (შოთა რუსთაველი, ი. ჭავჭავაძე). ა. ჩიქობავას დიალექტოლოგიური ხასიათის ნაშრომები ეხება ფერეიდნულს, მთიულურსა და გარეკახურს, დიალექტიზმებს „ვეფხისტყაოსანში“, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს და სხვ. ქართველურ ენათა კვლევის სფეროში განმაზოგადებელი ხასიათისაა ნაშრომი

„ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და ძველი ლინგვისტური სახე“ (1948; რუსულ ენაზე). მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (1936) ავტორი ამტკიცებს, რომ მეგრული და ჭანური ერთი ენის – ზანურის – ორი დამოუკიდებელი დიალექტია და არა ორი ენა. „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938), ფაქტობრივად, ქართველურ ენათა პირველი ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონია. ა. ჩიქობავამ მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942), ერთი მხრივ, განავითარა ი. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული ძიება გრამატიკული კლას-ნიშნებისა ქართველურ ენათა სახელებში და, მეორე მხრივ, მოგვცა პირველი მეცნიერული თეორია სახელის ფუძის შედგენილობის შესახებ ამ ენებში.

ა. ჩიქობავას მიერ 1940 წელს ლენინგრადში წაკითხულმა მოხსენებამ ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო საკითხებზე განაპირობა ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მონოპოლიის დასრულება. მას ეკუთვნის ფუძემდებლური ნაშრომები ზოგადი ენათმეცნიერების სფეროში: „ზოგადი ენათმეცნიერება“ (1935) და „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის, პრობლემა“ (1959, რუსულ ენაზე) და სხვ.

იყო დაღესტნის (1968), ყაბარდო-ბალყარეთის (1968), აფხაზეთის (1978), ჩაჩნეთ-ინგუშეთის (1981) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ჰუმბოლდტის სახ. ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1960), დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი (1968),

ა. ჩიქობავას მიღებული აქვს მოსკოვის უნივერსიტეტის მ. ლომონოსოვისა (1951) და ივ. ჯავახიშვილის (1980) პრემიები, 3 ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

1986 ენათმეცნიერების ინსტიტუტს მიენიჭა ა. ჩიქობავას სახელი.



ჩოგოვაძე გოჩა (11. I. 1941, ქუთაისი, – 13. VI. 2022, თბილისი), ინფორმატიკის დარგის მეცნიერი, დიპლომატი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1976), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1988).

1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტი. მუშაობდა იქვე სხვადასხვა თანამდებობაზე (1963-81); საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იყო მისივე თაოსნობით დაარსებული მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის გამგე (1971–76), ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ დარგობრივ კვლევით ლაბორატორიას (1976–81), პარიზში მუშაობდა იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად (1981–86). იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1988–94), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი (1988–94), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკასა და ესპანეთის სამეფოში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში (1994–2004), იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს წევრი (1999–2003), იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი (2001–03); იუნესკოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი (2004 წლიდან).

გ. ჩოგოვაძის ძირითადი ნაშრომები ეხება მართვის ავტომატიზებული სისტემების თეორიას, აგრეთვე საგარეო

ურთიერთობათა, გლობალიზაციისა და მონდიალიზაციის პრობლემებს. არის მონოგრაფიებისა და 6 გამოგონების ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გ. ჩოგოვაძე იყო საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების კავშირის (UATI) პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1999).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997), გ. ნიკოლაძის სახელობის მედალი (2001), საფრანგეთის სახელმწიფო ჯილდოები.




ჩოლოყაშვილი სოლომონ (1. VI. 1883, სოფ. ბაკურციხე, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 10. VI. 1944, თბილისი), აგრონომ-მევენახე. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1926), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941). 1907 წელს დაამთავრა კლოსტერნოიბურგის (ავსტრია) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1920 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ხოლო 1990 წლიდან – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგე.

ს. ჩოლოყაშვილმა შეისწავლა საქართველოში ფილოქსერის გავრცელების პირობები, მისგან გამოწვეული დაზიანებანი და დაასაბუთა ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეებზე ნამყენი ვაზის გაშენების საჭიროება. მისი ხელმძღვანელობით გამოკვლეულია საქართველოს ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ფონდი და გამოყოფილია სამრეწველო მიმართულების ვაზის ჯიშები.

ს. ჩოლოყაშვილი ავტორია მონოგრაფიული ნაშრომისა „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“ (1912), აგრეთვე სახელმძღვანელოებისა: „მევენახეობა“, „მევენახეობა და ამპელოგრაფია“.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეზოში დგას მისი ბიუსტი.



ჩუბინაშვილი გიორგი [1. XI (3. XII), 1885, სანქტ-პეტერბურგი, – 14. I. 1973, თბილისი], მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), სსრკ არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1941), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი.

სწავლობდა ფსიქოლოგიას ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში (1907–12), ხოლო ქართულ-სომხურ-სპარსულ ფილოლოგიას – პეტროგრადის უნივერსიტეტში (1916–17), სადაც მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხი (1914).

1918–31 და 1937–48 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი რექტორი (1922–28), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე (1929–34), ხელოვნების მუზეუმის, „მეტეხის“ ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგე (1934–41), 1941 წლიდან გარდაცვალებამდე – ახლადშექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის (თავდაპირველად სექტორი) დირექტორი.

გ. ჩუბინაშვილმა XX საუკუნის 20–30-იან წლებში განსაზღვრა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების გეზი და გამოყო მისი ისტორიის რამდენიმე საფეხური, დაადგინა ყოველი მათგანისათვის დამახასიათებელი სტილის ნიშნები,

გამოავლინა და გამოაქვეყნა მრავალი უცნობი ძეგლი. კახეთის ხუროთმოძღვრების ზედმიწევნით შესწავლამ დაადასტურა შუა საუკუნეების საქართველოში რამდენიმე არქიტექტურული სკოლის არსებობა, რომელთაგან თითოეული თავისებურად წყვეტდა საერთო ეროვნულ მხატვრულ ამოცანებს. ამავე დროს გამოააშკარავა ის საზოგადო ნიშან-თვისებები, რომლებიც განასხვავებს ქართულს სხვა ქვეყნების არქიტექტურისაგან და განსაზღვრავს მის ეროვნულ სახეს.

იყო ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მოღვაწე. აღსანიშნავია მისი წვლილი სამუზეუმო საქმიანობაში.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი (1965) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

გ. ჩუბინაშვილის სახელს ატარებს ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავანეში.



ცაგარელი არჩილ [22. XI (5. XII.), 1913, თბილისი, – 25. XII. 1988, იქვე], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1951), პროფესორი (1954), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). 1940 წლიდან მუშაობდა საქართველოს ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში, 1951 წლიდან ხელმძღვანელობდა რეგიონულ განყოფილებას (1979–81 წლებში – დირექტორი). 1980 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა აკადემიკოს-მდივანი, 1954 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში.

ა. ცაგარლის ნაშრომები ეხება საქართველოსა და კავკასიის მეზოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის, მეოთხეული გეოლოგიის და რეგიონული გეოლოგიის საკითხებს. პირველმა შეაჯამა და თანამედროვე დონეზე განაზოგადა საქართველოს ზედაცარცული ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის საკითხები. შეიმუშავა კავკასიის განვითარების ნეოტექტონიკური ეტაპის ახლებური სქემა. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები აისახა 100–ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, რომელთა შორის 7 მონოგრაფიაა. იგი იყო ლონდონის გეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი (1975), აგრეთვე რამდენიმე საკავშირო საერთაშორისო დარგობრივი კომისიის და საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს ა. ჯანელიძის სახელობის პრემია.



ცინცაძე გივი (18. IV. 1933, თბილისი, – 4. III. 2021, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1983), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1983). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2008–20), უკრაინისა (1990) და საქართველოს (1995) სახელმწიფო პრემიების ლურეატი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი (1957). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1957–61). მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ) ანალიზური ქიმიის კათედრაზე ასისტენტის, შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე (1960–71). მივლინებული იყო ტ. შევჩენკოს სახ. კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე (1968–70), შემდეგ კვლავ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაბრუნდა, სადაც იყო ანალიზური ქიმიის (1971–74) და არაორგანული ქიმიის (!974–92) კათედრების გამგე, ამასთანავე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1977–86), არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1986 წლიდან), ქიმიური და

ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი (1992–97), სტუ-ის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (1995–97), ამავე ფაკულტეტის ზოგადი და ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე (1997–2004), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსნაერთების ქიმიიის ლაბორატორიის გამგე (2002 წლიდან).

გ. ცინცაძის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ეხება ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების ქიმიის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა სინთეზური ქიმია, სპექტროქიმია, სტრუქტურული ქიმია, კრისტალური სტრუქტურების შესწავლა და კვანტურქიმიური გამოკვლევები, ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების გამოყენებითი ქიმია. მიკროელემენტების და სამკურნალო ნივთიერებების საფუძველზე ახალი ბიოკომპლექსების სინთეზმა, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და ელექტრონული სტრუქტურების შესწავლამ საიმედო ფუნდამენტი შეუქმნა ბიოლოგიური აქტივობის მექანიზმის გაგებას, საფუძვლად დაედო ბიოლოგიურად აქტიური ბიოარაორგანული კომპლექსების მიზანმიმართულ სინთეზს.

მის სამეცნიერო ნაშრომებს შორისაა 16 მონოგრაფია, 14 სახელმძღვანელო და 8 საავტორო მოწმობა. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ათეული წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა სტუ-ში, თსუ-სა და ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ცინცაძე ნოდარ (22. II. 1930, თბილისი, – 22. VI. 2020, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982). საქართველოში პლაზმის ფიზიკის სამეცნიერო სკოლის დამაარსებელი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1955). მუშაობა დაიწყო ხარკოვის უნივერსიტეტში (უკრაინა), ი. ახიეზერის ჯგუფში (1955–58). 1958 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის (ახლანდელი ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი) პლაზმის ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1958–60), ამავე განყოფილების უფროსი (1960–2006), მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2006–10), პლაზმის ფიზიკის განყოფილების გამგე (2010–12). პარალელურად მუშაობდა თსუ-ში ფიზიკის ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტად (1960–67), პროფესორად (1968–94), თეორიული ფიზიკის კათედრის გამგედ (1982–2010), პლაზმის ფიზიკის მიმართულების სრულ პროფესორად (2012–20).

ნ. ცინცაძე წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს პორტუგალიის, შვედეთის, იაპონიის, აშშ-ის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო კვლევებს ატარებდა იაპონიაში. იყო ხიროსიმის (იაპონია) სინთეზის თეორიის ინსტიტუტის საპატიო წევრი. 1987–93 წლებში ხელმძღვანელობდა აბდუს

სალამის სახ. თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (ტრიესტი, იტალია) პლაზმის ფიზიკის სკოლას; 2004–11 წლებში მოღვაწეობდა ა. სალამის კათედრაზე ლაჰორის უნივერსიტეტში (პაკისტანი). გასული საუკუნის 90-იან წლებში მოღვაწეობდა თეირანის მათემატიკისა და ფიზიკის კვლევით ინსტიტუტში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ირანში პლაზმის ფიზიკის მიმართულების განვითარებაში.

ნ. ცინცაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო მაკროსკოპული სისტემების კინეტიკური და პლაზმაში არაწრფივი მოვლენების თეორია, ძლიერი ლაზერული გამოსხივების მოქმედება გარემოზე, კვანტური ფერმი და ბოზეს გაზის თვისებების დადგენა. მან პირველმა შეიმუშავა სრულიად ახალი იდეა რელატივისტური პლაზმის ფიზიკაში, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ძლიერი ლაზერების გამოყენებას. მას ეკუთვნის ახალი ამაჩქარებლის შექმნის იდეაც, მის მიერ შექმნილი ახალი კვანტური კინეტიკური განტოლება კი ინტენსიურად გამოიყენება კვანტური პლაზმის ფიზიკური მოვლენების შესწავლისას. მას გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და 7 მონოგრაფია.

ნ. ცინცაძე იყო მრავალი საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტისა და მსოფლიოს პლაზმის ფიზიკის საბჭოს წევრი, პლაზმის ფიზიკის თბილისის საერთაშორისო სკოლის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი (1972 წლიდან).

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის მედალი (2018), ღირსებისა (2000) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2015) ორდენები.



ციციშვილი გიორგი ვლადიმერის ძე (24. XI. 1915, თბილისი, – 12. VII. 2012, იქვე), ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1950), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი (1937). მუშაობდა იქვე უფროს მასწავლებლად (1940–42), დოცენტად (1942–49), პროფესორად (1949 წლიდან), პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტში – უფროს მეცნიერ თანამშრომლად, დირექტორად (1941–47), ლაბორატორიის გამგედ (1947–89), საპატიო დირექტორად (1989 წლიდან). იყო ქიმიური ტექნოლოგიის ოთხენოვანი ლექსიკონის რედაქტორი, მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პრეზიდიუმის წევრი (1963), პრეზიდიუმის მრჩეველი (1988), 1975 წლიდან – აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ქიმიის სერიის დამაარსებელი და პირველი რედაქტორი. ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და საქართველოს ქიმიური საზოგადოების გამგეობის წევრი, ჯ. სოროსის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის საპატიო პროფესორი (1994).

გ. ციციშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო არის ფიზიკური ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები, ასევე თეორიული, ექსპერიმენტული ქიმია (მოლეკულური სტრუქტურების, ბმების, რეაქციებისა და ნივთიერების თვისებების განსაზ-

ღვრა). მისი კვლევები დაკავშირებულია ბუნებრივი დანალექი ცეოლიტების თვისებების შესწავლასა და გამოყენებასთან. იკვლევდა სორბციულ პროცესებს ნივთიერების აგებულებაში. შექმნა კვანტურ-ქიმიური მეთოდი მოლეკულების ურთიერთგანზიდვაზე პოლარობის გავლენის ამოცანის გადასაჭრელად. იკვლევდა სორბციული პროცესების სტატიკას, კინეტიკასა და ენერგეტიკას, ასევე საქართველოს მონტმორილონიტურ თიხებს, სინთეზურ და ბუნებრივ ცეოლითებს, ცეოლითმაგვარ და სხვა მასალებს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამუშაოების დიდი ციკლი ცეოლითური მოლეკულური საცრების – ადსორბენტების, იონმიმომცვლელებისა და კატალიზატორების მისაღებად, ასევე სხვადასხვა კათიონური ფორმის მისაღებად და იონმიმოცვლითი პროცესების საკვლევად. მან საქართველოში საფუძველი დაუდო ადსორბციული სკოლის შექმნას.

გ. ციციშვილის კვლევები აგრეთვე დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოში ნავთობის ქიმიურ ტიპიზაციასთან, რისთვისაც გამოიყენა ბიოლოგიური მარკერების მოლეკულური შემადგენლობის შესწავლის შედეგები. მისმა მონოგრაფიამ „კვანტური ქიმია“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ფუნდამენტური ქიმიური განათლების განვითარებაში. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის (1965) და ა. თვალჭრელიძის (1987) სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი (1995) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ციციშვილი გიორგი შალვას ძე (23 XI. 1922, თბილისი, – 29. X. 2005, იქვე), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979).

1941 წელს დაამთავრა ბაქოს სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი, 1950 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1953 წელს – მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, 1959 წელს – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურა. 1953 წლიდან იყო რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე, განყოფილების ხელმძღვანელი, 1985 წლიდან – დირექტორი. 1967–77 წლებში ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი, 1977–85 წლებში – საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1986 წლიდან – თავმჯდომარე, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

პირველი სამეცნიერო კრიტიკული წერილები 1950 წელს გამოაქვეყნა. გ. ციციშვილს ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის, თეატრის კრიტიკისა და ისტორიის, ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „წერილები ქართულ თეატრსა და დრამატურგიაზე (1958), „საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის გენეზისისა და სპეციფიკის საკითხები“ (1960), „ქართული საბჭოთა დრამა-

ტურგია“ (1962), „ჭოლა ლომთათიძე“ (1966), „მაქსიმ გორკი და ქართული საზოგადოებრიობა“ (1969), „შალვა დადიანი“ (1974), „სანდრო შანშიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, „ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ხალხებთან და მისი შესწავლის ისტორია“ (1981) და სხვ. II მსოფლიო ომის წლებს ეხმიანება ნოველების კრებული „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“ (1973), ხოლო ჩვენი თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებს – რომანი „სძლიე სიხარბესა შენსა“ (1978). მათში გამოხატულია მწერლის მოქალაქეობრივი პათოსი.

გ. ციციშვილის მეცნიერული ნაშრომები და რომანები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის ვახტანგ გორგასლის ორდენი.




ციციშვილი ვლადიმერ (დ. 17. III. 1947, თბილისი), ფიზიკური ქიმიის დარგის მეცნიერი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2019; წევრ-კორესპონდენტი – 2001), ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2020 წლიდან).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1970). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში (1970–78), შემდეგ მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანული ნაერთების ინსტიტუტში (1971–73). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიის რესპუბლიკურ ცენტრს (1978–90). მოღვაწეობდა ბერლინში, ფიზიკური ქიმიის ცენტრალურ ინსტიტუტში და ლაიფციგში – კ. მარქსის უნივერსიტეტში (1981–83). იყო პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგე (1990–2005), დირექტორის მოადგილე (2005–06), დირექტორი (2006–18). არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2018 წლიდან).

ვ. ციციშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეხება თანამედროვე ფიზიკისა და მათემატიკის მიდგომების გამოყენებას თეორიულ ქიმიაში; არაორგანული და ორგანული, მ. შ. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღნაგობისა და თვისებების კვლევას ბირთვული მაგნიტური რეზონანსის, ინფრაწითელი

და სხვა სპექტროსკოპული მეთოდებით; აგრეთვე მოლეკულურ-საცრული, სორბციული, იონმიმოცვლითი და კატალიზური თვისებების მქონე ფოროვანი მასალების სინთეზს, კვლევასა და გამოყენების საფუძვლების დადგენას. მან არსებითი წვლილი შეიტანა ფიზიკური ქიმიის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაში, როგორებიცაა ნივთიერების აღნაგობა და მოლეკულური დინამიკა დიფუზიურ, სორბციულ, იონმიმოცვლით, კატალიზურ და სხვა პროცესებში. მის მიერ შეფასებულია მრავალი ენერგეტიკული, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა პროექტების გარემოზე ზემოქმედება, შემუშავებულია შემარბილებელი ზომები და გარემოსდაცვითი სტრატეგიები.

შრომათა ციკლებისთვის (ავტორთა ჯგუფთან ერთად) მიენიჭა ა. თვალჭრელიძის (2005), გ. ციციშვილის (2018) და რ. აგლაძის (2021) სახელობის პრემიები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).



ძიძიგური არჩილ (15. VIII. 1914, ქუთაისი, – 4. IV. 1997, თბილისი), გამოყენებითი მექანიკისა და ენერგეტიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969; წევრ-კორესპონდენტი – 1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1976–88) და მრჩეველი (1988 წლიდან), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1964), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973, 1993).

დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი (1938). მუშაობდა დნეპროპეტროვსკის (უკრაინა) სამთო ინსტიტუტში (1939–41), საქართველოში – ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში (1942 წლიდან). განაგებდა ინსტიტუტის განყოფილებას (1952–57), რომლის ბაზაზეც მისი ინიციატივით 1957 წელს ჩამოყალიბდა სამთო საქმის ინსტიტუტი (პირველი დირექტორი 1973 წლამდე). იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამთო მანქანების, მაღაროს სტაციონარული დანადგარებისა და ტრანსპორტის კათედრის გამგე (1968–70), პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი (1973–81), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე (1973–97), ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო საბჭოს წევრი.

ა. ძიძიგურის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო მოიცავს

სამთო საქმის თითქმის ყველა მიმართულებას. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესრულდა ფუნდამენტური გამოკვლევები საშახტო სტაციონარული დანადგარების, საშახტო ჰიდროაერომექანიკისა და სავენტილაციო სისტემის, სამთო თბოფიზიკის, მილსადენი ტრანსპორტისა და მრავალფაზოვანი ნაკადების, საბურღი დანადგარების რეჟიმების აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად.

ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, მათ შორისაა 10 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო და 40-ზე მეტი გამოგონება

მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1974), ლენინის (1981) და ღირსების (1995) ორდენები, სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

იყო ბათუმის საპატიო მოქალაქე (1980).



ძიძიგური შოთა (15. VIII. 1911, სოფ. მათხოჯი, ახლანდელი ხონის მუნიციპალიტეტი, – 10. X. 1995, თბილისი), ენათმეცნიერი, ბასკოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1971).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საენათმეცნიერო ფაკულტეტი (1930). ასპირანტურის კურსი გაიარა ლენინგრადში აკადემიკოსების: ნ. მარის, ი. მეშჩანინოვის, ლ. ჩშერბას და პროფ. კ. დონდუას ხელმძღვანელობით. იქვე დაიცვა დისერტაცია (1935) თემაზე „ქართული ენის კილოების კლასიფიკაციის ცდა“. 1936 წელს დაიწყო სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის, ქუთაისის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იყო თსუ-ის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე (1967–84), 1974 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე, ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოების, აგრეთვე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ენათმეცნიერების საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „გეორგიკის“ რედაქტორი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და სხვ.

შ. ძიძიგურის შრომებში გაშუქებულია ქართული ენის გრამატიკის, მისი ისტორიის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, ონომასტიკის, აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, მწერლის ენისა და სტილის საკითხებს, ქართული ენის დიალექტების შესწავლას. დიალექტები მან დააჯგუფა ფონეტიკური პროცესების საფუძველზე და გამოსცა „ქართული დიალექტების ქრესტომათია“ (1956) და „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“ (1974). ქართული ენის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“ (1969). მან პირველმა აღმოაჩინა ნართული ეპოსის კვალი ქართულ ფოლკლორში.

შ. ძიძიგური ავტორია მონოგრაფიებისა გამოჩენილ ენათმეცნიერებზე – ნ. მარზე, ა. შანიძეზე, გ. ახვლედიანზე, აგრეთვე ნაშრომებისა ბასკებისა და ბასკური ენის შესახებ („ბასკები და ქართველები“, 1979). განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე გამოცემული ნაშრომი „ქართული ენა“.

მიღებული აქვს ს. ვავილოვისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლები და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ გიორგი [10(23). II. 1910, ქუთაისი, – 5.V. 1976, თბილისი], გეოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1948). საქართველოსა (1955) და სსრკ-ის (1968) მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი.

1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-სა (1933–1934) და ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1957–1959 წლებში იყო თსუ-ის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, 1958–1959 წლებში – რექტორი. 1936–1941 წლებში პარალელურად მუშაობდა გეოლოგიის ინსტიტუტში, 1941 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა გამოკვლევებს ვულკანოლოგიისა და ლითოლოგიის დარგში. 1951–1955 წლებში ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას, 1955–1958 წლებში იყო პირველი ვიცე-პრეზიდენტი, 1955–1959 წლებში და 1976 წლიდან – პრეზიდიუმის წევრი, 1973 წლიდან – სსრკ გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს საქართველოს რეგიონებში. სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ეკავა სხვადასხვა პარტიული თანამდებობა. 1959–1976 წლებში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, 1960 წლიდან – სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის

მოადგილე, 1959–1976 წლებში – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

გ. ძოწენიძის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები ეხება პალეოვულკანოლოგიისა და ლითოლოგიის საკითხებს. საქართველოს მიოცენამდელი ვულკანური წარმონაქნების კვლევის შედეგად დაასაბუთა მაგმატიზმის ქიმიური ევოლუციის დამოკიდებულება რეგიონის გეოტექტონიკური განვითარების ისტორიასთან. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ტერიტორიის სისტემურ ლითოლოგიურ კვლევას. ქუთაისის მიდამოებში აღმოაჩინა და შეისწავლა ანალციმიანი ქვიშაქვები, დაასაბუთა ვულკანიზმის როლი ლითოგენეზისსა და მადანწარმოქმნაში, საფუძველი ჩაუყარა მოძღვრებას ვულკანოგენურ დანალექი ლითოგენეზისა და მადანწარმოშობის შესახებ. მონოგრაფიისათვის „საქართველოს მიოცენამდელი ეფუზიური ვულკანიზმი“ მიენიჭა სტალინური პრემია (1950).

გ. ძოწენიძე იყო ვულკანოლოგთა და სედიმენტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის (1970), ბულგარეთისა (1971) და ლონდონის (1975) გეოლოგიური და აშშ-ის (1971) გეოგრაფიული საზოგადოებების წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. 3 ლენინის ორდენი.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



წერეთელი გიორგი [8 (21). X. 1904, დაბა თიანეთი, – 9. IX. 1973, თბილისი], ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართველოს (1946; წევრ-კორესპონდენტი – 1944) და სსრკ (1968) მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი (1964).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლინგვისტური განყოფილება (1927), 1928 წლიდან სწავლობდა ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1933 წელს დაბრუნდა თბილისში. ხელმძღვანელობდა ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილებას ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიმკი, 1963). მან დააარსა თსუის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სემიტოლოგიის კათედრა (1945) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (1960). 1957–67 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. 1967–70 წლებში იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სიცოცხლის ბოლომდე – აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

გ. წერეთელი, ი. აბაშიძესა და ა. შანიძესთან ერთად იყო 1960 წლის იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრი.

მისი სამეცნიერო კვლევის სფერო იყო არაბული ენათმეცნიერება და ფოლკლორი, ებრაისტიკა და არამეისტიკა, ახლო აღმოსავლეთის ძველი ენები და დამწერლობათა ისტორია, ქართველური ენათმეცნიერება, ქართული და შედარებითი ლექსთწყობის საკითხები, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემები.

აღსანიშნავია გ. წერეთლის გამოკვლევები შუა აზიის მანამდე უცნობი დიალექტების შესახებ (შუა აზიის არაბული დიალექტები. I. ბუხარული დიალექტი, 1956, რუსულ ენაზე).

მნიშვნელოვანია გ. წერეთლის წვლილი არმაზში აღმოჩენილი წარწერების ამოკითხვისა და კვლევის საქმეში. („არმაზის ბილინგვა“, 1941 და „არმაზული წარწერა მითრიდატე იბერიელის ხანისა“, 1962). დადგინდა არამეული დამწერლობის ახალი სახეობა, რომელიც მეცნიერებაში „არმაზის არამეულის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. მნიშვნელოვანია მისი მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“ (1960), აგრეთვე კვლევა „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა“ (1958).

მან შეისწავლა ძველი აღმოსავლური ენები („საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“, 1939) და თეორიული ლინგვისტიკა („ენობრივი ნათესაობისა და ენობრივ კავშირთა შესახებ“, 1968, №3), რომლებშიც განვითარებულია თვალსაზრისი ენათა „შენათესავების“ თაობაზე, რასაც მან ენათა „ალოგენეტური ურთიერთობა“ უწოდა. გ. წერეთელმა დაადგინა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტი („მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, 1973).

გ. წერეთელს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავანეში.



წერეთელი ზურაბ (4. I. 1934, თბილისი, – 22. IV. 2025, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), მხატვარი, მოქანდაკე. საქართველოს (1978), სსრკ-ის (1980) და რუსეთის ფედერაციის სახალხო მხატვარი (1994), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997), სსრკ სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1988), ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1992–07), პრეზიდენტი (1997–2025), მსოფლიო ელიტის აკადემიის აკადემიკოსი (1977), რუსეთის ფედერაციის შემოქმედებითი აკადემიის ნამდვილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი (1992), რუსეთის ფედერაციის ინფორმატიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, ვიცე-პრეზიდენტი (1998 წლიდან).

1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. 1959–1966 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მხატვარ-არქიტექტორი. 1965 წლიდან – საქართველოს მხატვართა კავშირის ფონდის მთავარი მხატვარი, 1983 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი და ამავე აკადემიის მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების კათედრის გამგე, 1987 წლიდან – საქართველოში მისივე დაარსებული დიზაინერთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი, 1997 წელს ნიუ-იორკის შტატის – ბროკპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1999 წლიდან

– მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი; 2000 წლიდან – ხელოვნების გალერეის დირექტორი.

მუშაობდა დაზგური და მონუმენტური ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრში. მისი ფერწერული ნამუშევარი და მონუმენტური ქანდაკება ამშვენებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას (საქართველო, რუსეთი, აშშ, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, თურქეთი, ურუგვაი, იტალია, ისრაელი). მათ შორისაა: „პრომეთე“ (აშშ, 1979), „ბედნიერება მსოფლიოს ბავშვებს“ (აშშ, 1979), „ადამიანი და მზე“ (თბილისი, 1981), „უნდობლობის კედლის დანგრევა“ (ინგლისი, 1989), „ბოროტსა სძლია კეთილმან“ (აშშ, 1990), „წმინდა ნინოს ძეგლი“ (თბილისი, 1994), მემორიალური კომპლექსი „პოკლონნაია გორა“ (1995), მონუმენტური კომპლექსი „პეტრე დიდი“, მანეჟის მოედნის და სავაჭრო-რეკრეაციული კომპლექს „ოხოტნი რიადის“ მხატვრულ-დიზაინერული გადაწყვეტა (მოსკოვი, ყველა 1997), „ონორე დე ბალზაკის ქანდაკება“ (საფრანგეთი, 2004), „წმ. გიორგის ძეგლი“ (თბილისი, 2007), სკულპტურული კომპოზიცია „საქართველოს მატიანე“ (1980–2012). ზ. წერეთლის ხელმძღვანელობით განხორციელდა მაცხოვრის ტაძრის რესტავრაცია (მოსკოვი, 1995–2000) და სხვ. მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო ნიუ-იორკში, პარიზში, ანკარაში, სტამბულში, მოსკოვში და სხვ.

იყო საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი (1992–95), იუნესკოს კეთილი ნების ელჩი (1996).

ზ. წერეთელი არის სან-ფერნანდოს ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემიის (მადრიდი) წევრ-კორესპონდენტი (1998). ლენინური (1976), სსრკ (1970, 1983), რუსეთის ფედერაციის

(1996) და საქართველოს (2004) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

მიღებული აქვს სსრკ სოციალისტური შრომის გმირის წოდება (1990), პ. პიკასოს პრემია (1994), ღირსების ორდენი (1996) და საქართველოს, სსრკ-ის რუსეთის ფედერაციისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდო.

არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2002).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



წერეთელი კონსტანტინე (4. II. 1921, თბილისი, – 27. II. 2004, იქვე), ენათმეცნიერი, სემიტოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1974), პრეზიდიუმის წევრი (1993), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1941) და იქვე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას (1944 წლიდან): იყო სემიტოლოგიისა (1977–83) და ებრაულ-არამეული ფილოლოგიის (1991 წლიდან) კათედრების გამგე. 1960 წლიდან მუშაობდა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგედ. 1996 წელს მიენიჭა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება.

კ. წერეთელი იყო ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (1976), ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს, აღმოსავლეთმცოდნეთა საკავშირო ასოციაციის პრეზიდიუმის (1980), ამერიკის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებულ აღმოსავლურ ენათა სწავლების კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელი (1994).

კ. წერეთლის კვლევის სფერო იყო არამეისტიკა, ებრაისტიკა და შედარებითი სემიტური ენათმეცნიერება. მისმა

გამოკვლევებმა თანამედროვე ასურული ენისა და არამეული დიალექტების სტრუქტურის შესახებ საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის პრობლემათა კვლევას ყოფილ სსრკ-ში. მის მონოგრაფიაში „სირიული ენა“ (რუსულ ენაზე, 1979) სრულყოფილადაა აღწერილი კლასიკური სირიული ენის სტრუქტურა, ხოლო „არამეული ენა“ (1982) ამ დარგში ჩატარებული მუშაობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ასირიოლოგიას. უმაღლესი სასწავლებლებისათვის შეადგინა სახელმძღვანელო „თანამედროვე არამეული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ“, ნაშრომები მიუძღვნა სემიტური წარმოშობის ხალხთა აღმნიშვნელ ეთნიკურ ტერმინებს ქართულში („ებრაელი“, „არაბი“, „სირიელი“...), სემიტური ენებიდან ნათარგმნი ტექსტების ენის თავისებურებებს და სხვ. მისი თაოსნობით თბილისის ზოგიერთ საშუალო სკოლაში შემოიღეს აღმოსავლური ენების (არაბული, სპარსული, თურქული) სწავლება.

კ. წერეთელს მინიჭებული აქვს ივ. ჯავახიშვილის (1980), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I ხარისხის (1951, 1959, 1970), აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლისათვის – აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის (1989; პირველი ლაურეატი) პრემიები, აგრეთვე – სახელმწიფო პრემია ნაშრომთა ციკლისათვის „საქართველოს არამეული წარწერები“. დაჯილდოებულია ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის მედლით – „ალბერტ აინშტაინის მედალი“ (1999), ღირსების ორდენით (1996). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1998).



წინამძღვრიშვილი მიხეილ (9. V. 1882, დაბა სურამი, ახლანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1956, თბილისი), თერაპევტი, კარდიოლოგი, საზოგადო მოღვაწე. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1921), პროფესორი (1924), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943), საქართველოში კარდიოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ფუძემდებელი და მეცნიერული თერაპიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ასევე სამედიცინო განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1910 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1921–30 წლებში განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტის დიაგნოსტიკის კათედრას. 1927–31 წლებში მუშაობდა და სპეციალიზაციას გადიოდა ბერლინის, ვენისა და პარიზის კლინიკებში ევროპის წამყვან სპეციალისტებთან. 1930–56 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრას.

მ. წინამძღვრიშვილმა 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დააარსა საბჭოთა კავშირში პირველი კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე (1957 წელს ინსტიტუტს მისი სახელი მიენიჭა).

1947–48 და 1956 წლებში, მ. წინამძღვრიშვილის თაოსნობით, კარდიოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივმა ქვეყნის

რეგიონებში (პირველად საბჭოთა კავშირში) დაიწყო არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების ეპიდემიოლოგიური კვლევა, შექმნა ქვეყანაში ჰიპერტენზიის გავრცელების ეპიდემიოლოგიური რუკა. შეიმუშავა ჰიპერტენზიის კლასიფიკაცია, სადაც გამოყო დაავადების კლინიკური მიმდინარეობის რევერზიბელური, პრეჰიპერტენზიის და შეუღლებული ფორმები. დასაბამი დაუდო უეცარი სიკვდილის კომპლექსურ შესწავლას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრევენციული სტრატეგიის ჩამოყალიბებას. შეიმუშავა მიოკარდიოდისტროფიის კლასიფიკაცია, განსაზღვრა მისი როლი და ადგილი იმ დროისათვის დადგენილი გულის უკმარისობის გენეზში. მან ახლებურად გააშუქა ჰიპერტონიის რენული გენეზის თეორია, შეისწავლა გულის თანდაყოლილი ანომალიების დიაგნოსტიკის საკითხები და სხვ.

მ. წინამძღვრიშვილის თაოსნობით კარდიოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა ექსპერიმენტული კარდიოქირურგიის და გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის ქირურგიული მოდელირების განყოფილებები. გაიხსნა გულის ქირურგიის კლინიკური განყოფილება, სადაც სრულდებოდა იმ დროისთვის მეტად რთული – კომისუროტომიის, სუბტოტალური პერიკარდექტომიის, ღია არტერიული სადინრის დახურვის ოპერაციები.

მ. წინამძღვრიშვილმა დასაბამი დაუდო საქართველოში კარდიოლოგიის მრავალი მიმართულების ჩამოყალიბებას და განვითარებას (კლინიკური, ექსპერიმენტული, პრევენციული, ეპიდემიოლოგიური; ბავშვთა – იუვენილური, კარდიოქირურგიული და სხვ.). ამ მიმართულებებით გამოქვეყნებული აქვს მრავალი მონოგრაფია და ნაშრომები.

მ. წინამძღვრიშვილმა ქართულ ენაზე გამოაქვეყნა შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის პირველი სახელმძღვანელო (ორტომეული 1930, 1936–37).

იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე (1950 – 56), თერაპევტთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი (1956).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

მ. წინამძღვრიშვილის სახელი მიენიჭა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. მისი ძეგლი დგას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში.

2025 წელს საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების მიერ დაწესდა მ. წინამძღვრიშვილის სახელობითი პრემია და მედალი.



წულუკიძე ალექსანდრე (22. I. 1888, სოფ. კვახჭირი, ახლანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 21. I. 1967, თბილისი), ქირურგი, უროლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1930). საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955). მეცნიერული უროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

1913 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1926 წლიდან მუშაობდა გ. მუხაძესთან. 1922–24 წლებში უროლოგიის დარგში დახელოვნდა გერმანიასა და საფრანგეთში. 1930–59 წლებში განაგებდა ქირურგიისა და უროლოგიის კათედრებს თბილისის სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში. მეორე მსოფლიო ომის დროს მუშაობდა ევაკოჰოსპიტლების მთავარ ქირურგად. 1949–53 წლებში იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 1953–65 წლებში – მისივე ინიციატივით დაარსებული უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ახლანდელი უროლოგიის ეროვნული ცენტრი) დირექტორი, რომელიც მის სახელს ატარებდა 1967–2020 წლებში. იყო უროლოგთა საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი და სხვ.

ა. წულუკიძე იკვლევდა შარდკენჭოვან დაავადებებს, უროლოგიის, კურორტოლოგიის, ბაქტერიოლოგიის, მედიცინის ისტორიის საკითხებს. შეიმუშავა რამდენიმე ოპერაციის ორიგინალური ტექნიკა. ქართულ ენაზე შეადგინა უროლოგიის პირველი სახელმძღვანელოები.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



წულუკიძე გრიგოლ (17. IV. 1889, ქუთაისი, – 22. XII. 1950, თბილისი), სამთო დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1930), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), საქართველოში სამთოელთა სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი.

დაამთავრა ქ. ლეობენის (ავსტრია) უმაღლესი სამთო სასწავლებელი (1911), აგრეთვე ქ. ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) სამთო ინსტიტუტი (1914). მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის სარეწებზე (1914–18), ტყიბულის მაღაროებში (1918–22). იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო კომიტეტის თავმჯდომარე (1923–28). ამავე პერიოდში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, ხოლო 1928 წლიდან – საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ), იყო მადნეულ საბადოთა დამუშავების კათედრის გამგე (1930–50), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (1944–50).

გ. წულუკიძემ მეცნიერულად დაასაბუთა ტყიბულის მაღაროებში ნამუშევარი სივრცის ჰიდრავლიკური ამოვსების პერსპექტიულობა. ჭიათურაში მანგანუმის საბადოს სქელი ფენის დასამუშავებლად დანერგა სილეზიური მეთოდის ადგილობრივი ვარიანტი, ხელმძღვანელობდა ყველა ახალი შახტისა თუ მაღაროს დაპროექტებას და სხვ. მისი მონაწილეობით

შეიქმნა ქიმიის, გამოყენებითი მინერალოგიის, გეოლოგიის, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები. 1959 წლიდან მის სახელს ატარებს სამთო მექანიკის ინსტიტუტი.

გ. წულუკიძის ნაშრომები ეხება მადნეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების მეთოდებს, ამ მეთოდების სამეცნიერო კლასიფიკაციას. ავტორია ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოებისა. საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამთო-ტექნიკურ ტერმინოლოგიას. მისი სახელმძღვანელო „მადნეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების მეთოდები“ დაიბეჭდა თბილისში (1941), მოსკოვსა (1948) და ბუდაპეშტში (1951). ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი (1945) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჭავჭანიძე ვლადიმერ (22. IX. 1920, სოხუმი, – 6. I. 2010, თბილისი), ფიზიკოსი, მათემატიკოსი, კიბერნეტიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974; წევრ-კორესპონდენტი – 1967).

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1946–49 წლებში მუშაობდა მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის ინსტიტუტში (ხელმძღვანელი – ნობელის პრემიის ლაურეატი ი. ტამი), 1950–60 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში (ახლანდელი ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი), კიბერნეტიკის ინსტიტუტში (ახლანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ. ჭავჭანიძის სახ. კიბერნეტიკის ინსტიტუტი) დირექტორად (1960–81), თსუ-ის თეორიული კიბერნეტიკის კათედრის გამგედ (1967–99), XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ხელმძღვანელობდა ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილებას. იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედკოლეგიის წევრი.

ვ. ჭავჭანიძის კვლევის სფეროა ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკის, კიბერნეტიკისა და ხელოვნული ინტელექტის თეორიის საკითხები. მონტე-კარლოს მეთოდის საფუძველზე შექმნა სტოქასტიკური მოდელირების ზოგადი მეთოდი. განავითარა პერსეპტრონული, სტოქასტიკური და საინფორმაციო

პროცესების ფიზიკური მოდელირების საკითხები, დაამუშავა კონცეპტუალური ინტელექტის თეორია და სხვ.

ვ. ჭავჭანიძის თაოსნობით საქართველოში განვითარდა ისეთი დარგები, როგორიცაა ადაპტიური ფოტონიკა, ბოჭკოვანი ოპტიკა, კიბერნეტიკა და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. რამდენიმე მონოგრაფია. არის 20-ზე მეტი გამოგონების ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996), პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1959) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჭანიშვილი თეიმურაზ (17. VI. 1924, თბილისი, – 23. VIII. 2007, იქვე), ბიოლოგი, მიკრობიოლოგ-ვირუსოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1984).

1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1952–60 წლებში მუშაობდა თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ბაქტერიოლოგიის სამეცნიერო განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ საწარმოო (1955–58) და სამეცნიერო (1960–97) დარგში. 1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) ჩამოაყალიბა მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრა, რომელსაც 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1975–2003 წლებში იყო თსუ-ის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის პროფესორი, 1997–2006 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს.

თ. ჭანიშვილი სწავლობდა პათოგენური და პირობით პათოგენური ბაქტერიების, ბაქტერიოფაგების ბიოლოგიას, გენეტიკას, მოლეკულურ ორგანიზაციას. შექმნა ზოგიერთი ბაქტერიოფაგის სამკურნალო და სადიაგნოსტიკო პრეპარატი, რომელსაც საზღვარგარეთაც იყენებენ. გამოსცა მონოგრაფია „ბაქტერიოფაგი“ (1989).

თ. ჭანიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“, „მაცნეს“ და „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია და ეპიდემიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს, აგრეთვე საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა სამეცნიერო საზოგადოებათა და ჯ. სოროსის განათლების საერთაშორისო პროგრამის ცენტრალური საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და საერთაშორისო პრემიები.



ჭანკვეტაძე ბეჟან (დ. 13. VI. 1957, თერჯოლა), ფიზიკური ქიმიის დარგის მეცნიერი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (1998), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი (1979). მუშაობდა იქვე (1979–80 წლებში და 1985 წლიდან), შემდეგ საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში (1980–84), მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში (1980–84), მიუნსტერის (გერმანია) უნივერსიტეტის ფარმაცევტული და სამედიცინო ქიმიის ინსტიტუტში (1991–2002), ნაგოიას (იაპონია) უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში (1992–93, 1996, 1999–2005), Sepaserve-ის (2002–07) და Enantiosep-ის (2007–25; ორივე მიუნსტერი, გერმანია) ლაბორატორიების დირექტორად, კომპანია Phenomenex Inc-ის (ტორანსი, კალიფორნია, აშშ) მეცნიერ კონსულტანტად (2007–22). 2004 წლიდან არის Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis-ის (Elsevier, ამსტერდამი, ნიდერლანდები) ასოცირებული რედაქტორი, 2005 წლიდან – რედაქტორი, ხოლო 2023 წლიდან – მთავარი რედაქტორი. აგრეთვე ჟურნალ Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis Open-ის (Elsevier, ამსტერდამი, ნიდერლანდები) დამფუძნებელი თანარედაქტორი, საერთაშორისო ჟურნალების Journal of Chromatography, Journal of Chromatography Open, Journal of Separation Science, Journal of Pharmaceutical Analysis, Chirality, Electrophoresis და კიდევ

რამდენიმე ჟურნალის რედკოლეგიის წევრი (2022 წლიდან).

არის ევროპის აკადემიის (Academia Europaea) წევრი (2022), უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (2025).

ბ. ჭანკვეტაძის სამეცნიერო ნაშრომები ეხება ენანტიოსელექტიურ არაკოვალენტურ ურთიერთმოქმედებებს, ნივთიერებათა ნარევების დაყოფის მეთოდებს, მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიას, ზეკრიტიკული სითხეების ქრომატოგრაფიას, კაპილარულ ელექტროფორეზს, კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიას, ნანოქრომატოგრაფიას, ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიას, მოლეკულურ მოდელირებას, ფარმაცევტულ ანალიზს და ბიოანალიზს. მის მიერ ჩამოყალიბდა ქირალური კაპილარული ელექტროფორეზის თანამედროვე თეორია და შეიქმნა ახალი ფუნქციური მასალები პოლისაქარიდების საფუძველზე, რომელთა კომერციალიზაცია მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, გერმანიასა და მსოფლიოს რამდენიმე სხვა ქვეყანაში.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია; ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბ. ჭანკვეტაძეს მიღებული აქვს მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემია, მათ შორის 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია „წლის საუკეთესო მეცნიერი“, ბელგიის ფარმაცევტული საზოგადოების პრემია „Belgian Society of Pharmaceutical Sciences 2006 Award of Recognition“, კონექტიკუტის შტატის (აშშ) და უნგრეთის ნივთიერებათა დაყოფის საზოგადოების ერთობლივი პრემია „Csaba Horvath Memorial Award“ და ნივთიერებათა დაყოფის მეთოდების ევროპის ასოციაციის პრემია „Nernst-Tswett Award 2024“.



ჭელიძე თამაზ (დ. 24. XII. 1934, ქუთაისი), გეოფიზიკოსი. ქიმიის (1975) და ფიზიკა-მათემატიკის (1985) მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1990), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013).

დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით (1957). იმავე წლიდან მუშაობდა მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტში (1967 წლიდან მთავარ მეცნიერ თანამშრომლად), ქანების ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელად (1976 წლიდან). იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი (1992–2007) და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1976 წლიდან), ევროსაბჭოსთან არსებული ცენტრის – „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური საშიშროებები“ – დირექტორი (1996 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის ძიების კათედრის გამგე (1997–2007); არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2023 წლიდან), აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო და ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭოების წევრი (2023 წლიდან). ლექციებს კითხულობდა თსუ-ის გეოლოგიის ფაკულტეტზე (1990–2006).

თ. ჭელიძე თანამშრომლობს აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან, სადაც 1982–2023 წლებში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა. არის საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. მისი ძირითადი სამეცნიე-

რო კვლევები ეხება არაერთგვაროვან (მოუწესრიგებელ) გარემოში ზედაპირულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, მყარი სხეულების რღვევის პერკოლაციურ (ფრაქტალურ) მოდელებს; არაწრფივი დინამიკის და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებას გეოფიზიკაში, მიწისქვეშა წყლების სეისმოჰიდრავლიკას, საძიებო გეოფიზიკას და არქეოგეოფიზიკას, გეოეკოლოგიას, დიდი კაშხლების გეოფიზიკურ კონტროლს, სეისმური რისკის შეფასებას და მიწისძვრების პროგნოზს.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2013). მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მ. ნოდიას სახ. პრემია გეოფიზიკის დარგში (2009). არჩეულია ინგლისის სამეფო ასტრონომიული საზოგადოების საპატიო წევრად (2021).



ჭილაშვილი ლევან (17. VIII. 1930, გურჯაანი, – 26. IV. 2004, თბილისი), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1968). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1954). იყო ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი (1957–60), უფროსი (1960–70) მეცნიერი თანამშრომელი, მუზეუმის დირექტორის მოადგილე (1970–73), დირექტორი (1981–2004).

ლ. ჭილაშვილის სამეცნიერო კვლევის სფერო იყო ანტიკური საქართველოს არქეოლოგია და ისტორია. 1995–2003 წლებში ნეკრესში ლ. ჭილაშვილის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა, მისი ვარაუდით, წინარე ქრისტიანული (ძვ. წ. II – ახ. წ. III სს.) ქართული წარწერები.

იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990–91), ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წლის 9 აპრილი).

მიღებული აქვს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია (1997), ღირსებისა (1998) და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის (2002) ორდენები, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საიუბილეო ვერცხლის მედალი (2003).



ჭიჭინაძე ვახტანგ (28. IX. 1918, სოფ. თლუღი, ახლანდელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 26. VIII. 2015, თბილისი), მართვის სისტემების დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1972), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2004).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ელექტროტექნიკის ფაკულტეტი (1947). იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1947 წლიდან); ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტსა (1949–52) და ენერგეტიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად (1953–56), ელექტრონული, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ (1956–71), სამეცნიერო-კვლევითი გაერთიანება „მიონის“ დირექტორის მოადგილედ (1971–74), საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ (1974–78), ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მანქანური დაპროექტების განყოფილების გამგედ (1978–89), ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექციის მრჩევლად (1978–2000), მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (2000–15), ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექციის მრჩევლად (1989–95).

ვ. ჭიჭინაძეს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული

ოპტიმალური და ადაპტური მართვის დარგში, ოპერაციულ კვლევებში, ადმინისტრაციული მართვის დარგში, კონფლიქტური სიტუაციების ანალიზში და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. 5 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჭოლოშვილი გიორგი (21. XII. 1914, ქ. საჩხერე, – 14. I. 1998, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), საქართველოში ტოპოლოგიური სკოლის დამაარსებელი.

1931–32 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თსუ) და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1935 წელს დაამთავრა. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში (1940–98) ალგებრისა და გეომეტრიის განყოფილების გამგედ (1962–98), პარალელურად თსუ-ში იყო ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგე (1946–98).

გ. ჭოლოშვილის სამეცნიერო ინტერესები ძირითადად მოიცავს ტოპოლოგიის სამ მთავარ მიმართულებას – სიმრავლურს, დიფერენციალურსა და ალგებრულს. სიმრავლურ ტოპოლოგიაში მან შეისწავლა წერტილოვან სიმრავლეთა მნიშვნელოვანი ინვარიანტი – მეტრიკული განზომილება; დაადგინა კრებადობის სივრცეთა ახალი აქსიომატიკა; აღმოაჩინა სივრცეთა უსასრულო ნამრავლების ტოპოლოგიათა ახალი მეთოდი; დიფერენციალურ ტოპოლოგიაში შეისწავლა საზღვრიანი მრავალსახეობების, ე.წ. მორსის ფუნქციათა დონის ზედაპირების ჰომოლოგიის ჯგუფები. მან პირველმა აღწერა თანამედროვე დიფერენციალური ტოპოლოგიის

ერთ-ერთი ძირითადი „კონსტრუქცია“, რომელიც „სფერული მოდიფიკაციის“ სახელითაა ცნობილი. ალგებრულ ტოპოლოგიაში განაზოგადა პ. ალექსანდროვის თეორემა და დაამტკიცა ჰაუსდორფის სივრცისათვის სპექტრული იზომორფიზმი. საფუძველი ჩაუყარა სფერული და არალოკალურად კომპაქტური სივრცეების ნებისმიერ ქვესიმრავლეთა ჰომოლოგიის თეორიას, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გ. ჭოლოშვილმა აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა მათემატიკის ისტორიასა და საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით პირველად ქართულ ენაზე ითარგმნა ევკლიდეს „საწყისები“.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ხაზარაძე ნანა (4. II. 1939, თბილისი, – 2. II. 2019, იქვე), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1986), პროფესორი (1992). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2010).

დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1955). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების ლაბორანტი (1957–59), უმცროსი (1959–75), უფროსი (1976–86) და წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1986–90), ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი (1990–2005), ძველი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1990–2006), ამავე განყოფილების გამგე (2005–06); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2009–19), სტუ-ის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი (1990–2019).

ნ. ხაზარაძის კვლევის სფერო იყო ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და სამხრეთ ევროპის ეთნოკულტურული და პოლიტიკური ისტორია, თანამედროვე ისტორიის კონფლიქტოლოგიური ასპექტები. საქართველოში პირველმა შეისწავლა ლუვიური ენა. მის ნაშრომებში განხილულია ფრიგიასთან დაკავშირებული საკითხები, უძველესი ქართველური ტომების – მოსხების და მესხების ისტორია, „მოსხიკეს“

და „მოსხური მთების“ ლოკალიზაცია, ტიბარენებისა და მატიენების ისტორია, ძველაღმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროები, თაბალის ისტორია და სხვა საკითხები.

დაჯილდოებულია ს. ჯანაშიას (1985), გ. მელიქიშვილისა (1990) და ე. თაყაიშვილის (2010) სახელობითი პრემიებითა და ღირსების ორდენით (1996).



ხანანაშვილი მიხეილ (19. IX. 1928, თბილისი, – 20. XII. 2018, იქვე), ფიზიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1965), საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა (1984; წევრ-კორესპონდენტი – 1971) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (1996) აკადემიკოსი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1984). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1986), სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987).

1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1951–76 წლებში მუშაობდა ქ. ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ განყოფილების გამგედ. 1975 წელს ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მ. ხანანაშვილი მიიწვია ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგედ. 1980 წლიდან იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი, 2010 წლიდან – ი. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის კონსულტანტი.

მ. ხანანაშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება ადამიანისა და ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების (ქცევის) მექანიზმებსა და კანონზომიერებებს, მ. შ. დროებითი კავშირების წარმოქმნის მექანიზმებს და მათ სტრუქტურულ-ფუნქციურ ორგანიზაციას, ექსპერიმენტულ ნევროზებს. შექმნა ტვინის

შესწავლის ორიგინალური მეთოდები, მ.შ. დიდი ტვინის ქერქის სრული დეაფერენტაციის მეთოდი. იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის ოქროს მედალი და ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ხარაზიშვილი ალექსანდრე (დ. 18. XI. 1949, მოსკოვი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (2006), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2014; წევრ-კორესპონდენტი – 2009).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით (1972). მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს, უფროს (1973–83) მეცნიერ თანამშრომლად და დისკრეტული მათემატიკის განყოფილების გამგედ (1983–2005). ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტში იყო ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის კათედრის მიწვეული პროფესორი (1994–98). 2006 წლიდან არის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პროფესორი.

ა. ხარაზიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროებია სიმრავლეთა თეორია და უსასრულო კომბინატორიკა, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ზომის თეორია და ფუნქციური ანალიზი, ამოზნექილი გეომეტრია. მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო პროექტში. არის 20-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორი. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ლოძის უნივერსიტეტის (1996), მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების (2006) და ნ. მუსხელიშვილის სახელობის (2008) პრემიები.



ხარატიშვილი გურამ (14. I. 1934, გორი, – 8. IX. 2009, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979), ვიცე-პრეზიდენტი (2005–09).

დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1956). მუშაობდა ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში რ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით (1957–61), შემდეგ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში სხვადასხვა თანამდებობაზე (1962–66). იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გამოყენებითი მათემატიკის განყოფილების გამგე (1966–72), მართვის სისტემებისა (1972–81) და კიბერნეტიკის (1981–2006) ინსტიტუტების დირექტორი.

გ. ხარატიშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეხება ექსტრემალური ამოცანების ზოგად და დიფერენციალური თამაშების თეორიებს, გამოთვლით მეთოდებს ოპტიმალურ ამოცანებში, ცვლადსტრუქტურიან სამართ სისტემებს, ეკონომიკური სისტემების მოდელირებასა და ოპტიმიზაციას, ჩვეულებრივი და ფუნქციონალური დიფერენციალური განტოლებების თეორიის სხვადასხვა ასპექტს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა ოპტიმალურ ამოცანათა კლასებისათვის განკუთვნილი ალგორითმები და პროგრამები. ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა: „დაგვიანებითი ოპტიმალური პროცესები“ (1966), „აბსტრაქტული ვარიაციული თეორია და მისი გამოყენება

დაგვიანებით ოპტიმალურ ამოცანებში“ (1973). 2001 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „გადახრილარგუმენტიანი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ვარიაციის თეორია და მისი გამოყენება ოპტიმალური მართვის ამოცანებში წყვეტილი საწყისი პირობით“ მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის პრემია.



ხარაძე გიორგი (15. VIII.1931, სოფ. ფარცხნალი, ახლანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 15. VII. 2021, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1980), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1984; წევრ-კორესპონდენტი – 1979), აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (2004–13),

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა იქვე ფიზიკის ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის კათედრაზე (1954–57). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის (ახლანდელი ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი) ინჟინერი (1957–58), უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1958–60), უფროსი ინჟინერი (1960–62), ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორის მთავარი ფიზიკოსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1979), კონდენსირებულ გარემოთა თეორიის განყოფილების გამგე (1979–88).

ხელმძღვანელობდა ქართული ენციკლოპედიის ფიზიკის კომისიას (1973–83). იყო თსუ-ის თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტი (1968–70), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორი (1978–79), ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი (1988–2006), ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2006–18). სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტის კონდენსირებულ გარემოთა თეორიის განყოფილებაში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (2004 წლიდან).

არის სამეცნიერო სტატიებისა და 2 მონოგრაფიის ავტორი. ძირითადი ნაშრომები ფიზიკის მიმართულებით შესრულებული აქვს ზედენადი ^{3}He-ის და მაგნიტური მინარევების თეორიებში (კონდოს ეფექტი და დაბალგანზომილებიანი ძლიერ კორელირებული სისტემები).

2009 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია(გ. ბარამიძესა და ნ. სურამლიშვილთან ერთად).



ხარაძე ევგენი (31. X. 1907, თბილისი, – 10. X. 2001, იქვე), ასტრონომი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1948), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955; წევრ-კორესპონდენტი – 1950) და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1984), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1972–77), პრეზიდენტი (1978–86), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1931–32 წლებში მუშაობდა ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) ასტრონომიულ ინსტიტუტში. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსების დღიდან იყო მისი დირექტორი (1932–92), საპატიო დირექტორი (1992–2001), თსუ-ის ასტრონომიის კათედრის გამგე (1937–72) და რექტორი (1959–65), საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1976–82).

ე. ხარაძის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები მიეძღვნა გალაქტიკის აგებულებას, მასში მყოფ ვარსკვლავთა სპექტრული და ფოტომეტრიული მახასიათებლების, აგრეთვე ვარსკვლავებისა და ვარსკვლავთშორისი ნივთიერების სივრცულ განაწილებას, სხვადასხვა ტიპის ცვალებადი ვარსკვლავების სპექტრულ შესწავლას, საქართველოს მთიანი რაიონების ასტრონომიული კლიმატის, ტელესკოპთა ოპტიკური კვლევის საკითხებს. აღმოაჩინა, რომ P Cyg-ტიპის ვარსკვლავთა

სპექტრში ხაზების დოპლერისეული წანაცვლებანი მოწმობენ ვარსკვლავის განვრცობილ ატმოსფეროში ელემენტების სტრატიფიკაციას; შეადგინა კაპტეინის სხვადასხვა არეში მყოფ ვარსკვლავთა ფერის სიჭარბეთა, ფოტოვიზუალურ ვარსკვლავიერ სიდიდეთა ნათობებისა და სპექტრების კატალოგები და მათზე დაყრდნობით შეისწავლა სინათლის შთანთქმა გალაქტიკაში.

ე. ხარაძე არის სამეცნიერო ნაშრომებისა და ორი სახელმძღვანელოს ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე (1977–1980), საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990–91), საქართველოს IV–VI და სსრკ IX–XI უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. 4 ლენინისა (1955, 1961, 1966, 1977) და ღირსების (1997) ორდენები, არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1982).

ე. ხარაძის სახელს (ლათ. Kharadze) ატარებს დანიელი ასტრონომის, რ. ვესტის მიერ აღმოჩენილი მთავარი სარტყლის ასტეროიდი (1976).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ხაჭაპურიძე გიორგი (6. VI. 1892, სოფ. ჭანიეთი, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1. X. 1957, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939),

დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1913–20). მუშაობდა რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატში (1917–20). იყო საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსი (1921–24), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის ხელმძღვანელი (1924–29), ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პრორექტორი (1929–33), საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე (1934–35), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე (1929–57) და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილების გამგე (1943–57), თსუ-ის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში (1937–42).

გ. ხაჭაპურიძე მუშაობდა XIX–XX სს. საქართველოს და საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხებზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ხეჩინაშვილი სიმონ (26. XI. 1919, ქუთაისი, – 23. VI. 2010, თბილისი), ოტორინოლარინგოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1952), პროფესორი (1953). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1996) და საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1980) აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965).

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1942–46 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე, 1947–54 წლებში – ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ი. ბერიტაშვილთან, პარალელურად, 1946 წლიდან – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე. 1952 წლიდან იყო კათედრის გამგე, 1979–89 წლებში – რექტორი. იმავდროულად (1969 წლიდან) ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ექსპერიმენტული და კლინიკური აუდიოლოგიის საპრობლემო ლაბორატორიას (ახლანდელი აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი). იყო საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე (1972), გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის უცხოელი წევრი (1974).

ს. ხეჩინაშვილი იკვლევდა სმენისა და ვესტიბულურ ფუნქციას, ყურისა და ხორხის ქირურგიულ საკითხებს.

მიღებული აქვს ლენინური პრემია (1964; ოტოსკლეროზის დროს სმენის გასაუმჯობესებელი ოპერაციების სრულყოფი-

სა და დანერგვისათვის), ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება (1978), ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია (1978), ღირსების ორდენი (1998), არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1986).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ხეცურიანი რამაზ (დ. 14. V. 1949, ცაგერი), ანატომი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996).

1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ახლანდელი თსსუ). იყო ამავე ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასპირანტი (1973–76), ასისტენტი (1978–85), დოცენტი (1985–90), პროფესორი (1990), კათედრის გამგე (1996), პრორექტორი ინტერნატურისა და კლინიკური მუშაობის დარგში (1991–92), რექტორი (1992–2005). 2006 წლიდან ხელმძღვანელობს ნორმალური ანატომიის დეპარტამენტს. 2021 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

რ. ხეცურიანის სამეცნიერო ინტერესების სფეროა: პლაცენტის სისხლძრღვთა მორფო-ფუნქციური თავისებურებები. ფიზიკური განვითარების აქსელერაცია; ორგანიზმისა და მისი ცალკეული სისტემების ასაკობრივი თავისებურებები, ნერვული სისტემის მორფო-ფუნქციური თავისებურებების ასაკობრივი ასპექტები; გულის კუნთის აღნაგობისა და ფუნქციის საკითხები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. საქართველოს (1994), კემბრიჯის (1997) და საერთაშორისო ღირსების (1999) ორდენები, ა. შვაიცერის ოქროს ჯვრის (1997) და მისი-

ვე სახელობის დიდი ოქროს მედალი (1999), ასევე მსოფლიოს ბიოგრაფიული საზოგადოების „ღირსეული პიროვნების“ დიდი ოქროს მედალი (2000), კემბრიჯის მედალი „რჩეულ 5000-ს შორის“ (2002) და ჰიპოკრატეს დიდი ოქროს მედალი (2003), ეროვნული აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის პრემია (2018). არის საფრანგეთის შამპან-არდენის რეგიონის საპატიო მოქალაქე (2000).



ხეცურიანი ჯონი (დ. 23. XI. 1951, სოფ. ლაილაში, ახლანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტი), იურისტი, ეკონომისტი, მეცნიერი, პედაგოგი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (1999), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული (1973) და ეკონომიკის (1988) ფაკულტეტები. 1973–76 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1976–79 წლებში მუშაობდა იქვე მეცნიერ თანამშრომლად, 1980–85 წლებში – თბილისისა და ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციებში. 1985–89 წლებში სამეცნიერო მოღვაწეობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, მართვის სამართლებრივი პრობლემების ლაბორატორიის ხელმძღვანელად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილედ. 1990 წელს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო 1990–92 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, 1992–94 წლებში – თსუ-ის დოცენტი, 1994 წლიდან – პროფესორი. 1994 წელს თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სამოქალაქო სამართლის ფუნქციები“. 1995–99 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. 1999–2000

წლებში – საქართველოს იუსტიციის მინისტრი, 2000–01 – კვლავ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, 1999–2000 წლებში – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს წევრი. მონაწილეობდა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამოძიებაში. არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991) ერთ-ერთი ავტორი, მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის (1995) და სამოქალაქო კოდექსის (1997) შემუშავებაში. იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 2001 წელს დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, შემდეგ – თავმჯდომარედ (მუშაობდა 2006-წლამდე). იყო ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის წევრი (2003–07).

ჯ. ხეცურიანს მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი სამოქალაქო სამართლის, კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის პრობლემებზე.

ჯ. ხეცურიანის სამეცნიერო ინტერესების სფეროა: სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, სანივთო სამართალი, მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალი, სიკვდილით დასჯა, კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტები, სახელმწიფო ენა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტები, სახელმწიფო და ეკლესია, კონსტიტუციური

შეთანხმება, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი.

ჯ. ხეცურიანის ძირითადი ნაშრომებია: სსრ კავშირის კონსტიტუცია და სოციალისტური კანონიერება (1979); სამოქალაქო სამართლის ფუნქციები (1995); სიკვდილით დასჯა: არგუმენტები და ფაქტები (1997); დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ: პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები (2006); ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში (2011).

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თ. წერეთლის სახელობის პრემია (2011) და საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2014).



ხვედელიძე ბორის (25. X (7. XI). 1913, ჭიათურა, – 27. III. 1997, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1983; წევრ-კორესპონდენტი – 1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967).

1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში მთავარ, შემდეგ წამყვან მეცნიერ თანამშრომლად (1942–97), შეთავსებით მუშაობდა თსუ-სა (1939–58; 1967–68) და აფხაზეთის მ. გორკის სახ. უნივერსიტეტში (1980 წლიდან), საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ) – უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგედ (1956–67).

ბ. ხვედელიძის გამოკვლევები ეძღვნება ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებებისა და კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციების თეორიის სასაზღვრო ამოცანებს, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიას. შეისწავლა პუანკარეს ამოცანა ორი დამოუკიდებელი ცვლადის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებებისათვის, წყვეტილი ამოცანები იმ შემთხვევებისათვის, როცა საძებნი ფუნქციისათვის მოითხოვება მხოლოდ კოშის ტიპის ინტეგრალების სახით წარმოდგენა, ასევე – კოშის ტიპის სინგულარული ინტეგრალები ლებეგის ხარისხოვან წონიან ფუნქციონალურ სივრცეებში და ააგო ინტეგრალურ განტოლებათა თეორია ამ ფუნქციონალურ სივრცეებში.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ.შ. მონოგრაფია. თანაავტორია ცნობილი სახელმძღვანელოსი: „მათემატიკური ანალიზის კურსი“. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ხვინგია მიხეილ (7. II. 1924, ბათუმი, – 27. IV. 1994, თბილისი), მანქანათმცოდნეობისა და მანქანათმშენებლობის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერების დოქტორი (1965), პროფესორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988; წევრ-კორესპონდენტი – 1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979).


1948 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) და იქვე დაიწყო მუშაობა მანქანათა ნაწილების კათედრის ასისტენტად და დოცენტად (1952–68), შემდეგ – თვითმფრინავთმშენებლობის კათედრის პროფესორად (1968 წლიდან). ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მანქანათა დინამიკის განყოფილებას (1966–87). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1988–94).

მ. ხვინგიას სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: მანქანათა დინამიკა და სიმტკიცე, ვიბრაციული ტექნიკა, მანქანათა აკუსტიკა, ბიომექანიკა და ვიბროდაცვა.

ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, მ. შ. 14 მონოგრაფიის და 6 სახელმძღვანელოსი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თბილისში არის მ. ხვინგიას სახელობის ქუჩა.



ხიდაშელი შალვა 13. V. 1911, ცხინვალი, – 21. IX. 1994, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1962), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988).

1927–30 სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, 1933–36 წლებში – ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ანტიკური ფილოსოფიის სპეციალობით. მუშაობდა „შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმში“ უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1936–41). იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თსუ-ში, სადაც კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიის სხვადასხვა დისციპლინაში.

1946 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში: იყო უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1946–48), სწავლული მდივანი (1948–51), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1951–53), ფილოსოფიის ისტორიისა (1953–66) და ქართული ფილოსოფიის ისტორიის (1966–94) განყოფილებების გამგე.

შ. ხიდაშელი იკვლევდა ქართული ფილოსოფიის ისტორიას, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა (ს.-ს. ორბელიანი, ა. ამილახვარი, ი. ჭავჭავაძე, ივ. ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე, გ. შატბერაშვილი, ა. კალანდაძე) შემოქმედებას. აქსიოლოგიური მიდგომით იკვლევდა შუა საუკუნეების ქართული აზროვნების ძირითად მიმართულებათა მსოფლმხედველობრივ საფუძ-

ველს ამქვეყნიური სინამდვილისადმი მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მეცნიერის აზრით, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია ქვეყნის კულტურული ცხოვრების შიგნით მომხდარი იდეური ცვლილებების თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს. შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითად ამოცანას ამქვეყნიური სინამდვილის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების – „ადამიანურის“ ახლებური გაგების დასაბუთება შეადგენს. ამ დებულების გაღრმავებას, კონკრეტიზაციასა და განვითარებას მეცნიერმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა.

1981–94 წლებში შ. ხიდაშელმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები. მისი პუბლიცისტიკა ასახავს თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ეროვნული მოძრაობის ზნეობისა და პოლიტიკის პრობლემებს.

დიდია შ. ხიდაშელის დამსახურება ქართული რენესანსის პრობლემების წარმოჩენაში. მან გააღრმავა და განავითარა შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის კონცეფცია. მისთვის რენესანსის არსი გულისხმობს მიწიერი ცხოვრების ღირებულების აღიარებას და ადამიანის ახლებურ გაგებას. რენესანსი ახალი ეპოქის დასაწყისია, მაგრამ ის მზადდებოდა და მწიფდებოდა შუა საუკუნეების პირობებში და ატარებდა ეპოქის სააზროვნო ნიშნებს.

შ. ხიდაშელის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988), მოიცავს ქართული ფილოსოფიის ისტორიას ძველი დროიდან რუსთაველის ეპოქის ჩათვლით. მის ნამუშევრებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსთველოლოგიურ კვლევებს, სადაც დამაჯერებლად აჩვენა ნეოპლატონიზმის გადამწყვეტი როლი შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

დაკრძალულია საბურთალოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ხინთიბიძე ელგუჯა (დ. 7. VI. 1937, ოზურგეთი), ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1960). 1976–85 წლებში იყო თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1986–93 – პრორექტორი სამეცნიერო დარგში, 2000 წლიდან – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი; 2006 წლიდან – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. 1992 წელს დააარსა და ხელმძღვანელობს ქართველოლოგიური სკოლის ცენტრს, 1993 წლიდან რედაქტორობს თავისსავე დაარსებულ საერთაშორისო ორენოვან (ქართულ-ინგლისური) ჟურნალ „ქართველოლოგს“. 1978 წლიდან არის საერთაშორისო გერმანულენოვან ჟურნალ „გეორგიკის“ რედკოლეგიის წევრი; 1976–2006 წლებში იყო ჟურნალ „ლიტერატურათმცოდნეობის“ რედაქტორი. მისი ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა 7 საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი (1967–2016).

ე. ხინთიბიძის კვლევის სფეროა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი, რუსთველოლოგია, წყაროთმცოდნეობა. ავტორია მონოგრაფიებისა: «ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები» (1968), „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“ (1969),

«მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“» (1975), „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის“ (1982), «შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“» (1993), „ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია“ (1998), «„ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო» (2009), «„ვეფხისტყაოსანი“ შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში» (2016); „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“ (2021), „Афонская грузинская литературная школа“ (1982), „Грузинско-Византийские литературные взаимоотношения“ (1989), „Concerning the Relationship of the Georgian and Greek Versions of „Barlaam and Ioasaph“ (1976), „Georgian-Byzantine Literary Contacts“ (1996), „Georgian Literature in European Scholarship“ (2001), „Rustaveli's The Man in the Panther-Skin and European Literature“ (2011), „Medieval Georgian Romance The Man in a Panther-Skin and Shakespeare's Late Plays“ (2018), „Medieval Georgian Romance The Man in a Panther-Skin and Shakespeare's Late Plays. Revised and expanded“ (2022) და სხვ.

ე. ხინთიბიძემ ქართული „ბალავარიანიდან“ ბერძნულ-ევროპული „ვარლაამ და იოასაფის“ შექმნის დეტალები გამოავლინა და თხზულება ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრებიდან შეიტანა ევროპულ სივრცეში. დაასაბუთა ეფთვიმე ათონელის ავტორობა და განსაზღვრა თხზულების შექმნის თარიღი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების გამოვლენა, ქართულენოვანი პატრისტიკა და არეოპაგიტიკის კორპუსის ქართული თარგმანი, ანტიკური ფილოსოფიური წყაროები (პლატონისა და არისტოტელეს თხზულებები); ასევე, ტიპოლოგიური მიმართება წინარე რენესანსის ევროპულ მწერლობასთან (სიყვარულის კონცეფცია კურტუაზულ ლიტერატურასა და დანტეს

შემოქმედებაში); ახალი კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობაზე – შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის ჰარმონია. ე. ხინთიბიძემ გამოავლინა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურული წყაროა ინგლისური დრამატურგიისა, კერძოდ, შექსპირის „ციმბერლინისა“, ბომონტისა და ფლეტჩერის „ფილასტერისა“, „მეფე და არა მეფისა“.

ე. ხინთიბიძემ ესპანეთის საარქივო მასალებში მიაკვლია და გამოაქვეყნა უცნობი დოკუმენტები, კერძოდ – XV ს. ესპანელი მონარქების საპასუხო წერილი ქართველთა მეფისადმი, XVI ს. ქართველი მეფის წერილი ესპანეთში, უძველესი ინფორმაცია ევროპაში გეორგიევსკის ტრაქტატზე. აღმოაჩინა ძველი ქართული უცნობი ხელნაწერები და ფრაგმენტები ათონის ხელნაწერებსა და ბრიტანეთის მუზეუმში. მანვე თარგმნა და გამოაქვეყნა უცნობი დოკუმენტები: XIII საუკუნის სირიული ჰიმნი თბილისის აოხრებაზე, ალავერდი ხანის სიტყვა შაჰ აბას I-ის კარზე.

ე. ხინთიბიძე კითხულობდა მოხსენებებსა და ლექციებს საზღვარგარეთის ცნობილ უნივერსიტეტებში. იგი არის შუა საუკუნეების ფილოსოფიური კვლევების საერთაშორისო საზოგადოების (Société Internationale pour l’Étude de la Philosophie Médiévale) ნამდვილი წევრი.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო (1984) და კ. კეკელიძის სახელობის (2024) პრემიები, ღირსების საერთაშორისო ორდენი (კემბრიჯი, 1994) და ღირსების ორდენი (2003).



ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ-ᲑᲠᲝᲡᲔ ედიშერ (5. III. 1927, თბილისი, – 15. XI. 2005, იქვე), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1949). იქვე იყო საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი ლაბორანტი და საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგე (1949–56), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი (1956–62) და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1962–72), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში განყოფილების გამგე (1972–83), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1983–99).

იკვლევდა კაპიტალიზმის, აგრეთვე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას (მთის პრობლემები, აფხაზების წარმომავლობა და სხვ.), წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს („ქართლის ცხოვრება“) და სხვ. არის 7 მონოგრაფიის ავტორი.

დაჯილდოებულია ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიითა და ღირსების ორდენით (2000).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.




ხუროძე რამაზ (დ. 9. XI. 1944, თბილისი), ტექნიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1997), პროფესორი (1997), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2019; წევრ-კორესპონდენტი – 2001), აკადემიკოს-მდივანი (2019–23), ვიცე-პრეზიდენტი (2023 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (ჯგუფის ხელმძღვანელი, 1998).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1966). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ (1967–81). მივლინებული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. ტრაპეზნიკოვის სახ. მართვის პრობლემების ინსტიტუტში (1970–75). იყო საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (1982–87), საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე (1987–91), სტუ-ის პრორექტორი (1991–93), რექტორი (1993–2006). არის სტუ-ის ემერიტუსი, სწავლისა და სწავლების საუნივერსიტეტო ცენტრის ხელმძღვანელი (2006 წლიდან).

რ. ხუროძის სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება მართვის სისტემების კვლევასა და ხელოვნური ინტელექტის პრობლემებს. იგი აღიარებულია საქართველოში მართვის სისტემების ანალოგურ მოწყობილობათა საიმედოობის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. გამოქვეყნებული

აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მ. შ. 22 მონოგრაფია და 18 სახელმძღვანელო. არის 2 გამოგონების ავტორი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ (აშშ, გერმანია, რუსეთი და სხვ.). არის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მ.შ. გაეროს ინფორმატიზაციის აკადემიისა (1993) და საერთაშორისო საინჟინრო (1995) აკადემიის წევრი, Sigma Xi-ის სამეცნიერო კვლევების ამერიკული საზოგადოებისა (2003) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ევროპული აკადემიის წევრი (2004).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჯავახიშვილი ალექსანდრე (17. V. 1875, გორი, – 22. I. 1973, თბილისი), გეოგრაფი და ანთროპოლოგი. გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1920), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი (1956), ამავე საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილე (1924–1940), პრეზიდენტი (1940–1970), საპატიო პრეზიდენტი (1970 წლიდან). საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების და განათლების ფუძემდებელი.

1900 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1899–1917 წლებში მუშაობდა იქვე, აგრეთვე მოსკოვის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ლექციებს კითხულობდა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტსა (1918–21) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1920–73), ქუთაისის (1933–36), ბაქოს (1934–36), ბათუმის (1936–38), გორის (1943–49) პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იყო საქართველოს ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის (1918–22), საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის (1926–32), თსუ-თან არსებული გეოგრაფიისა (1933–38) და ვახუშტის სახ. გეოგრაფიის (1945–62) ინსტიტუტების დირექტორი.

ა. ჯავახიშვილის ნაშრომები ეძღვნება საქართველოსა და

კავკასიის მრავალფეროვანი ბუნების გეოგრაფიულ შესწავლას, გეოგრაფიულ მეცნიერებათა თეორიის საკითხებს, მის სტრუქტურასა და დამოკიდებულებას მომიჯნავე მეცნიერებებთან, გეოგრაფიის შემადგენელი დარგების ამოცანებს, ლანდშაფტმცოდნეობას, აგრეთვე სამხედრო გეოგრაფიას, გეოგრაფიის მეცნიერებისა და განათლების ისტორიას საქართველოში და სხვ. დიდია მისი დამსახურება საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიული რუკების შედგენაში.

ა. ჯავახიშვილი აგრეთვე ქართული მეცნიერული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი გამოკვლევები, ძირითადად, ეხება ეთნიკურ ანთროპოლოგიას. მან პირველმა, საკმაოდ სრული ანთროპოლოგიური პროგრამის მიხედვით შეისწავლა საქართველოს თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფი; დაადგინა საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებები და განსაზღვრა მისი ადგილი ზოგად რასობრივ სისტემატიკაში; შეისწავლა ქართველი ებრაელების ანთროპოლოგიური თავისებურებანი.

ა. ჯავახიშვილის ინიციატივით დაარსდა საქართველოს კარტოგრაფიული (1926) და გეოგრაფიის (1933), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის (1945) ინსტიტუტები, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება (1924).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი.



ჯავახიშვილი ნინო (7. X. 1914, მოსკოვი, – 24. VII. 2012, თბილისი), ანატომი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1949), პროფესორი (1953), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979; წევრ-კორესპონდენტი – 1961), საქართველოს მედიცინის (1994), საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ (1994) და საქართველოს ეკოლოგიურ (1996) მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965).

1935 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1935–48 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ანატომიის კათედრის ასისტენტი, 1948–49 წლებში – კათედრის დოცენტი. 1946 წლიდან მუშაობდა ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე (1959–2005 წლებში – დირექტორი).

ნ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი სფერო იყო ექსპერიმენტული მორფოლოგია – გულისა და სისხლძარღვების ცვლილებები ონტოფილოგენეზში, პათოლოგიასა და ექსპერიმენტში და სხვა.

იყო ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის (1959) და გერონტოლოგთა და გერიატრთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის (1974) წევრი; თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოებისა (1959) და გერონტოლოგთა და გერიატრთა საპრობლემო საბჭოს (1974) თავმჯდომარე; ბულგარეთის, უნგრეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯა-

ნის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების და ჩეხოსლოვაკიის ი. პურკინიეს სახ. სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრი (1975); სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოსა და ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი (1971), ღირსების ორდენი (1995) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჯაველიძე ელიზბარ (დ. 5 VIII. 1937, თბილისი), აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1988), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 1986).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1961). 1962–2006 წლებში მუშაობდა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში (1966–2023). 1985–86 წლებში იყო ჟურნალ „კრიტიკის“, ხოლო 1986–90 წლებში – გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, 1991 წელს – საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი, 1999–2003 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი. რედაქტორობდა და გამოსცემდა გაზეთებს: „საქართველოს სამრეკლო“ (1993), „კოლხური კოშკი“ (1994), „სამრეკლო“ (1995), „ახალი ერა“ (2000–04), „აისი“ (2004–06). 2015 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე; ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2023).

ე. ჯაველიძე ავტორია მონოგრაფიებისა: „რუჰი ბაღდადი“ (1968, ითარგმნა აზერბაიჯანულად 2018 წელს), „შტუდიები“ (1985), „ფუზული“ (1972, ითარგმნა აზერბაიჯანულად 2016 წელს). სამეცნიერო შრომებიდან მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების თურქული მწერლობის ისტორიის სამი ტომი: „У истоков турецкой литературы, I, Джелаль-ед-дин Руми“ (вопросы мировозрения, 1979, ითარგმნა ქართულად 2023); „ჯელალ ედ-დინ რუმი“ (ითარგმნა თურქულად 2025), „У истоков

турецкой литературы, II, Юнус Эмре“ (1985, ითარგმნა ქართულად 2023). მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „თურქული ლიტერატურის სათავეებთან, III, აშიკ ფაშა“ (2013); „თურქული პოეტიკა“ (1988); „უკეთუ სულითა“ (1989), „დედე ქორქუთი“ (თარგმანი და გამოკვლევა, 1997), „უკუნეთი“ (2001), „რას დადუმებულხართ, თქვე ერისშვილებო“ (2006), „ავაჰმე ჩემო მამულო“ (2007), „მართალმა რაი ჰყოს“ (2008), „ფუთუვეთი სულიერ-რაინდული ძმობა“ (2010), „საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში“ (2011), „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბედ რად?!“ (2015). გამოიცა ე. ჯაველიძის სამტომეული: „ოდეს შავისგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“ (2020), „განთიადის გამნათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“ (2021), „დივანის ლიტერატურა“ (2022). ავტორია 300-მდე სამეცნიერო სტატიისა.

ე. ჯაველიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებისა და თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კრიტიკულ შესწავლაში. მისი თეორიული კვლევები ეძღვნება აღმოსავლური, კერძოდ, თურქულენოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის ფილოსოფიური და ზნეობრივ-ესთეტიკური საკითხების შესწავლას, აღმოსავლური ლიტერატურის დიდი წარმომადგენლების მიერ დანახული ღმერთის, სამყაროს, სოფლისა და ზესთასოფლის არსებობისა და განვითარების საფუძვლიანად გაშუქებას.

მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები: „აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება (1989); დავით აღმაშენებლის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია (2010); ლიტერატურული პრემია „საგურამო (2013); ქ. ჩოლოყაშვილის სახელობის ორდენი (2018), გ. წერეთლის სახელობის პრემია აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში შეტანილი წვლილისათვის (2021).



ჯანაშია სიმონ [13 (26). VII. 1900, სოფ. მაკვანეთი, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 5. XI. 1947, თბილისი], ისტორიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1943), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), სტალინური პრემიის ლაურეატი (1943; 1947).

დაამთავრა სოხუმის რეალური სასწავლებელი (1918), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი (1922). 1924 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. აირჩიეს თსუ-ის დოცენტად (1930), საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და პროფესორად (1935); იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი (1936–41), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1941–47), ენათმეცნიერების (1941–43) და ისტორიის ინსტიტუტის (1941–47) დირექტორი. 1926 წლიდან თსუ-ში კითხულობდა აფხაზური ენის კურსს, ლექციებს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში, საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, ატარებდა სპეციალურ სემინარებს.

ს. ჯანაშია უმთავრესად იკვლევდა ძველი და ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემებს, ქართველთა ეთნოგენეზს, კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ფეოდალიზმის გენეზისის საკითხებს. მანვე შეიმუშავა საქართველოს ისტორიის ახლებური, მეცნიერულად

დამუშავებული პერიოდიზაცია – პირველმა გამოყო საქართველოს ისტორიაში პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდი.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ს. ჯანაშიამ ახალი ეტაპი შექმნა ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემის კვლევაში: წამოაყენა და დაასაბუთა მოსაზრება წინა აზიის მონათესავე სამყაროში კულტურული და სახელმწიფოებრივი ცენტრების სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადანაცვლებისა და ქართველთა ავტოქთონობის შესახებ. დაადგინა პირველი ქართული სახელმწიფოების სოციალური ბუნება, საფუძვლიანად განიხილა ქართველი ერის ჩამოყალიბების პრობლემა, უარყო ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ქართველი ერი XIX საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა.

ს. ჯანაშიამ საგანგებოდ შეისწავლა საქართველოს ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ბიზანტიასთან, არაბთა სახალიფოსთან, განსაზღვრა არაბთა ბატონობის ეტაპები საქართველოში, ბიზანტიასთან ურთიერთობის ფორმები. რამდენიმე ნაშრომში საგანგებოდაა განხილული დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია და წარმოჩენილია კოლხეთის, ეგრისისა და აფხაზთა სამეფოების ცალკეული პერიოდები. საგანგებოდ იკვლევდა საკუთრივ აფხაზეთის ისტორიას, აფხაზეთის როლსა და ადგილს საქართველოს ისტორიაში.

მრავალფეროვანია ს. ჯანაშიას, როგორც ენათმეცნიერის, სამოღვაწეო სფერო. იგი მოიცავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და ნორმალიზაციის, ქართული კულტურულ-ისტორიული ტერმინების, გვართა და გეოგრაფიულ სახელთა გავრცელების, ისტორიის, წარმოებისა და ეტიმოლოგიის, აგრეთვე ქართველურ ენათა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ისტორიულ-გენეტიკური ურთიერთობის

საკითხებს. მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ-ადიღურ ენათა მეცნიერულ შესწავლას, გამოყო სვანურ ენაში ადიღურ ენათა (კერძოდ, ყაბარდოულის) ფენა და დაადგინა სვანურ ბრუნვაში ადიღური სისტემის არსებობა.

ს. ჯანაშიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიულ წყაროთა გამოცემის, უცხოური წყაროების ქართულად თარგმნის, მათი წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საქმეში. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართული კულტურის ისტორიას, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. იგი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებს საქართველოში. 1940 წლიდან სათავეში ჩაუდგა მცხეთის ტერიტორიაზე დაგეგმილ არქეოლოგიურ სამუშაოებს. 1943 წელს ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის ავტორობით (რედაქტორი ს. ჯანაშია) გამოვიდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.

ს. ჯანაშია იყო სსრკ მე-2 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. 2 ლენინის ორდენი. მისი სახელობისაა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ერთ-ერთი ქუჩა თბილისში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაწესებულია ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ჯანბერიძე ნოდარ (26. V. 1927, თბილისი, – 31.V. 1997, იქვე), არქიტექტორი, ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1972), პროფესორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), საქართველოს ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე (1967), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994), სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის განყოფილება (1949). 1949–85 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, 1973–81 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1988–96 წლებში – დირექტორი. 1961–85 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1981–91 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (1974–81) და სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი (1977–81). იყო საქართველოს სსრ IX–XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1988–96). ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

ნ. ჯანბერიძის სამეცნიერო კვლევების ძირითადი სფერო იყო ქართული არქიტექტურის ისტორია, ასევე ქართველ

არქიტექტორთა და მხატვართა შემოქმედება. მას ეკუთვნის ნაშრომები: „თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი“ (1958; თანაავტორები: მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი), „საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა“ (1971), „ქართული საბჭოთა არქიტექტურა“ (1971; „Архитектура Грузии от истоков до наших дней (1976; თანაავტორი – ი. ციციშვილი), „Тбилиси– Мцхета“ (1981; თანაავტორი კ. მაჩაბელი).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჯანელიძე ალექსანდრე [24. X (5. XI), 1888, სოფ. ნიკორწმინდა, ახლანდელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 16. I. 1975, თბილისი], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1923), პროფესორი (1925), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946).

1910 წელს დაამთავრა სორბონის (საფრანგეთი) უნივერსიტეტი, 1916 წელს – ყაზანის (რუსეთი) უნივერსიტეტი. 1920–23 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 1920–21 წლებში მუშაობდა გრენობლში ვ. კილიანის, 1921–22 წლებში – პარიზში გ. ოგის, ხოლო 1922–23 წლებში – ჰალეში ი. ვალთერის ხელმძღვანელობით.

ა. ჯანელიძე ქართული გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1923–24 წლებში იყო ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კათედრის გამგე. 1924 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1942–45 წლებში იყო უნივერსიტეტის რექტორი, 1924–72 წლებში – გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე. 1928–46 წლებში მუშაობდა გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პარალელურად იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა (1926–29) და თავისივე დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი) დირექტორი (1925–55), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (1941–63), აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951–55), აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1941–72), საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი (1933) და თავმჯდომარე (1937–75).

ა. ჯანელიძის სამეცნიერო ნაშრომები, ძირითადად, ეხება პალეონტოლოგიის, სტრატიგრაფიის, ტექტონიკური და თეორიული გეოლოგიის საკითხებს. შეისწავლა საქართველოს იურული და ცარცული პერიოდების, ურალის დასავლეთ კალთის დევონური პერიოდის მარჯნული ფაუნა. მისმა გამოკვლევებმა სტრატიგრაფიის დარგში მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლის თანამედროვე დონე.

ა. ჯანელიძის კვლევებში ტექტონიკისა და თეორიული გეოლოგიის დარგში მოცემულია კიდური და ზეწრული ნაოჭების წარმოქმნის მექანიზმი, საქართველოს ბელტის კონცეფცია, ოროგენული ფაზისების დათარიღების მეთოდიკა და სხვ. საყურადღებო ნაშრომები აქვს აგრეთვე გეომორფოლოგიურ, საინჟინრო გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და სასარგებლო წიაღისეულის ძებნისა და ძიების გეოლოგიური მეცნიერების ისტორიის დარგში. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და უმაღლესი სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.

იყო საქართველოს სსრ პირველი და მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1939–63).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. 3 ლენინის ორდენი.

1982 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ა. ჯანელიძის სახელობის პრემია.



ჯანელიძე გიორგი (დ. 19. V. 1952, ყარაღანდა, ყაზახეთი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1992), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა (2013) და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აკადემიის (ASSAf) აკადემიკოსი (2020).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1974). 1975–2006 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში უფროს, შემდეგ წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, არის ამ ინსტიტუტის საპატიო წევრი (2006 წლიდან). 2004 წლიდან მუშაობს კეიპტაუნის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) უნივერსიტეტში სრულ პროფესორად. არის ამავე უნივერსიტეტის College of Fellows-ს წევრი (2011 წლიდან). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის National Research Foundation-ის A რეიტინგის მქონე მკვლევარი (2005 წლიდან).

გ. ჯანელიძის სამეცნიერო კვლევების სფეროა კატეგორიათა თეორია, ალგებრა და ტოპოლოგია. მისი შედეგები გამოქვეყნებულია ამ დარგების საერთაშორისო მათემატიკურ ჟურნალებში. განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი დასავლეთ ევროპის, აშშ-ის, კანადისა და ავსტრალიის მათემატიკოსებთან ერთად. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



ჯაფარიძე გიორგი (დ. 29. VII. 1953, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2009), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013; წევრ-კორესპონდენტი – 2001), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2024).

1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი თეორიული ფიზიკის სპეციალობით. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში (ახლანდელი ე. ანდრონიკაშვილის სახ. ინსტიტუტი), მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (2003 წლიდან), კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელად (2005–18) და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ (2018–23). იმავდროულად ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას (2004–05), აქვე არის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან არსებული ბირთვული ენერგიისა და რადიოაქტიური უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე (2013 წლიდან), მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2019 წლიდან).

1990–2015 წლებში გ. ჯაფარიძე ინტენსიურად თანამშრომლობდა გერმანიის, ჰოლანდიის, შვედეთისა და შვეიცარიის სამეცნიერო ცენტრებთან, სადაც ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა. ავტორია საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის.

გ. ჯაფარიძის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები ეხე-

ბა დაბალი სივრცითი განზომილების მქონე კორელირებული ფერმის სისტემების თეორიას, ლითონი-იზოლატორი გადასვლების თეორიას, ზეგამტარობის უჩვეულო მოდელების კვლევას, სპინურ ელექტრონიკასა და დაბალგანზომილებიანი მაგნიტური სისტემების თეორიას.

არის მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს, ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს (2018 წლიდან) და ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს (2019 წლიდან) წევრი.

ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. კითხულობდა ლექციებს თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე (1998–2008). 2009 წლიდან არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

მიღებული აქვს ე. ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია ფიზიკის დარგში (2011) და თსუ-ის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (2016).



ჯაფარიძე კოხტა (29. V. 1929, ქ. ონი, – 26. VIII. 2013, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერების დოქტორი (1972), პროფესორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1989).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი (1952). იქვე მუშაობდა ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად და წლების განმავლობაში კითხულობდა სხვადასხვა სალექციო კურსს (1956 წლიდან). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში იყო განყოფილების გამგე (1961–2006), სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილე (1963–80), ქიმიურ-ოპტიკურ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2006–13), ევროპის ფოტოქიმიკოსთა საზოგადოების წევრი (1990).

კ. ჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ფიზიკური და ორგანული ქიმიის განვითარებაში (განსაკუთრებით ოპტიკურ-ქიმიური კვლევების სფეროში). პირველმა დაიწყო ორგანულ ნაერთთა ფოტოქიმიური კვლევა, პოლიმერული და თხევადკრისტალური სისტემების მიღება და კვლევა; შექცევადი ფოტოქიმიური პროცესების შესწავლა. მნიშვნელოვანია მის მიერ მიღებული შედეგები ლაბილურ ნაერთთა სინთეზისა და კვლევის განვითარებაში, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ფოტოქიმიური მეხსიერების, ოპტიკური ინფორმაციის დაგროვებისა და გარდასახვის ელემენტების შექმნა. ამ კვლევებისათვის კ. ჯაფარიძეს მიენიჭა პ.

მელიქიშვილისა (1981) და საქართველოს ეროვნული პრემიები.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფია, არის 15 საავტორო მოწმობის მფლობელი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჯაფარიძე ლევან აბელის ძე (დ. 14. XI. 1936, სოფ. ღარი, ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტი), საინჟინრო გეომექანიკის, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და წიაღისეულ საბადოთა დამუშავების სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1978), პროფესორი (1983), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2018; წევრ-კორესპონდენტი – 1997).

1961 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). მუშაობდა საქართველოს შახტების დაპროექტების ინსტიტუტში (1961–65), ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) სამთო გეომექანიკისა და მარკშეიდერიის ინსტიტუტში (1965–68), გ. წულუკიძის სახ. სამთო ინსტიტუტში ლაბორატორიისა და განყოფილების გამგედ (1969–85), ინსტიტუტის დირექტორად (1985–2006), ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და წიაღისეულ საბადოთა დამუშავების სექტორის გამგედ (2006 წლიდან); იყო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის (შემდეგ დეპარტამენტის) თავმჯდომარე (1993–2005).

ლ. ჯაფარიძის სამეცნიერო ნაშრომები ეხება სამთო გეომექანიკას, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და წიაღისეულ საბადოთა დამუშავების სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს; ქანების მასივების თვისებებისა და მდგომარეობის ბუნებრივ და ტექნოგენურ პირობებს; მასივების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას, მათი სიმტკიცისა და

რღვევის პროცესებს, სამთო დარტყმებს, სეისმური წარმოშობის მძიმე ავარიებს; მიწისქვეშა კონსტრუქციების ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების კომპიუტერიზებულ მეთოდებს, მეწყრულ გეომექანიკას, მეწყერსაშიში ფერდობების მდგრადობის გაანგარიშებასა და მის უზრუნველყოფას.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), კ. ზავრიევის სახელობის პრემია (2024) და საქართველოს ეროვნული პრემია (2026).



ჯაფარიძე ლევან ივანეს ძე (13. IV. 1905, თბილისი, – 20. III. 1972, იქვე), ბოტანიკოსი, მცენარეთა ფიზიოლოგი და ანატომი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1951), პროფესორი (1953), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის ერთერთი ფუძემდებელი საქართველოში.

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აგრონომიული ფაკულტეტი. 1930–72 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგე, 1937–39 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

მისი გამოკვლევები ეხება მერქნის ანატომიის, მცენარის სქესის, მცენარეთა ვეგეტაციური გამრავლების, ვაზის ქლოროზის, კულტურულ მცენარეთა გამძლეობის აქტუალურ პრობლემებს. 1931 წლიდან იყო მცენარის ანატომიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების დამაარსებელი (1958).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჯაფარიძე ოთარ (16. IX. 1921, თბილისი, – 10. VII. 2020, იქვე), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993; წევრ-კორესპონდენტი – 1979).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1943). იყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი (1944–48) და უფროსი (1948–50) მეცნიერი თანამშრომელი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1950–52). 1952 წლიდან მუშაობდა თსუ-ში – იყო არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის გამგე (1967–68), შემდეგ – არქეოლოგიის კათედრის გამგე (1968–98), თსუ-ის რექტორი (1991).

ო. ჯაფარიძე იკვლევდა ბრინჯაოს ხანის საქართველოს კულტურის ისტორიისა და ქართველურ ტომთა ეთნოლოგიის ისტორიის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გათხარეს არკნეთისა და ქვასათალის სამაროვნები ფრიანის ხეობაში (1953–54), ზურტაკეტის შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხები (1959–65), ადრინდელი სამიწათმოქმედო კულტურული ნამოსახლარები, შულავრის, იმირისა და ხრამის დიდი გორები, აგრეთვე ქვემო ქართლის ბრინჯაოს ხანის გორასამარხები (1965–71), მესხეთისა (1971–77) და მარტყოფის (1978–82) გორასამარხები. მან დიდი წვლილი შეიტა-

ნა ქართველი ტომების ისტორიის კვლევაში ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის კვლევის საქმეში.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის პრემია (1969) და ღირსების ორდენი (1997). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1997).



ჯაფარიძე შოთა (დ. 20. X. 1946, თბილისი), ოტორინოლარინგოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1993), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2012).

1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1970–87 წლებში მუშაობდა ბოლნისის რაიონული საავადმყოფოს ოტორინოლარინგოლოგად, 1987–93 წლებში – მარნეულის საავადმყოფოში განყოფილების გამგედ. 1993–99 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრის პროფესორი, 1999 წლიდან – ამავე დეპარტამენტის სრული პროფესორი, 2010 წლიდან – ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრის „ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკის“ დირექტორი. 1993 წლიდან – საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ოტორინოლარინგოლოგი, 2000 წლიდან – საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ექპერტი ოტორინოლარინგოლოგიაში.

შ. ჯაფარიძემ საქართველოში დანერგა სმენის ორგანოს მექანოპროთეზირება, ცხვირისა და მისი დანამატი წიაღების ენდოსკოპიური ქირურგია, ოტოსკლეროზის დროს – სტაპედოტომიის მეთოდი, შუა ყურის რეკონსტრუქციული ქირურგიის თანამედროვე მეთოდები. მის მიერ 1999 წელს კავკასიაში პირველად დაინერგა კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაცია

სრული სიყრუის და ყრუ-მუნჯობის დროს და სხვა.

არის მრავალი საერთაშორისო ასოციაციის და ორგანიზაციის წევრი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2002) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჯაფარიძე ჯონდო (1. I. 1933, თბილისი, – 6. I. 2008, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერების დოქტორი (1978), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001; წევრ-კორესპონდენტი – 1988).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი (1957). მუშაობდა არაორგანული და ელექტროქიმიის ინსტიტუტში უმცროს, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ (1957–95), დირექტორად (1995–2006). ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა მოსკოვის ფიზიკური ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა აკადემიკოს ა. ფრუმკინის ხელმძღვანელობით (1960–63). 1971 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ელექტროქიმიის კინეტიკის ლაბორატორია.

ჯ. ჯაფარიძის კვლევები, ძირითადად, ეხება ელექტროქიმიის კინეტიკას. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ფუნდამენტური ხასიათის კვლევებს თეორიულ ელექტროქიმიაში. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა ორგანული და არაორგანული ნაწილაკების ადსორბციის ელექტროქიმიური კინეტიკა. პირველად ექსპერიმენტულად დასაბუთდა, რომ რეაქციის აქტივაციის ენერგია განისაზღვრება გამხსნელის სტრუქტურის რეორგანიზაციით და სხვ.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფია. არის 20-მდე გამოგონების ავტორი. იყო რუსეთის

მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „ელექტროქიმიის“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი. კითხულობდა ლექციებს ბელგრადის, მილანის, ფერარის, პადოვისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (2001), ღირსების ორდენი (2003) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჯიბლაძე გიორგი (27. IV. 1913, ქუთაისი, – 23. IX. 1989, თბილისი), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960; წევრ-კორესპონდენტი – 1955), სსრკ-ისა (1966) და რსფსრ-ის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი (1959), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1980 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1933). 1935 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო მწერალთა კავშირის მდივანი (1944–46), საქართველოს სსრ განათლების მინისტრი (1953–60). საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ბიუროს წევრი (1960–61), საქართველოს სსრ-ის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მინისტრი (1963–80).

იკვლევდა ქართული ლიტერატურის, ესთეტიკის თეორიის პრობლემებს; ნ. ბარათაშვილის, ი ჭავჭავაძის, მ. შოლოხოვის, ი. ა. კომენსკის, ჟ. ჟ. რუსოს, ზ. ფროიდის მემკვიდრეობის საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1951).



ჯიბუტი მიხეილ (დ. 11. IV. 1954, სოფ. შუა ამაღლება, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი, პოლიტიკური მოღვაწე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2022).

1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტზე, 1975 წლიდან სწავლა განაგრძო მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა 1977 წელს. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და განყოფილების გამგე (1981–92).

ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ში (1977–2024), საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ (2008–19), გ. რობაქიძის სახ. (2019–25) უნივერსიტეტებში. 2005–06 წლებში იყო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, 2009–19 წლებში – ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკის მიმართულების ხელმძღვანელი.

იყო საქართველოს მთავრობის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში, ეკონომიკური რეფორმების შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე (1992), საქართველოს ეკონომიკის მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის წევრი (1992–93), საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (1999–2000), საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი (2000–01) და

ამავე უწყების მინისტრის მოადგილე (2001–02), საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე (2002–05). არჩეული იყო საქართველოს მე-3 (1992–95) და მე-4 (1995–99) მოწვევის პარლამენტის წევრად, 2002 წელს – თბილისის საკრებულოს წევრად და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

მ. ჯიბუტი ავტორია მრავალი მეცნიერული ნაშრომის (მ. შ. 4 მონოგრაფიის), რომლებიც ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოს ეკონომიკის (ეკონომიკური ისტორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის) საკითხებს.

მ. ჯიბუტი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის“ (2021 წლიდან) და ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიის (2024 წლიდან) თავმჯდომარეთა მოადგილე; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (2016 წლიდან) და ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე (1992 წლიდან); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ და ყველა წამყვანი ეკონომიკური პროფილის ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002) და თსუ-ის ოქროს მედლით (2025).



ჯიქია სერგი [20. X (3. X), 1898, სოფ. ონოღია, ახლანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 6. XII. 1993, თბილისი], აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1956), მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), თურქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში.

1923 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ენათმეცნიერების სპეციალობით. 1926 წლიდან იქვე განაგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა თურქულ ფილოლოგიაში. 1927–29 წლებში იყო სტამბოლის უნივერსიტეტის მსმენელი, 1929–32 წლებში – ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტი, პარალელურად (1930–36) – ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტი, 1936–45 წლებში – თსუ-ის აღმოსავლურ ენათა კათედრის გამგე, 1945–73 წლებში – თურქოლოგიის კათედრის გამგე და ყველა თურქოლოგიური დისციპლინის საუნივერსიტეტო კურსის პირველი ლექტორი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი დეკანი (1945–53). 1960 წლიდან გარდაცვალებამდე გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა თურქოლოგიის განყოფილებას.

ს. ჯიქიას სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივია: თურქული ფილოლოგია, თურქული ენების დიალექტოლო-

გია, თურქული ენის ისტორია, თურქულ-ქართული ენობრივი კონტაქტები, თურქული დოკუმენტებისა და ისტორიული წყაროების პუბლიკაცია. აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ სამ წიგნად (1947–58). მნიშვნელოვანია აგრეთვე ნაშრომი, „იბრაჰიმ ფეჩევის შრომები საქართველოს და კავკასიის შესახებ“ (1964) და მის მიერ ამოკითხულ-გამოქვეყნებული მრავალი ოსმალური დოკუმენტი, ფირმანი, ჰუჯათი, ბარათი და ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობის ამსახველი სხვა წყაროები. 1964 წლიდან სათაურით, „თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობანი“ გამოაქვეყნა ლინგვისტური გამოკვლევები: „თურქული ლექსიკური კალკები ლაზურში“ (1964), „თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში“ (1967), „თურქული ბგერათგადმოცემისთვის ლაზურში“ (1974), „თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში“ (1975) და სხვ.

ს. ჯიქია არის მნიშვნელოვანი დიალექტოლოგიური და ეტიმოლოგიური ნაშრომების ავტორი. მან დიდი ამაგი დასდო აზერბაიჯანული სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენის, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების შედგენა-რედაქტირების საქმეს.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1978), ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით (1975) და სხვა სახელმწიფო ჯილდოებით.

თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.



ჯორჯაძე ირაკლი (8. X. 1917, სოფ. საბუე, ახლანდელი ყვარლის მუნიციპალიტეტი, – 24. IX. 1992, თბილისი), სამხედრო და ავტომატიზებული მართვის სისტემების დარგის მეცნიერი. სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (1955), პროფესორი (1956), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), რსფსრ-ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1973), არტილერიის გენერალ-მაიორი (1960), გენერალ-ლეიტენანტი (1975).

ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი) სამთო ინსტიტუტის სამი კურსის (1934–37) გავლის შემდეგ გაიწვიეს წითელ არმიაში და მიავლინეს ფ. ძერჟინსკის სახ. საარტილერიო აკადემიაში (1937–40). დაამთავრა იმავე აკადემიის ადიუნქტურა (1941). მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, შემდეგ მოღვაწეობდა მოსკოვის სამხედრო აკადემიებში (1946–75).

პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ფ. ძერჟინსკის სახ. საარტილერიო აკადემიაში (1946–62), იყო სამხედრო ისტორიისა და გეოგრაფიის კათედრის უფროსის მოადგილე (1952 წლიდან), ჩრდილოეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილე, საჰაერო თავდაცვის სარდალი (1962–65), თბილისში მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“ (1980–88), იყო ამ ინსტიტუტის მრჩეველი (1988–92).

ი. ჯორჯაძემ 1943 წელს შეიმუშავა სროლის ახალი მეთოდი, რომელიც საარტილერიო წესდებაში შევიდა. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო ავტომატიზებული მართვის სისტემები და სამხედრო საქმე, აგრეთვე სამხედრო ისტორია. გან-

საკუთრებული წვლილი შეიტანა სსრკ-ის ჰაერსაწინააღმდეგო ძალების რეორგანიზაციაში.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და წიგნები სამხედრო საქმის სხვადასხვა საკითხზე. მისი ავტორობით 1990 წელს თბილისში გამოიცა წიგნი „ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან“.

მიღებული აქვს ორდენები (12) და მედლები (16).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები



აბელიშვილი ლევან [3 (16). IV. 1909, თბილისი, – 16. III. 1974, იქვე], ელექტროტექნიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1955), პროფესორი (1956), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961), საქართველოს მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1967).

1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ენერგეტიკის ინსტიტუტი. იყო რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრული წევის პიონერი საქართველოში. მისი ნაშრომები ეხება წევის ეფექტიანობასა და გაანგარიშებას, რკინიგზების გატარების უნარს, მოძრავი შედგენილობისა და ელექტრომომარაგების სისტემათა თეორიას, აგრეთვე ელექტრორკინიგზების იძულებითი რეჟიმების გამოკვლევას ძაბვის საშუალო ვარდნათა ეპიურების მეთოდით ყველა ელემენტის ურთიერთმოქმედებისას, წევის ძრავების სითბურ გაანგარიშებასა და გამოცდას, საკონტაქტო სადენების გახურების თეორიას, გრძელ მატარებელთა წონის ინერციულ გაანგარიშებას და სხვ.

იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



აბრალავა ანზორ (დ. 6. XI. 1958, ზუგდიდი), ინჟინერი, ეკონომისტი, პოლიტიკოსი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (2005), პროფესორი (2006), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1980 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლანდელი (სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 1980–91 წლებში იყო თბილისის საავიაციო-საწარმოო გაერთიანების ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, განყოფილების უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე, გენერალური დირექტორის მოადგილე (1999); 1992–2005 წლებში – თბილისის საერო ინსტიტუტ (შემდგომ უნივერსიტეტი) „გაენათის“ ლექტორი; 1994–2002 წლებში – კ. გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი; 2005–11 წლებში – სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ დირექტორთა საბჭოს კონსულტანტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი; 2006 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; 2007–24 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიწვეული პროფესორი; 2013–17 წლებში – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; 2018 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

ა. აბრალავას კვლევის სფეროა ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური განვითარების, ციფრული ტრანსფორმაცი-

ისა და მართვის, ბიზნესის ჰუმანიზაციის, ეროვნულ და გლობალურ ინტერესთა თავსებადობის პრობლემები, რომლებსაც ეძღვნება მისი მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

1991 წელს იყო თბილისის ისნის რაიონის საკრებულოს დეპუტატი, გამგეობის თავმჯდომარე; საქართველოს მე-5 მოწვევის (1999–2004) პარლამენტის წევრი, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი, ფრაქცია „XXI საუკუნის“ თავმჯდომარე, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 2019–22 წლებში იყო სტუ-ის სადისერტაციო საბჭოს („ბიზნესის ადმინისტრირება, საჯარო მმართველობა და მენეჯმენტი“) თავმჯდომარე, 2022–24 წლებში – ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (2024 წლიდან – თავმჯდომარე). 2009 წლიდან არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.



აბულაძე ილია (24. XI. 1901, სოფ. ზემო საქარა, ახლანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 9. X. 1968, თბილისი), ძველი ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1947). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1950), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სიტყვიერებისა და საენათმეცნიერო (1929) განყოფილება. 1933 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ინიციატივით 1958 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ახლანდელი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), რომლის დირექტორიც თავადვე იყო გარდაცვალებამდე.

ი. აბულაძის სახელთანაა დაკავშირებული კავკასიის ალბანელთა ანბანის აღმოჩენა, რომლის შესახებ მანამდე მხოლოდ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები არსებობდა. ი. აბულაძემ ძველი მწერლობის ანალიზის საფუძველზე ცხადყო ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი. მასვე ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი (ნათარგმნი თუ ორიგინალური) ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემები: იაკობ ხუცესის „მარტჳლობაჲ შუშანიკისი“, „საქმე მოციქულთა“, ასურელ მამათა „ცხოვრებანი“, „მამათა სწავლანი“, იოანე მოსხის

„ლიმონარი“, ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“, ს.-ს. ორბელიანის თხზულებანი ტ. 4 (ლექსიკონი) და სხვ.

ი. აბულაძემ ორჯერ (1937, 1957) გამოსცა ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „სიბრძნე ბალავარისი“. მან პირველმა მოჰკიდა ხელი უძველესი ქართული ლიტურგიკული ძეგლის მრავალთავის შესწავლას. მანვე შეადგინა პალეოგრაფიული ალბომი (V–XVIII სს. ნიმუშებით).

ქართული გრამატიკის ლიტერატურის შესწავლას მიეძღვნა ი. აბულაძის ნაშრომი „ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, I. ზ. შანშოვანი“.

განსაკუთრებულია ი. აბულაძის ღვაწლი ქართული ლექსიკის შესწავლის საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებული სტატიები გამოქვეყნებულია სერიებად: „ძველი ქართულის ლექსიკიდან“, „ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები“, „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“, „ქართულიდან სესხებული სომხური სიტყვები“ (ბოლო ორი სერიის სტატიები გამოცემულია სომხურადაც). 1973 წელს გამოიცა ი. აბულაძის მიერ შედგენილი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ალექსიძე ნუგზარ (9. VII. 1935, სენაკი, – 17. IV. 2021, თბილისი), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1978), პროფესორი (1979), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988). სამედიცინო-ბიოლოგიისა (1994) და ეკოლოგიის (1995) აკადემიების ნამდვილი წევრი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1959 წელს მუშაობა დაიწყო თსუ-ის ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე თავდაპირველად ასისტენტად, შემდეგ – უფროს მასწავლებლად, დოცენტად. 1973 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრას; 1983 წლიდან იყო დარგობრივი №1 ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი; თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტზე კითხულობდა ზოგადი ბიოქიმიის კურსს და ნეიროქიმიის სპეცკურსს.

ნ. ალექსიძე არის სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, მათ შორის „ნეიროქიმიის საფუძვლების“ (1992) ავტორი. მისი ნაშრომები ეხება ცენტრალური ნერვული სისტემის აქტივობის მოლეკულური და უჯრედული საფუძვლების ფუნდამენტურ საკითხებს, თავის ტვინის სხვადასხვა უბანში აცეტილქოლინური სისტემისა და ნეიროსპეციფიკური ცილების, მ. შ. ლექტინების ცვლას ცხოველთა სწავლებისა და წვრთნის პროცესში. გამოიკვლია მეხსიერების ნეიროქიმიური ასპექტები, მუშაობდა აგრეთვე გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის სფეროში. შეიმუშავა რამდენიმე მცირე და უნარჩენო წარმოების ტექნოლოგია, რომელთაც დიდი სასოფლო-სამეურნეო

და ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვთ.

მიღებული აქვს 15 გამოგონების საავტორო მოწმობა, რომელთაგან 5 პრაქტიკულად დანერგილია.

ნ. ალექსიძე იყო სსრკ ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის და ეროვნული კომიტეტის, ევროპის მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის (2001), ევროპის ნეირო-ქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების (1994), თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (1996) და თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, აგრეთვე ჟურნალების „Georgian Neuroscience“-ს და „Неирохимия“-ს სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს ეროვნულ აკადემიასთან არსებული ბიოტერორიზმთან ბრძოლის საბჭოს (2005), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის, ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისის (2007) წევრი. იყო საქართველოს ბიოქიმიკოსთა არასამთავრობო ასოციაციის პრეზიდენტი (2002), საპატრიარქოსთან არსებული სამეცნიერო ინოვაციური საბჭოს დამფუძნებელი (2008).

მიღებული აქვს ი. ჯავახიშვილის (1976 და 1995), ა. პალადინის სახელობის (1984), ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ფედერაციის (1984) მედლები, ღირსების ორდენი (1996), პ. ქომეთიანის სახელობის პრემია (2002), საქართველოს საპატრიარქოს სიგელი (2007).




ალიბეგაშვილი გიორგი (დ. 26. V. 1959, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი (1981). 1982–2006 წლებში იქვე მუშაობდა გამომცემლობის უმცროს რედაქტორად, სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის სპეციალისტად, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ლაბორანტად, ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორიის უფროს მეცნიერთანამშრომლად, ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის დოცენტად, შემდგომ – პროფესორად.

1991–92 წლებში იყო ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის (ახლანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) სასწავლო დარგის პრორექტორი, ხოლო 1994–95 წლებში – თბილისის მერიის განათლების სამმართველოს უფროსი; 1997–2005 წლებში – თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 2004–05 წლებში – ამავე ფაკულტეტის დეკანი, 2005–06 წლებში კი – ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ფილოლოგიის მიმართულებით. 2009 წლიდან მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში. 2014–17 წლებში იყო თბილისის საკრებულოს, ხოლო 2017 წლიდან არის საქართველოს ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

გ. ალიბეგაშვილი ავტორია მონოგრაფიებისა: „ეპიფანე კვიპრელის „თვალთაჲ“ და „ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციები“ (1999), „წმ. გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური შეხედულებები“ (2000), „ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები“ (2010), „ჰაგიოგრაფიული თხრობა“ (2013), „წმიდა ათონის მთა და ქართველთა მონასტერი“ (2024), „შუა საუკუნეთა სარაინდო სამყარო და ქართული კაიყმობის ანდრეზი“ (2024, მ. ჭანტურიასთან ერთად) და სხვ.



ამაშუკელი ელგუჯა (22. VI. 1928, თბილისი, – 10. III. 2002, იქვე), მოქანდაკე. საქართველოსა (1978) და სსრკ-ის სახალხო მხატვარი (1988), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1988) და რუსეთის სამხატვრო აკადემიის (1996) წევრ-კორესპონდენტი; შოთა რუსთაველისა (1965) და სსრკ-ის (1986) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (1981 წლიდან).

1955 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (პედ. ნ. კანდელაკი). გამოფენებში მონაწილეობს 1954 წლიდან. მისი შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანია, თუმცა, ძირითადად მონუმენტალისტია, წარმატებით მუშაობდა დაზგურ ქანდაკებაში, შექმნა რელიეფები.

ე. ამაშუკელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სივრცისა და რიტმის უნაკლო გრძნობა, ნათელი და ცხადი სილუეტი, მონუმენტურობა, მასალის ფაქტურის შეგრძნების უტყუარი ალღო, განწყობილების შექმნის უნარი; ხშირად მიმართავდა სიმბოლოებსა და ალეგორიებს.

ე. ამაშუკელის მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „ქართვლის დედა“ (ხე, 1958; ალუმინი, 1963; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია), ვახტანგ გორგასლის ძეგლი (1959, პირველი პრემია საკავშირო კონკურსზე), ნიკო ფიროსმანაშვილი (1974), რ. ერისთავი (1974), „დედა ენა“ (ცოდნის ზარი, 1981–83; ი. გოგებაშვილის სახ. პრემია, 1984), „ვეფხი და მოყმე“ (1985), მემედ აბაშიძე (1998), გიორგი ლეონიძე (2000, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი), ფარნავაზ I

(2000; ყველა თბილისი), დიდების მემორიალი (1967, ფოთი), გამარჯვების მემორიალი (1979, მალთაყვა, გორი; სსრკ სახელმწიფო პრემია), ი. ჭავჭავაძე (1987, ბათუმი), დავით აღმაშენებელი (1995, ქუთაისი) და სხვ. რელიეფური კომპოზიციები: თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველის“ პორტალის რელიეფი (1965), რელიეფები თბილისის შემოსასვლელებთან (1957–58), ბარელიეფი „თბილისის 1500 წელი“ (1958) და სხვ. ავტორია წიგნისა „მეექვსე გრძნობა“ (1987).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1981).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ამირხანაშვილი კობა (დ. 5. VIII. 1954, მცხეთა), ინჟინერ-ფიზიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1995), პროფესორი (1998), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1976 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი სპეციალობით – ნახევარგამტარები და დიელექტრიკები. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრად; 1978 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი; მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში კომპიუტერული ქიმიის პირველი ლაბორატორია (1986–2006).

XX ს. 80–90 იან წლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული იყო მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. 1998 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 2016 წლიდან – თსუ-ის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის.

კ. ამირხანაშვილი ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. არის საქართველოს მე-4 (1995–99) და მე-5 (1999–2004) მოწვევის პარლამენტის წევრი, მისივე ინიციატივით დაარსებული „საქართველოს პარლამენტართა პალატის“ თავმჯდომარე (2015 წლიდან), საქართველოში არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციის, „დიაბეტიან

ბავშვთა დაცვის ასოციაციის“ დამაარსებელი და პრეზიდენტი (1991 წლიდან). ამჟამად არის „საქართველოს დიაბეტის ფონდის“ პრეზიდენტი (2021 წლიდან), აგრეთვე დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) წევრი (1993 წლიდან).

კ. ამირხანაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა გარდამავალ მეტალთა კოორდინაციული ნაერთების მიღება და ახალი მასალების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა, კერძოდ, თანამედროვე რენტგენოსტრუქტურული და სპექტრული ანალიზით კომპლექსნაერთების მოლეკულური, კრისტალური და სუპრამოლეკულური სტრუქტურების აღნაგობის დეტალური აღწერა; ქრომატოგრაფიული კვლევის მეთოდების ავტომატიზაცია და მიღებული მონაცემების პროგრამული დამუშავება; სორბციული პროცესების მათემატიკური მოდელირება.

არის სამეცნიერო ნაშრომების (ქართულ და უცხოურ ენებზე) მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001).



ანდრონიკაშვილი მზია (14. X. 1920, თბილისი, – 28. VII. 2006, იქვე), ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ინდურ-ირანული ენების სპეციალობით. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1969). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979).

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი კავკასიური და აღმოსავლური ენების განხრით. 1942–45 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი და მეცნიერი თანამშრომელი. 1945 წლიდან თსუ-ში კითხულობდა ინდოირანულ და ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის კურსებს, ასწავლიდა სპარსულსა და სანსკრიტს.

მ. ანდრონიკაშვილი იკვლევდა ირანული ენების ლექსიკურ-გრამატიკულ სტრუქტურას, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობისა და ეტიმოლოგიის საკითხებს. მისი ფუნდამენტური ნაშრომია „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ (ტ. 1, 1966; ტ. 2, 1996). წიგნში მონოგრაფიულად პირველად არის შესწავლილი ძველი ქართული ენის ლექსიკა ინდურ-ირანულ ენებთან მიმართებით, მოცემულია მრავალი ქართული სიტყვის ეტიმოლოგია.

მ. ანდრონიკაშვილმა პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე სპარსული და ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლების ნიმუშები – „ავესტას“ ნაწილის „იაშტების“ ჰიმნები („არმაღანი“, 1988), აქემენიდების ძველი სპარსული წარწერები; ინდური „რიგვედის“ ჰიმნები და ძველი ინდური ეპოსის „მაჰაბჰარატას“ ეპიზოდი „ნალა და დამაꣳანტი“ („არმაღანი“, 1977).



ანჩაბაძე ზურაბ (22. IV. 1920, გაგრა, – 28. I. 1984, სოხუმი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოსა (1973) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

1941 წელს დაამთავრა მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1946 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, 1956 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, 1958 წლიდან – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილების გამგე, 1973 წლიდან – სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ხოლო 1979 წლიდან გარდაცვალებამდე – მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

ზ. ანჩაბაძე იკვლევდა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ძველი, შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის საკითხებს, იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომის რედაქტორი (1979, ვ. გუჩუასთან ერთად) და „აფხაზეთის ისტორიის“ პირველი დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორი (1986).

ზ. ანჩაბაძე იყო სსრკ-ის IX (1974–79) და საქართველოს მე-10 (1980–84) მოწვევის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი. არჩეული იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ასათიანი არჩილ (28. IV. 1933, თბილისი, – 29. IV. 2007, იქვე), ფიზიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979).

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტი. 1957 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი; 1987–2004 წლებში – ამავე კათედრის გამგე, 1975–85 წლებში – თსსი-ის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, 1985–91 წლებში – რექტორი.

ა. ასათიანი იკვლევდა ნეიროფიზიოლოგიისა და გასტროენტეროლოგიის საკითხებს, კვებითი მოქმედების ნეირო-ჰუმორულ სარეგულაციო მექანიზმებს, თავის ტვინის ღეროს ბადებრივი სტრუქტურის როლს კუჭის სეკრეციული მოქმედების განხორციელებაში, ჰიპოთალამუსის კვების ცენტრების ფუნქციური ორგანიზაციის თავისებურებებს და ნუშისებრი კომპლექსის ბირთვების როლს კვებითი მოქმედების რეგულაციაში, გამოიკვლია ასევე სიმაძღრის ჩამოყალიბების ნეიროჰუმორული მექანიზმები და სხვა.

იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2004).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ასლანიკაშვილი ალექსანდრე (17.III. 1916, თბილისი, – 25.XI.1981, იქვე), გეოგრაფ-კარტოგრაფი. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1969). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (1979). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფიის ფაკულტეტი (1939), მუშაობდა კარტოგრაფად ამიერკავკასიის შტაბში (1941–45), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში (1945). 1948 წელს მიავლინეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლად ირანში (1947). იყო ვახუშტის სახ. გეოგრაფის ინსტიტუტის სწავლული მდივანი (1951–1953), კითხულობდა ლექციებს თსუ-ში (1953 წლიდან), ასრულებდა დეკანის მოადგილის მოვალეობას (1954–57), ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილებას, იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, შემდეგ დირექტორი (1957–1981). იმავდროულად ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის კარტოგრაფიის განყოფილებას.

ა. ასლანიკაშვილის ნაშრომები ძირითადად ეხება კარტოგრაფიის ზოგადი თეორიისა და საქართველოს კარტოგრაფიის საკითხებს. მან საფუძველი ჩაუყარა მეტაკარტოგრაფიულ კონცეფციას. ცნობილმა იაპონელმა კარტოგრაფმა ტ. კანაკუბომ ტოკიოში გამოსცა ა. ასლანიკაშვილის „მეტაკარტოგრაფია“ იაპონურ ენაზე (1999).

„საქართველოს სსრ ატლასის“ შედგენაში მონაწილეობისათვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი და დიპლომი.



ბათიაშვილი ირაკლი (დ. 8. VII. 1961, თბილისი), ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (2004), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2025).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიის ფაკულტეტი (1983), ჯ. მარშალის ევროპული ცენტრის საერთაშორისო და უსაფრთხოების სპეციალური ინსტიტუტის უმაღლესი კურსი (2002), ჰარვარდის უნივერსიტეტში გაიარა შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამა (2003).

1983–90 წლებში მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, 1992–93 წლებში – საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსად. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული სპეციალური სამსახური. 1994–95 წლებში იყო კონფლიქტების ანალიზისა და პროგნოზირების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, 1995–99 წლებში – საქართველოს მე-4 მოწვევის, 1999–2004 წლებში კი – მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, 2002–03 წლებში – იქვე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე; 2004–06 წლებში – თსუ-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

1987 წლიდან იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და 1989 წლის 9 აპრილის საპროტესტო აქციების ორგანიზატორი (სხვებთან ერთად).

2006–08 წლებში ი. ბათიაშვილი პოლიტიკური პატიმრის სტატუსით იჯდა ციხეში. 2019 წლის 10 ოქტომბრის

გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიმართ დაირღვა სამართლიანი სასამართლოს, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებები. 2010 წლიდან იყო სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

2007 წელს აირჩიეს „ქართული აკადემიის“ წევრად, 2008 წლიდან არის IB-ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, 2009 წლიდან კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. 2019–24 წლებში იყო ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი და თსუ-ის მიწვეული პროფესორი (2024 წლიდან – იქვე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელი).

ი. ბათიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროა ფენომენოლოგია და ცნობიერების ფილოსოფია, ესთეტიკა და კულტურის ფილოსოფია, სამართლისა და პოლიტიკის ფილოსოფია; მას ეკუთვნის მონოგრაფიები და სამეცნიერო პუბლიკაციები: „პერსონალური სიცოცხლე და ედმუნდ ჰუსერლის მოძღვრება დროის შინაგანი ცნობიერების შესახებ“ (2014), „მარტინ ჰაიდეგერი: სხვა გზა“ (2016), „შელინგის გამოცხადების ფილოსოფია“ (2019), „დასავლური პოლიტიკური ფილოსოფია“ (2022), „ზეკაცის სინთეზური ფენომენის შესაძლებლობა დასავლურ აზროვნებაში“ (2023) და სხვ.



ბაკურაძე ალექსანდრე [28. XI (11. XII). 1905, სოფ. რეხა, ახლანდელი წალკის მუნიციპალიტეტი, – 4. V. 1987, თბილისი], ფიზიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1948), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961). ი. ბერიტაშვილის ნეიროფიზიოლოგიური სკოლის წარმომადგენელი.

1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1934 წლიდან მუშაობდა ლენინგრადში, აკადემიკოს ი. პავლოვისა და ე. ლონდონის ლაბორატორიაში. 1945 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა თსსი-ის ფიზიოლოგიის კათედრას, 1966 წლიდან იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პრიმატების ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე, 1969–75 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორი, 1952–56 წლებში – საქართველოს ფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, 1956 წლიდან კი – თავმჯდომარის მოადგილე.

დაამუშავა საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციების შესწავლის მეთოდები, შეისწავლა ამ სისტემის ნერვული სარეგულაციო მექანიზმები, შეადგინა (ი. ბერიტაშვილთან ერთად) სახელმძღვანელო „ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის პრაქტიკუმი“ (1966).

1966 წელს მიენიჭა ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია ნაშრომისათვის „კვების ცენტრის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებები შიმშილისა და მაძღრობის დროს“ (1965, რუსულ ენაზე).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ბალაძე დურსუნ (14. II. 1930, სოფ. წყავროკა, ახლანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 25. IV. 2004, სტამბოლი, დაკრძალულია თბილისში), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). მუშაობდა იქვე ზოგადი მათემატიკის კათედრის პროფესორად (1972–78); იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი (1978–91), ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგე (1991–2004), აჭარის ასსრ X და XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დ. ბალაძის ძირითადი ნაშრომები ეხება ტოპოლოგიურ სივრცეთა ჰომოლოგიის თეორიის საკითხებს. შემოიღო კოეფიციენტების ჯგუფთა წყვილის მიმართ აღებული ჰომოლოგიები (კოჰომოლოგიები); განიხილა პარამეტრიანი ჰომოლოგიები (სადაც პარამეტრი რომელიმე ნებისმიერი კომპლექსია); შეისწავლა ნებისმიერი კომპლექსის ჰომოლოგიების (კოჰომოლოგიების) აპროქსიმაცია მისი სასრული კომპლექსების ჰომოლოგიებით (კოჰომოლოგიებით).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).



ბანცური რევაზ (10. VI. 1936, სოფ. ბანცურთკარი, ახლანდელი დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 11. I. 2014, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1960). მუშაობდა ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში (1960–2014): 1969–83 წლებში იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1983–2014 წლებში – განყოფილების გამგე, 1998–2014 წლებში – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. არჩეული იყო თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში რუსეთის ნაციონალური კომიტეტის წევრად, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თსუ-ის თეორიული მექანიკის კათედრაზე.

მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება დრეკადობის ბრტყელი თეორიის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანებს, ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შერეულ სასაზღვრო და დრეკადობის თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიან ამოცანებს, ნახევრი ტიპის ინტეგრალურ და უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემებს; მან არსებითად განავითარა ნ. მუსხელიშვილის თემატიკა. დაამუშავა ახალი ტიპის ფაქტორიზაციის მეთოდი, რომელიც ცნობილია კანონიკურ ამონახსნთა რ. ბანცურის მეთოდის სახელწოდებით და ამჟამად წარმოადგენს ერთადერთ ზოგად მეთოდს, რომელიც იძლევა ხსენებული საკონტაქტო ამოცანების ეფექტური ამოხსნის საშუალებას.

რ. ბანცურის მიღებული შედეგებიდან სპეციალისტებმა ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს ძაბვათა კონცენტრაციის საკითხის შესწავლა ბზარის ბოლოებში; მნიშვნელოვანი შედეგი მიიღო რღვევის მექანიკაში, რაც პრაქტიკულად ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობასა და საავიაციო კონსტრუქციების დაპროექტებაში; ააგო ინტეგრალური წარმოდგენები კარლემანის ტიპის ამოცანებისათვის. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია (2011).



ბარათაშვილი ილია (27. VII. 1933, სოფ. სიმონეთი, ახლანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 11. VIII. 2010, თბილისი), მეტალურგი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1987). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1993).

1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). 1956–57 წლებში მუშაობდა „ავტომატმრეწვში“ ინჟინრად, 1957–80 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად; 1980 წლიდან ამავე ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა მეტალურგიის პროცესების ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიას; 1990 წლიდან იყო მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი. 1985 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შავი ლითონების მეტალურგიის კათედრაზე.

ი. ბარათაშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეხება მეტალურგიული პროცესების თეორიულ საფუძვლებს. დაამუშავა და დანერგა ელექტროლიტური მანგანუმის დააზოტებისა და რაფინირების ტექნოლოგია. მონოგრაფიისათვის „მანგანუმის ფოსფორთან ურთიერთქმედების თერმოდინამიკა“ თანაავტორებთან ერთად მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1984).




ბარამიძე კონსტანტინე [7 (20). II. 1914, თბილისი, – 8. VI. 1978, იქვე], სამთო ელექტრომექანიკისა და საწარმოთა ავტომატიზაციის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974). საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1962).

1938 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. 1939 წლიდან კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ), 1954–72 წლებში იქვე იყო სამთო საწარმოთა ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის კათედრის გამგე, 1973–77 წლებში კი – ამავე ინსტიტუტის პრორექტორი.

კ. ბარამიძის ნაშრომები ეხება სამთო საწარმოთა ავტომატიზაციისა და კიდული ბაგირგზების თეორიის საკითხებს. არის 16 გამოგონების ავტორი, მ. შ. ერთი (საშახტო ამწეების რეგულატორი და კიდული ბაგირგზის ავტომატიზებული ამძრავი) დაპატენტებულია შვეიცარიაში, იტალიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ბასილაძე გივი (დ. 27. IX. 1951, თბილისი), ზოოინჟინერი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (2005), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1977 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი, სპეციალობით „ზოოტექნია“. 1979–83 წლებში სწავლობდა მოსკოვის კ. ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ასპირანტურაში. 1993–2000 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რძისა და ხორცის გადამუშავების ტექნოლოგიის კათედრის გამგე, 2000–05 წლებში – ამავე უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, 2006–17 წლებში – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით რძისა და რძის გადამუშავების ტექნოლოგიის საგნის ხელმძღვანელი და პროფესორი, 2014–16 წლებში – სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე მეცხოველეობის დარგში.

პროფ. გ. ბასილაძის საკვალიფიკაციო კვლევის თემაა „საქართველოს სამხრეთ მთიანეთის პირობებში ზოოტექნიკური ფაქტორების გავლენა ფურების მონაწველზე, რძის შედგენილობაზე და ყველის ხარისხზე“.

2024 წლიდან შპს შვეიცარული აგრარული სკოლა „კავკასია“-ს პროფესორი და პროგრამის, რძის პროდუქტების წარმოება“ ხელმძღვანელი.

2020–25 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვ-

ნულ სამეცნიერო ფონდში ხელმძღვანელობდა საგრანტო პროექტს „ქართული მთის ჯიშის ძროხის გენეტიკური მრავალფეროვნების განსაზღვრა და სხვა ჯიშებთან ნათესაური კავშირის დადგენა“, რომლის კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართული მთის ჯიშის ძროხის გენეტიკური მრავალფეროვნებისა და ევოლუციური დივერგენციის მექანიზმების საფუძვლიანი შესწავლა გენეტიკურად, მისი მიტოქონდრიალური დნმ-ის (mtDNA) ჰიპერვარიაბელური უბნის (D-მარყუჟი) ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის სეკვენირებისა და ანალიზის გამოყენებით. ნაშრომის კვლევის შედეგები გამოქვეყნდა (თანაავტორობით) მაღალრეიტინგულ ციტირებად ჟურნალებში.

გ. ბასილაძე 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 8 სახელმძღვანელოს, ასევე ქვეყანაში მოქმედი „რძის გადამამუშავებელ“ და „ყველის მწარმოებელ“ საწარმოთა პროფესიული სტანდარტების ავტორია, ასევე ექსპერტი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში (რძე და რძის პროდუქტების ტექნოლოგია).

მიღებული აქვს ღირსების მედალი (2000) და ღირსების ორდენი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი (2020) და სხვა ჯილდოები.



ბეთანელი კონსტანტინე (24. XI. 1932, თბილისი, – 6. XII, 2007, იქვე), სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1976), პროფესორი (1981), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამთო ფაკულტეტი. 1959–79 წლებში იყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტში მომავლის საწარმოთა ლაბორატორიის გამგე, 1979 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კ. ბეთანელის ნაშრომები ეხება ახალი ტექნიკურ-ეკონომიური დონის შახტების შექმნის თეორიულ საფუძვლებსა და მეთოდოლოგიას, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიას, ნახშირის ამოღებას საწმენდ სანგრევებში ავტომატური მეთოდებით, ქანების მასივის მდგომარეობის მართვას სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების დროს, ბუნებრივი რესურსების კომპლექსურ რაციონალურ გამოყენებას და ამ დარგში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიმართულებათა პროგნოზირებას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ბერიძე ვუკოლ (15. II. 1883, ხონი, – 11. V. 1963, თბილისი), ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი. პროფესორი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1948).

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების (1912) შემდეგ მასწავლებლობდა ქუთაისსა და თბილისში; 1922–32 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს კითხულობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, 1932 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). 1912 წელს შეადგინა „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რომელსაც ახლავს განმარტებები მდიდარი და კარგად შერჩეული საილუსტრაციო მასალით.

ვ. ბერიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაში. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა სამშენებლო (1926), ფიზიკისა და ელექტროტექნიკის (1928), ენისა და ლიტერატურის (1928), ნორმალური ანატომიის (1930), ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული საქმის (1932), ტექნიკური (1936), მემცენარეობის (1938), ენტომოლოგიის (1938), საავიაციო (1945), სამედიცინო (1947), ნიადაგთმცოდნეობის (1950) და სხვ. ტერმინოლოგიური ლექსიკონები. 1978 წელს „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ შემდგენელ-რედაქტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია.

ვ. ბერიძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი რუსთველოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის სხვა-

დასხვა საკითხზე. მათგან აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“ (1957), რომელშიც ავტორი იკვლევს რუსთაველის პოემის ეროვნულ ძირებს, მის კავშირს ქართულ ფოლკლორთან, ხოლო ნაშრომები „შოთას პოეტიკისათვის“ და „რუსთაველის შაირისათვის“ (1938) ეხება რუსთაველის შეხედულებას პოეზიაზე და მისი ლექსთწყობის თავისებურებებს. გარდა ამისა, ავტორია ნაშრომებისა: „რუსთველოლოგიური ეტიუდები“ (1961) და „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ს. ცაიშვილმა და გ. შარაძემ, 1974).



ბერძენიშვილი მერაბ (10. VI. 1929, თბილისი, – 17. IX. 2016, სტამბული, დაკრძალულია თბილისში), მოქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართველოსა (1978) და საბჭოთა კავშირის (1987) სახალხო მხატვარი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1996) და საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის (1988) წევრ-კორესპონდენტი. შოთა რუსთაველის (1975), სსრკ-ის (1975) და საქართველოს (1995) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე (1994).

1955 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (ნ. კანდელაკის კლასი), იქვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1988 წლიდან – პროფესორი). ძირითადად იყო მონუმენტალისტი, მაგრამ წარმატებით მუშაობდა დაზგური ქანდაკების დარგშიც.

მ. ბერძენიშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თემის აქტუალობა, ფიგურათა რიტმი და ფორმის გამომსახველობითი ძალის მკვეთრი ხაზგასმა. მოქანდაკის მიერ შექმნილი სახეები ზუსტად პასუხობენ მის იდეას. ძირითადი ნამუშევრებია: შოთა რუსთაველის (ბრინჯაო, 1955–56, მოსკოვი), დავით გურამიშვილის (თუჯი, 1959-65, თბილისი), გიორგი სააკაძის (ბრინჯაო, 1970, კასპი; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია; 1988 – თბილისი), ლაოსის მეფის სისავანგ ვონგის ძეგლი (ბრინჯაო, 1974–75, ვიენტიანი), ზ. ფალიაშვილის (1972), ი. ჭავჭავაძის (1987, ორივე ბრინჯაო) ძეგლები; ვახტანგ გორგასლის ძეგლის პროექტი (თაბაშირი,

1958, II პრემია საკავშირო კონკურსზე თბილისში). მისი ნამუშევრებია აგრეთვე „მუზა“ (1972, თბილისი), „მედეა“ (1967–68, ბიჭვინთა), „კიდევაც დაიზრდებიან!“ (1975, მარნეული; სსრკ სახელმწიფო. პრემია, 1976), გამარჯვების მემორიალები გურჯაანსა (1978) და ქუთაისში (1982, აიღეს 2009-ში), დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილი მემორიალი (1991; საქართველოს სახელმწიფო პრემია).

დაზგური ქანდაკებიდან აღსანიშნავია ქართველი ქალი (1958, 1960 – მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის დიპლომი), ქალის ტორსი (ტონირებული თაბაშირი, 1963), „სიცოცხლის დასაწყისი“ (კომპოზიცია, 1971, საქართველოს სურათების გალერეა), „მუსიკის დაბადება“ (ქვა, რელიეფი, საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი), ნ. დუმბაძის მემორიალი (1986). ფერწერა და გრაფიკა: „რევოლუციური გურია“ (1956), „მამაკაცის პორტრეტი“ (ძმის პორტრეტი, 1959), „გურია ზამთარში“ (1967), „პარიზის ჩანახატები“ (1963), სერია „იტალიაში“ (1965, ყველა მხატვრის კუთვნილება).

ავტორია წიგნისა „ზარი“ (1981).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1983).



ბეჭაია გურამ (დ. 28. X. 1929, თბილისი), ექიმი, მეცნიერი, ნეიროფიზიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024), მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1998), რუსეთის ფედერაციის სამედიცინო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (2006).

1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი, ახლანდელი თსსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი (1954–57), უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1957–61), სწავლული მდივანი (1961–73), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1973 – 80). 1969–80 წლებში იყო თსსი-ის ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი (შეთავსებით), 1974–76 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემათა განყოფილების (შემდგომში, ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილება) სწავლული მდივანი (შეთავსებით); 1981–99 წლებში – ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი ი. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი) დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1990–2004 წლებში – თსსი-ის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი, 1994–2018 წლებში – ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ფუნდამენტური მედიცინის კათედრის გამგე (შეთავსებით), 2002–18 წლებში – პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრის

გამგე, 1985–2005 წლებში – იქვე, ლაბორატორიის გამგე, 1996 წლიდან – თსსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. 2005–14 წლებში ხელმძღვანელობდა ი. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო-საინფორმაციო განყოფილებას, 2014 წლიდან არის იმავე ცენტრის მეცნიერი კონსულტანტი.

გ. ბექაიას სამეცნიერო კვლევის სფეროა ნათხემისა და დიდი ტვინის ურთიერთობა, ნათხემის როლი თავის ტვინის ინტეგრაციულ მოქმედებაში, ტკივილისა და ანალგეზიის ცენტრალური მექანიზმები, აგრესიის ნეიროფიზიოლოგიური, ნერვული და ნეიროენდოკრინული მექანიზმები და სხვ.

არჩეულია აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, უკრაინის ფიზიოლოგთა საზოგადოების, ჩეხეთის პურკინიეს სახ. ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად. არის იუნესკოსთან არსებული თავის ტვინის შემსწავლელი ორგანიზაციის (IBRO) წევრი; ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი (2008), 2024 წლიდან – საპატიო პრეზიდენტი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999), ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია (2007), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის პრემია (2020) და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2022).



ბოლაშვილი ნანა (დ. 25. XI. 1967, ბორჯომი). გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2025).

1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში (2007 წლიდან – დირექტორი).

ნ. ბოლაშვილი 2016–24 წლებში იყო საქართველოს ა. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, 2024 წლიდან კი – ვიცე-პრეზიდენტი. 2010 წლიდან არის გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის, UNCCD-ის სამეცნიერო კომიტეტის წევრი. 2023 წელს იყო UNCCD-ის გვალვების საკითხებზე საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის წევრი, 2014–16 წლებში – ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მთავრობათაშორისი სამეცნიერო პოლიტიკის პლატფორმის სერვისების (IPBES) მრავალდარგობრივ ექსპერტთა საბჭოს წევრი, Biodiversa and Water JPI-ის ერთობლივი კონკურსის ექსპერტი (2023–24). არის გერმანიის განათლებისა და მეცნიერების ფედერალური სამინისტროს, აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. მონაწილეობდა

ერაზმუს მობილობის პროგრამებში გისენისა (2022; გერმანია) და კოტ დ'აზურის (2023; საფრანგეთი) უნივერსიტეტებში. გავლილი აქვს სტაჟირებება ისრაელსა (1998) და ჩინეთში (2000).

ნ. ბოლაშვილის კვლევის სფერო მოიცავს ჰიდროლოგიას, კლიმატოლოგიას, კარსტულ წყლებს, კარტოგრაფიას და სხვ. იგი მონაწილეობს საქართველოს ზედაპირული წყლის რესურსების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შედგენაში. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 15 მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორი.

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სიგელები „მეცნიერის მსოფლიო დღესთან" (2016) და „მეცნიერ ქალთა მსოფლიო დღესთან" (2017) დაკავშირებით, ასევე ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია (2023). არჩეულია რუმინეთის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად (2025), იმავე წელს დაჯილდოვდა ამ საზოგადოების მედლით.



ბრაჭული ირაკლი (დ. 2. XI. 1956, თბილისი), ფილოსოფოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი (1997), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის განხრით, 1980–83 წლებში იყო ამავე ფაკულტეტის ასპირანტი, თსუ-ის ესთეტიკის კათედრის ლაბორანტი (1984–88) და თანამედროვე ფილოსოფიის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1988–2006), ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (2004–05), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი (2006–08), თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი (2008–09), ასოცირებული პროფესორი (2009–12). 2021 წლიდან არის საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის რექტორი, 2024 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზეკაცის მსოფლმხედველობა (ჰერმენევტიკის ენერგეტიკული პარადიგმები)“.

ი. ბრაჭული მუშაობს ესთეტიკის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური მენტალიტეტის, თეოლოგიისა და ჰერმენევტიკის საკითხებზე.

მიღებული აქვს შ. ნუცუბიძის სახელობის პრემია (2024).



ბუაჩიძე იოსებ [7. (20). IX. 1907, სოფ. ფარცხნალი, ახლანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 25. I. 2006, თბილისი], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1951). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961). საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1967).

1934 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიური ინსტიტუტი. შემდეგ მუშაობდა „აჭარჰესის“ მშენებლობაზე. 1938-42 წლებში იყო „თბილჰიდროენერგოპროექტის“ საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების გამგე. 1942 წლდან ხელმძღვანელობდა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიურ ექსპედიციას. 1951 წლიდან იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოყენებითი გეოლოგიის კათედრის პროფესორი, 1954–74 წლებში – მისივე ინიციატივით დაარსებული ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კათედრის გამგე, 1958–89 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სექტორის დირექტორი (1989 წლიდან დირექტორის მრჩეველი), 1958–73 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი.

ი. ბუაჩიძე საქართველოს ტერიტორიის მრავალი ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური რუკისა და დარაიონების სქემების ავტორია. შეისწავლა და განსაზღვრა საქარ-

თველოს ტერიტორიაზე არსებული არტეზიული აუზების გავრცელების ზონები. მისი ხელმძღვანელობით და თანაავტორობით გამოცემულია განმაზოგადებელი ნაშრომი საქართველოს ჰიდროგეოლოგიის შესახებ.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997) და გ. ნიკოლაძის სახელობის მედალი.



გაბაშვილი ვალერიან (9. IV. 1911, სოფ. ვერხოვაჟიე, ვოლოგდის გუბერნია, რუსეთი, – 1. VI. 1985, თბილისი), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1957), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), მედიევისტ-ისტორიკოსთა ქართული სკოლის ფუძემდებელი.

1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტი. იყო თსუ-ის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე (1950–73), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1957–60), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1960–85).

ვ. გაბაშვილი იკვლევდა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის, ქართული და აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობის, ქართული და აღმოსავლეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის, ქართული და აღმოსავლური სამართლის, დიპლომატიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის, ასევე ირანის პოლიტიკურ და

დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწე ქართველთა საქმიანობის საკითხებს.

ვ. გაბაშვილის ნაშრომები ეძღვნება თბილისის ისტორიას, არის ავტორი რომანისა „აივნიანი ქალაქი“ (ნიკოლოზ გაბაონის ფსევდონიმით).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გაბაშვილი ნიკოლოზ [14 (27). VIII. 1903, თბილისი, – 13. XI. 1975, იქვე], ელექტროტექნიკისა და ტექნიკური კიბერნეტიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1948), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961). საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1962), საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ფუძემდებელი საქართველოში.

1930 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ელექტროტექნიკის ფაკულტეტი. 1954 წელს მისი ინიციატივით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის კათედრა. 1956 წლიდან ხელმძღვანელობდა ავტომატიკის, ტელემექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრას, 1964 წლიდან (კათედრის გაყოფის შემდეგ) გარდაცვალებამდე – გამოთვლითი ტექნიკის კათედრას.

ნ. გაბაშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება საწარმოო პროცესების მათემატიკურ აღწერასა და ავტომატიზაციის საკითხებს, ენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ალგორითმიზაციას, არაწრფივი ობიექტების ოპტიმალური მართვის თეორიას, ნავთობისა და აირის ჭაბურღილების ღრმა ბურღვის ძირითადი პროცესების ოპტიმიზაციას და სხვ. მონაწილეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სურამის უღელტეხილის ელექტრიფიკაციის სამუშაოებში. დაამუშავა ხრამჰე-

სის, სოხუმჰესისა და სხვა ობიექტების კომპლექსური ავტომატიზაციის საკითხები.

იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გაბრიჩიძე გურამ (6. VI. 1931, თბილისი, – 6. IV. 2022, იქვე). სამშენებლო მექანიკის დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1993), პროფესორი (1994), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001).

1955 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამშენებლო ფაკულტეტი. 1959–2022 წლებში მუშაობდა კ. ზავრიევის სამშენებლო ინსტიტუტში (2010 წლიდან – სსიპ ლევან სამხარულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან არსებული სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება), იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1969–78), განყოფილების გამგე (1978–90), ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (1990-94), დირექტორი (1994-2006) და სეისმომედეგი მშენებლობის განყოფილების გამგე (2006–22).

გ. გაბრიჩიძის ნაშრომები ეხება მყარი დეფორმირებადი სხეულების მექანიკის ზოგად საკითხებს. შეისწავლა თხელკედლიანი გარსები, თაღოვანი კაშხლები, რთული სტრუქტურის მქონე არაერთგვაროვანი სხეულის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა; იკვლევდა საინჟინრო სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საკითხებს და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და ორი მონოგრაფია.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001) და კ. ზავრიევის სახელობის პრემია (2009).



გეგელია თენგიზ (28. I. 1928, სოფ. პატარა ჯიხაიში, ახლანდელი ხონის მუნიციპალიტეტი, – 21. VII. 1994, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტსა და გამოთვლით ცენტრში (1956–66). იყო თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უწყვეტი გარემოს მექანიკის განყოფილების გამგე (1966–80), ამავე უნივერსიტეტის დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა კათედრისა (1980 წლიდან) და ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის უწყვეტი გარემოს მექანიკის განყოფილების (1981 წლიდან) გამგე.

თ. გეგელიას ძირითადი ნაშრომები ეხება ერთგანზომილებიან და მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს, პოტენციალის თეორიას, მათემატიკური დრეკადობის კლასიკურ თეორიას, მომენტური თეორიის ამოცანებს და სხვ.

იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პლასტიკურობისა და სიმტკიცის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს ბიუროს წევრი და ამავე საბჭოს დრეკადობის თეორიის სექციის თავმჯდომარე (1980 წლიდან); რუსეთის თეორიული და გამოყე-

ნებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის წევრი (1985 წლიდან) და მათემატიკისა და მექანიკის საერთაშორისო საზოგადოების (ISIMM; 1982 წლიდან) წევრი.

არის ი. ვეკუას სახელობის პრემიის ლაურეატი (1987, თ. ბურჭულაძესთან ერთად),



გედევანიშვილი გიორგი [3 (15). III. 1883, თბილისი, – 15. V. 1957, იქვე], მეცნიერი ლითონთა ტექნოლოგიის დარგში. პროფესორი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1944), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1943).

1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის საარტილერიო აკადემია. მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყო უმაღლესი ტექნიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მონაწილეობდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაში. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე და ბიუროს წევრი (1951–55).

არის სამეცნიერო ნაშრომებისა და სახელმძღვანელოს ავტორი, რომლებიც ეხება ლითონთა ჭრის თეორიასა და ტექნოლოგიას, მათი წნევით დამუშავებისა და შედუღების პროცესთა საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გედევანიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე (15. IX. 1902, თბილისი, – 16. III. 1990, იქვე), ფიზიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1939), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. 1937–48 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი და თბილისის სტომატოლოგიური და ფარმაცევტული ინსტიტუტების ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, 1948 წლიდან – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი, 1959–73 წლებში – ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში.

დ. გედევანიშვილმა შეისწავლა თავის ტვინის 55- ჰერციანი ბიოელექტრული რიტმი, ტკივილის ქერქული წარმომავლობა, მუკომოტორული რეფლექსები და სხვ. ასევე მუშაობდა ზოგიერთი ფიზიოლოგიური ფუნქციის ბიონიკური მოდელების შექმნაზე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



გედევანიშვილი დიმიტრი პანტელეიმონის ძე [19. XI (1.XII) 1884, სოფ. კირბალი, ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტი, – 20. XII. 1958, თბილისი], ნიადაგმცოდნე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1930), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943).

1914 წელს დაამთავრა ნოვოალექსანდრიის (პოლონეთი) სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1919–29 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების, ასევე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის (1929) კათედრების გამგე.

დ. გედევანიშვილმა გამოიკვლია საქართველოს მევენახეობისა და მეჩაიეობის რაიონების, აგრეთვე კოლხეთის დაბლობის ნიადაგები. მისი ხელმძღვანელობით შედგა საქართველოს ნიადაგების რუკები. იყო ნიადაგმცოდნეობის საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

საქართველოს აგარარული უნივერსიტეტის ეზოში დგას დ. გედევანიშვილის ბიუსტი.



გვახარია ალექსანდრე (30. VII. 1929, თბილისი, – 24. IX. 2002, იქვე), ლიტერატურათმცოდნე, ირანისტი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988). აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მუშაკი (1981).

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. იყო თსუ-ის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე (1987).

იკვლევდა სპარსული ლიტერატურის ისტორიისა და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებს. აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები: „ვისრამიანი“ (ქართ. კრიტიკული ტექსტი, ვარიანტები, გამოკვლევა და ლექსიკონი, 1962; თანაავტორი მ. თოდუა, რედაქტორი გ. წერეთელი), „ფირდოუსი“ (1963), „სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები – ბახთიარნამე“ (1968), „ვის ო რამინი“ (სპარსული კრიტიკული ტექსტი, თეირანი, 1970, თანაავტორი მ. თოდუა), „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“ (1973), «„ბალავარიანის“ სპარსული ვერსიები» (1985). ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა ქართულ, რუსულ, სპარსულ და დასავლეთ ევროპის ენებზე.

ა. გვახარია იყო არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. თანამშრომლობდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიასთან, ქართული ენციკლოპედიის მთავარ რედაქციასთან, იყო ჟურნალ

„მაცნეს“ რედკოლეგიის მდივანი. კითხულობდა სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსს თსუ-ში, თარგმნიდა სპარსულენოვანი და ტაჯიკური მწერლობის ნიმუშებს (ფირდოუსი, ნიზამი, ხაყანი, ს. აინი და სხვ.).



გვერდწითელი ილია (10. II. 1908, სოფ. ხცისი, ახლანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 15. VI. 1980, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1951). პროფესორი (1953), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1963).

1934 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). 1933 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). 1953–56 წლებში იქვე იყო პრორექტორი სასწავლო დარგში, ხოლო 1954 წლიდან გარდაცვალებამდე – ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის სამეცნიერო საბჭოს (1967) და საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქიმიის სწავლების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს (1969) თავმჯდომარე.

ი. გვერწითელის ნაშრომები ეხება უჯერი აცეტილენური და დიაცეტილენური ოქსინაწარმების სინთეზისა და კატალიზური გარდაქმნის საკითხებს. მუშაობდა აგრეთვე ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის საკითხებზე (სილიციუმორგანულ, გერმანიუმორგანულ, კალაორგანულ, ფეროცენშემცველ და ჰეტეროციკლურ ნაერთებზე).

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1980) და სხვა სახელმწიფო და საბრძოლო ჯილდოები.



გიგინეიშვილი ივანე (9. VIII. 1909, ქუთაისი, – 28. I. 1982, თბილისი), ენათმეცნიერი, დიალექტოლოგი, ტექსტოლოგი, ლექსიკოგრაფი, სალიტერატურო ენის ნორმალიზატორი, ენის ისტორიკოსი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1976). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971). ლინგვოსტილისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, სხვადასხვა დროს მუშაობდა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტის (ელხი) ენის სექტორის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა (1938 წლიდან) სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. იყო „ენიმკის“ ქართველურ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივანი, იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1950–66) და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (1952–53).

1946 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრი და მდივანი, ხოლო 1953–82 წლებში – თავდაპირველად საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან, შემდეგ კი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი და მდივანი; შემ-

დეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისიის განყოფილების (1966 წლიდან „ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება“) გამგე. 1949–53 წლებში იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი, 1959–60 წლებში – „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიის (1959-60), შემდეგ კი აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის მოსამზადებელი კომისიის მთავარი რედაქციის წევრი; 1951–82 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე; 1973-82 წლებში – ქართული ენციკლოპედიის სატრანსკრიფციო-ტერმინოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი.

ი. გიგინეიშვილის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების, დიალექტებსა და საერთო-სახალხო ენასთან მისი მიმართების საკითხებს.

კლასიკური და აღორძინების ხანის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლთა და ავტორთა ენის ხანგრძლივი კვლევის შედეგად ი. გიგინეიშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ ე. წ. საშუალი ქართული ენა არ არის ისეთი ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი ერთეული, როგორიცაა ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

ტექსტოლოგიური კვლევის ერთგვარ ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს ი. გიგინეიშვილის ნამუშევრები: „რუსუდანიანი“ (ი. აბულაძესთან ერთად, 1957), ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ (1972) და „ხუთი პოემა“ (1975). ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო მისი ლექსიკოგრაფიული მუშაობა: იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VIII ტომის თანარედაქტორი (ბ. ფოჩხუასთან და სხვა რედაქტორებთან ერთად მიენიჭა

საქართველოს სახელმწიფო პრემია), ვ. თოფურიასთან ერთად შეადგინა სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (1941, 1946, 1949), შემდეგ ვრცელი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1968, 1998). მის მიერ შედგენილი ლექსიკონები ერთვის „დავითიანს“ (1955 და 1980), „რუსუდანიანს“ (1957) და ქართლურ, კახურ, ფშაურ, გუდამაყრულ დიალექტურ ტექსტებს („ქართული დიალექტოლოგია“, I, 1961); მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ გამოცემულ ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების (1985), საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების (1987), საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სახელთა (1987), უცხოურ პირთა სახელების (1989), საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა (1989) ორთოგრაფიულ ლექსიკონებზე.

ი. გიგინეიშვილის რედაქციით გამოვიდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (ხუთი წიგნი), იგი იყო რედაქტორი კრებულისა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (1970, 1986).

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



გოგიჩაიშვილი გიორგი (დ. 20. I. 1941, ბათუმი), მართვის ავტომატიზებული სისტემების დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1983), პროფესორი (1986), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1963), იმავე წლიდან მუშაობს იქვე: იყო ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიის უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1963–71); მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის ასისტენტი, პროფესორი (1971–2007), კათედრის გამგე (1991–2007); 2007 წლიდან არის სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი.

გ. გოგიჩაიშვილის სამეცნიერო კვლევები ეხება მართვის სისტემებში გადაწყვეტილებების მიღების ავტომატიზაციის, ასევე გადაწყვეტილებების მიღების სემიოტიკურ სისტემებს, მართვის სისტემების მოდელირებას და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ.შ. 6 მონოგრაფია და 10 სახელმძღვანელო.

მიღებული აქვს ღირსების მედალი (1998), ღირსების ორდენი (2001) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



გოკიელი ლევან [20. XI (3. XII). 1901, ქუთაისი, – 4. I. 1975, თბილისი], მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944).

1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), მუშაობდა იქვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის დაფუძნებისა და ისტორიის კათედრის გამგედ (1934–70), აგრეთვე მათემატიკისა (1935–48) და ფილოსოფიის (1948–53) ინსტიტუტებში. იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1967–71).

თავდაპირველად ლ. გოკიელი დაინტერესდა მათემატიკის დაფუძნების პრობლემებით. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევისას იგი აანალიზებდა და კრიტიკულად აფასებდა სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების გადაჭრისა და მათემატიკური დაფუძნების ძირითად მიმართულებებს (ლოგიციზმი, ინტუიციონიზმი და ფორმალიზმი). შემდგომში მათემატიკური ანალიზის ძირითად ცნებათა და დებულებათა ლოგიკურმა ანალიზმა მეცნიერი მიიყვანა ლოგიკის დაფუძნების პრობლემებისა და მისი აგების მეთოდის კვლევის აუცილებლობამდე. მან შეიმუშავა დიალექტიკური ლოგიკის საკუთარი სისტემა, ე. წ. ძირეული დასკვნის თეორია, რომელიც, მისი აზრით, არის ლოგიკის განვითარების უმაღლესი საფეხური, ლოგიკისა და დიალექტიკის იგივეობის შესახებ თეზისის ხორცშესხმა, სიმ-

რავლეთა თეორიის პარადოქსების გადალახვისა და ლოგიკის აგების ჭეშმარიტი მეთოდი. ამ კონცეფციის შემუშავებისას მასზე გავლენა იქონია ს. წერეთლის შეხედულებებმა. მისი ძირეული დასკვნა არის დებულების ჭეშმარიტების დადგენა იმის ჩვენებით, რომ მისი უარყოფა (უარყოფის ფაქტი) თავის თავში შეიცავს გარკვეული სახის ლოგიკურ შეუძლებლობას – ე. წ. რეგრესს უსასრულობაში.

ლ. გოკიელის აზრით, მათემატიკური ანუ სიმბოლური ლოგიკა არ არის ლოგიკა, ის მათემატიკის დარგია, თუმცა მასში ხდება ლოგიკის აპარატის მათემატიკის გადამუშავება.



გორდეზიანი მარლენ (29. VII. 1938, თბილისი, – 21. V. 2018, იქვე), ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერების დოქტორი (1992), პროფესორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

1962 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი.

1962–65 წლებში იყო ცხოველთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილების უფროსი ლაბორანტი, 1965–71 წლებში – ს. დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის უმცროსი, 1971–79 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1980 წლიდან კი „ბიოლოგიური ჟანგვის“ ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2003).

მ. გორდეზიანის სამეცნიერო ნაშრომები ეხება დაბინძურებული გარემოს ბიოლოგიური მეთოდებით აღდგენას, გლუკოზისა და გლუტამინმჟავას ჟანგვითი გარდაქმნების ურთიერთკავშირს ვაზში, მცენარეულ მონოოქსიგენეზებს და მათ როლს ქსენობიოტიკთა დეტოქსიკაციაში, მასში მონაწილე ფერმენტულ სისტემათა ინდუქციურ ბუნებას უმაღლეს მცენარეებში. მან პირველმა გამოავლინა ერთი მჟანგველი ფერმენტის მეორე ფერმენტად ტრანსფორმაციის შესაძლებლობა.

მიღებული აქვს აკადემიკოს ს. დურმიშიძის სახელობის პრემია (2004).



გურგენიძე გურამ (30. XI. 1929, თბილისი, – 7. I. 2003, იქვე), ალერგოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1966), სსრკ-ის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა (1988) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1996) წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1995).

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1963–74 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის პროფესორი და ალერგოლოგიის კურსის ხელმძღვანელი; 1974 წლიდან – მისივე თაოსნობით სსრკ-ში პირველად ჩამოყალიბებული ალერგოლოგიის კათედრის, ხოლო 1978 წლიდან – ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ალერგოლოგიის განყოფილების გამგე და რესპუბლიკური ალერგოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი; 1975–86 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში.

1970–80 წლებში იყო თბილისის ალერგოლოგთა ასოციაციის, ხოლო 1980 წლიდან – საქართველოს ალერგოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, 1990 წლიდან – საქართველოს ალერგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

გ. გურგენიძე იკვლევდა ალერგიულ დაავადებათა ეტიოპათოგენეზის, კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს. მის ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრონქული ასთმის ცალკეული კლინიკური ფორმის

იმუნოლოგიური თავისებურებების დახასიათებას, მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდების შემუშავებას.

თანაავტორია ჰავაის უნივერსიტეტის (აშშ) მიერ გამოცემული მონოგრაფიისა „ალერგია მსოფლიოში“. იყო ჩეხოსლოვაკიის პურკინიეს სახელობის საბუნებისმეტყველო საზოგადოების საპატიო წევრი (1979), მოსკოვის ალერგოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებისა (1979) და იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო ასოციაციის (1994) საპატიო წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998).



დარასელია მიხეილ [15 (28). VI. 1902, ზუგდიდი, – 22. II. 1997, თბილისი], აგრონომი, ნიადაგმცოდნე. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961). სტალინური პრემიის ლაურეატი (1951).

1928 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი. 1928–29 წლებში მუშაობდა ოზურგეთის სუბტროპიკული კულტურების ცენტრის საცდელ სადგურში დირექტორად, 1930–74 წლებში – ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის განყოფილების გამგედ, 1976–88 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერული პრობლემების განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

დაამუშავა ნიადაგების ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, ჩამორეცხილი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის საკითხები და სხვ.

მ. დარასელია იყო ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი და საქართველოს ნიადაგმცოდნეობის საზოგადოების პრეზიდენტი (1979–97).



დეკანოსიძე თამარ (3. XI. 1922, ხარაგაული, – 23. VII. 2008, თბილისი), პათოლოგანატომი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1973). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1976).

1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1943–69 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, 1969–73 წლებში – ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე, 1973–96 წლებში – პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე. 1943–90 წლებში მუშაობდა თბილისში სხვადასხვა დაწესებულების პროზექტორად, 1980–2000 წლებში – საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ პათოლოგანატომად. 1984–99 წლებში იყო საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე. მონაწილეობდა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში.


თ. დეკანოსიძის სამეცნიერო ნაშრომები ეხება საქართველოში სექციური მასალის ანალიზს ნოზოლოგიური პროფილის დადგენის მიზნით, ნერვულ-ქსოვილოვან ურთიერთობებს ნორმალური და პათოლოგიური ზრდის პირობებში, გეროგენული ცვლილებების მორფოლოგიურ საფუძვლებს, სამედიცინო-ბიოლოგიური პროცესების შეფასების აუცილებლო-

ბას სინერგეტიკის პოზიციიდან (მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა).

მის სახელს უკავშირდება საქართველოს პათოლოგიური ანატომიის სამსახურის (1968), ჰისტოლოგიის, ემბრიოლოგიის (1969), პათოლოგიური ანატომიის (1973) სწავლების რეორგანიზაცია. იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია (1962), ღირსების ორდენი (1997), თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2002) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



დეკაპრელევიჩი ლეონარდ (13. VII. 1886, თბილისი, – 7. XI. 1981, იქვე), გენეტიკოს-სელექციონერი, ბოტანიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1943), პროფესორი (1930). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი (1944).

1912 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო-ისტორიული განყოფილება და მუშაობა დაიწყო თბილისის ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილებაში თავდაპირველად უმცროს სპეციალისტად (1914), შემდეგ – გამგედ (1916). 1929 წლიდან იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორი, 1937–73 წლებში – იმავე ინსტიტუტის გენეტიკა-სელექციის კათედრის გამგე, შემდეგ – მისი საპატიო გამგე და კონსულტანტი.

ლ. დეკაპრელევიჩი ძირითადად იკვლევდა ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს კულტურულ ფლორას. მან ნ. ვავილოვთან და პ. ჟუკოვსკისთან ერთად დაადგინა, რომ საქართველო ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი კერაა მსოფლიოში, განსაზღვრა ხალხური სელექციის როლი ამ მცენარის გაუმჯობესებაში. გამოიყვანა ხორბლის, სიმინდის, ქერისა და ლობიოს ახალი ჯიშები.

მიღებული აქვს 8 საავტორო მოწმობა, ნ. ვავილოვის სახელობის პრემია (1973) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



დიდებულიძე ალექსანდრე (დ. 30. IX. 1944, თბილისი), ელექტრომექანიკოსი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1995).

1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. მუშაობდა იქვე ასისტენტად (1967–68), შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტი) უფროს მასწავლებლად, დოცენტად (1979), პროფესორად და ელექტროტექნიკისა და ელექტროამძრავას კათედრის გამგედ (1989–2005), სრულ პროფესორად (2005–12). იყო სამთო სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი (1988–2004), ფირმა „Development Alternatives Inc“-ის (აშშ) უფროსი ანალიტიკოსი (2000–04), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე და საპარლამენტო მდივანი (2004–08), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის აღმასრულებელი მდივანი (2013–23). არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივნად (2023).

ორგანიზება გაუწია საქართველოს წამყვანი ბიბლიოთეკებისთვის აშშ-ში შეგროვებული 30 ათასზე მეტი ინგლისურენოვანი წიგნის გადაცემას (1995–97), იყო სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოში უმაღლესი

განათლების ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელის (ENIC) წარმომადგენელი (1996–2003).

ა. დიდებულიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა: სოფლის მეურნეობის სივრცით-ტერიტორიული მდგრადი განვითარება, ელექტრომექანიკა, მ. შ. ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ამგზნებები, ხიდური მიწათმოქმედება, აგრობიოტექნოლოგიური მეცნიერებების კომერციალიზაცია, ენერგეტიკის მენეჯმენტი.

არის მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და კონგრესის მონაწილე, კითხულობდა ლექციებს გერმანიის (გისენი, ლუნებურგი) უნივერსიტეტებში (1998–2002).

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ.შ. 9 მონოგრაფია (ორი – ინგლისურ ენაზე) და 7 სახელმძღვანელო. მიღებული აქვს საავტორო მოწმობები და პატენტები 43 გამოგონებაზე. მისი მონაწილეობით შექმნილი დანადგარები ექსპონირებული იყო ლაიფციგის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის, მოსკოვისა და სხვა საერთაშორისო ბაზრობებზე, გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999).



დონდუა კარპეზ (13. X. 1891, ქუთაისი, – 3. XI. 1951, ლენინგრადი, ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი), ფილოლოგი, ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), ლენინგრადისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორი (1940 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1944).

პეტროგრადის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1922) იქვე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1941–45 წლებში მუშაობდა თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ).

კ. დონდუა იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს. მის საენათმეცნიერო შრომათაგან აღსანიშნავია „მაფემინიზებელი ხმოვანი ქართულში“ (1935), „ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის სვანურში“ (1943), „გრამატიკული უარყოფა, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა“ (1948), „ქართული ენის მესხური კილო“ (1967).

მნიშვნელოვანია კ. დონდუას წვლილი რუსთველოლოგიაში. მის ნაშრომებში – „ამირანდარეჯანიანი“ (რუს. ენაზე, 1937), „შოთა რუსთაველი და ქართული ლიტერატურა“ (1938), „მეტაფორა ფართო გაგებით და პოეტური მეტაფორა“ (1938), „საშინელი უმეცრება“, დ. დანდუროვის წიგნის „შოთა რუსთაველის“ შესახებ (რუსულ ენაზე, 1937, ქართულ ენაზე, 1938), „კიდევ ერთხელ რუსთაველის ცხოვრებისადმი მიძ-

ღვნილი წიგნის შესახებ“ (რუსულ ენაზე, 1940), „ვეფხისტყაოსნის ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის“ (1943) და სხვ. – გაშუქებულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების, აგრეთვე მისი ეპოქის ქართული კულტურის საკითხები.



დოღონაძე რევაზ (21. XI. 1931, თბილისი, – 13. V. 1985, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1978), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983). საქართველოში თანამედროვე ელექტროქიმიური ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1955 წელს დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის ინსტიტუტი. იყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროქიმიური ინსტიტუტის თეორიული განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და ჯგუფის ხელმძღვანელი (1958–79), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1970–73), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე (1983–85), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის თეორიულ კვლევათა განყოფილების დამაარსებელი და გამგე (1985 წლიდან ეს განყოფილება მისი სახელობისაა), ელექტროქიმიის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ელექტროქიმიური ფიზიკის განყოფილების თავმჯდომარე (1976–85).

რ. დოღონაძის ძირითადი ნაშრომები ეხება ქიმიის, ელექტროქიმიისა და ბიოქიმიის პროცესებში მუხტის გადატანისა და ფოტოგადატანის კვანტურ-მექანიკური თეორიის დამუშავებას. მან შექმნა ამ მიმართულების თეორეტიკოსთა სამეცნიერო სკოლა. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



დუმბაძე მამია [3 (16). VI. 1915, სოფ. ზენობანი, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 25. III. 1990, თბილისი], ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1974). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1938). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (1942 წლიდან), იყო საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების გამგე (1958–89). იკვლევდა საქართველოს ფეოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის საკითხებს. არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი და კოლექტიური გამოკვლევების – „თბილისის ისტორიის“, საქართველოს ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელოს (ქართულ და რუსულ ენებზე) თანაავტორი, აგრეთვე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის რედკოლეგიის წევრი, IV ტომის (1973) რედაქტორი და თანაავტორი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ელიავა ირაკლი (23. XII. 1928, თბილისი, – 30. XI. 2021, იქვე), ბიოლოგი, ფიტოჰელმინთოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1986), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988). ფიტოჰელმინთოლოგიისა და ნიადაგის ზოოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში.

1947-48 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტზე, 1953 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგთმცოდნეობის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში. 1953–55 წლებში იყო ზოოლოგის ინსტიტუტის ლაბორანტი, 1958–62 წლებში – უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1962–72 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1972–82 წლებში ხელმძღვანელობდა ნიადაგის ზოოლოგიის ლაბორატორიას. 1982 წლიდან იყო თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრის გამგე, 1987–89 წლებში იქვე – ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1989–2005 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 2005–06 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, 2006 წლიდან – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ნემატოლოგიის ლაბორატორიის გამგე, ემერიტუს-პროფესორი.

ი. ელიავას გამოკვლევები და სამეცნიერო პუბლიკაციები ეხებოდა ნიადაგის ზოოლოგიის ძირითად პრობლემებს (ფაუ-

ნისტიკა, ეკოლოგია), ნიადაგის ნემატოდების სისტემატიკას და მათი ფიტოპარაზიტიზმის წარმოშობის გზებს. იგი ასევე იყო ეკოლოგი და ევოლუციური ბიოლოგი, აგრეთვე ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1995 წლიდან გარდაცვალებამდე). ავტორია მონოგრაფიისა „ეკოლოგიის საფუძვლები“ (1992).

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1985) და ღირსების ორდენი (2000).



ერისთავი (სიდამონ-ერისთავი) დიმიტრი (20. III. 1903, თბილისი, – 18. VIII. 1971, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1950).

1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1930–50), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე (1944–71), ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1958–71).

დ. ერისთავს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ანალიზური ქიმიის განვითარებაში – შექმნა იშვიათი და გაბნეული ელემენტების განსაზღვრის ახალი მეთოდები, დაამუშავა იშვიათ და გარდამავალ ელემენტთა დაყოფის ახალი ქრომატოგრაფიული მეთოდები; გამოიკვლია მინერალური წყლების ქიმიური შედგენილობა.

ავტორია ანალიზური ქიმიის სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების.



ვაჩნაძე (გურგენიშვილი) გიორგი (26. VII. 1935, სოფ. ნანიანი, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 3.VIII. 1997, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1984), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). ამავე წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში (1998 წლიდან – ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი). 1989 წლიდან იქვე ხელმძღვანელობდა კონდენსირებულ გარემოთა თეორიის განყოფილებას.

გ. ვაჩნაძის სამეცნიერო ნაშრომები ეხება ნახევრადგამტარებში ციკლოტრონული და კომბინირებული რეზონანსის მოვლენებს, მყარი სხეულების მაგნიტურ თვისებებსა და თხევადი ^{3}He-ის ზედენადი ფაზების ანიზოტროპიისა და სპინური დინამიკის თეორიას.



ზარიძე გიორგი [16 (29). V. 1908, თბილისი, – 12. II. 2002, იქვე], გეოლოგი. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1945), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

1933 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი და იქვე დაიწყო მუშაობა. 1936 წელს იყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის პეტროგრაფიული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. 1937 წლიდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში. 1958–86 წლებში იყო პეტროლოგიის, ხოლო 1986–89 წლებში პეტროლოგიის, მინერალოგიისა და იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყოფილების გამგე, 1989 წლიდან – დირექციის მრჩეველი. პარალელურად 1937–48 წლებში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). 1938–39 წლებში იყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 1948 წლიდან იმავდროულად მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ). 1948–60 და 1974–78 წლებში იყო მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, 1952–56 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორი, 1985 წლიდან – იქვე დაარსებული კვლევის სპექტრული მეთოდების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი.

გ. ზარიძის ნაშრომები ძირითადად ეხება მეტამორფული ქანებისა და გრანიტოიდების გენეზისს, ენდოგენური ქანების

ფორმაციული კლასიფიკაციისა და კავკასიის რეგიონული პეტროლოგიის საკითხებს.

გ. ზარიძე იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის კავშირის პრეზიდენტი, საფრანგეთის, სერბეთისა და გერმანიის გეოლოგიური საზოგადოებების წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ზაქარაია პარმენ (24. VIII. 1914, სოფ. ნაჯახავო, ახლანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 20. IV. 2003, თბილისი), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1960), პროფესორი (1962), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებელი მოღვაწე (1973).

1940 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოაყალიბა (1956) და ხელმძღვანელობდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებას. 1975–97 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გამგე.

პ. ზაქარაია ძირითადად იკვლევდა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებას. მასვე ეკუთვნის ფუძემდებლური გამოკვლევები საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურაში. იგი არქეოლოგიურად იკვლევდა განსაკუთრებით დიდი დასახლებების, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ნაქალაქარებს. მისი აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გაითხარა დიდი არქეოლოგიური ობიექტები – ურბნისი, გრემი, ნოქალაქევი-არქეოპოლისი და სხვ., დასავლეთ საქართველოში – გვიანდელი ანტიკური ხანის ერთ-ერთი ნაქალაქარი ზიღანეოსი–გუდაყვა–გუდავა (გალის

მუნიციპალიტეტი), ციხესიმაგრე ჭაქვინჯა (IV–XVIII სს.), გაითხარა და აღდგა გიორგი სააკაძის რეზიდენცია ნოსტეში და სხვ.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ზურაბიშვილი ირაკლი (23. V. 1918, თელავი, – 27. IX. 1991, თბილისი), სამთო დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

1941 წელს დაამთავრა ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1957–73 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ლაბორატორიის გამგე, 1973–80 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1980–87 წლებში – დირექტორი. 1955 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ).

ი. ზურაბიშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება მანგანუმის საბადოების მიწისქვეშა დამუშავების საკითხებს, მადნეული საბადოების დამუშავების ოპტიმალური პარამეტრების დადგენის მეთოდებსა და სხვ. მან ჩამოაყალიბა ფენობრივი ტიპის საბადოების დამუშავების მეცნიერული საფუძვლები.

არის სამეცნიერო ნაშრომების, მ.შ. 8 მონოგრაფიის ავტორი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



თავხელიძე დავით (12. VIII. 1946, თბილისი, – 5.VII. 2024, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1986), პროფესორი (1988), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986).

1968 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. 1971 წელს მუშაობა დაიწყო ამავე ინსტიტუტის მანქანათა ნაწილების კათედრაზე. 1985–2003 წლებში სტუ-ში ხელმძღვანელობდა ტექნოლოგიური პროცესების ლაბორატორიას, პარალელურად 1987–2005 წლებში იყო სტუ-ის მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კათედრის გამგე, 2005–08 წლებში – ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 2008 წლიდან – სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი. 2009 წელს აირჩიეს ევროპის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის ნამდვილ წევრად.

დ. თავხელიძის სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს: ბრტყელი და სივრცითი მრავალრგოლიანი სახსროვანი მექანიზმების კინემატიკური და დინამიკური ანალიზისა და სინთეზის საკითხებს, კერძოდ, სამრეწველო რობოტების შემსრულებელი მექანიზმების დინამიკას; მცირე ჰიდროელექტროსადგურებისათვის ორმაგი ქმედების ტურბინების შექმნასა და დანერგვას; მცირე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების შექმნასა და დანერგვას; ოპტიკურ-ბოჭკოვანი სენსორების

გამოყენების ბაზაზე ლითონკონსტრუქციების მონიტორინგისათვის განკუთვნილი დანადგარების შექმნასა და დანერგვას.

ნაშრომისათვის „ცილინდრული დეტალების დამმუშავებელი გადასამართავი რობოტიზებული ხაზის შექმნა და დანერგვა“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა. 1999 წლიდან მუშაობდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულებაზე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).



თოთიბაძე გიორგი (გოგი) (29. X. 1928, თბილისი, – 8. IV. 2010, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1996) და სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის (1975) წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე (1976). საქართველოს სახალხო მხატვარი (1983).

1953 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (პედაგოგები: კ. სანაძე, მ. თოიძე, ი. გაბაშვილი, უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე). იქვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1970 წლიდან – პროფესორი, 1972–82 წლიდან – რექტორი). 1982–90 წლებში ხელმძღვანელობდა სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოებს.

გ. თოთიბაძე ჟანრული ფერწერის წარმომადგენელია. მუშაობდა ძირითადად პორტრეტისა და გრაფიკის დარგში. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1954 წლიდან. მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისში 1981 წელს. გ. თოთიბაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თანამედროვეობისადმი მძაფრი ინტერესი, ზუსტი, რეალისტური ნახატი; მის მიერ შექმნილი პორტრეტები გამოირჩევა შესრულების დახვეწილი, ფაქიზი მანერით. მრავალფიგურიან კომპოზიციებში ზუსტადაა გადმოცემული თანამედროვეობა. მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „ახალ სამგორის მიწაზე“ (1953, თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმი), „ჩაის პლანტაციის გმირები“ (1961), „სტუდენტები“ (1962 – ორივე დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა), „კახელი მევენახეები“ (1967, იქვე),

„თამადა“ (1967, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), „მრავალ-ჟამიერი“ (1986) და სხვ. პორტრეტები: „ნ. ამირეჯიბი“ (1959, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა), „მ. ქავთარაძე“ (1956), „ზ. ფალიაშვილი“ (1961, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი, თბილისი), „ნ. მუსხელიშვილი“ (1962, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა) და სხვ. მუშაობდა აგრეთვე წიგნის გრაფიკის დარგში.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



თოფურია გურამ (27. III. 1930, თბილისი, – 31. V. 2006, იქვე), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ (დაღესტნურ) ენათა მკვლევარი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1988), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1954–57 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი (კავკასიურ ენათა განხრით). 1957 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1973–87 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1987 წლიდან – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე.

გ. თოფურიას ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ლეზგიური და სხვა დაღესტნური ენების მორფოლოგიურ, ფონეტიკურ და ლექსიკის საკითხებს, დაღესტნურ ენათა ზოგად პრობლემატიკას (ბრუნების კლასიფიკაცია, მისი ჩამოყალიბება და განვითარების საკითხები, პალეოერგატივის ცნება და სხვ.). ავტორია მონოგრაფიებისა: „ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ (1959), „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“ (1995, რუს. ენაზე); ნაშრომებისა ქართველურ ენათა მორფოლოგიისა თუ ლექსიკის, ისტორიული ტოპონიმიკის საკითხებზე: „ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან)“ (1968), „მოქმედებითი ბრუნვის ისტორიი-

სათვის სვანურში“ (1977), სიტყვაწარმოების ერთი მოდელის შესახებ ქართულში („სახელური – უ სუფიქსისათვის ქართულში“, 1998) და სხვ.

გ. თოფურია სამჯერ იყო არჩეული ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად (ბოლოს ახალი ვადით – 1996 წლიდან). იყო რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, „მაცნე“, „ეტიმოლოგიური ძიებანი“).

მიღებული აქვს ა. ჩიქობავას სახელობის პრემია (1996).



თოფჩიშვილი მირიან (10. III. 1935, თბილისი, – 19. I. 2023, იქვე) გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1992), პროფესორი (1993), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (1997).

1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). 1959 წლიდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში. იყო სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი (1992–95), გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1995–2006), 2006 წლიდან გარდაცვალებამდე – ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

მ. თოფჩიშვილის ნაშრომები ეხება კავკასიის, ძირითადად ქვედაიურულ-აალენური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის პრობლემებს. განმარხებული ფაუნის ნაშთების შესწავლის საფუძველზე სრულიად ახლებურად გადაჭრა აღნიშნული ნალექების სტრატიგრაფიის საკვანძო საკითხები, კერძოდ, პალეოორგანიზმების ახალმა მასალამ განაპირობა ზოგიერთი ადგილობრივი სტრატიგრაფიული ქვედანაყოფების ასაკის ახლებური ინტერპრეტაცია. განახორციელა ადგილობრივი გეოლოგიური ჭრილების კორელაცია სტანდარტულ-სტრატეგიული სკალის ქვედანაყოფებთან და დაადგინა ბიოსტრატიგრაფიული ზონების არსებობა; გამოყო რვა საერთაშორისო და სამი პროვინციული რეგიონული ზონა (ლონა), ქვედაიურულ-აალენური ასაკის ნალექებში კი – 12 სტრუქტურულ-ფაციესური ზონა. თითოეული მათგანი-

სათვის შეიმუშავა ადგილობრივი სტრატიგრაფიული სქემა, რომლებშიც აისახა გარკვეული ტიპის ქანებისა და არსებული ფაუნის ასოციაციების კანონზომიერი ცვლა დროში.

მ. თოფჩიშვილი იყო რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის (2006) და მინერალური ნედლეულის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1997), საქართველოს სტრატიგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე (2000), რუსეთის პალეონტოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი (1987).

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის პრემია (1998).



თუმანიშვილი გრიგოლ (გივი) (10. VIII. 1925, თბილისი, – 17. VII. 2007, იქვე), ბიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), სამედიცინო-ბიოლოგიური და ეკოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი (1994). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979).

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1965–66 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს, 1966 წლიდან – ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის (1973 წლიდან – განვითარების ბიოლოგიის განყოფილება) განყოფილებას. 1969 წლიდან იყო თსუ-ის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის პროფესორი, 1982 წლიდან – ამავე კათედრის გამგე, 1992–95 წლებში საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი.

გ. თუმანიშვილმა საქართველოში პირველმა წამოიწყო გამოკვლევები განვითარების ბიოლოგიაში. მისი სამეცნიერო კვლევისა და ნაშრომების ძირითადი მიმართულებები იყო უჯრედის გამრავლებისა და დიფერენცირების მარეგულირებელი მექანიზმები, გენების აქტივობის რეგულირება, უჯრედის ულტრასტრუქტურა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შეისწავლა ზრდის შემაჩერებელი ფაქტორების ბირთვული ლოკალიზაცია და ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორების ციტოპლაზმური ლოკალიზაცია, ცხოველთა ორგანოების

რეგენერაციის კანონზომიერებათა მექანიზმები; აღმოაჩინა გულის კეილონები, შექმნა უჯრედის დიფერენცირების ორიგინალური თეორია.

გ. თუმანიშვილი 1972 წლიდან იყო „ცხოველთა ინდივიდური განვითარებისა და ონტოგენეზის მართვის პროცესების“ საკავშირო საკოორდინაციო საბჭოს წევრი, 2002 წლიდან – ამავე საბჭოს თავმჯდომარე, „საქართველოს მწვანეთა“ მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი, „მწვანეთა“ ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1988), 1992–2000 წლებში – მეცნიერების და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ზოგადი ბიოლოგიური საექსპერტო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი. 1997 წელს იგი აირჩიეს რეგენერაციის შემსწავლელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997) და ივ. ჯავახიშვილის მედალი (1986).



იავიჩი მაქსიმ (დ. 26. IV. 1985, თბილისი), კიბერუსაფრთხოების დარგის სპეციალისტი. მათემატიკის დოქტორი (2013), პროფესორი (2015), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2025).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მათემატიკის ფაკულტეტი (2009). მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (2010–14 და 2016–21). 2015 წლიდან არის კიბერუსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი (მიწვეული პროფესორი) კავკასიის უნივერსიტეტში, სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი (2017 წლიდან), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტი (2018 წლიდან), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს წევრი (2025 წლიდან).

მ. იავიჩი არის უკრაინის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2024), მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) ვაიზერის პროფესიული განვითარების სტიპენდიის ლაურეატი (2024–25). 2025 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტში მუშაობდა პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფიის მოწინავე თეორიულ პრობლემებზე. მონაწილეობს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელებაში, ევროკომისიის, ნატოს (SPS), საქართველოსა და ყაზახეთის ეროვნულ სამეცნიერო პროგრამებში პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფიისა და დაცული საკომუნიკაციო სისტემების სფეროში, ICANN-ის პროექტში, რომელიც

ეძღვნება ინტერნეტის ფრაგმენტაციის გეოპოლიტიკური და ტექნიკური განზომილებების შესწავლას; არის Verkle-ს კონსტრუქციებზე დაფუძნებული ინოვაციური პოსტკვანტური ციფრული ხელმოწერის მეთოდოლოგიის ავტორი.

მ. იავიჩის სამეცნიერო ნაშრომები ეხება კიბერუსაფრთხოების თეორიულ და გამოყენებით პრობლემებს. მან შეიმუშავა პოსტ-კვანტური ხელმოწერის სისტემების შექმნისათვის ახალი მიდგომები, ჰიბრიდული შემთხვევითობის მიღწევის მეთოდები და დაცული მრავალშრიანი არქიტექტურები კრიტიკული ციფრული ინფრასტრუქტურებისთვის. არის საქართველოში პირველი სამეცნიერო და პრაქტიკული კიბერუსაფრთხოების ჟურნალის დამფუძნებელი და რედაქტორი, Q1 ჟურნალ „Journal of Cybersecurity and Privacy“-ის რედაქტორი.

მიღებული აქვს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა („წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი“, 2018) და კავკასიის უნივერსიტეტის ოქროს („წლის საუკეთესო მეცნიერი“, 2024) ჯილდოები.



იამანიძე თამაზ (21. III. 1944, ზესტაფონი, – 18. X. 2014, თბილისი), სამთო ინჟინერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1996), პროფესორი (1990), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001).

1968 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სამთო ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. 1975 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების სწავლულ მდივნად. 1980–85 წლებში მონაწილეობდა საქართველოში სამეცნიერო კვლევებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში. 1985–88 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „დანერგვის“ კომისიის თავმჯდომარე, 1988–2008 წლებში – აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, 2008–14 წლებში კი – აკადემიური საბჭოს მრჩეველი. პარალელურად გ. წულუკიძის სახ. სამთო ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა მანქანათა დინამიკისა და მათემატიკური მოდელირების სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის მუშაობას.

თ. იამანიძის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო საშუალო და დიდი სიმძლავრის საბურღი დანადგარების დინამიკა; ქანისა და სანგრევი ინსტრუმენტის ურთიერთქმედების მათემატიკური მოდელირება და ანალიზი.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. ორი მონოგრაფია.



ინწკირველი გიორგი (გივი) (8. III. 1926, თბილისი, – 19. VII. 2004, იქვე), იურისტი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1965), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი. 1952–66 და 1989–98 წლებში იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, 1993–95 წლებში – საქართველოს საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, 1964–2004 წლებში – თსუ-ის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე.

გ. ინწკირველი იყო პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის (1964 წლიდან), საერთაშორისო სამართლის ასოციაციის (1980 წლიდან), სსრკ საკონსტიტუციო ზედამხედველობითი კომიტეტის (1989–92) და მსოფლიო იურისტთა ასოციაციის (1993 წლიდან) წევრი, უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (1994 წლიდან), „არასამთავრობო საერთაშორისო იურისტთა კავშირის“ საკოორდინაციო კომიტეტისა და სამართლის პროფესორთა მსოფლიო ორგანიზაციის წევრი (1996 წლიდან).

გ. ინწკირველი არის სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ავტორი, სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს კანონმდებლობის კომენტარები და სტატიები ქართულ და უცხოურ ენებზე. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია“ (1972), „კანონი და პიროვნება“ (1974), „სახელმწიფოსა და სამართლის თეო-

რია (ძირითადი ცნებები და დებულებები“; 1993, 1997, 1999), „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“ (2003).

დაჯილდოებულია ღირსებისა (1996) და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (2001) ორდენებით. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2002).



იოსელიანი გიორგი (20. XII. 1917, თბილისი, – 6. IX. 2005, იქვე), ქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1996); სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1984), საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1994), საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1994), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975).

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. მუშაობდა თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ქირურგად და თსსი-ის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტად (1943–46 და 1948–50); 1946–47 წლებში იყო მოსკოვის ნ. სკლიფოსოვსკის სახ. სასწრაფო დახმარების ინსტიტუტის ქირურგი, 1950 წლიდან – თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1951–57 წლებში – სწავლული მდივანი, 1957–74 – დირექტორის მოადგილე, 1974–88 წლებში – დირექტორი, 1988 წლიდან – საპატიო დირექტორი.

გ. იოსელიანის სამეცნიერო ნაშრომები ეხება საჭმლის მომნელებელი და გულ-სისხლძარღვთა სისტემების, ავთვისე-

ბიანი სიმსივნეების ქირურგიულ მკურნალობას, ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვას, ჰემოტრანსფუზიას, გაუტკივარებასა და სხვა პრობლემებს.

იყო საქართველოს ქირურგთა (1999) და თბილისის ქირურგიული (2000) საზოგადოებების თავმჯდომარე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



კალანდაძე ლეონიდე (14. XI. 1898, სოფ. ხიდისთავი, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 23. VII. 1968, თბილისი), აგროენტომოლოგი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1931), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1954). საქართველოში სამედიცინო ენტომოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აგრონომიული (1921) და მიუნხენის უნივერსიტეტის სატყეო (1927) ფაკულტეტები. იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის კათედრის გამგე (1932–68) და დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში (1945–50).

ლ. კალანდაძე ხელმძღვანელობდა საქართველოში კოღოს სახეობრივი შედგენილობისა და გავრცელების შემსწავლელ ექსპედიციებს. მისი თაოსნობით ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ახლანდელი ს. ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) მოეწყო სპეციალური ენტომოლოგიური ლაბორატორია, საგამბუზიო და სხვ. გამოიკვლია ჭაობებისა და მცირე ზომის წყალსატევების ფაუნა. დაამუშავა ენტომოლოგიის ქართული ტერმინოლოგია, მისი რედაქციითა (სხვებთან ერთად) და თანაავტორობით 1956–62 წლებში შეიქმნა ენტომოლოგიის სახელმძღვანელოები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



კახაძე ივანე [24. XII. 1904 (6. I. 1905), სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 1955, თბილისი], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1950).

დაამთავრა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი (1930). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თსუ) და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი).

ი. კახაძის ნაშრომები შეეხება კავკასიის მეზოკაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და ტექტონიკის საკითხებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სასარგებლო წიაღისეულის (ქვანახშირი, ბარიტი, პოლიმეტალები, სამშენებლო ქვები და სხვ.) საბადოების გეოლოგიური აგებულების შესწავლის საქმეში. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომია „საქართველოს შუა იურული ფაუნა“, სადაც წარმოდგენილია უხვი პალეონტოლოგიური მასალა, კერძოდ ბაიოსური ამუნიტები და უხერხემლო სხვა დაჯგუფების წარმომადგენლები.

დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, ასევე მიღებული აქვს სვა სახელმწიფო ჯილდოები.



კიკნაძე არჩილ (26.VIII. 1933, თბილისი, – 20. III. 2006, იქვე), ინჟინერ-გეოლოგი და გეოგრაფი. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1994). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001). საქართველოს დამსახურებული გეოლოგი (1983), საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (2000), საქართველოში ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამიკის მეცნიერული კვლევის ერთერთი ფუძემდებელი.

1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სპი) საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით. 1961–78 წლებში მუშაობდა საქართველოს წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტში. 1978–80 წლებში იყო საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1972–80 წლებში (შეთავსებით) – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების დინამიკის ლაბორატორიის გამგე.

ა. კიკნაძემ (ვ.ზენკოვიჩთან ერთად) შეიმუშავა საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის ნაპირის ეროზიისაგან დაცვისა და ადრე წარეცხილი პლაჟების აღდგენის ახალი სტრატეგია, რასაც საფუძვლად დაედო სანაპირო ზონაში განვითარებული დინამიკური პროცესების კომპლექსური შესწავლა. მისი თაოსნობით აღნიშნული სტრატეგიის განსახორციელებლად შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვა“, რომელსაც 1980–92 და 1997–2000 წლებში თავ-

ადვე ხელმძღვანელობდა. ადრე წარეცხილი ზღვის ნაპირის გასწვრივ 1982–91 წლებში აღდგენილი პლაჟების საერთო ფართობმა 130 ჰა-ს გადააჭარბა.

ა. კიკნაძის (როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ) გამოქვეყნებულ ნაშრომებში ძირითადად განხილულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამიკური განვითარებისა და ზღვის ნაპირების წარეცხილი უბნების დაცვა-აღდგენის საკითხები.

სამეცნიერო კვლევასთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის კათედრაზე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.

იყო ფოთის საპატიო მოქალაქე (1987).



კილაძე როლან (24. IX. 1931, თბილისი, – 22. II. 2010, იქვე), ასტრონომი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1993), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ამავე წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. 1989 წლიდან იყო გალაქტიკის აგებულებისა და ევოლუციის განყოფილების გამგე, 2001–06 წლებში – ობსერვატორიის დირექტორი. 1985–90 წლებში მოღვაწეობდა ალექსანდრე პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, 2007–10 წლებში იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რ. კილაძის სამეცნიერო კვლევები ეხება გალაქტიკაში ნივთიერების განაწილებას, ვარსკვლავთა სხივური სიჩქარეების გაზომვას, ანთებადი ვარსკვლავების შესწავლას. მან ერთ-ერთმა პირველმა დიდი სიზუსტით გაზომა სატურნის რგოლის სისქე (1969); აღმოაჩინა ძალზე გაიშვიათებული ატმოსფეროს ნიშნები მერკურის გარშემო (1974); ახალი გედის თანავარსკვლავედში ერთ-ერთმა პირველთაგანმა შენიშნა (1975) და შეისწავლა (2001) ვარსკვლავი VI500 Gygni, რომელიც „აინთო“ 1975 წლის 29 აგვისტოს; ახსნა პლანეტების ღერძული ბრუნვა, როგორც პლანეტის მიდამოში მცირე ნაწილაკთა გროვების განვითარების შედეგი (1977); პლუტონის თანამგზავრის (ქარონის) აღმოჩენამდე ერთი წლით ადრე იწინასწარმეტყველა მისი

არსებობა; შეადგინა და გამოსცა (1977) უმართავი გეოსტაციონარული თანამგზავრების გაუმჯობესებული 3 კატალოგი და სანქტ-პეტერბურგელ კოლეგებთან ერთად შექმნა გეოსტაციონარული თანამგზავრების მოძრაობის თეორია (2001).

რ. კილაძე იყო საერთაშორისო ასტრონომიული კავშირისა (1964) და ევროპის ასტრონომთა საზოგადოების (1982) წევრი, საქართველოს ასტრონომთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. არის მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის, 2 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2001).

მის პატივსაცემად მცირე პლანეტა №4737-ს ეწოდა „კილაძე“ (1996). 2019 წელს საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა პლუტონის ფოტომეტრიის, ასტრომეტრიისა და დინამიკის კვლევაში მისი წვლილის აღსანიშნავად პლუტონის ერთ-ერთ კრატერს მიანიჭა კილაძის სახელი.



კობიძე დავით [11. IX (24. IX). 1906, სოფ. შუა ამაღლება, ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 14. VIII. 1981, თბილისი], აღმოსავლეთმცოდნე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1948), პროფესორი (1949). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967).

1933 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1953 წლიდან იყო თსუ-ის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე. იკვლევდა სპარსული ენისა და ლიტერატურის ისტორიის, კლასიკური და აღორძინების ხანის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობისა და ქართული და სპარსული პოეტიკის საკითხებს. თარგმნა საადის „ბუსთანი“ და „გოლესთანი“. ავტორია სპარსული ლიტერატურის ქრესტომათიისა (ტ. 1–2. 1963–67).

1976 წელს მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია.



კოდუა ედუარდ (14. X. 1929, სენაკი, – 20. IX. 2002, თბილისი), ფილოსოფოს-სოციოლოგი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიის ფაკულტეტი (1954). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ცხაკაიას (ახლანდელი სენაკი) საშუალო სკოლასა (1954–56) და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში (1956–59). იყო თსუ-ის ფილოსოფიის ფაკულტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1963–65), დოცენტი (1965–69), პროფესორი (1970–84), სოციოლოგიის კათედრის გამგე (1984–2002), საქართველოს სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1990–2002), 1989 წლიდან თსუ-ის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში.

1968 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ისტორიის საზრისის საკითხისათვის“.

ე. კოდუას მეცნიერული კვლევის ძირითადი სფეროებია XX ს. ქართული ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორიის ფილოსოფია, ეგზისტენციალური ფილოსოფია. ისტორიის ფილოსოფიაში მან ახლებურად გაიაზრა ისტორიის საზრისის პრობლემა, სოციოლოგიაში – სოციოლოგიის მიმართება სხვა სოციალურ დისციპლინებთან: სოციალურ ეკოლოგიასთან, სოციალურ

ფსიქოლოგიასთან, დემოგრაფიასა და ანთროპოლოგიასთან. მან საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში გამოყენებითი სოციოლოგია დაუკავშირა მნიშვნელოვან მიკრო- და მაკრო-თეორიულ პარადიგმებს და ეს დისციპლინა აქცია აკადემიურ მეცნიერებად.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).



კოლაკოვსკი ალფრედ (24. II. 1906, კიევი, – 1997, სოხუმი), ბოტანიკოსი, სისტემატიკოსი, ბოტანიკოს-გეოგრაფი და პალეობოტანიკოსი. პროფესორი (1952), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955), საქართველოსა (1961) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (1976) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ა. კოლაკოვსკის ძირითადი ნაშრომები ეხება კავკასიის, განსაკუთრებით კოლხეთის მცენარეულ საფარს, მისი ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონების საკითხებს, აფხაზეთის პლიოცენურ ფლორას. მან დაადგინა და აღწერა კოლხეთის მესამეული პერიოდის ფლორის 120-მდე ახალი სახეობა და 2 ახალი გვარი; გამოავლინა შიშველთესლოვანთათვის მანამდე უცნობი ეპიდერმული ტიპის სტრუქტურა; დაადგინა კოლხეთში მესამეული პერიოდის ფლორის რეფუგიუმის (თავშესაფრის) უწყვეტობა; პალეობოტანიკური ანალიზისა და ჰოლოარქტიკის რელიქტური ფლორის შესწავლის საფუძველზე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ფარგლებში გამოყო სრულიად ახალი ბოტანიკურ-გეოგრაფიული ხმელთაშუამთიანეთის ოლქი; შექმნა კავკასიის ნამარხი მცენარეების კატალოგი (ტ. 1–2, 1973).

არის „აფხაზეთის ფლორის“ ოთხტომეულის (1938–49) ავტორი.



ლაღიძე რამაზ (6. I. 1913, ქუთაისი, – 26. XI. 1989, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1952), პროფესორი (1955), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967).

1936 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). 1937–39 წლებში მუშაობდა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატში. 1952 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიის გამგე.

რ. ლაღიძის ნაშრომები ძირითადად ეძღვნება მრავალატომიანი სპირტების, აცეტილური გლიკოლებისა და მათი რთული ეთერების არენებთან კონდენსაციათა რეაქციებს. ამ გზით განხორციელდა მრავალრიცხოვანი ალიფატურ-არომატული სპირტების, ეთერების, ციკლური კეტონების, ამინებისა და ამინოთიოლების სინთეზი. აცეტილენური გლიკოლების საფუძველზე მიიღო პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები, რომლებსაც აგრეთვე „ლაღიძის ნახშირწყალბადებს“ უწოდებენ. სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად 1952 წლიდან ლექციებს კითხულობდა ორგანულ ქიმიაში ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელი ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველოს სოხუმის სუბტროპიკულ მეურნეობათა ინსტიტუტსა და სტუ-ში. მანვე საქართველოს ჯანმრთელობის

დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრთან ჩამოაყალიბა ბიოპრეპარატების სინთეზი. ავტორია მონოგრაფიისა – „უალკოჰოლო სასმელების წარმოება“ (1953).

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1986).



ლომოური იულონ [3 (16). 1885, სოფ. არბო, ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტი, – 16. XII. 1966, თბილისი], აგრონომ-მემცენარე. პროფესორი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1947), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943).

1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება გეოლოგიის განხრით. ამავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ახლანდელი კ. ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემია), რომელიც 1913 წელს დაამთავრა აგრონომის სპეციალობით. 1923–29 წლებში იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო მიწათმოქმედების, ხოლო 1929–60 წლებში – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგე.

ი. ლომოური იკვლევდა მინდვრის კულტურების აგროტექნიკურ საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოსი „მარცვლეული კულტურები“ (ნაწ. 1–2; 1946–50), თანაავტორია წიგნისა „ძირხვენა მცენარეების კულტურები“ (1954).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. მისი სახელი მიენიჭა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეზოში დგას მისი ბიუსტი.



ლორთქიფანიძე გურამ (14. IX. 1938, ბათუმი, – 24. III. 2019, თბილისი), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტზე, დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის უნივერსიტეტი (1961). მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში (1961–77). ხელმძღვანელობდა ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას (1974). იყო თსუ-ის საქართველოს ისტორიისა (1977–78) და არქეოლოგიის (1979–81) კათედრების პროფესორი, თსუ-ის უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი (1985–2005).

კითხულობდა ლექციებს ანტიკურ არქეოლოგიაში ლოს-ანჟელესისა (1987–88, აშშ) და კარდელის (1990, სლოვაკეთი) უნივერსიტეტებში.

იყო თბილისის საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი (2002–04), თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი (2006–19), ემერიტუსი, გ. ლორთქიფანიძის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი პრეზიდენტი.

გ. ლორთქიფანიძე დაჯილდოებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის „პატივდების“ სიგელით (2015), თსუ-ის საუნივერსიტეტო მედლით (2018), ისრაელის საელჩოს საპატიო სიგელით (2018).



მაისაძე ფერანდო (დ. 14. IV. 1941, თბილისი), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1995), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009), საქართველოში გეოტურიზმის დაარსებისა და განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში რეგიონული გეოლოგიური სექტორის გამგედ (1992–2001); არის ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტის რეგიონული გეოლოგიისა და ტექტონიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. 1970–80 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

ფ. მაისაძის კვლევის საგანია საქართველოსა და კავკასიის პალეოგრაფიის, ტექტონიკისა და რეგიონული გეოლოგიის საკითხები. მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის პალეოგენური ნალექების შესწავლას, განსაკუთრებით კავკასიის სამხრეთ ფერდობზე გავრცელებული პალეოგენურ-ფლიშური ნალექების კომპლექსურ შესწავლას, რის შედეგადაც მოხერხდა მათი ლითოფაციესური დანაწილება. იკვლევდა აგრეთვე სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ ზედაეოცენურ ოლისტროსტრომებს ალპურ ნაოჭა სისტემაში. მან პირველმა მიაკუთვნა ოლისტროსტრომები „მოვლენათა

ნალექებს“ (2008) და დაასაბუთა მათი წარმოშობის კავშირი კატასტროფებთან. ოლისტროსტრომების საშუალებით პირველად დადგინდა სამხრეთ კავკასიაში „რეტროშარიაჟების“ არსებობა ფლიშურ ნალექებში (1994), ასევე სედიმენტაციის კავშირი ოროფაზისებთან, რის შედეგად განსაზღვრა პირველი ოროფაზისის ხანგრძლივობა (1,7 მილიონი წელი).

ფ. მაისაძე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ.შ. 7 მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორი. იგი მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო, მ.შ. „იუნესკოს“ პროექტებში.

მიღებული აქვს ა. ჯანელიძის სახელობის პრემია (2001).



მაცულევიჩი ლეონიდ (7. XI. 1886, სანქტ-პეტერბურგი, – 22.V. 1959, იქვე), ხელოვნების ისტორიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946). ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ანტიკური და შუა საუკუნეების ხელოვნების მკვლევარი.

1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა ლენინგრადის რუსულ მუზეუმსა და ერმიტაჟში. იკვლევდა როგორც შუა საუკუნეების რუსულ ხელოვნებას, ისე ბიზანტიისა და ქართული ხელოვნების საკითხებს. მას არაერთხელ უმოგზაურია საქართველოში, კარგად იცნობდა ქართული ხელოვნების (ფერწერა, ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა) ძეგლებს. კერძოდ, აღსანიშნავია მისი ნაშრომი „სოფელ ზარზმის ეკლესიის მოხატულობის შესახებ“ (1914, რუსულ ენაზე), ნარკვევი ჯუმათის მონასტრის ხატების დაკარგული მინანქრების შესახებ (1925).

შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეო დღეებში დაიბეჭდა მისი გამოკვლევა „ნიკორწმინდა და მისი ადგილი ქართულ კულტურაში“ (1937, ქართულ და რუსულ ენებზე).

1936–38 წლებში მონაწილეობდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის საქმიანობაში.



მაჭარაშვილი თეიმურაზ (დ. 25. IX. 1956, საჩხერე), გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (2003), პროფესორი (2004), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1979). მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად ბიოფიზიკის ცენტრში (1983–89), ჰიდრომეტეოროლოგიურ (1990–92) და გეოფიზიკის (1993 წლიდან) ინსტიტუტებში. 1995 წლიდან მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის გეოფიზიკური ველების დინამიკისა და გამოთვლითი გეოფიზიკის სექტორის ხელმძღვანელია, 2004 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოყენებითი გეოფიზიკის დეპარტამენტის კონსულტანტი.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა რთული სისტემები, არაწრფივი დინამიკა, რთული პროცესების დინამიკის თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი, დისციპლინათშორისი კვლევები. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

მიღებული აქვს მ. ნოდიას სახელობის პრემია (2009), ღირსების ორდენი (2013) და საქართველოს ეროვნული პრემია (2026).



მელიქიშვილი ირინე (29. V. 1943, თბილისი, – 2. XII. 2013, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), პროფესორი (1998). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1965–86 წლებში მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში, 1986–2006 წლებში – გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილებაში, 1995–2005 წლებში – ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ქართველურ ენათა კვლევის ლაბორატორიაში; 1998–2013 წლებში – თსუ-ში (1998–2006 – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი); 2006–08 წლებში – თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტში; 2008–13 წლებში – თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში.

ი. მელიქიშვილის კვლევის სფერო იყო ქართველოლოგია, ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერება, ფონოლოგია, ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები, ქართველურ-ინდოევროპული საერთო ლექსიკა, ქართველური და პროტოინდოევროპული ძირის სტრუქტურა, კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა კავშირების ტიპოლოგიური ანალიზი და სხვ., აგრეთვე – გ. ტაბიძის პოეზიის ბგერითი სტრუქტურა. ავტორია მონოგრაფიისა

და მრავალი სამეცნიერო სტატიისა, თარგმნა არაერთი ნაწარმოები, მ. შ. რ. შტაინერის „იდუმალმეტყველების ნარკვევი“ (2003) და „სულიერი სამყაროს ზღურბლი, აფორიზმული მსჯელობანი“ (2011).

მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და ლინგვისტურ ფორუმებში, იყო ტიპოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის (ALT) წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (2010).



მელქაძე ვალერიან (28. XII. 1912, სოფ. ჩხენიში, ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 10. VI. 1981, თბილისი), ეკონომისტი, პოლიტიკური მოღვაწე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტი. 1948–63 წლებში ეკავა სხვადასხვა პარტიული და ხელმძღვანელი თანამდებობა. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, 1958–60 წლებში – საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, 1960–63 წლებში – თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, 1963 წლიდან გარდაცვალებამდე – თავისივე ინიციატივით ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (2002 წლიდან ინსტიტუტს მისი სახელი მიენიჭა). სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

სხვადასხვა დროს იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს,

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის, თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალ „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ რედკოლეგიის წევრი და სხვ.

ვ. მელქაძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 17 მონოგრაფიის ავტორია. მისი კვლევის სფერო იყო პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორია და მეთოდოლოგია, სოციოლოგია. იგი ითვლება საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ახალი მიმართულების – რეგიონული ეკონომიკის ფუძემდებლად. საქართველოს მაგალითზე პირველმა შეიმუშავა მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგია და მეთოდიკა. მისი ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკური მეცნიერების ახალ პროგრესულ მიმართულებას – ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევებს.

მონაწილეობდა II მსოფლიო ომში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2002 წელს მეცნიერის საიუბილეო თარიღს (90 წელი) მიეძღვნა წიგნი „მოგონებები გარდასულ დღეთა...“.



მერაბიშვილი პეტრე (28. XI. 1935, სოფ. უდე, ახლანდელი ადიგენის მუნიციპალიტეტი, – 15. II. 2016, თბილისი), ელექტროტექნიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1982). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ენერგეტიკის ფაკულტეტი (1958). მუშაობდა თბილისის ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევით (1958–60), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის (1960–63), მოსკოვის ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით (1964–68) ინსტიტუტებში, სადაც შექმნა და დაამუშავა ელექტრული ენერგიის ნახევარგამტარული გარდამქნელების შემცველი წრედებისა და სისტემების თეორიის განვითარების და მათი ანალიზის საინჟინრო მეთოდები, ჩამოაყალიბა ელექტრული ენერგიის არაწრფივი ვენტილური გარდამქმნელების კვლევის სპექტრულ-ოპერატიული ორიგინალური მეთოდი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პ. მერაბიშვილის მეთოდით არის ცნობილი.

იყო მოსკოვის საკავშირო საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის დოცენტი (1976–82), საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში – ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგე (1982 წლიდან), იქვე სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზებულ საბჭოს (1987 წლიდან). მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური ლიტერა-

ტურა ელექტროტექნიკის თეორიულ საფუძვლებსა და ზოგად ელექტროტექნიკაში.

ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. მისი ინიციატივით ახალციხეში გაიხსნა სტუ-ის სამცხე-ჯავახეთის ფაკულტეტი (1994).

მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახელობის მედალი, ღირსების მედალი (1995) და ღირსების ორდენი (2005).



მესტვირიშვილი მირიან (15. VI. 1934, სოფ. კურდღელაური, ახლანდელი თელავის მუნიციპალიტეტი, – 28. X. 2016, მოსკოვი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1983). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი (1958), მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში (1961–64; ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ. ჭავჭანიძის სახ. კიბერნეტიკის ინსტიტუტი); ქ. დუბნის (რუსეთის ფედერაცია) ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში (1964–70), ქ. სერპუხოვის (რფ) მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მრავლობითი პროცესების თეორიული ლაბორატორიის გამგედ (1970–86). იყო მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნ. ბოგოლიუბოვის სახ. მიკრო-სამყაროს თეორიული პრობლემების ინსტიტუტის უფროსი, შემდეგ – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1986–2016), ამავე უნივერსიტეტის კვანტური სტატისტიკისა და ველის თეორიის კათედრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

მ. მესტვირიშვილის ნაშრომები ეხება ელემენტარული ნაწილაკებისა და გრავიტაციის თეორიებს. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი; ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ლენინური პრემია ნაშრომების ციკლისათვის „ინკლუზიური პროცესები მაღალი ენერგიის ელე-

მენტარული ნაწილაკების ძლიერი ურთიერთქმედებებისას და ამ პროცესებში მასშტაბური ინვარიანტობის აღმოჩენა“ (1986, სხვებთან ერთად); აგრეთვე მ. ლომონოსოვის პირველი ხარისხის პრემია სივრცე-დროსა და გრავიტაციაზე ახალი წარმოდგენების შემუშავებისათვის (2001, აკად. ა. ლოგუნოვთან ერთად).



მესხი ალექსანდრე (დ. 2. V. 1972, თბილისი), მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი (2001), პროფესორი (2009), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობით (1995). 1998 წლიდან მუშაობს ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში უფროს (2000 წლიდან), შემდეგ მთავარ (2018 წლიდან) მეცნიერ თანამშრომელად. 2022 წლიდან არის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი. იმავე წელს აირჩიეს საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტად.

არის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის შრომების მთავარი რედაქტორი და რამდენიმე საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ა. მესხის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნამდვილი და აბსტრაქტული ჰარმონიული ანალიზი, ინტეგრალურ ოპერატორთა წონითი თეორია, არასტანდარტული ფუნქციური სივრცეები, გამოყენებები კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი წილადური ინტეგრალებისათვის კვალის-წონითი კრიტერიუმების დადგენაში. ა. მესხმა შეისწავლა არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში ოპერატორთა ასახვის თვისებები და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნთა რეგულარობა; დაადგინა მრავალწრფივი წილადური ინტეგ-

რალებისათვის შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

არის მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესის (1998, 2014, 2018) მონაწილე. ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა და 6 მონოგრაფიის, რომლებიც გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ.

მიღებული აქვს გერმანიის მათემატიკოსთა ასოციაციის ლ. ეილერის სახელობის (2000), ა. რაზმაძის სახელობის (2012) და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის (2002, 2009) პრემიები.



მესხია შოთა (27. IV. 1916, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 15. V. 1972, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1955), პროფესორი (1957), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1942 წლიდან იყო ენიმკის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1943 წლიდან მოღვაწეობდა თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრაზე – იყო კათედრის გამგე (1956–72) და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი (1961–72).

შ. მესხია იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკის ისტორიის საკითხებს, ქალაქების ისტორიასა და საქალაქო წყობას, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის პრობლემებს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიას. შ. მესხიას ნაშრომს „ძლევაჲ საკვირველი“ მიენიჭა ს. ჯანაშიას სახელობის პრემია (1974). იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომის რედაქტორი, II და III ტომებში – არაერთი მნიშვნელოვანი თავის ავტორი (სახელმწიფო პრემია, გარდაცვალების შემდეგ). შ. მესხიას პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



მინდელი ელიზბარ [1 (14). II. 1910, სოფ. სორი, ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტი, – 7. VI. 1980, თბილისი], სამთო საქმის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის (1970) და საქართველოს მეცნიერების (1979) დამსახურებული მოღვაწე.

1931 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. 1933–37 წლებში მუშაობდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, 1937–54 წლებში – სსრკ ნახშირის მრეწველობის სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (სსრკ ნახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე და სხვ.). იყო დონეცკის ქვანახშირის აუზის II მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული მაღაროების აღდგენის ორგანიზატორი და რეკონსტრუქციის ხელმძღვანელი (1944–54), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა. სკოჩინსკის სახ. სამთო საქმის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი და განყოფილების უფროსი (1954–65), ამავე ინსტიტუტის ქანების რღვევის ფიზიკურ-ტექნიკური მეთოდების განყოფილების ხელმძღვანელი (1965–73), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი (1973–80).

ა. მინდელი ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც ეძღვნება საშახტე მშენებლობის, ქანის რღვევის პროცესებისა და ღრმა ჰორიზონტებზე ქანების გამოტყორცნის ფიზიკის საკითხებს, ლითონის აფეთქებით განმტკიცებას და სხვ.

მიღებული აქვს 3 ლენინის ორდენი და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



მიქელაძე მერაბ (3. II. 1926, თბილისი, – 25. XII. 1992, იქვე), სამშენებლო მექანიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1986).

1948 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). მუშაობდა მოსკოვში, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტში (1948–53); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის თეორიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1953–60), გამოყენებითი მექანიკის განყოფილების გამგედ (1965–92). კითხულობდა ლექციებს თსუ-ის მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტებზე (1953–56). იყო თეორიული მექანიკის კათედრის გამგე (1958–60), თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გაერთიანების შემდეგ ხელმძღვანელობდა სამშენებლო მექანიკის კათედრას (1960–82).

მ. მიქელაძის ძირითადი ნაშრომები ეხება ანიზოტროპიული პლასტიკური გარსების თეორიას, მანქანებისა და კონსტრუქციების ელემენტების დრეკადობასა და პლასტიკურობას.

ავტორია მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიებისა და სახელმძღვანელოების მექანიკის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მისი ნაშრომი: „ტოტემი და ძველი სამყარო (კავკასია-ხმელთაშუა ზღვა-პირენეები)“ თარგმნილია ინგლისურ ენაზე. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



მოსიძე ვახტანგ (ვათა) (20. I. 1928, თბილისი, – 26. II. 1999, იქვე), ნეიროფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1997), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1995).

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1949–52 წლებში იყო თსსი-ის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ორდინატორი, 1952–55 წლებში მიავლინეს ქ. ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის განყოფილებაში. 1960–65 იყო ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1965–91 წლებში კი იქვე – პირობითი რეფლექსების ლაბორატორიის (1972 წლიდან ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორატორია) ხელმძღვანელი, 1991–99 წლიდან – დირექტორი.

ვ. მოსიძე იყო IBRO-ს (International Brain Research Organization) – ევროპის ტვინისა და ქცევის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (1972 წლიდან).

მისი სამეცნიერო ნაშრომები ეხება ჰემისფეროების ურთიერთობის საკითხებს, კორძიანი სხეულის მნიშვნელობას ჰემისფეროების სინქრონული მოქმედებისას და სხვ.

მიღებული აქვს ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია (1976) და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1998).

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებული აქვს მისი სახელი.



მოსტკოვი მიხეილ [28. V(10. VI). 1900, აბაშა, ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტი, – 18. III. 1956, თბილისი], ჰიდროტექნიკისა და ჰიდროენერგეტიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1937). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955). სტალინური პრემიის ლაურეატი (1951).

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) დამთავრების შემდეგ (1922) მუშაობდა ბაქოში, აზერბაიჯანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იმავდროულად – აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოში (1925–28). 1928 წელს დაინიშნა მდინარე ხრამზე პირველი მშენებარე ჰესის მთავარ ინჟინრად. ამავე წლიდან ლექციებს კითხულობდა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში (ახლანდელი სტუ). შემდგომ წლებში მან უხელმძღვანელა 25-ზე მეტი ჰესის დაპროექტებას. იყო თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და წყალმომარაგების კათედრის გამგე (1938 წლიდან); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური განყოფილების გამგე (1939-56), აგრეთვე საქართველოს მინისტრთა საბჭოს მაღალი კაშხლების კომისიის თავმჯდომარე (1955–56) და მუდმივი კონსულტანტი.

ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ნაშრომები ეძღვნება ჰიდრავლიკის ჰიდროტექნიკისა და ჰიდროენერგეტიკის საკითხებს. მანვე წარმოადგინა ჰიდრავლიკური დარტყმის გაანგარიშების ორიგინალური მეთოდი (1937).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



მუხაძე გიორგი [16 (28). XI. 1886, თბილისი, – 5. I. 1963, იქვე], ტექნიკის დარგის მეცნიერი, პროფესორი (1931), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1941). სამშენებლო მექანიკის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი,

დაამთავრა ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1916). მუშაობდა ზაჰესისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე (1923–31). იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი (1933–42), იქვე სამშენებლო მექანიკის (1928–61), მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის (1961–63) კათედრების გამგე, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1946–61).

გ. მუხაძის სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება სამშენებლო მექანიკის კლასიკურ საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად ეფექტიანად იყენებდა ანალიზურ და გრაფოსტატიკის ხერხებს. მან სსრკ-ში პირველმა დაამუშავა (1931) საყრდენი კედლის კვეთის პირდაპირი გაანგარიშების ფორმულები, რომლებსაც ფართოდ იყენებდნენ საქართველოს საპროექტო ორგანიზაციებში.

გ. მუხაძე ავტორია ნაშენთა სტატიკის პირველი ქართული სახელმძღვანელოსი (1935). იყო საქართველოს მე-3 და მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია სამთავრობო ორდენებითა და მედლებით.



მჭედლიშვილი (მჭედლოვ-პეტროსიანი) ოთარ [3. X. 1918, თბილისი, – 3. X. 1997, ხარკოვი (უკრაინა)], ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1953), პროფესორი (1955), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974), უკრაინის მეცნიერების დამსახურებული გამომგონებელი (1965) და დამსახურებული მოღვაწე (1979).

1940 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ) და იქვე დაიწყო მუშაობა სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1947–52 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში (ახლანდელი გ. წულუკიძის სახ. სამთო ინსტიტუტი), სადაც შექმნა ცეცხლმდგრადი მასალების ლაბორატორია და ჩაატარა სამხრეთ კავკასიაში არსებული ნედლეულის თვისებების კვლევა ამ ნედლეულისგან ცეცხლმდგრადი მასალების მიღების მიზნით. 1952–76 წლებში ხარკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ეკავა დოცენტის, შემდეგ კათედრის გამგის თანამდებობა; იყო ხარკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ფიზიკა-ქიმიური მექანიკისა და ბეტონის ტექნოლოგიის კათედრის გამგე (1976–97).

ო. მჭედლიშვილის სამეცნიერო კვლევების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს არაორგანული, არამეტალური სამშენებლო მასალების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა და ტექნოლოგია. მან მსოფლიო პრაქტიკაში პირველმა გამოიყენა ქიმიური თერმოდინამიკა სილიკატური სისტემე-

ბის კვლევაში, მონაწილეობდა შემკვრელი მასალების გამყარების თეორიის შემუშავებაში, შეისწავლა დაბალი ტემპერატურების გავლენა გამყარების პროცესებზე და ჩაატარა სილიკატური მასალების (თიხის, კალციუმისა და მაგნიუმის ჰიდროსილიკატების) თერმული ანალიზი. იგი აღიარებულია ხარკოვის სამეცნიერო სკოლის შემქმნელად, რომელიც კომპლექსურად იკვლევს სამშენებლო მასალებს ქიმიური თერმოდინამიკის, რადიოფიზიკის, კალორიმეტრიისა და ელექტროქიმიის მეთოდების გამოყენებით.

ო. მჭედლიშვილი არის სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიებისა და გამოგონებების ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



მჭედლიძე გურამ (27. IX. 1931, თბილისი, – 14. VI. 2009, იქვე), ბიოლოგი, პალეობიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1973). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი (1954). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი (1958–66) და უფროსი (1966–89) მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1979–89), დირექტორი (1989–2009). იკვლევდა ზღვის ძუძუმწოვრების პალეობიოლოგიას (ვეშაპისნაირთა ისტორიის ზოგადი და პალეობიოლოგიური ევოლუციის ძირითადი თავისებურებები, კავკასიის ნამარხი ვეშაპისნაირები) და სხვ.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. 7 მონოგრაფია. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი თარგმნილია ინგლისურ და გერმანულ ენებზე. არის ძუძუმწოვართა შესახებ გამოქვეყნებული ენციკლოპედიის (2000) თანაავტორი.

გ. მჭედლიძე 1974 წელს აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო საბჭოს – „მცენარეთა და ცხოველთა ისტორიული განვითარების გზებისა და კანონზომიერებების“, ასევე „ძუძუმწოვართა და ევოლუციური საკითხების“ შემსწავლელი კომისიების წევრად. იყო ამერიკის შეერთებული შტატების ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოების წევრი (1971).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).



ნადირაძე ელდარ (დ. 15. IX. 1949, სოფ. ჭორვილა, ახლანდელი საჩხერის მუნიციპალიტეტი), ეთნოლოგი, კულტუროლოგი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2025).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1972). იყო აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1974–98), განყოფილების გამგე (1998–2016), თსუ-ის ეთნოგრაფიის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი (1988–2005), საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიის და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი (2017 წლიდან), ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის, თბილისის ისტორიული და ლევილის მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი (2025). კითხულობდა ლექციებს ქართული ეთნოკულტურის შესახებ.

ე. ნადირაძის კვლევის სფეროა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნება და ეთნოკულტურა. მისი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე, ეძღვნება საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ კავშირებს. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ქართული მევენახეობა-მეღვინეობისადმი

მიძღვნილი გამოფენები ლონდონში, ბორდოში, ბერლინში, ტოკიოში, პრაღაში და სხვ. მონაწილეობდა საერთაშორისო და მართლმადიდებლობისადმი მიძღვნილ კონფერენციებში. არის სამეცნიერო რეფერირებული კრებულის „ეთნოლოგიური ძიებანის“ დამაარსებელი და რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2004).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1995), დავით აღმაშენებლის ოქროს მედლით (2024), ი. ჭავჭავაძის ფონდ „საგურამოს“ (2011), ა. წერეთლისა (2023) და მ. მაჭავარიანის (2011) პრემიებით. არის საჩხერის საპატიო მოქალაქე (2006).



ნარიკაშვილი სერგი (11. XII. 1906, თბილისი, – 15. VIII. 1992, იქვე). ბიოლოგი, ფიზიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1946), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962).

1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. 1930-41 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი.

1938–40 წლებში იგი მიავლინეს ქ. ლენინგრადის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც იკვლევდა სხვადასხვა ანალიზატორის გააქტივების გავლენას მხედველობით ანალიზატორში მიმდინარე პროცესებზე. სამეცნიერო მოღვაწეობა გააგრძელა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, სადაც 1941 წელს დაინიშნა ლაბორატორიის გამგედ. პარალელურად 1938–60 წლებში იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე. 1941–43 წლებში მონაწილებდა მეორე მსოფლიო ომში. იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი (1943–50), დირექტორის მოადგილე (1950–53), ინსტიტუტის დირექტორი (1953–69). 1969–92 წლებში ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ქერქისა და ქერქქვეშა სტრუქტურების ურთიერთობის ლაბორატორიას. მისი თაოსნობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მეცნიერების შემდეგ მიმართულებებს: რადიობიოლოგიას, ბიოფიზიკას, მოლეკულურ ბიოლო-

გიას. მისი ლაბორატორიის ბაზაზე ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეულები ლაბორატორიების სახით: ტკივილის ფიზიოლოგია, ნეიროენდოკრინოლოგია, ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიია.

ს. ნარიკაშვილი იკვლევდა ყუმბარის აფეთქების შედეგად გამოწვეული ჰაერის ტალღის გავლენას კუნთოვანი და ნერვული სისტემების აგზნებადობაზე; ტვინის ღეროს ბადებრივი ფორმაციის, ნათხემისა და ახალი ქერქის ელექტრული აქტივობის ცვლილებებს ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობის დროს (ძილ-ღვიძილი); ტვინის ღეროს ბადებრივი ფორმაციის მოქმედების თავისებურებებს.

ს. ნარიკაშვილი იყო ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი; ჟურნალ „Physiology and Behavior“-ისა და ი. სეჩენოვის ფიზიოლოგიური ჟურნალის სარედაქციო კოლეგების წევრი.

1963 წელს ი. სეჩენოვის წიგნის „თავის ტვინის რეფლექსების“ გამოქვეყნებიდან მე-100 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა საერთაშორისო ყრილობა, სადაც ი. ბერიტაშვილთან ერთად გადაეცა საკავშირო სიგელი სამეცნიერო მიღწევებისათვის.

მიღებული აქვს ი. თარხნიშვილისა (1963) და ი. ბერიტაშვილის (1990) სახელობის პრემიები.



ნაფეტვარიძე შიო (2. VII. 1914, სოფ. ტობანიერი, ახლანდელი ვანის მუნიციპალიტეტი, – 5. IX. 1987, თბილისი), სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974). მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1972).

1939 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ), მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1946 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ; 1981–84 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

მისი სამეცნიერო ნაშრომების თემაა სეისმურ ზემოქმედებაზე ნაგებობათა გაანგარიშება, სეისმური დატვირთვების განსაზღვრა და საინჟინრო სეისმოლოგია. ამ ნაშრომების საფუძველზე დამუშავებულია სეისმომედეგი ნაგებობების გაანგარიშებისა და კონსტრუირების პრაქტიკული მეთოდები.

შ. ნაფეტვარიძე იყო იუნესკოს მიწვეული ექსპერტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ნახუცრიშვილი გიორგი (დ. 1. IV. 1932, თბილისი), ბიოლოგი, ბოტანიკოსი. ბოტანიკის მეცნიერებათა დოქტორი (1972). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1979) და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის (1986) წევრ-კორესპონდენტი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი (1956). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მცენარეთა ეკოლოგიის განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1959–82); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი (1982–2006); თსუ-ის დოცენტი, პროფესორი (1967–2006); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (2006 წლიდან); ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგე (2010 წლიდან). საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1983); გერმანიის ბოტანიკის საზოგადოების წევრი. საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიური პრობლემების კომისიის ხელმძღვანელი, ბუნების დაცვის კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IVCN), კავკასიის მცენარეთა წითელი ნუსხის ავტორიტეტული ჯგუფის (Caucasus plant RLA) კოორდინატორი.

საქართველოში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები-

სათვის. გამოიკვლია ცენტრალური კავკასიონის მაღალმთის მცენარეულობისა და ფიტოცენოზების ეკოლოგია.

გ. ნახუცრიშვილის სამეცნიერო ინტერესის სფეროს წარმოადგენს მაღალმთის მცენარეულობის, მათ შორის მცენარეთა მრავალფეროვნების, ბიოტოპების მახასიათებლების, მცენარეთა ბიოეკოლოგიური ნიშან-თვისებებისა და მათი ვერტიკალური გავრცელების კანონზომიერებების, მყინვარებისა და თოვლის მუდმივი საფრის ზონის მცენარეთა ადაპტაციის მექანიზმების კვლევა; კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენით ალპური მცენარეულობის ტრანსფორმაციის პროგნოზირება; მაღალმთის სტენოეკი მცენარეების, როგორც ბიოკლიმატური ინდიკატორების, შესწავლა; კავკასიისა და ალპების მცენარეულობის შედარებითი ანალიზი; დიდი და მცირე კავკასიონის მცენარეულობის ეკოლოგიურ-ფიტოსოციოლოგიური კვლევა.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის (1994) და თსუ-ის სამეცნიერო (1992) პრემიები, აგრეთვე პოლონელი ბოტანიკოსის ვ. შაფერის სახელობის მედალი (1986).



ნემსაძე ქეთევან (1. VII. 1949, ქუთაისი, – 21. X. 2024, თბილისი), პედიატრი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1993), პროფესორი (1997), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) პედიატრიული ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში. 1994–99 წლებში იყო საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი პედიატრი; 1996–2011 წლებში – მსოფლიო ბანკის პროექტის („ჯანმრთელი ბავშვი და უსაფრთხო დედობა“) თანაკოორდინატორი; 2002–05 წლებში – გაეროს ბავშვთა ფონდის „რეგიონული ქსელი ბავშვებისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში“ (NGO/ UNICEF Regional Network for Children of CEE/CIS And Baltic States) ორი ვადით არჩეული პრეზიდენტი; 1996–2007 წლებში – მ. გურამიშვილის სახ. პედიატრიული კლინიკის გენერალური დირექტორი (2010–14 წლებში – იქვე კლინიკის სამედიცინო დირექტორი); 2007–10 წლებში – მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური კლინიკის დირექტორი; 2014 წლიდან – „გლობალმედის“ პედიატრიული კლინიკის ხელმძღვანელი.

იყო საქართველოს პედიატრთა აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი; საქართველოს კანონის „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ ერთ-ერთი ავტორი. მისი ინიციატივით

დაიწყო საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მნიშვნელოვანი პროგრამები: ბავშვთა ასაკის დიარეული და რესპირაციული დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა, ბავშვთა ასაკის დაავადებათა ინტეგრირებული მართვა (IMCI) ახალშობილთა რეანიმაციის პროგრამის განხორციელება.

გ. ნემსაძე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. იყო არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მ.შ. „მსოფლიო სამიტი ბავშვებისთვის“ (ნიუ-იორკი), ასოციაცია „კლარიტასი XXI-ის“ საბჭოს წევრი და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ნიორაძე გიორგი [12. XII (30. XI). 1886, შროშა, ახლანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 10. XII. 1951, თბილისი], არქეოლოგი, პროფესორი (1933), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944). ქართული არქეოლოგიის ფუძემდებელი.

1910–17 წლებში სწავლობდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში (იმავდროულად იყო ქუთაისის საქალაქო სასწავლებლისა და მუშათა საღამოს კურსების მასწავლებელი), 1917–21 წლებში – მოსკოვის უნივერსიტეტში. 1920–22 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა პროფ. დ. ანუჩინის ხელმძღვანელობით. 1922 წელს აირჩიეს მოსკოვის საბუნებისმეტყველო საზოგადოების წევრად. სწავლობდა ბერლინისა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში (1922–24), მიიღო არქეოლოგის კვალიფიკაცია. გერმანიაში გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, მონაწილეობდა ანთროპოლოგთა კონგრესში.

1925 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე; 1926 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ლექტორი; 1934 წლიდან – არქეოლოგიის კათედრის გამგე; 1935 წელს – საქართველოს არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; 1933–43 წლებში ხელმძღვანელობდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (შემდეგში ისტორიის ინსტიტუტი) არქეოლოგიის განყოფილებას. მისი ძალისხმევით ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელ-

მწიფო მუზეუმში მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა (1933–35).

გ. ნიორაძის არქეოლოგიური გამოკვლევები მოიცავს დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის ძეგლებს – ქვის ხანის მღვიმე-საცხოვრისებიდან ფეოდალურ ხანამდე. მისი ეთნოლოგიურ-ანთროპოლოგიური გამოკვლევები ეძღვნება ქართველთა, ოსთა, სხვა კავკასიელთა თუ ციმბირის ხალხთა ყოფას, რელიგიას, საზოგადოდ კულტურისა და ისტორიის საკითხებს; მან გამოიკვლია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ხელოვნური ბორცვების ხასიათი და ასაკი, აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის თავისებურება, ქართულ-წინააზიური კულტურულ ურთიერთობათა საკითხები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დამსახურება საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგიაში. მანვე შეისწავლა პალეოლითური მღვიმენა-მოსახლარები დასავლეთ საქართველოში (დევისხვრელი, საკაჟია), აგრეთვე ენეოლითის, ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის ხანის ძეგლები (დიდუბე, მცხეთა, ზემო ავჭალა, კარსნისხევი, დმანისი, სამგორი, ნაოხვამუ, ქვემო სასირეთი, ქვიშარი, ალაზნის ველი).



ოკლეი ლეონიდე (28. IX. 1923, თბილისი, – 4. III. 1991, იქვე). მეტალურგიის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1976). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი (1979).

დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (1945). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1969-80). საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) მეტალურგიის ფაკულტეტის ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის პროფესორი (1976 წლიდან), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1980-88).

იკვლევდა ძირითადად უნაკერო მილების წარმოებას, ლითონის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობასა და სიღრუის წარმოქმნის მექანიზმს განივხრახნული გლინვისას. შეისწავლა მილებზე ზედაპირული დეფექტების წარმოქმნის მიზეზები; შექმნა მილების ხარისხის კვლევის მეცნიერული მიმართულება; გამოიკვლია მაღალი ენერგიის გამოყენებით მიღებული ბიმეტალური ნამზადები და მილები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ოკუჯავა მიხეილ (დ. 14.III. 1970, თბილისი), რადიოლოგი, ნეირო-მეცნიერი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (2006), პროფესორი (2012), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024). საქართველოში თანამედროვე მაგნიტურ-რეზონანსული (MRI) კვლევის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი.

1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. 1994–96 წლებში გაიარა კლინიკური ორდინატურა ნევროლოგიაში (ხელმძღვანელი ა. ლაჭყეპიანი). 1995 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რენტგენო-რადიოლოგიის კურსი. 1995–96 წლებში ნევროლოგიასა და ნეირორადიოლოგიაში სტაჟირებას გადიოდა მოსკოვში (ნევროლოგიის და ნ. ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის ინსტიტუტებში), აგრეთვე რურის უნივერსიტეტის რადიოლოგიის ინსტიტუტში (ბოხუმი, გერმანია).

1995 წლიდან იყო სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის მაგნიტურ-რეზონანსული განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი, 2000–01 წლებში მუშაობდა ეპილეფსიის ცენტრში (ბილეფელდი, გერმანია). 2004–05 წლებში ერთობლივ კვლევებს ატარებდა შვეიცარიის ეპილეფსიის ცენტრის ფუნქციური ნეიროვიზუალიზაციისა და ნეიროფსიქოლოგიის ჯგუფთან ერთად. 2007 წლიდან მიწვეულია ლექტორად თსსუ-ში.

2012–17 წლებში ხელმძღვანელობდა რადიოლოგიის დეპარ-

ტამენტს ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკაში. 2010 წლიდან მოღვაწეობს აკადემიკოს ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრში ნეირორადიოლოგიისა და ნეირომეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელად.

2012 წლიდან არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის რადიოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (2018), საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი რადიოლოგიაში.

მ. ოკუჯავას სამეცნიერო ინტერესების სფეროა ნეირორადიოლოგია, ეპილეფტოლოგია, ფუნქციური ნეიროვიზუალიზაცია, რადიოლოგიური ბიომარკერები ნეიროონკოლოგიაში, ნეიროდეგენერაციული მორფომეტრიული დაავადებები.



რობაქიძე ალექსანდრე (22. XI. 1907, თბილისი, – 17. II 1990, იქვე), ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1957), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პედაგოგიური ფაკულტეტი (1930). იყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1943–53), ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი (1958 წლიდან), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში თავისივე დაარსებული კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი (1961 წლიდან), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიის სექტორის ხელმძღვანელი.

ა. რობაქიძე იკვლევდა სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ტრადიციულ ფორმებს, სოციალური გარდაქმნების პროცესს ქართველი ხალხის კულტურასა და ყოფაში, ნათესაობის სისტემებს, სპორტის ისტორიისა საკითხებს, კავკასიის ხალხთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიას და ქართველი ხალხის კავკასიის სხვა ხალხებთან ეთნოგრაფიულ-კულტურული ურთიერთობის პრობლემებს, ეთნოსის, ეთნოგრაფიული მეთოდის და მეთოდოლოგიის საკითხებს.

მისი ნაშრომები ეძღვნება „პატრონიმიის“ თავისებურებებს, „მთური ფეოდალიზმის“ სპეციფიკას (ზ. ანჩაბაძესთან

ერთად), ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი განვითარების საფეხურებს (რ. ხარაძესთან ერთად) და სხვ. მისი რედაქტორობითა და მონაწილეობით გამოიცა კავკასიის ეთნოგრაფიული კრებულის 7 ტომი.



რუბინშტეინი მარკ [13 (26). 11. 1915, თბილისი, – 29. 06. 1978, იქვე], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973).

1938 წელს დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1945 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში. 1954–55 წლებში იმავე ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა პეტროგრაფიის განყოფილებას, 1955 წლიდან – ქანების აბსოლუტური ასაკის ლაბორატორიას; 1969–76 წლებში იქვე იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

1944–54 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1954 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მ. რუბინშტეინის ნაშრომები ძირითადად ეხება აბსოლუტური გეოქრონოლოგიის, სეისმოტექტონიკის, რეგიონული გეოლოგიის საკითხებს.

დაჯილდოებულია სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით.



რჩეულიშვილი მიხეილ (19. XII. 1907, სოფ. ვაზისუბანი, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 11. III. 1994, თბილისი), ზოოტექნიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1956), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967). მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აგრონომიული ფაკულტეტი. 1927 წლიდან მუშაობდა ახლად დაარსებულ საქართველოს მიწსახკომის ცენტრალურ ზოოტექნიკურ საცდელ სადგურში; 1929 წელს გაგზავნეს ქ. ლენინგრადში სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ლაბორატორიაში, სადაც სწავლობდა კრანეოლოგიური და ოსტეოლოგიური კვლევის მეთოდებს, შემდგომ ქ. მოსკოვში ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტსა და ცენტრალურ გენეტიკურ სადგურში ეუფლებოდა ზოგადი გენეტიკისა და ცხვრის გენეტიკის კვლევის მეთოდებს. 1932-40 წლებში იმავდროულად იყო მეცხვარეობის ზონალურ საცდელ სადგურში ცხვრის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი და მატყლისმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე, ასევე ასრულებდა სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილის მოვალეობას. 1940 წლიდან მუშაობდა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ზოოლოგიის სექტორში, შემდგომ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში სწავლულ მდივნად და თავისივე ინიციატივით შექმნილ ცხოველთა წარმოშობისა და ევოლუციის ლაბორატორიის

გამგედ; 1958 წლიდან იყო საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1959 წელს მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა გენეტიკის განყოფილება; 1976 წელს (საქართველოს სსრ მეცნიერების აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტთან) – მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორია. გამოიკვლია და დაამუშვა მომთაბარე მეცხოველეობის რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ორიგინალური სისტემები; საქართველოში პირველმა დაიწყო მომთაბარე მეხორცული მეცხვარეობისა და ექსტრემალურ პირობებში ზებუსთან შეჯვარებით მეხორცული მეძროხეობის განვითარების შესწავლა, აგრეთვე ადგილობრივი ცხვრების გენოფონდის გამოკვლევა, ენდემურ სასწავლო-სამეცნიერო ცხოველთა გენოფონდის დაცვა და გამოყენების პრობლემების დამუშავება. 1975–79 წლებში იყო საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების პრეზიდენტი, 1976 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.



სარჯველაძე ზურაბ (12. III. 1939, სოფ. ჯუნეწერი, ახლანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 17. XII. 2002, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1976), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001).

1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი. იყო ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, თსუ-ის ძველი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი.

იკვლევდა ძველი ქართული ენის, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და სხვა ლინგვისტურ საკითხებს. მონოგრაფიებში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“ (1975) და „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ (1984) ფართოდ არის გაანალიზებული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, ხოლო ნაშრომში „ძველი ქართული ენა“ (1997, 2004) – ძველი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ძირითადი საკითხები. „ქართულ პალეოგრაფიაში“ (თანაავტორი კ. დანელია) მოცემულია პალეოგრაფიის თითქმის ყველა ძირითადი საკითხის დაწვრილებითი ანალიზი.

ძველი ქართული და ქართველური ენების ლექსიკის კვლევას ეძღვნება ზ. სარჯველაძის ნაშრომები: „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (1995), „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“ (2001), „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (ჰამბურგი,

1999, გერმანულ ენაზე, თანაავტორი ჰ. ფენრიხი), „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (თანაავტორი ჰ. ფენრიხი; გამოქვეყნდა ქართულად 1990 და 2000 წელს, გერმანულად –1999). ამ ნაშრომში სათანადო მეცნიერული ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი როგორც მანამდე არსებული, ისე ავტორთა მიერ მოპოვებული სალექსიკონო მასალა. მისი რედაქტორობით მომზადდა ორტომეული „ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი“ (1986), „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი“ (1994). აგრეთვე გამოიცა ძველი ქართული მწერლობის არაერთი ძეგლი: წმ. იოანე ოქროპირის „განმარტება იოანეს სახარებისა“ (1993), თარგმანი „წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა“ და სხვ.

ზ. სარჯველაძის მიერ დაარსებული სერიის (1998) – „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის“ X ტომში დაიბეჭდა „ადიშის ოთხთავი“ (2003), აგრეთვე „მათეს სახარება“ და „მარკოზის სახარება“ (გიორგი მთაწმიდლის რედაქცია; 2004), რომელთა ტექსტები და განმარტებები მომზადებულია ზ. სარჯველაძის მიერ (ე. გიუნაშვილთან ერთად). 1998–2001 წლების სერიაში „ძველი ქართული ძეგლები“ გამოიცა მის მიერ გერმანულად თარგმნილი (ჰ. ფენრიხთან ერთად) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“.

მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს (1987), ა. შანიძის (1992), ა. ჰუმბოლდტის (1994), გ. როზენის (2001) სახელობის პრემიები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია (2000) და ღირსების ორდენი (1998).



სიგუა სოსო (დ. 16. VI. 1949, მარტვილი), ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1981), პროფესორი (2000), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2003).

1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1971–72 წლებში იქვე იყო რუსთაველის კაბინეტის ლაბორანტი; 2000–06 წლებში – კ. გამსახურდიას კაბინეტის სამეცნიერო ხელმძღვანელი; 1973–74 წლებში – გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორი; 1974–77 წლებში – ჟურნალ „განთიადის“ განყოფილების გამგე; 1978–81 წლებში – გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი; 1981 წლიდან – რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელი, 1997–2006 წლებში – ამავე განყოფილების გამგე, 1984–86 წლებში საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა მთავარი რედაქტორი, 1991 წლიდან – გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, 1990–95 წლებში – გამომცემლობა „დიდოსტატის“ დირექტორი, 1992–2002 წლებში – კ. გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, 1999 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) პროფესორი, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2004), 2014 წლიდან – მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე.

ს. სიგუას სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ქართული ლიტერატურა, კულტურა და ჟურნალისტიკა. ავტორია მონოგრაფიებისა: „მარტვილი და ალამდარი – კონსტანტინე გამსახურდია“ (2001–03; სახელმწიფო პრემია, 2003); „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა და აბიბოს ნეკრესელი“ (2001), „ქართული მოდერნიზმი“ (2002); „ორფეოსი. შემოქმედი და სულის არქაიკა“ (2005); „მხატვრული აზროვნება. გენეზისი და სტრუქტურა“ (2007); „კულტუროლოგიის საფუძვლები“ (2010–13); „ქართული კულტურის ისტორია“ (2015–19), „21-ე საუკუნე: მოდერნიზმი და ავანგარდიზმი“ (კ. გამსახურდიას სახელობის პრემია, 2025). თარგმნილი აქვს ა. ბლოკის „რჩეული“ ლექსები და პოემები (1995; ი. მაჩაბლის პრემია, 2009).

მიღებული აქვს დავით აღმაშენებლის (2012), ი. ჭავჭავაძისა (2014) და გიორგი ჭყონდიდელის (2024) სახელობის პრემიები.

არის მარტვილის საპატიო მოქალაქე (2016).



სირაძე რევაზ (3. VI. 1936, ოზურგეთი, – 4. IX. 2012, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1976), პროფესორი (1978), საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1962–66 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტი, 1968–78 წლებში – დოცენტი, 1978 წლიდან – პროფესორი, 1988–2012 წლებში იყო სასულიერო სემინარია-აკადემიის პროფესორი, 1991–92 წლებში – ს.-ს. ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის (ახლანდელი ილიას უნივერსიტეტი) რექტორი, 1996–2005 წლებში – თსუ-ის ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების კათედრის დამაარსებელი და გამგე, 2008 წლიდან – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, 2001–11 წლებში – შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების (ახლანდელი რუსთველოლოგიური კვლევის ცენტრი) გამგე. 1973 წელს ა. შანიძის შუამდგომლობით ერთი წლით იმყოფებოდა ბულგარეთში, ბაჩკოვოში, პეტრიწონის მონასტრის ისტორიის შესასწავლად.

რ. სირაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და შეისწავლა ქართული თეორიულ-ლიტერატურული და ესთეტიკური აზროვნება. მისმა მონოგრაფიებმა ახალ ეტაპზე აიყვანა ძველი ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი ქართული

ჰაგიოგრაფიის კვლევა-ძიების საქმე; ხანგრძლივი სამეცნიერო დაკვირვების შედეგად გამოაქვეყნა მონოგრაფია „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და „დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა“ (1997), რომელშიც ლიტურგიკულ-ეორტალოგიური საფუძვლების გათვალისწინებით დაადგინა, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრება“ უძველესი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებია – ეს შეხედულება საყოველთაოდ იქნა გაზიარებული. მანვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში დაამკვიდრა ტერმინი „სახისმეტყველება“, აღზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა ახალი თაობა და შექმნა კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაფუძნებული სკოლა.

რ. სირაძის ინიციატივით სოფ. ტანძიაში 1984 წელს დაარსდა ს.-ს. ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი, რის გამოც 2024 წელს აირჩიეს ბოლნისის საპატიო მოქალაქედ (გარდაცვალების შემდეგ).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და პრემია „საგურამო“ (2006).



სურგულაძე აკაკი (24. VI. 1913, სოფ. შემოქმედი, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 13. XII. 1991, თბილისი). ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1959), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982).

1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს გახდა უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის ასპირანტი, იმავდროულად მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტში ლიტ. რედაქტორად. 1959 წლიდან იყო თსუ-ის საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის, ხოლო შემდეგ – რუსეთის ისტორიის კათედრის გამგე, 1953–1956 და 1972–1976 წლებში – თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1976 წელს მეცნიერის ნაშრომს „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ მიენიჭა აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.

ა. სურგულაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ისტორიის საკითხები. იკვლევდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების, ქართული ინტელიგენციის ისტორიის საკითხებს. ავტორია მრავალი პუბლიკაციისა, მათ შორის ორ ათეულზე

მეტი მონოგრაფიული გამოკვლევისა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“, „XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“ (რუს. ენაზე), „ერის მცნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ რევოლუციამდელ საქართველოში“, „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის სამ რევოლუციაში“, „ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან“, „ილია ჭავჭავაძე – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე“ (რუს.ენაზე), „ექვთიმე თაყაიშვილი“, „ივანე ჯავახიშვილი“ (ქართ. რუს. და ინგლ. ენებზე), „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. I), „არ დავიწყება მოყვრისა“ (მეორე გამოცემა „მარადსახსოვარი“).

ა. სურგულაძე ავტორია წიგნისა (თანაავტორი პ. სურგულაძე) „საქართველოს ისტორია“ და სახელმძღვანელოებისა – „რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში“ და „რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში“, რომლებიც თსუ-ის პირველი პრემიით აღინიშნა. მეცნიერი ჩართული იყო „იუნესკოს“ ეგიდით განხორციელებულ სამეცნიერო პროექტში, გახლდათ მრავალტომიანი კაპიტალური ნაშრომის „კაცობრიობის კულტურული მონაპოვარის“ ერთ-ერთი თანაავტორი.

წლების განმავლობაში თსუ-ში კითხულობდა სალექციო კურსს რუსეთის ისტორიაში. მისი ინიციატივით იქვე შეიქმნა ქართული კულტურის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც შემდგომ დაფუძნდა ქართული კულტურის ისტორიის კათედრა.

ა. სურგულაძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თბილისის ორგანიზაციისა და საზოგადოება „ცოდნის“ ისტორიის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, შემოქმედის სახალხო აკადემიის რექტორი, მონაწ-

ილეობდა II მსოფლიო ომში.

იყო შემოქმედის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) საპატიო მოქალაქე, მისი სახელობისაა ამავე სოფლის საჯარო სკოლა, თბილისში არის ა. სურგულაძის სახელობის ქუჩა.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



სხირტლაძე ზაზა (დ. 7. IX. 1957, თბილისი), ხელოვნებათმცოდნე. მეცნიერი, პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი (2003), პროფესორი (2003), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. 1979–2004 წლებში იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, 1985–97 წლებში – თსუ-ის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ლექტორი, ხოლო 1987–98 წლებში – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კავკასიოლოგიის კაბინეტის გამგე, 1988–98 – თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი, 1998–2009 წლებში – იქვე ქრისტიანული ხელოვნების კათედრის გამგე, 2003 წლიდან – თსუ-ის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის პროფესორი (2006 წლიდან – ხელმძღვანელი); 1996 წლიდან – გარეჯის კვლევის ცენტრის თავმჯდომარე; 2003 წლიდან – საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, 2006 წლიდან – საეკლესიო-საენციკლოპედიო ცენტრის ერთერთი დამფუძნებელი, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიის რედაქტორი (ხელოვნების მიმართულება).

ზ. სხირტლაძის სამეცნიერო კვლევის სფეროა ძველი ქართული სახვითი ხელოვნება, მისი მიმართება აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხატვრულ ტრადიციასთან; ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობები; მონასტიციზმი, გარეჯის

მრავალმთის კულტურული მემკვიდრეობა; ქართულ ხელოვნებასთან დაკავშირებული საისტორიო, საარქივო და ეპიგრაფიკული წყაროების შესწავლა-პუბლიკაცია.

არის სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული მრავალი ნარკვევისა და მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია „ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა“, „თელოვანის ჯვარპატიოსანი“ (2008), ოთხთა ეკლესიის ფრესკები (2009); „მცირე სვინაქსარი“ (ფოტოტიპური გამოცემა, 2022), „სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ექვსკარედი ხატი. ლიტურგიკული კალენდარი ბიზანტიურ და ქართულ ხელოვნებაში“ (2023).



ტატაშიძე ზურაბ (24. IX. 1928, საჩხერე, – 12. VI. 2011, თბილისი), გეოგრაფი. გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1979). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977).

1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1954–1957 წლებში მუშაობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1957 წლიდან – ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1981 წლიდან იყო თსუ-ის გეომორფოლოგიის კათედრის გამგე, 1993–2006 წლებში – გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, 1988–2004 წლებში – საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი.

ზ. ტატაშიძე მოღვაწეობდა გეომორფოლოგია-კარსტოლოგია-სპელეოლოგიის დარგში. მისი სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეხება საქართველოსა და საერთოდ მთიანი ქვეყნების კარსტის პრობლემების კვლევას. არის საქართველოში ახალი, პერსპექტიული სამეცნიერო მიმართულების – მღვიმეთმცოდნეობის ერთ-ერთი დამფუძნებელი (ლ. მარუაშვილთან ერთად). მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით საქართველოში აღმოჩენილი და შესწავლილია ახალი ათონის, ნაფრა-მჭიშთის, წყალტუბოს (პრომეთეს), კუდარო-წონასა და ჯრუჭულას მღვიმეები, კელასურის მდინარის ქვეშა, შაქურანის წყლიანი მღვიმეები და სხვა უნიკალური კარსტული მღვიმური სისტემები.

1987–88 წლებში მისი აქტიური მონაწილეობით გამოვლინდა დედამიწაზე ინდიკატორული ექსპერიმენტებით დადასტურებული უღრმესი (2345 მ) ნაფრა-მჭიშთის ჰიდროგეოლოგიური სისტემა, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. მისი უშუალო ინიციატივითა და გეოგრაფიის ინსტიტუტის რეკომენდაციით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ახალი ათონის მღვიმის კეთილმოწყობის თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სპელეტურიზმის შემდგომ განვითარებასა და აღორძინებას.

ზ. ტატაშიძე იყო ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასის“ (1997) სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,

მიღებული აქვს სამეცნიერო და სახელმწიფო ჯილდოები.



ტატიშვილი გრიგორ (დ.16. XI. 1960, თბილისი), ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების დარგის მეცნიერი, აკადემიური დოქტორი (1994). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით ფიზიკური ჰიდროდინამიკა. 1983–88 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში (ახლანდელი ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი) სხვადასხვა თანამდებობაზე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში – ლაზერული ტექნიკის ინჟინრად. 1990 წლიდან მოღვაწეობს თსუ-ის რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში (1995–2006 წლებში იყო მეცნიერი თანამშრომელი, 2006 წლიდან – დირექტორი). მუშაობდა აგრეთვე დავით აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (ასოცირებული პროფესორი – 2012–13, მიწვეული პროფესორი – 2014–17).

გ. ტატიშვილის კვლევის სფეროა მუხტისა და ენერგიის გადატანა და ფოტოგადატანა ელექტროქიმიურ სისტემებში, ელექტროქიმიური კომპოზიციური დანაფარები და შენადნობები, ადსორბცია და კატალიზი, ელექტროქიმიური და თერმოქიმიური გამოყენებითი ტექნოლოგიები; XX საუკუნის 90-იანი წლების I ნახევარში ელექტროქიმიური სისტემისთვის შექმნა უნიკალური თეორიული მოდელი და მის ფარგლებში – ელექტროქიმიური სისტემების კვლევის ახალი რადიოსპექ-

ტრული მეთოდი. უკვე XXI საუკუნეში ტრადიციული თეორიული კვლევების პარალელურად აწარმოებს გამოყენებითი პროფილის სამუშაოებს. შეიმუშავა მეორეული ნედლეულიდან მულტიფუნქციური ნახშირბადოვანი ნანომასალების მიღების ახალი სპეციალური თერმოქიმიური მეთოდი.

გ. ტატიშვილი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ოთხი ეროვნული და სამი საერთაშორისო (აშშ, კანადა, ინდოეთი) პატენტის მფლობელი, მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, საორგანიზაციო და პროგრამული კომიტეტების წევრი. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოში ჩატარდა ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მოსაზღვრე დარგების მიმართულებით (ურეკი, 2016; თბილისი, 2023).

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სიგელი (2016) და გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (2024; სამუშაოთა ციკლისთვის: „ცელულოზაშემცველი ნარჩენებიდან ნახშირბადოვანი მასალების მიღება და მათი აპლიკაციები“).



ტატიშვილი ნუგზარ (20.VII. 1933, თბილისი, – 4. VII. 2004, იქვე), თერაპევტი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988); საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1992).

1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1957–67 წლებში მუშაობდა ს. ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1968 წლიდან იყო თსსი-ის შინაგან სნეულებათა კათედრის დოცენტი, 1970 წლიდან – პროფესორი, 1973 წლიდან – კათედრის გამგე, 1986–89 წლებში – პრორექტორი სასწავლო ნაწილში. 1981 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

ნ. ტატიშვილი იყო ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი (1991), საქართველოს თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1992), ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი (1994), საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თერაპიული დიციპლინების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (1996), საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საბჭოს წევრი (1997). 1993 წელს აირჩიეს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრად, აშშ-ის ქ. მინიაპოლისის საპატიო მოქალაქედ (1984).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1999) და წმ. ილარიონ ქართველის სახელობის პრემია.



უგრეხელიძე დევი (13. XII. 1936, თიანეთი, – 9. IX. 2012, თბილისი), ქიმიკოსი. დოქტორი (1976), პროფესორი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

1959 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი. 1959–1961 წლებში იყო საქართველოს საშენ მასალათა ინსტიტუტის ორგანული ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი. 1961–64 წლებში სწავლობდა თსუ-ის ორგანული ქიმიის კათედრის ასპირანტურაში, 1964-69 წლებში იყო ამავე კათედრის ასისტენტი. 1965–75 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ქსენობიოტიკთა ლაბორატორიას. პარალელურად მუშაობდა თსუ-ის ორგანული ქიმიის კათედრაზე. 1975–96 წლებში იყო საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, 1996–2006 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

დ. უგრეხელიძე იკვლევდა ბიოქიმიური მეცნიერების მნიშვნელოვან დარგს – ეგზოგენურ ნაერთთა (ქსენობიოტიკთა) ბიოქიმიას და მისი დეტოქსიკაციის გზებს უმაღლეს მცენარეებში, ასევე ორგანულ ქსენობიოტიკთა უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებს. მისი ნაშრომები და მონოგრაფიები აქტუალურია არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, როგორებიცაა უმაღლეს მცენარეებზე ქსენობიოტიკთა ზემო-

ქმედების ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები, მცენარეული უჯრედის დეტოქსიკაციის აპარატის კვლევა და ა. შ., არამედ პრაქტიკული ასპექტითაც, ვინაიდან ისინი მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოს ქიმიური დაბინძურების პრობლემასთან.



ფაღავა ირაკლი (28. III. 1918. ქუთაისი, – 22. I. 1988, თბილისი), პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1954), პროფესორი (1958), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967).

1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (თსსი). 1960 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის გამგე, 1959–63 წლებში – რესპუბლიკის მთავარი პედიატრი, 1967-78 წლებში – პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ი. ფაღავას ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით პირველად საბჭოთა კავშირში დაადგინეს დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობის მნიშვნელობა ალერგიისადმი დისპოზიციაში. მანვე შემოიღო ტუბერკულოზური მენინგიტის სადიაგნოსტიკო სინჯი, შეისწავლა ალერგიულ დაავადებათა გავრცელება საქართველოში. განწყობის თეორიის საფუძველზე იკვლევდა სომატური დაავადებების გენეზში ფსიქოლოგიური ფაქტორების როლს.

1975 წლიდან იყო საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დემოგრაფიულ პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1984).

ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ფაღავა ყარამან (დ. 6. V.1948, თბილისი), პედიატრი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2025).

1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი, ახლანდელი თსსუ) სამკურნალო ფაკულტეტი. 1971–72 წლებში იყო რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს, ბავშვთა პოლიკლინიკური გაერთიანების, 1972–73 წლებში – გარდაბნის რაიონის სამგორის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების პედიატრი, 1973 წელს – თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს პედიატრი; 1974 წელს მუშაობდა თსსი-ის ბავშვთა სნეულებათა, ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკისა და საფაკულტეტო პედიატრიის, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის კათედრებზე (ამჟამად, დეპარტამენტი). თავდაპირველად იყო უფროსი ლაბორანტი, 1974–82 წლებში – ასისტენტი, 1982–90 წლებში – დოცენტი, 1990-96 წლებში – პროფესორი, 1996 წლიდან – ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის კათედრის გამგე (ამჟამად – დეპარტამენტის ხელმძღვანელი). არის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა (2010) და საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (2016).


1988–2013 წლებში ხელმძღვანელობდა ვ. ბახუტაშვილის სახ. სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ახალი პრეპარატების კლინიკური აპრობაციის, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის და განვითარების ლაბორატორიას, 1990–2001 წლებში – თსსი-ის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი

ლაბორატორიის ლაზერული მედიცინის ჯგუფს. 1999–2003 წლებში იყო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პედიატრი. 2006 წლიდან პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა თსსუ-ის გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

ყ. ფაღავა არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა იშვიათი დაავადებები, მოზარდთა მედიცინა, კლინიკური ეპიდემიოლოგია, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგია, მათემატიკური მეთოდებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიცინაში (პედიატრიაში), სამკურნალო ჩარევების მოქმედების მექანიზმები და ეფექტურობა. არის სამი დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი.

არის პედიატრთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1992), იენის უნივერსიტეტის ევროპული კოლეგიუმის წევრ-კორესპონდენტი (1994), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1994), საქართველოს ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი (2021).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001), საზოგადოება „ცოდნის“ ი. ჭავჭავაძის სახელობის მედალი, პრემია (2023) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ფირაშვილი თეიმურაზ (დ. 21. I. 1954, სოფ. ნუკრიანი, ახლანდელი სიღნაღის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2025).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1976). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში (1980–82); თსუ-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს, შემდეგ – წამყვან მეცნიერ თანამშრომლად (1982–2006); ლესტერის უნივერსიტეტში (გაერთიანებული სამეფო) – ასოცირებულ პროფესორად (2006–21). არის მათემატიკის ჰაბილიტირებული დოქტორი (ვარშავა, 2000), 2021 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის, ხოლო 2022–24 წლებში – თსუ-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; იყო საქართველოს მათემატიკის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი (2006); საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების „North-Western European Journal of mathematics“-ისა (2015–2023) და „Extracta Mathematicae“-ის (2005–2022) რედკოლეგიის წევრი. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოში, გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში.

თ. ფირაშვილის კვლევის ძირითადი სფეროა ჰომოლოგიური ალგებრა, აგრეთვე მიღებული აქვს მნიშვნელოვანი შედეგები ალგებრულ ტოპოლოგიასა და ლაიბნიცის ალგებრების

თეორიაში; ჰუმბოლდტის პრემია მიენიჭა ფუნქტორთა ჰომოლოგიებსა და ტოპოლოგიურ ჰოხშილდის ჰომოლოგიებს შორის მჭიდრო კავშირის აღმოჩენისთვის (1999). როგორც ამ დარგის პიონერი, მიწვეული იყო მსოფლიოში ცნობილ ბურბაკის სემინარებზე (2000). არის ფუნქტორთა ჰომოლოგიის დარგის ერთ-ერთი შემქმნელი, მან პირველმა განმარტა მაღალი რიგის ჰოხშილდის ჰომოლოგიები, რომლებიც ცნობილია ფირაშვილი-ჰოხშილდის ჰომოლოგიების სახელით. აღსანიშნავია მისი როლი ორგანზომილებიანი ჰომოლოგიური ალგებრის ჩამოყალიბებაშიც.



ფიფია ვახტანგ (29. XII. 1929, თბილისი, – 8. III. 1990, იქვე), ქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1967), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

1954 წელს დაამთავრა მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტი; 1970 წლიდან განაგებდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გულმკერდის ქირურგიის კათედრას.

იკვლევდა გულმკერდის ღრუს ქირურგიის აქტუალურ საკითხებს; საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო გულის მანკის ქირურგიული მკურნალობა; ელექტროკარდიოსტიმულაციის შესწავლისთვის მიენიჭა ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია (1980).

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ფიცხელაური შენგელი (დ. 2. VIII. 1946, ახშანი, ახლანდელი ახმეტის მუნიციპალიტეტი), იურისტი, სამართალმცოდნე, ეკონომისტი, სპორტსმენი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024), გენერალ-მაიორი (1999).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტი (1970) ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობით, ასევე იურიდიული ფაკულტეტი სამართლისმცოდნეობის სპეციალობით (1978). არის თსუ-ის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (2002), 2023 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) პროფესორი.

1976–77 წლებში იყო ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინსპექტორი; 1977–80 წლებში – საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, 1980–83 წლებში – თბილისის კრწანისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი, 1983–85 წლებში – ახმეტის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, 1985–91 წლებში – თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი, 1991–97 წლებში – თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მოსამართლე და თავმჯდომარე, 1997–2002 წლებში – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი, ხოლო 2002–04

წლებში – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ადმინისტრაციის კონსულტანტთა ჯგუფის კონსულტანტი (დეპარტამენტის უფროსი), 2019 წლის იანვრიდან – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი, მაისიდან კი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე.

შ. ფიცხელაური მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის კრიმინალისტიკის კათედრაზე (1998–2003), საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში (2005–07), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრაზე (2003–05); იყო გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, დეკანი (2009–19), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა (2007–09) და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (2006–09).

არის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ „ცხოვრება და კანონის“ გამომცემლობის რედაქტორი (2013 წლიდან), სტუ-ის პროფესორი (2023 წლიდან), საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიისა (2016) და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის (2020) ნამდვილი წევრი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი და სახელმძღვანელო.

არის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სსრკ-ის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობასა (1964) და სამბოში (1965), სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში (1969), სსრკ-ის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სამბოსა (1970) და ძიუდოში (1971). მსოფ-

ლიო თასის გამარჯვებული ძიუდოში (1968-73), სსრკ ჩემპიონი (1970, 1973, სამბო), ევროპის ჩემპიონი ძიუდოში (1973, 1975), სსრკ ჩემპიონი (1973), მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (1973), სსრკ ვიცე-ჩემპიონი (1974).

მიღებული აქვს მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის (1999) და ღირსების ორდენი (2002).



ქავთარაძე რევაზ (დ. 30. X. 1951, სოფ. ივანწმინდა, ახლანდელი საჩხერის მუნიციპალიტეტი), თბოენერგეტიკის დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1973 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). 1973-78 წლებში მუშაობდა მოსკოვის ბაუმანის სახ. ტექნიკურ უნივერსიტეტში უფროს მეცნიერ თანამშრომელად, კვლევითი ლაბორატორიის გამგედ, დოცენტად, პროფესორად (1982–2017). ამჟამად მუშაობს რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ (2017 წლიდან). მიწვეული პროფესორის რანგში კითხულობდა ლექციებს და ატარებდა კვლევებს როსტოკის (1986–87), მიუნხენის ტექნიკურ (1990–2017), პეკინის ტექნოლოგიურ (1998–2019) და უცხოეთის სხვა ცნობილ უნივერსიტეტებში.

რ. ქავთარაძის შრომები ძირითადად ეძღვნება თბოცვლისა და თბური ძრავების თეორიას, ასევე ეკოლოგიურ, მათ შორის წყალბადის ენერგეტიკის პრობლემებს. ცნობილია და ფართოდ გამოიყენება მისი ფორმულები საწვავის თვითაალების შეფერხების პერიოდისა და წვის კამერაში თბოცვლის კოეფიციენტების საანგარიშოდ. არის დგუშიან ძრავაში მიმდინარე პროცესების მრავალზონიანი, ასევე ტურბულენტურ სასაზღვრო შრეში რთული (რადიაციულ-კონვექციური) თბოგადაცემის მათემატიკური მოდელების ავტორი. მასვე ეკუთვნის

მნიშვნელოვანი ნაშრომები წყალბადზე მომუშავე დიზელის, ასევე იძულებითი ანთებით მომუშავე ძრავების თეორიაში შესრულებული თერმოგაზოდინამიკური პროცესების ნავიე-სტოქსის ტიპის განტოლებებზე დაფუძნებული 3D მათემატიკური მოდელების გამოყენებით. დაამუშავა და პრაქტიკაში დანერგა თბოენერგეტიკულ დანადგარებში არასტაციონარული თბური ნაკადების გაზომვისა და კვლევის ექსპერიმენტული მეთოდები.

მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახელობის (2024) და მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის (2002) პრემიები.



ქარსანოვი ნიკოლოზ (3. X. 1923, ცხინვალი, – 12. XII. 2001, თბილისი), ბიოფიზიკოსი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1996) და სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1996) წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოში სამედიცინო ბიოფიზიკის სკოლის ფუძემდებელი.


დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტი (1946), იყო ამავე ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ორდინატორი (1946–49); მ. წინაძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ორდინატორი (1949-54), უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1954–65); ლაბორატორიის გამგის მოვალეობის შემსრულებელი (1965–67); ლაბორატორიის გამგე (1967–72).

1972 წელს მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა სამედიცინო ბიოფიზიკისა და ახალი ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი რესპუბლიკური ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1972–2001 წლებში.

ნ. ქარსანოვმა შექმნა საქართველოში პირველი სამედიცინო ბიოფიზიკოსთა სამეცნიერო საზოგადოება. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, მ. შ. მონოგრაფია „მიოკარდიუმის მიოფიბრილების შეკუმშვადი და ფერმენტული აქტივობის სუბუჯრედულ-მოლეკულური და სუბმოლეკულური მექანიზმების შესწავლა გულის ნაკლოვანებისას“. შექმნა ახალი ანტიიშე-

მიური, ანტიანგინალური პრეპარატი – ენერგოსტიმი და კარდიოტროპული პრეპარატი – რეფრაქტერინი. ამ პრეპარატების საფუძველზე შეიმუშავა რაციონალური სტრატეგია და მეთოდური რეკომენდაციები მიოკარდიუმის ინფარქტის დროს. მუშაობდა ახალი ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებზე. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ქომეთიანი ზურაბ (4. VIII. 1934. თბილისი, – 24. I. 2012, იქვე), ბიოლოგი, მემბრანოლოგი, ენზიმოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), პროფესორი (1987), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

სწავლობდა მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკის ინსტიტუტში, იყო ლებედევის სახ. სტიპენდიატი. მისი პედაგოგები იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები – ლ. ლანდაუ და ი. ტამი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაბრუნდა საქართველოში, სადაც 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი.

1958–59 წლებში იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორანტი, 1959–62 წლებში – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის (მოსკოვი) ბიოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

ორიგინალური კონსტრუქციის მემბრანულ მოდელზე პირველმა დაამტკიცა, რომ არსებობდა კავშირი თავისუფალ რადიკალებსა და ნატრიუმის იონების აქტიურ ტრანსპორტირებას შორის. შემდეგ სამეცნიერო მოღვაწეობა გააგრძელა თბილისის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უმცროს (1963-67) და უფროს (1963–67) მეცნიერ თანამშრომლად. 1973–76 წლებში იქვე იყო ჯგუფის ხელმძღვანელი, 1975 წლიდან – ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

ზ. ქომეთიანმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ახალ დარგს – მემბრანოლოგიას. ეს დისციპლინა ჩამოყალიბდა ბიო-

ქიმიის, ბიოფიზიკის, მოლეკულური ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ციტოლოგიის გადაკვეთის ზღვარზე. 1973 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა მემბრანების აქტივობის შემსწავლელ ჯგუფს, რომელიც 1975 წელს ჩამოყალიბდა მემბრანოლოგიის ლაბორატორიად.

ზ. ქომეთიანმა პირველმა შეიმუშავა ფერმენტული კინეტიკის ახალი თეორია, დაამუშავა მათემატიკური მიდგომა და შექმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემის კინეტიკური სქემის დადგენის საშუალებას იძლევა. ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა სრულად გაშიფრულიყო მნიშვნელოვანი ფერმენტული სისტემის მოლეკულური მექანიზმი, Na+/K+-ATP-აზა; პირველმა შეადგინა ამ ფერმენტული სისტემის მოქმედების მექანიზმთან მაქსიმალურად მიახლოებული კინეტიკური სქემა; შეისწავლა ნეიროტრანსმიტერებისა და სინაფტოსომური ფაქტორის ეფექტი ტრანსპორტულ ATP-აზებზე და აღმოაჩინა სწრაფი რეგულაციის ახალი გზა, რომელიც სპეციფიკურია თავის ტვინისათვის და აქვს უაღრესად დიდი ფუნქციური მნიშვნელობა.

ზ. ქომეთიანი ავტორია ნაშრომებისა: „kinetic analysis of the multisiter enzyme systems“ და „მემბრანოლოგია“. იყო IBRO-ის (ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაცია) წევრი.

მიღებული აქვს ი. თარხნიშვილის (1989), ი. ბერიტაშვილისა (2003) და პ. ქომეთიანის (2008) სახელობის პრემიები.



ჟუთათელაძე კალისტრატე (2. IV. 1909, სოფ. ივანდიდი, ახლანდელი ხონის მუნიციპალიტეტი, – 13. VII. 1983, თბილისი), ქიმიკოსი. ტექნიკის მენიერებათა დოქტორი (1952), პროფესორი (1953). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967); საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1958), სილიკატების დარგის სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი საქართველოში.

დაამთავრა ამიერკავკასიის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1932). მუშაობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე (1935-83), იყო ამავე კათედრის გამგე (1942-83).

მისი ძირითადი ნაშრომები ეხება სილიკატების ქიმიას. დამუშავებული აქვს ახალი ტიპის ცემენტის, კერამიკის, მინის, ნახევარგამტარული და დიელექტრიკული მასალების ტექნოლოგია.

არის სამეცნიერო სტატიებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.


ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



ღუდუშაური ირაკლი (15. V. 1924, სოფ. სნო, ახლანდელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, – 28. I. 2009, თბილისი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1999) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი (1997).

1950 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) სამშენებლო ფაკულტეტი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო-კვლევით (1950–54), საქართველოს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით (1954 წლიდან) ინსტიტუტებში. ამ უკანასკნელში იყო ენერგეტიკულ ნაგებობათა თეორიული კვლევების განყოფილების გამგე (1957–2006).

კითხულობდა ლექციებს სტუ-ში (1957–2006). არის მონოგრაფიებისა და გამოგონებების ავტორი. საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999-2004).



ყიფშიძე ნიკოლოზ (12. XII. 1952, თბილისი, – 25. XII. 2024, აშშ), ექიმი, პოლიტიკოსი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1989). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2012).

1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტი; 1982 წელს – მოსკოვის ა. ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის ასპირანტურა. 1978 წლიდან ეწეოდა სამედიცინო-სამეცნიერო საქმიანობას: 1978–82 წლებში იყო ამავე ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, 1982–92 წლებში – ინვაზიური კარდიოლოგიის განყოფილების უფროსი, კლინიკური მეცნიერი თანამშრომელი.

1993 წლიდან მუშაობდა აშშ-ში. 1993–95 წლებში იქვე იყო კარდიოლოგიის დეპარტამენტის მკვლევარი (მილუოკი, აშშ), 1995–97 წლებში – ამავე კოლეჯის მიწვეული პროფესორი, 1997–99 წლებში – ასისტენტ-პროფესორი, ფროიდტერტის მემორიალური ლუთერანული ჰოსპიტლის ასოცირებული მკურნალი ექიმი, 1999–2004 წლებში – ენდოლუმინარული მოლეკულური და კათეტერული ინტერვენციის დირექტორი კარდიოვასკულარული კვლევების ფონდში (ნიუ-იორკი), 2005 წლიდან – ასოცირებული მკურნალი, საპატიო ექიმი ლენოქს ჰილის ჰოსპიტალში, 2006 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი სამკურნალო დარგში.

იყო საქართველოს მე-8 მოწვევის (2012–16) პარლამენტის წევრი, იმავე წლებში – ამერიკული სამედიცინო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ნ. ყიფშიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის, ინტერვენციული მედი-ცინისა და პაციენტის მოვლის ძირითადი მიმართულებები და სხვ.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2008) და სხვა სახელ-მწიფო ჯილდოები.



ყრუაშვილი ზაურ (6. IX. 1932, სოფ. ხოტევი, ახლანდელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 14. V. 2000, თბილისი), გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათმშენებლობის დარგის მეცნიერი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1975), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983).

1956 წელს დაამთავრა ქ. მოსკოვის მეტალურგიის ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქ. რუსთავის ავტომატიზაციის საპროექტო ინსტიტუტში. იყო რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო „ავტომატმრეწვის“ (1968-77) და თბილისის სამეცნიერო-საწარმო „ანალიტხელსაწყოს“ (1977 წლიდან) გენერალური დირექტორი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის პროფესორი.

ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი.



ყურაშვილი ბორის [13. (25). I. 1912, სოფ. ჯოლევი, ახლანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 4. X. 2007, თბილისი), ბიოლოგი, პარაზიტოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1955), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985). საქართველოში პარაზიტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი ზოოლოგიის სპეციალობით, 1946 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტი. 1941–43 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.

1937–47 წლებში მუშაობდა თსსი-ის ბიოლოგია-პარაზიტოლოგიის კათედრაზე ასისტენტად, 1945 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში ლაბორანტად და უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1947 წლიდან – პარაზიტოლოგიის ლაბორატორიის გამგედ. 1964–89 წლებში იყო ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 1957 წლიდან (შეთავსებით) – თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრის პროფესორი. 1989 წლიდან გარდაცვალებამდე – ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი და საქართველოს ვეტერანთა საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი.

მიღებული აქვს პატენტი გამოგონებისთვის – „წინამდებარე ჯირკვლის დაავადებების სამკურნალო საშუალება“

(1998), მანვე შექმნა პრეპარატი „პროსტასექსინი“.

ბ. ყურაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო საქართველოს მტკნარი წყლის თევზების პარაზიტების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება; ფრინველთა ჰელმინთოზი; საქართველოში – ცხოველთა სამყაროს დაცვა; ადამიანში, ცხოველებსა და მცენარეებში ჰელმინთების გავრცელება; ნიადაგის დაბინძურება და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება. მონაწილეობა მიიღო „საქართველოს წითელი წიგნის“ შედგენაში. მას ეკუთვნის მონოგრაფიები: „დარვინიზმის მნიშვნელობა ზოოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში“ (1959), „ექინოკოკოზი, ცენუროზი და მასთან ბრძოლა“ (1962), „პარაზიტოლოგიური გამოკვლევები მცირე კავკასიონის ბიოგეოცენოზებსა და მეცხოველეობის ფერმებში საქართველოს ფარგლებში“ (1991).

იყო საქართველოს ჰელმინთოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე (1958), ბულგარეთის პარაზიტოლოგთა საზოგადოების წევრი (1984), რუსეთის ჰელმინთოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი (1984), უკრაინისა (1995) და ჩეხოსლოვაკიის პარაზიტოლოგთა (1974) სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



შამილაძე ვახტანგ (15. IX. 1935, სოფ. ახალშენი, ახლანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, – 5. XII. 2010, ბათუმი), ეთნოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1958). იყო ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1961), სწავლული მდივანი (1969–77), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1981–84), სრული პროფესორი (2006 წლიდან), დირექტორი (2006–07), სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, თსუ-ის ეთნოლოგიის კათედრის გამგე (1984–2006), ამასთანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური, კავკასიის ხალხებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიების თავმჯდომარე; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ატლასის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი; აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და აშშ-ის კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე (2008–10).

ვ. შამილაძე იკვლევდა ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების პრობლემებს, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის ზოგადთეორიულ საკითხებს, ისტორიული ეთნოლოგიის, ეთნოლოგიის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის

პრობლემებს. გამოცემული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, წერილი, სტატია ქართულ და უცხოურ ენებზე; მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებში.

ვ. შამილაძე იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1989), სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრი (1990); აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი (1990–91).

1995–99 და 1999–2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 43-ე აუდიტორიას მიენიჭა ვ. შამილაძის სახელი (2011).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქის წოდება.



შარაშენიძე თინათინ (25. V. 1919, ქუთაისი, – 1. VI. 1983, თბილისი), ენათმეცნიერი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1968). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი კავკასიური და აღმოსავლური ენების სპეციალობით (1939). სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თსუ-სა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას (1957 წლიდან). იყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის „საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის საბჭოს“ წევრი. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (I–VIII, 1950–64) მომზადებაში, იყო VI ტომის თანარედაქტორი (სახელმწიფო პრემია ლექსიკონის სხვა რედაქტორებთან ერთად).

თ. შარაშენიძე იკვლევდა ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიული ენათმეცნიერების პრობლემებს. მისი ნაშრომები ეხება ენის ისტორიასა და მეთოდოლოგიურ საკითხებს, აშუქებდა უახლეს ტენდენციებს ენათმეცნიერებაში. ზოგადი თეორიული საკითხების გადაწყვეტისას გამოყენებული აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა. მონოგრაფია „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები“ (1958) ფუნდამენტური გამოკვლევაა ზოგად ენათმეცნიერებაში. თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემების კვლევის ძირითადი შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიაში „თანამედროვე ენათ-

მეცნიერების თეორიული საკითხები“ (1972). მისივე რედაქტორობით გამოვიდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების კრებული „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“ (1966–1980). თ. შარაშენიძის ნაშრომთა ნაწილი გამოქვეყნდა უცხოეთის ლინგვისტურ ჟურნალებსა და კრებულებში.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



შარაძე გურამ (17. X. 1940, გურიანთა, ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 20. V. 2007, თბილისი), ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1977). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992).

1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1966–67 წლებში იყო თსუ-ის რუსთაველის კაბინეტის თანამშრომელი, 1967–72 წლებში – ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, 1973–75 წლებში – სწავლული მდივანი, 1975–78 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1978–85 წლებში – ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე, 1985–92 წლებში – ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე, 1992 წლიდან – ქართული ემიგრანტული მწერლობის განყოფილების გამგე, 1992–93 წლებში – ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, 1994–95 წლებში – თსუ-ის ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი, 1981 წელს იმყოფებოდა ოქსფორდში უორდროპების კოლექციის შესასწავლად.

1987 წლიდან იყო საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტი, 1989 წლიდან – ი. მაჩაბლის საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე, 1995–2004 წლებში – საქართველოს მე-4 და მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი. 1999 წელს შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“,

ხოლო 2001 წელს – მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოება“.

1987–90 წლებში გამოაქვეყნა ორტომეული ფუნდამენტური ნაშრომი ი. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლისთვისაც მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. მიღებული აქვს მ. აბაშიძის (1994) და ნ. ბერძენიშვილის (1995) სახელობის პრემიები, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2000).



შენგელაია გურამ (27.V. 1925, თბილისი, – 28. VI. 2002, იქვე), გეოფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1992).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (1949). იყო გეოფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი ინჟინერი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1949–61), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი (1961–79), გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1979–82), გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებული სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსი (1982 წლიდან).

გ. შენგელაიას ნაშრომები ეხება დედამიწის ქერქის გრავიტაციულ მოდელებს, მისი სამგანზომილებიანი გრავიტაციული მოდელების აგების მეთოდებს და სხვ.

გ. შენგელაია იყო აშშ-ისა (1991) და ევროპა-აზიის (1994) გეოფიზიკური საზოგადოებების წევრი.

მიღებული აქვს მ. ალექსიძის პრემია (1994), ღირსების ორდენი (2000).



შენგელია ვაჟა (დ. 4. X. 1940, თბილისი), ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2002), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009).

1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1969–72 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი; 1972–75 წლებში – სწავლული მდივანი; 1975–86 წლებში – უფროსი, ხოლო 1986–87 წლებში – წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი; 1987–2006 წლებში – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 2006 წლიდან – ამავე ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი და ინსტიტუტის ძირითადი ორგანოს, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთავარი რედაქტორი; 2018–23 წლებში – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1980–2010 წლებში კითხულობდა ლექციებს თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა კათედრაზე.

ვ. შენგელიას სამეცნიერო ინტერესების სფეროა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ, განსაკუთრებით, აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. ავტორია მონოგრაფიისა „ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი“ (2006).

მიღებული აქვს ა. ჩიქობავას სახელობის პრემია (2008).



შველაშვილი არსენ (30. III. 1935, სოფ. ზემო ალვანი, ახლანდელი ახმეტის მუნიციპალიტეტი, – 23. VI. 1999, თბილისი), ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1979), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998).

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის სპეციალობით (1958). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში ლაბორანტად (1958-60); სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ნ. კურნაკოვის სახ. ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში (1961–65); შემდეგ საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად (1965–79); იყო პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსნაერთთა ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, იმავდროულად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოარაორგანული და ბიოფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე (1979 წლიდან).

ა. შველაშვილი იკვლევდა ლითონთა კოორდინაციული ნაერთების სინთეზსა და თვისებებს. არის სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი. იყო კრისტალოგრაფთა საერთაშორისო კავშირისა (1992 წლიდან) და ი. მენდელეევის საზოგადოების პრეზიდიუმის (1996 წლიდან) წევრი. ეწეოდა

ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საქართველოს სახელმწიფო პრემია მიღებული აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1987–94 წლებში შესრულებულ ნაშრომთა ციკლისათვის – „ლითონთა კოორდინაციული ნაერთები: სინთეზი – აღნაგობა – თვისება“.



შხვაცაბაია გიორგი (12. XI. (25. XI). 1904, ქუთაისი, – 16. III. 1993, თბილისი), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის მეცნიერი. სპორტსმენი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1951), პროფესორი (1951), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა (1955) და სსრკ-ის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის (1956) წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1957–64), მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1961).


დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აგრონომიული ფაკულტეტი (1930). მუშაობდა მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიკისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში (1930–41), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (1941 წლიდან), იყო მოსავლის ასაღები მანქანების კათედრის გამგე (1952–93).

გ. შხვაცაბაიას სამეცნიერო ნაშრომები ეხება სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოცდასა და მათი გამოსაცდელი ხელსაწყოების შექმნას. შეიმუშავა მუშაობისა და ენერგიის გამზომი ახალი მოწყობილობები, კერძოდ, აგროქიმიური ანალიზების ასაღებად ნიადაგის ნიმუშების მოსამზადებელი პორტატიული ხელსაწყო და სხვ., რომლებმაც ფართო გამოყენება პოვეს სოფლის მეურნეობაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მ. შ. 3 მონოგრაფია და 5 სახელმძღვანელო.

გ. შხვაცაბაია XX საუკუნის 20-იან წლებში თამაშობდა ფეხბურთს თბილისის „დინამოში“, იყო ამიერკავკასიის ჩემ-

პიონი 60, 100 და 200 მეტრზე რბენაში. გახდა პირველი საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი მძლეოსნობაში (1928); 1929 წელს დაამყარა საკავშირო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში (1929) და გახდა პირველი საკავშირო რეკორდსმენი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეზო-სავანეში დგას მისი ბიუსტი.



ჩარკვიანი დავით (დ. 17. VII. 1944, თბილისი), პედაგოგი, ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001).

1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, 1969–74 წლებში იყო ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციალური ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი, 1972–74 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1974–76 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1977–81 წლებში – ამავე ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის ლაბორატორიის გამგე, 1985–88 წლებში – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1996 – 2000 წლებში – თსუ-ის შრომის ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი, 1990–2007 წლებში – ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2007–09 წლებში – დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, 2007–11 წლებში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

დ. ჩარკვიანის ინტერესების სფეროა განწყობის ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია. 1989 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სოციალური განწყობის ფუნქციური და სტრუქტურული მახასიათებლები“.

დ. ჩარკვიანის თეორიულ და ემპირიულ გამოკვლევებში ზოგადი, სოციალური, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხებია შესწავლილი; მრავალმხრივაა გაანალიზებული შემეცნებითი თავსებადობის ფსიქიკური მექანიზმი, გამოყოფილია მისი სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლები.

ადამიანის სოციალური მოქმედების მნიშვნელოვანი მახასიათებლები კომუნიკაციური წინააღმდეგობის თავისებურებათა გათვალისწინებით არის შესწავლილი. საყურადღებოა გამოკვლევები ალბათური მსჯელობების შესახებ, სადაც დადგენილია მსჯელობის კონტექსტის სპეციფიკური პარამეტრები. გარდა ამისა, შესწავლილია ე. წ. „რეტროსპექციული აზროვნება“, რომლის ექსპერიმენტული შესწავლის მნიშვნელობა ისაა, რომ მისი ფსიქიკური მექანიზმის გათვალისწინება, მოუქნელ მსჯელობასთან შედარებით, უფრო მოქნილი განსჯის კანონზომიერებათა დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

საყურადღებოა ისეთი საკითხების გამოკვლევები, როგორიცაა სპეციალიზაციის არჩევის დეტერმინანტები, შრომითი განწყობები და ორგანიზაციის კლიმატი, შრომითი განწყობები და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, ორგანიზაციისადმი ადაპტაციის სტადიები. გათვალისწინებულია შრომითი განწყობის კავშირი არასამუშაო დროის მნიშვნელოვან მახა-

სიათებლებთან, რაც შრომის სუბიექტის, როგორც მთლიანი პიროვნების მრავალმხრივი დახასიათების საწინდარი ხდება.

მიღებული აქვს დ. უზნაძის სახელობის პრემია (2011) მონოგრაფიისთვის „ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“.



ჩივაძე გივი (24. IV. 1936, თბილისი, – 12. II. 1996, იქვე), ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1981), პროფესორი (1985), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. 1958 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა (1982-96 – ორგანული კატალიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრაზე (1976–96).

გ. ჩივაძის სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეხება ორგანული კატალიზის საკითხებს. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის (ქ. არეშიძესთან ერთად; 1974) და ა. თვალჭრელიძის სახელობის (1993) პრემიები.

ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



ჩიძავა ლეო (20. II. 1928. სოფ. კოკი, ახლანდელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 11. VII. 2015, თბილისი), ეკონომისტი, პოლიტიკური მოღვაწე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1994), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1986).

1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტი. 1955–69 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) პოლიტიკური ეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი; 1969–74 წლებში – ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, 1974–83 – პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე; 1983–90 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 1991–2006 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი; 1997 წლიდან – პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორი; 1999 წლიდან – სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა და ეგრისის სამეცნიერო აკადემიების ნამდვილი წევრი (ორივე – 1995).

ლ. ჩიქავა მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორია, რომლებიც ეძღვნება ეკონომიკური თეორიის, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო ჟურნალ „Общество и Экономика“-ს (მოსკოვი), ქართული ჟურნალების: „მაკრო მიკროეკონომიკის“, „დემოგრაფიის“, „ეკონომიკის“, „მაცნეს“ (ეკონომიკის სექცია) სარედაქციო კოლეგიების წევრი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე (1993), საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის, აგრეთვე დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი, საქართველოს ეკონომიკის, ეკოლოგიურ მეცნიერებათა და ეგრისის სამეცნიერო აკადემიების (ორივე – 1995), აგრეთვე ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1997).

1990–91 წლებში ლ. ჩიქავა იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია (2012).



ჩიძოვანი კონსტანტინე (ბონდო) (26. VI. 1928, სოფ. ჩხორია, ახლანდელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1960, თბილისი), ნეიროქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1947), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955), ნეიროქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში.

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ახლანდელი თსსუ), 1934 წლამდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიის კლინიკაში. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ჰოსპიტლის წამყვანი ნეიროქირურგი. 1946–48 წლებში ხელმძღვანელობდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნეიროქირურგიის განყოფილებას, 1948–52 წლებში კი – კარდიოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ განყოფილებას, პარალელურად (1943 წლიდან) – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ნეიროქირურგიის კურსს. 1949–53 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1958–60 წლებში – კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში ნეიროქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი.

ძირითადად იკვლევდა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ქირურგიულ პათოლოგიას.



ჩიხრაძე ნიკოლოზ (დ. 20. IX. 1958, სოფ. კოღოთო, ახლანდელი ახმეტის მუნიციპალიტეტი), სამთო საქმის, მასალათმცოდნეობისა და აფეთქების ტექნოლოგიების დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (2013), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1975 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). იმავე წლიდან მუშაობს სამთო მექანიკის ინსტიტუტში (ამჟამად გ. წულუკიძის სახ. სამთო ინსტიტუტი) სხვადასხვა თანამდებობაზე. 2003–06 წლებში იყო დირექტორის მოადგილე, 2006 წლიდან დირექტორი.

ავტორია ნაშრომებისა: სამთო წარმოებასა და თავდაცვის სფეროში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერებების ჰიდროდინამიკური, თერმოდინამიკური, ენერგეტიკული და ტექნოლოგიური მახასიათებლების დადგენა; მეთანისა და მტვრის აფეთქების მიმართ საშიშ გარემოში ავარიული აფეთქების იდენტიფიკაციის მეთოდების სრულყოფა; აფეთქების ენერგიის ჩახშობის მეთოდების შემუშავება და დამცავი სისტემების საპროექტო პარამეტრების დადგენა; მიწისქვეშა ნაგებობებში ტერორისტული და თერმობარული აფეთქებებისგან დამცავი სტრუქტურების შემუშავება, დაპროექტება, გამოცდა და ანალიზი; საბრძოლო მასალების უტილიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული ენერგეტიკული მასალების გადამუშავება და მათი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება;

სხვადასხვა კომპოზიციის ლითონური და კერამიკული ფხვნილების აფეთქებით კონსოლიდაცია; ნანოსტრუქტურული და მაღალენტროპიული მოცულობითი კომპოზიტური მასალების სინთეზი და სხვ.

მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (2020).



ჩხიკვიშვილი დავით (23. II. 1921, სოფ. გუთური, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 8. XII. 1987, თბილისი) ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1981).

იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. სწავლობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში (1946–48), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1950). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში (1948–54). იყო საქართველოს კომპარტიის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი (1954–55), ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე (1955–56), ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი (1956–57), კულტურის მინისტრი (1957–61), ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტისა (1961–69) და თსუ-ის (1972–80) რექტორი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი (1981–87).

დ. ჩხიკვიშვილი იკვლევდა სსრკ ისტორიის, სოციალიზმის თეორიის, კულტურისა და ხელოვნების საკითხებს. იყო ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ მე-4–11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი.



ცაგარეიშვილი გური (25. XI. 1934, ქუთაისი, – 14. V. 1998, თბილისი), მეცნიერი მეტალურგიის დარგში. დოქტორი (1972), პროფესორი (1976), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985).

1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი სტუ) მეტალურგიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში (1958–98) ლაბორატორიის გამგედ (1966 წლიდან), სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილედ (1990 წლიდან); საქართველოს მასალათმცოდნეობის საზოგადოების პრეზიდენტად (1996 წლიდან).

გ. ცაგარეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად მოიცავს მასალათმცოდნეობის, მყარი სხეულის ფიზიკისა და არაორგანული ქიმიის დარგებს. ჩატარებული აქვს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კომპლექსური კვლევები მაღალი სისუფთავის კრისტალური ბორისა და ბორის ფუძეზე მასალების მისაღებად, მათი სტრუქტურისა და თვისებების შესასწავლად. მისი შექმნილია ახალი მეცნიერული მიმართულება – ბორის თეორიული და გამოყენებითი მასალათმცოდნეობა. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას.

მიღებული აქვს გ. ნიკოლაძისა (1980) და პ. მელიქიშვილის (1992) სახელობის პრემიები.



ცაიშვილი სარგის (20. XII. 1929, თბილისი, – 18. V. 1992, იქვე), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983).

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1966–84 წლებში იყო შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი; 1984 წლიდან – ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 1964 წლიდან – ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; 1986 წლიდან – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

მისი კვლევის ობიექტი იყო ქართული მწერლობა, რუსთველოლოგია, მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას. აღსანიშნავია ს. ცაიშვილის ფუნდამენტური გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიაზე, მონოგრაფიები შოთა რუსთაველზე, დავით გურამიშვილსა და ბესიკზე. ავტორია წერილების და ესეისტური ნარკვევებისა თანამედროვე ქართველ მწერლებზე. აქტიურად მონაწილეობდა სპორტულ ცხოვრებაში, იყო სსრკ-ის სპორტის ოსტატი (1955), საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე (1983).

მიღებული აქვს კ. კეკელიძის სახელობის (1989) და საქართველოს მწერალთა კავშირის (1977) პრემიები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ძიძარია გიორგი [23. IV. (6. V) 1914, სოფ. ლიხნი, ახლანდელი გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 1. V. 1988, სოხუმი], ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1974), საქართველოს სსრ (1961) და აფხაზეთის ასსრ-ის (1964) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

დაამთავრა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1939). იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თავდაპირველად უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1953–57), დირექტორი (1966–88). 1939 წლიდან კითხულობდა ლექციებს სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (რექტორი – 1957–66), XIX–XX სს. აფხაზეთის ისტორიის ლექციების კურსს – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (დაარსდა 1979) და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხელმძღვანელობდა სსრკ ისტორიის კათედრის ფილიალს.

გ. ძიძარია ძირითადად იკვლევდა აფხაზეთის, აგრეთვე საქართველოსა და კავკასიის XIX–XX საუკუნეების ისტორიას.

იყო სსრკ მე-6, მე-7 და მე-8 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XVII–XVIII ყრილობების დელეგატი. საქართველოს კომპარტიის

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავმჯდომარე. საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის და საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



წერეთელი თინათინ (7. VIII. 1903, სოფ. ცხრუკვეთი, ახლანდელი ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 8. VI. 1980, თბილისი), იურისტი, მეცნიერი, პედაგოგი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1951), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1960). სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი.

1922–26 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. 1929–30 წლებში იყო საქართველოს დამცველთა კოლეგიის (ახლანდელი ადვოკატთა ასოციაცია) წევრი. 1934–39 წლებში მუშაობდა სისხლის სამართლის კათედრაზე; 1948 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე.

თ. წერეთელი იყო საქართველოში პირველი იურისტი ქალი, რომელსაც სისხლის სამართალში მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდება. 1950–52 წლებში ეკავა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა; 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას.

დიდია თ. წერეთლის დამსახურება დანაშაულის ცნების სტრუქტურის სწორად გააზრებაში, რაც სისხლის სამართლის სისტემის საფუძველს წარმოადგენს. წლების განმავლობაში მეცნიერს მწვავე პაექრობა ჰქონდა ამ საკითხებზე საბჭოური

სისხლის სამართლის კორიფეებთან. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სისხლის სამართლის, მისი საპროცესო კოდექსებისა და სასამართლოს შესახებ კანონპროექტების მომზადებაში. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკური და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი; იკვლევდა სისხლის სამართლის ზოგად თეორიულ პრობლემებს და საფუძვლებს, დანაშაულისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

თ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი; ჟურნალების „საბჭოთა სამართლის“ და „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი.

თ. წერეთლის მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (1961); „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965); „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ (1966); „მოძღვრება დანაშაულზე“ (1969, ტომი I გ. ტყეშელიაძესთან ერთად);

თსუ-ის იურიდულ ფაკულტეტზე შექმნილია თ. წერეთლის სახელობის საზოგადოება.



წერეთელი ოთარ (22. XI. 1926, ახალციხე, – 30. V. 1991, თბილისი), მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988); საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1988).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1949). 1950 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს (1956–57), უფროს (1957–85) მეცნიერ თანამშრომლად, ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილების გამგედ (1985–91) და საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში (1953–56).

ო. წერეთლის სამეცნიერო ინტერესებს განეკუთვნებოდა ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი, ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი, აბსტრაქტული ჰარმონიული ანალიზი, ზომის თეორია. მანვე შემოიღო Zp კლასები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მისივე შექმნილ ფუნქციათა მეტრიკულ თეორიაში. ო. წერეთელმა ფუნდამენტური შედეგები მიიღო შემდეგი საკითხების შესწავლისას: შეუღლებული და ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციების მეტრიკული თვისებები, შიდა ანალიზური ფუნქციების თვისებები, ბორელის არაუარყოფითი ზომის ჰილბერტის გარდაქმნის განაწილების ფუნქციები, ფურიეს მწკრივთა უპირობოდ

კრებადობა, A-ინტეგრალი, ფურიეს (A) მწკრივი და სხვა. მის მიერ მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთის რეიტინგულ ჟურნალებში.

ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



წილოსანი ზურაბ (18. VI. 1921, ლანჩხუთი, – 9. II. 1990, თბილისი), საშენ მასალათა და მასალათა მექანიკის დარგის მეცნიერი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979).

დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (1945). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში (1946 წლიდან). იყო ამავე ინტიტუტის ბეტონის ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის განყოფილების გამგე (1954 წლიდან). ჟურნალ „მეცნიერებისა და ტექნიკის“ მთავარი რედაქტორი (1959 წლიდან).

ზ. წილოსანის ნაშრომები ეხება საშენ მასალათა (უმთავრესად ბეტონის) სიმტკიცისა და დეფორმაციული თვისებების განმსაზღვრელი ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების შესწავლას, ბეტონის დეფორმირებადობის პოლიგრაფიული მეთოდებით კვლევას, მოდიფიცირებული ბეტონების შესწავლასა და სხვ.

1981 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია ტექნიკის დარგში.



ჭავჭავაძე ნიკო (ნიკოლოზ), (5.V. 1923, ყვარელი, – 15.II.1997, თბილისი), ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979).

1940 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. არმიიდან დაბრუნების შემდეგ დაასრულა უნივერსიტეტში სწავლა. 1949 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1967–97 წლებში იყო მისი დირექტორი. ნ. ჭავჭავაძემ ინსტიტუტში საფუძველი ჩაუყარა იმდროინდელ საბჭოთა ფილოსოფიურ სინამდვილეში უპრეცედენტო მოვლენას – ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და კულტურის ფილოსოფიური პრობლემების კვლევას. იყო საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის რედაქტორი, სხვადასხვა ფილოსოფიური ჟურნალის რედაქციის წევრი, თსუ-ის ესთეტიკის კათედრის გამგე (1984–91); მისი ინიციატივით ამავე კათედრასთან შეიქმნა კულტურის ფილოსოფიის კვლევის ლაბორატორია, რომელის საფუძველზეც ჩამოყალიბდა კულტუროლოგიის სპეციალობა.

1990–91 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღ-

დგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1992 წელს იყო სახელმწიფო საბჭოს, ხოლო 1992–95 წლებში – საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი.

ნ. ჭავჭავაძის ნაშრომები ძირითადად ეხება ესთეტიკის, ღირებულებათა თეორიისა და კულტურის ფილოსოფიურ პრობლემებს. მისი ხელშეწყობითა და თაოსნობით განვითარდა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, კულტურის ფილოსოფია, აქსიოლოგია. იგი თავისი მეცნიერული საქმიანობით, მკაცრი პოლემიკური სტატიებით ცდილობდა ნამდვილი სახით აღედგინა ესთეტიკა ქართულ თუ საბჭოურ სააზროვნო სივრცეში. მის პირველ წიგნში „ესთეტიკის საკითხები“ (1957) ახლებურადაა დაყენებული და გადაწყვეტილი ამ დარგის პრობლემები, ხოლო მეორე ნაშრომში – „ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის“ (1963), ავტორმა განავითარა ორიგინალური კონცეფცია ესთეტიკის ღირებულებითი გაგების შესახებ (აღსანიშნავია, რომ მსგავსი თვალსაზრისი თითქმის იმავე პერიოდში განავითარა გერმანელმა ფილოსოფოსმა ნ. ჰარტმანმა); 1977 წელს გამოცემულ წიგნში – „ესთეტიკის მეთოდოლოგიისათვის“ – შეჯამებულია მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა, განხილულია ესთეტიკის კვლევის მეთოდები და მისი მნიშვნელობა ესთეტიკისა და ფილოსოფიისათვის, ხოლო 1983 წელს გამოცემულ წიგნში „კულტურა და ღირებულებები“ (რუსულ ენაზე) წარმოჩენილია ქართული ფილოსოფიური სკოლის ორიგინალური და მაღალი აკადემიური დონე.

ნ. ჭავჭავაძის გარშემო გაერთიანდა ახალგაზრდა თაობა, რომელსაც შემდგომ „ახალი ფილოსოფიური ტალღის“ სახელით მოიხსენიებდნენ არა მხოლოდ იმდროინდელ საბჭოთა სამეცნიერო წრეებში, არამედ უცხოეთშიც.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია ყვარელში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესიაში.



ჭანიშვილი შალვა (20. III. 1900, ქუთაისი, – 13.VIII. 1986, თბილისი), აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1951), პროფესორი (1953), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1959).

1923 წელს დაამთავრა მილანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1923–26 წლებში აგრონომიის განხრით მუშაობდა საფრანგეთში. 1926–42 წლებში საქართველოში მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობაზე და ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 1942–52 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერების განყოფილების სწავლული მდივანი, 1952–58 წლებში – საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგროქიმიური განყოფილების გამგე, 1958 წლიდან მოღვაწეობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრაზე.

შ. ჭანიშვილმა შეისწავლა საქართველოს მინდვრის კულტურების თესვა-მოყვანის მეცნიერული საფუძვლები, გამოიკვლია თესლბრუნვისა და ნიადაგის დამუშავების სისტემების საკითხები. მისი ნაშრომები ეძღვნება საცდელი საქმის მეთოდიკას მემცენარეობაში, ზოგად მიწათმოქმედებაში და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჭელიძე ვლადიმერ (2. III. 1906, სოხუმი, – 15. VI. 1978, თბილისი), მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1951), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი(1967).საქართველოსმეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) და მუშაობა განაგრძო იქვე. იყო ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის გამგე (1950–78); პარალელურად 1948 წლიდან მუშაობდა ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში (დირექტორი – 1951–52 წლებში).

ვ. ჭელიძის ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიას. მან ააგო, ფართო გაგებით, დანჟუას ორმაგი ინტეგრალის თეორია; ჯერად მწკრივთა და L2-კლასის ფურიეს ორმაგ მწკრივთა თეორიაში მიიღო შეჯამებადობისა და თითქმის ყველგან კრებადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები; შეისწავლა ვარიაციათა აღრიცხვის ძირითადი ამოცანა სივრცის შემთხვევაში, განაზოგადა ჰაარისა და დიუბუა-რეიმონის კლასიკური შედეგი და სხვ.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფია, სახელმძღვანელოები მათემატიკურ ანალიზსა (3 ტომად) და ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიაში. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.



ხანანაშვილი ლოტარ (10. III. 1930, თბილისი, – 7. XII. 2005, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1975), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979).

დაამთავრა მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სილიკატური ტექნოლოგიების ფაკულტეტი (1953). იყო მოსკოვის ელექტროტექნიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1958–59); მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1959–74), პროფესორი (1975–78); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალმოლეკულური ნაერთების კათედრის გამგე (1978 წლიდან).

ლ. ხანანაშვილის კვლევები ეხება ჰეტეროციკლური ნაერთების სინთეზს და გარდაქმნებს; ელემენტორგანული მონომერებისა და პოლიმერების ტექნოლოგიას. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, 130 გამოგონების, 5 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, 30 საზღვარგარეთის პატენტის მფლობელი.

მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1983); ღირსების ორდენი (2000).



ხატისაშვილი გიორგი (დ. 18. 1. 1963, მცხეთა), ბიოლოგი, ქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024). საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2020).

1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი (1984–89), უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1989–93), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი (1993–2000), წამყვანი (2000–06) და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2006–09). 2009 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ბიოლოგიური ჟანგვის ლაბორატორიას. 2006–11 წლებში იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საბუნებისმეტყველო ჯგუფის კონსულტანტი ქიმიაში, 2011 წლიდან – ქიმიის ჯგუფის უფროსი, 2013–15 წლებში – საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ქიმიის პროგრამის ხელმძღვანელი, 2015–23 წლებში – საქართველოს აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი.

იყო საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის წევრი (2012), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (2011–17), ასისტენტ-პროფესორი

(2017–20), 2020 წლიდან კი სრული პროფესორია.

გ. ხატისაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ეკოლოგიური ბიოქიმია, ქიმიურად დაბინძურებული გარემოს რემედიაციის ტექნოლოგიები, გარემოს ქიმიური დაბინძურების მონიტორინგი, ქსენობიოტიკთა დეტოქსიკაციის მექანიზმები. არის მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო დიპლომი (2022) და ღირსების ორდენი (2013).



ხახუტაიშვილი დავით (16. I. 1924, სოფ. ალამბარი, ახლანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 27. II. 1999, ბათუმი), ისტორიკოსი, არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი (1951). იყო ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1954–95), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე (1977), ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1978–99). 1949 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ვაშნარი, უჯარმა, ბიჭვინთა, წიწამური, ხოვლე, უფლისციხე, ქობულეთ-ფიჭვნარი, გონიო-აფსაროსი, ბათუმის ციხე, პეტრა-ციხისძირი, შავიზღვისპირა დიუნური დასახლებები, ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი, ყულევი და სხვ.).

დ. ხახუტაიშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება ადრინდელი ქალაქების ისტორიის და არქეოლოგიის, რკინის ადრინდელი მეტალურგიისა და ადრინდელი რკინის ხანის საზოგადოების საკითხებს.

იყო რუსთაველის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე (1988–90), საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1989–90).

არის ბათუმის საპატიო მოქალაქე (1981).

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).



ხელაშვილი ანზორ (დ. 19. VIII. 1938, სოფ. კარდანახი, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1983), პროფესორი (1987), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ქ. დუბნის (რუსეთის ფედერაცია) ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში (1962–65); იყო თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უმცროსი (1965–69) და უფროსი (1969–73) მეცნიერი თანამშრომელი; მაღალი ენერგიების ფიზიკის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის გამგე (1973–81); მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ველის კვანტური თეორიის ლაბორატორიის გამგე (1981–86); თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე (1986–95), პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში (1993-2005); ფიზიკის ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე (1995–2006); არის თსუ-ის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი (2006 წლიდან), იმავდროულად მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგე (2007 წლიდან), აშშ-ის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის წევრი (1998).

ა. ხელაშვილის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი

სფეროა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და ველის კვანტური თეორია, აგრეთვე კვანტური მექანიკის ფუნდამენტური პრობლემები, კვანტური ქრომოდინამიკა და სტანდარტული მოდელი, მრავალი ნაწილაკის პრობლემები (ფადეევის ტიპის ალტერნატიული განტოლებები, გაფანტვის თეორია, არაწრფივი მოვლენების ფიზიკა), სოლიტონები, ინსტანტონები, მონოპოლები და სხვა ტოპოლოგიური წარმონაქმნები. გამოქვეყნებული აქვს 3 მონოგრაფია, რამდენიმე სახელმძღვანელო და სამეცნიერო ნაშრომები რეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), ფ. ნანსენის საერთაშორისო ფონდის ოქროს მედალი (2002), ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (2005) და ი. ვეკუას სახელობის პრემია (2010).



ხომიზურაშვილი ნიკოლოზ (19. IX. 1900, თელავი, – 1. II. 1971, თბილისი), აგრონომი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1955), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). საქართველოში სამრეწველო მეხილეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1925 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) აგრონომიული ფაკულტეტი. 1925–28 წლებში მუშაობდა გერმანიისა და საფრანგეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სასელექციო სადგურებში. 1932 წლიდან იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრის გამგე, 1935–36 წლებში – ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში, 1940–60 წლებში – კონტინენტური მეხილეობის კათედრის გამგე და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის დეკანი, 1960–71 წლებში – საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად შემოიტანეს ნაგალა ხეხილი.

ნ. ხომიზურაშვილმა დაამუშავა ხეხილის საყვავილე კვირტების ჩასახვა-განვითარების თეორია. დიდი წვლილი მიუძღვის „საქართველოს მეხილეობის ოთხტომეულის“ გამოცემაში (1969–78). ავტორია ნაშრომისა „მეხილეობა“ (1952–57).

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ხუციშვილი გივი (11. I. 1921, თბილისი, – 6. VIII. 1979, იქვე), ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1955), პროფესორი (1956). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1997).

1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და 1942–48 წლებში იქვე განაგრძო მუშაობა. შემდეგ მოღვაწეობდა მოსკოვში, ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტში (1948–51), სადაც მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ლ. ლანდაუ. 1951–79 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში უძღვებოდა თეორიული ფიზიკის განყოფილებას (1958–79).

გ. ხუციშვილი არის მყარ სხეულებში მაგნიტურ-რეზონანსული მოვლენების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი კლასიკური გამოკვლევები ეხება ბირთვული მაგნიტური რეზონანსისა და მყარ სხეულებში ბირთვული სპინების დიფუზიის, პოლარიზაციისა და რელაქსაციის თეორიებს. შექმნა კონდენსირებულ გარემოთა რადიოსპექტროსკოპიის თბილისის სკოლა, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი იყო საბჭოთა კავშირში. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ფიზიკოსთა საერთაშორისო საზოგადოება „ამპერის“ კომიტეტის წევრი (1967 წლიდან).

გ. ხუციშვილს მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1970).



ჯავახიშვილი ალექსანდრე (31. VIII. 1917, სოფ. ხოვლე, ახლანდელი კასპის მუნიციპალიტეტი, – 22. X. 1997, თბილისი), არქეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1976). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983).

1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი. იყო ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერი თანამშრომელი (1942 წლიდან), ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1943–44), ამავე მუზეუმის სწავლული მცველი (1944–48), სწავლული მდივანი (1948–52), ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების გამგე (1952–54), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1954–56), ფეოდალურამდელი ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგე (1956–73), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1973–97).

ა. ჯავახიშვილი ძირითადად იკვლევდა საქართველოსა და კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებს, განსაკუთრებით, მტკვარ-არაქსის კულტურას. მისი მონაწილეობით გაითხარა ქვაცხელებისა და ხიზანაანთ გორის ადრინდელი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი (1954–64), შულავრის, იმირისა და ხრამის დიდი გორის ადრინდელი სამიწათმოქმედო ხანის (1965–71) და ბერიკლდეების (1979–83) ნამოსახლარები. აღნიშნული ნამოსახლარები საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლის სრულყოფილი დონით კავკასიასა და

მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ეტალონად ითვლება.

ა. ჯავახიშვილის ნაშრომების უმეტესობა საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურის შესწავლას ეძღვნება. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-სა და სამხატვრო აკადემიაში.

იყო საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი (1995–97). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჯაოშვილი ვახტანგ [25. II. (9. III.), 1914, დაბა ბელასუვარი, ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა, – 26. III. 1997 თბილისი], ეკონომგეოგრაფი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1978), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971).

1938 წელს დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნიკური ფაკულტეტი, 1941 წელს – მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობაზე. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში (1939-45). 1953 წლიდან იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი; 1967–77 წლებში – მოსახლეობის გეოგრაფიული ლაბორატორიის გამგე, ხოლო 1978 წლიდან – ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1980).

ვ. ჯაოშვილის ნაშრომები ეძღვნება ეკონომიკური გეოგრაფიის, მოსახლეობისა და განსახლების, გეოგრაფიისა და ქალაქთმცოდნეობის საკითხებს.

იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების პ. სემიონოვ-ტიანშანსკის სახელობის ოქროს მედალი (1970) და სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ჯაფარიძე ლევან (15. XI. 1920, ქუთაისი, – 14. IV. 2000, თბილისი), ელექტროქიმიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1976), პროფესორი (1979), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1980, სხვებთან ერთად).

1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ქიმიის ფაკულტეტი. 1942–56 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში; 1956 წლიდან იყო რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1980–94), დირექტორის მრჩეველი (1995 წლიდან).

ლ. ჯაფარიძის ნაშრომები ძირითადად ეხება დენის ელექტროქიმიური წყაროების აქტიური მასების მიღების საკითხებს. ავტორია სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიის; მიღებული აქვს 35 საავტორო მოწმობა და პატენტი.

მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები.



ჯაფოშვილი გიორგი (დ. 3. XI. 1970, თბილისი), ბიოლოგი, ზოოლოგი, ენტომოლოგი, ეკოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (1999), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2024).

1993 წელს დაამთავრა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი (ახლანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). 1993-97 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში.

1992–99 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უხერხემლო ცხოველთა ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი, 1999–2006 წლებში – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 2000–03 წლებში ლექციებს კითხულობდა ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

2006-10 წლებში ქ. ისპარტაში (თურქეთი) იყო ს. დემირელის უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მცენარეთა დაცვის განყოფილების ასოცირებული პროფესორი, 2010–13 წლებში – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენტომოლოგიისა და ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრის დირექტორი, 2010–11 წლებში – სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ენტომოლოგიის ასოცირებული პროფესორი; 2012 წელს – უხერხემლოთა კვლევის ცენტრის თავმჯდომარე. 2013 წლიდან არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; იმავდროულად (2017 წლიდან) თეთრიწყლების უხერხემლოთა კვლევის ცენტრის

გამგეობის თავმჯდომარე და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (2013).

სამეცნიერო კვლევებს ეწეოდა ბრიტანეთისა (ლონდონი) და მადრიდის ბუნებისმეტყველების მუზეუმებში, კუიმბრას (პორტუგალია), მასაჩუსეტსის (ამჰერსტი, აშშ), კიუშუს (ფუკუოკა, იაპონია) უნივერსიტეტებში. აღწერილი აქვს მეცნიერებისთვის ახალი 70-ზე მეტი მწერის სახეობა.

მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ხოლო 2023 წელს თავად იყო კოქციდიოზის შესახებ მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზატორი. არის 7 საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი (2020).



ჯეგაშვილი იოველ (12. VI. 1923, სოფ. პატარა ონი, ახლანდელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 2. II. 1998, თბილისი), მანქანათმცოდნეობისა და მანქანათმშენებლობის დარგის მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988).

1945 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი სტუ). 1960–98 მუშაობდა რ. დვალის სახ. მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში – იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი (1962–72, 1985–98).

მისი სამეცნიერო ნაშრომები ეხება სამთო პირობებში მომუშავე შიგაწვის ძრავების თეორიის საკითხებს; მან საფუძვლიანად გამოიკვლია სამთო პირობებში ავტომობილის ძრავათი დამუხრუჭების პროცესი, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე დაამუშავა ავტომობილის სამთო მუხრუჭ-შემანელებლის ახალი, ორიგინალური მეთოდი, რომლის საფუძველზე შექმნილმა სამთო მუხრუჭმა წარმატებით გაიარა გამოცდები საქართველოს მთაგორიან გზებზე. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქვეყანაში პირველად (1982–87) დამუშავდა და დამზადდა ქუთაისის სატრაქტორო ქარხნისათვის მცირე სიმძლავრის შიგაწვის ძრავების საპილოტე ნიმუშები: 5 კვტ სიმძლავრის მქონე ბენზინზე მომუშავე ძრავა და 13 კვტ სიმძლავრის დიზელის ძრავა.

რ. დვალის სახელობის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის შიგაწვის ძრავების განყოფილებას მიენიჭა მისი სახელი.



ჯიოევი (ჯიოითი) ოთარ (16. II. 1928, თბილისი, – 24. VIII. 1999, იქვე), ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983).

1945–49 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1950 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1951–54 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1955–57 წლებში მუშაობდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1957 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, 1970 წლიდან გარდაცვალებამდე – ამავე ინსტიტუტის ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების გამგედ (შემდგომში კულტურის ფილოსოფიის განყოფილება). 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1983–92 წლებში შეთავსებით მუშაობდა ცხინვალის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ო. ჯიოევი ძირითადად მუშაობდა ისტორიის, კულტურის, სოციალური ფილოსოფიისა და აქსიოლოგიის მიმართულებით. მისი სამეცნიერო ინტერესის სფერო იყო კულტურის ფილოსოფია და ღირებულების ფილოსოფიური პრობლემა.

ო. ჯიოევს განხილული და გააზრებული აქვს ყველა ის საკითხი, რომელიც კულტურას უკავშირდება: კულტურა და ბუნება, კულტურა და საზოგადოება, კულტურა და ადამიანი,

კულტურა და ცივილიზაცია, კულტურა და ტრადიციები და სხვა. მის შემოქმედებაში ძირითადი და უმნიშვნელოვანესი იყო ღირებულებების პრობლემა.

ო. ჯიოევი ღრმად და მრავალმხრივ განიხილავდა ადამიანის მიმართებას საზოგადოებასთან. ადამიანის ღირებულებით ორიენტაციებზე მსჯელობისას ის ითვალისწინებდა არა მხოლოდ ფილოსოფიის სფეროში არსებულ შეხედულებებს, არამედ ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მონაცემებსაც.

ო. ჯიოევს დიდი წვლილი მიუძღვის კ. მეგრელიძის, როგორც ფილოსოფიისა და დიდი მოაზროვნის წარმოჩენისა და საზოგადოებისთვის გაცნობის საქმეში. მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა განიხილა ლ. ალთუსერისა და ბ. კროჩეს ფილოსოფიები; მნიშვნელოვანია მისი შეხედულება ჯ. როუზზე, ფ. ჰაიეკზე. ჯ. კეინზზე.

აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998).



ჯორბენაძე ბესარიონ (31. VIII. 1942, თბილისი, – 10. V. 1993, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), პროფესორი (1981), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი (1988).

1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1962–64 წლებში პარალელურად სწავლობდა ლიეტუვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1969 წლიდან იყო თსუ-ის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგე, 1982–85 წლებში – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, 1985–87 წლებში – თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1987 წლიდან გარდაცვალებამდე – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

ბ. ჯორბენაძე იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული იბერიულ-კავკასიურ ენათა სამეცნიერო საბჭოსა და ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერია) რედაქტორის მოადგილე.

1988–89 წლებში ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელმაც

შეიმუშავა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. თსუ-ში დააარსა და ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუდმივმოქმედ სემინარს – „საენათმეცნიერო საუბრები“. მისი რედაქტორობით გამოიცა ამ სემინარის 3 კრებული (1978, 1980, 1983).

ბ. ჯორბენაძე იკვლევდა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკვანძო საკითხებს, ზმნისა და სახელის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის არსებით მომენტებს, ქართული დიალექტოლოგიის ზოგად პრობლემებსა და თავად დიალექტებს, ქართველურ ენათა ფონემატურ, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებს, ზოგადი და ქართული ონომასტიკის აქტუალურ საკითხებს, მხატვრული ტექსტის მეცნიერული ანალიზის პრინციპებს.

1996 წელს მონოგრაფიისათვის „ქართული დიალექტოლოგია“ მიენიჭა ა. შანიძის სახელობის პრემია.



ჯორბენაძე სერგო (18. IV. 1926, სოფ. ლესა, ახლანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 4. IV. 1998, თბილისი), იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1983), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1983).

1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი. 1966–86 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი; 1952–98 წლებში – სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, აგრეთვე საკონსტიტუციო და 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიების წევრი. იყო საქართველოს ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი სამოქალაქო კოდექსის შექმნის ინიციატორი და კომისიის თავმჯდომარე.

მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: „საბჭოთა საოჯახო სამართალი“ (1957), „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში“ (1963), „ქორწინება და განქორწინება“ (1970), „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია (1918–68)“, „თბილისის უნივერსიტეტი: განვლილი გზა“ (1973), „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“ (1981, 1984), „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“ (1988).

არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი და რედაქტორი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის (ხუთ წიგნად) პირველი წიგნის „სამო-

ქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი“ თანაავტორი (2002).

იყო ქართული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მრჩეველი.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (1995) და ღირსების ორდენი (1995).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჯოხაძე დავით (27. V. 1927, სოფ. ჭანდარა, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 26. XII. 2004, თბილისი), ბიოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1988), საქართველოს სახელმწიფო პრემიიის ლაურეატი (2000).

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიოლოგიის ფაკულტეტი, 1952 წელს – ასპირანტურა. 1952–62 წლებში ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ევოლუციის თეორიასა და ზოგად ბიოლოგიაში. 1962–68 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1968–69 წლებში – ფიზიკის ინსტიტუტის ბიოპოლიმერების ფიზიკის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად; 1969 წლიდან მოღვაწეობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1971 წლიდან ხელმძღვანელობდა ბირთვის ბიოქიმიის განყოფილებას, შემდგომ – თავისივე დაარსებულ მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიას. პარალელურად 1982 წლიდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, იყო გენეტიკის კათედრის პროფესორი. აქტიურად თანამშრომლობდა ვ. ენგელგარტის სახ. მოლეკულური ბიოლოგიის, ი. კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის, ვ. პალადინის სახ. კიევის ბიოქიმიის ინსტიტუტებთან და

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან.

დ. ჯოხაძის ნაშრომები ძირითადად ეხება უმაღლესი ორგანიზმების გენომის ფუნქციონირების მოლეკულური მექანიზმების კვლევას, უჯრედის ბირთვებისა და ქლოროპლასტების გენეტიკური სისტემების შედარებით მოლეკულურ-ბიოლოგიურ დახასიათებას. მან გამოავლინა სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე ქსოვილის (თავის ტვინის მაგალითზე) სტრუქტურულ-ფუნქციურად განსხვავებულ უჯრედთა ბირთვების არათანაბარი ტრანსკრიფციული აქტივობა, რნმ-პოლიმერაზის ძირითადი ფორმების განსხვავებული განაწილება ამ ბირთვებში, ფერმენტის რაოდენობრივ-თვისებრივი ცვლილებები ჰორმონების გავლენით, რითაც გამოვლინდა გენომის შერჩევით მოქმედებაში ჰორმონების მონაწილეობის ერთ-ერთი გზა. მანვე დაახასიათა მცენარეული უჯრედის ბირთვებისა და ქლოროპლასტების გენომის ზოგიერთი ბიოქიმიური თავისებურება. მისი ნაშრომები აგრეთვე ეხება საქართველოში ბიოლოგიის, კერძოდ, დარვინიზმის ისტორიის საკითხებს.

დ. ჯოხაძე აქტიურად თანამშრომლობდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციასთან, იყო მრავალი მნიშვნელოვანი სტატიის ავტორი.

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლითა (1997) და ღირსების ორდენით (1999).

დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ჯუსოითი ნაფი (27. II. 1925, სოფ. ნოგყაუ, ახლანდელი ჯავის მუნიციპალიტეტი, – 30. VI. 2017, ვლადიკავკაზი, რუსეთი), ოსი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. ჩრდილო ოსეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (2013).

1950 წელს დაამთავრა კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1945 წელს, ლექსების პირველი კრებული კი – 1949 წელს. ავტორია ლექსთა კრებულებისა – „სიტყვა გულისა“ (1953), „ლირიკა“ (1955), „მე დავიბადე მთებში“ (1960) და სხვ.; მოთხრობებისა და რომანებისა – „წინაპართა სისხლი“ (1969), „სირდონის ცრემლები“ (1979) და სხვ.; ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების წიგნისა „სიტყვის ხელოვნებისათვის“ (1966). მან პირველმა მოამზადა ს. გადიევის, ე. ბრიტაევის, ტ. მამსუროვისა და ოსური ლიტერატურის სხვა კლასიკოსების ნაშრომთა პირველი სამეცნიერო გამოცემები, კერძოდ, მონოგრაფიებად გამოსცა „კოსტა ხეთაგუროვი“ (1958), „სეკა გადიევი“ (1958), „ელბადდუკო ბრიტაევი“ (1963), „არსენ კოცოიტი“ (1964), „ცომაკ გადიევი“ (1965), „ნიგერი“ (1992) და სხვ. ოსურ ენაზე თარგმნა ა. პუშკინის, ტ. შევჩენკოს, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა ნაწარმოებები.

მიღებული აქვს კ. ხეთაგუროვის სახელობის პრემია (1979), საპატიო ნიშნის ორდენი (1984) და ა. პუშკინის მედალი (2008).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრები

აბაევი ვასილ, კავკასიოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

აბდულაევი ისა, ენათმეცნიერება, 2018 წლის 13 დეკემბერი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

აიუბი ბილალ, ინჟინერია, 2023 წლის 10 მაისი, საინჟინრო მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

ალიევი მამედ, ონკოლოგია, 2013 წლის 24 სექტემბერი, მედიცინის განყოფილება, აზერბაიჯანი.

ალიევი ჯამილ, ონკოლოგია, 2010 წლის 29 ივნისი, მედიცინის განყოფილება, აზერბაიჯანი.

ალკენი პიტერ, უროლოგია, 2018 წლის 5 ივნისი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, გერმანია.

ანდრეევი ალექსანდრე, დაბალი ტემპერატურებისა და კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა, 2002 წლის 20 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ანდრეევი ლევ, მცენარეთა ინტროდუქცია და აკლიმატიზაცია, 2002 წლის 20 ივნისი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ასფალგი იულიუს, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

ბაი ჩუნლი, ქიმიური ნანოტექნოლოგიები, 2018 წლის 21 დეკემბერი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, ჩინეთი.

ბაიერი ჰორსტ, მექანიკა, 2015 წლის 2 აპრილი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, გერმანია.

ბალანსარდი გი, ფარმაკოქიმია, 2002 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, საფრანგეთი.

ბარ-იოსეფი ოფერ, არქეოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, გაერთიანებული სამეფო.

ბასოვი ნიკოლოზ, ფიზიკა, 1996 წლის 28 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ბენ-ავრაჰამი ზვი, გეოფიზიკა, 2021 წლის 24 დეკემბერი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება ისრაელი.

ბლუმი ვინფრიდ, ნიადაგმცოდნეობა, 2009 წლის 11 დეკემბერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, ავსტრია.

ბოგოლუბოვი მიხეილ, ენათმეცნიერება, 2002 წლის 20 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ბოედერი ვინფრიდ, ენათმეცნიერება, 2002 წლის 20 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

ბოკერია ლეო, კარდიოლოგია, 2012 წლის 29 ივნისი, მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ბრაუნი იან, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ვარშავა.

ბუაჩიძე გასტონ, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, 2010 წლის 28 დეკემბერი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, საფრანგეთი.

ბუსლაევი იური, ფიზიკური ქიმია, 1996 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, ლატვია.

ბჰანუ ჯენა, ნანობიომეცნიერება, 2012 წლის 29 ივნისი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

გამზათოვი ჰაჯი, ლიტერატურათმცოდნეობა, 2010 წლის 29 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

გასიკი მიხეილ, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა, 2002 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, უკრაინა.

გაფუროვი შახრუდინ, ისტორია, 2018 წლის 13 დეკემბერი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

გაჯიევი ასაფ, მათემატიკა, 2025 წლის 23 ივლისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, აზერბაიჯანი.

გელოვანი ვიქტორ, სისტემური ანალიზი და მათემატიკური მოდელირება, 2002 წლის 20 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

გიპერტი იოსტ, ენათმეცნიერება, 2019 წლის 17 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

გოგიჩაიშვილი ავთანდილ, გეოფიზიკა, 2013 წლის 30 ოქტომბერი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, მექსიკა.

გოლდანსკი ვიტალი, ფიზიკური ქიმია, 1996 წლის 28 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

დავიდი იცხაკ, ისტორია, 1996 წლის 28 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ისრაელი.

დავიდოვი მიხეილ, მედიცინა, 2011 წლის 29 ივნისი, მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

დურა ნიკოლაე, თეოლოგია და ფილოსოფია, 2016 წლის 26 აპრილი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, რუმინეთი.

ედმუნდსი დავიდ, მათემატიკა, 2017 წლის 6 ივლისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, გაერთიანებული სამეფო.

ელიშაკოვი ისააკ, გამოყენებითი მექანიკა, 2010 წლის 29 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, აშშ.

ეპელბაუმი ლევ, გეოფიზიკა, 2023 წლის 5 მაისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, ისრაელი.

ერენდორფერი ფრიდრიხ, ბოტანიკა, 1996 წლის 28 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, ავსტრია.

ესბროკი მიშელ ვან, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

ვაშაყმაძე ლევან, მედიცინა, 2016 წლის 18 ივლისი, მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ზიკიკი ანტონინო, ფიზიკა, 1996 წლის 28 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, იტალია.

თავართქილაძე გიორგი, აუდიოლოგია, 2019 წლის 17 ივნისი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

იანშინი ალექსანდრე, გეოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

იასტროვი ოტო, სემიტოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

იოსელიანი დავით, კარდიოლოგია, 2017 წლის 6 ივლისი, მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ისახანლი ჰამლეტ, გამოყენებითი მექანიკა, 2021 წლის 24 დეკემბერი, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, აზერბაიჯანი.

ისმაილოვი ელდარ, გეოეკონომიკა, 2012 წლის 29 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, აზერბაიჯანი.

იუსიფზადე ხოშბახთ ბაგი ოღლი, გეოლოგია, 2010 წლის 29 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, აზერბაიჯანი.

კადიშევსკი ვლადიმერ, ფიზიკა, 2002 წლის 20 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, ლატვია.

კლიოსოვი ანატოლი, ბიოქიმია, 2014 წლის 17 იანვარი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, აშშ.

კოგუში თეო, ფილოსოფიის ისტორია, 2002 წლის 20 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, გერმანია.

კოკაია მერაბ, ნეიროფიზიოლოგია, 2017 წლის 6 ივლისი, მედიცინის განყოფილება, შვედეთი.

კოსტიუკი პლატონ, ნეიროფიზიოლოგია და ბიოფიზიკა, 1996 წლის 28 ივნისი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, უკრაინა.

კოტლიაკოვი ვლადიმერ, ჰიდროლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

კროპინსკი ანდრიუ, მიკრობიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, 2010 წლის 29 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, კანადა.

კროხინი ოლეგ, კვანტური რადიოფიზიკა და პლაზმის ფიზიკა, 2002 წლის 20 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

კუზნეცოვი ვლადიმერ, აგრობიოტექნოლოგია, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ფიზიოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ლაიტმანი ჯორჯ, მართვის პროცესები, 1996 წლის 28 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, აშშ.

ლან იუბინ, მცენარეთა დაცვა, 2019 წლის 31 იანვარი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, ჩინეთი.

ლერნერი კონსტანტინე, ენათმეცნიერება, 2016 წლის 26 აპრილი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ისრაელი.

ლეფორი ჟაკ, ისტორია, 1996 წლის 28 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, საფრანგეთი.

ლი ჩაიმინგი, ინჟინერია, 2023 წლის 7 ივნისი, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, ჩინეთი.

ლინდვალი ულე, ნევროლოგია, 2010 წლის 28 დეკემბერი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, შვედეთი.

ლიონსი ჟაკ-ლუი, მათემატიკა, 1996 წლის 28 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, საფრანგეთი.

ლოგუნოვი ანატოლი, ფიზიკა, 1996 წლის 28 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ლუნკენჰაიმერი პაულ პეტერ, ექსპერიმენტული კარდიოქირურგია, 2002 წლის 20 ივნისი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, გერმანია.

მაგაროტო ლუიჯი, ქართველოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, იტალია.

მაგერამოვი აბელ მამედ-ოღლი, ორგანული ქიმია, 2013 წლის 30 ოქტომბერი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, აზერბაიჯანი.

მაე ჟან-პიერ, ფილოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, საფრანგეთი.

მაზია ვლადიმერ, მათემატიკა, მექანიკა, 2013 წლის 30 ოქტომბერი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, გაერთიანებული სამეფო.

მაირჰოფერი მანფრედ, ენათმეცნიერება, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ავსტრია.

მანგი ჰერბერტ, თეორიული და გამოყენებითი მექანიკა, 2010 წლის 28 დეკემბერი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, ავსტრია.

მარჩუკი გური, ატმოსფეროს ფიზიკა, 1996 წლის 28 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მატვეევი ვიქტორ, ფიზიკა, 2015 წლის 2 აპრილი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მესხი ბესარიონ, შრომის დაცვა, 2012 წლის 29 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მილანოვსკი ევგენი, გეოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მინდელი ლევან, მეცნიერების განვითარების მართვა და პროგნოზირება, 2010 წლის 28 დეკემბერი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მირზაბეკოვი ანდრეი, მოლეკულური ბიოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მირონოვი სერგეი, მედიცინა, 2002 წლის 20 ივნისი, მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მიხაილოვსკი ანატოლი, ფიზიკა, 2013 წლის 30 ოქტომბერი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

მოიზიში ბურკჰარდ, შუა საუკუნეების ფილოსოფია, 2002 წლის 20 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, გერმანია.

ნამბუ იოჩირო, ფიზიკა, 1996 წლის 28 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, იაპონია.

ნეფედოვი ოლეგ, ორგანული ქიმია, 1996 წლის 28 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ნიკოლაევი ალექსი, სეისმოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ოსიპოვი იური, მექანიკა და მართვის პროცესები, 1996 წლის 28 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

პარცინგერი ჰერმან, არქეოლოგია, 2023 წლის 5 მაისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, გერმანია.

პატონი ბორის, მეტალურგია და ლითონთა ტექნოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, უკრაინა.

პრივალოვი პეტრე, მოლეკულური ბიოლოგია, 2011 წლის 17 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

პროხოროვი იური, ალბათობის თეორია, შემთხვევით პროცესთა თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, 2002 წლის 20 ივნისი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ჟანგი ტიეჟუ, მანქანათმშენებლობა, 2019 წლის 31 იანვარი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, ჩინეთი.

ჟუკოვსკი ვლადისლავ, მართვის პროცესები, 2002 წლის 20 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

რეივენი პიტერ, ბოტანიკა, 2002 წლის 20 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

რთველაძე ედვარდ, ისტორია, არქეოლოგია, 2010 წლის 28 დეკემბერი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, უზბეკეთი.

რინგიულერი რაინერ, სამედიცინო რადიოლოგია, 2010 წლის 28 დეკემბერი, მედიცინის განყოფილება, ავსტრია.

როკეტლიშვილი მიხეილ, ეკონომიკა, 2002 წლის 20 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

სადოვნიჩი ვიქტორ, ინფორმატიკა და გამოყენებითი ტექნიკა, 2002 წლის 20 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

სამხარაძე თამაზ, ეკოლოგიური სისტემები და ხელსაწყოები, 2010 წლის 28 დეკემბერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

სარელი მერაბ (იზრაელაშვილი), ქირურგი-ონკოლოგი, 2012 წლის 29 ივნისი, მედიცინის განყოფილება, ისრაელი.

სარქისიანი ფადეი, რადიოტექნიკა, მართვის ავტომატიზირებული სისტემები და გამოთვლითი ტექნიკა, 2002 წლის 20 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, სომხეთი.

სეფიაშვილი რევაზ, იმუნოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

სიმონოვი პავლე, ნეიროფიზიოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

სინგჰი ვიჯაი პ., ბუნების დაცვა, საინჟინრო ეკოლოგია, ჰიდროლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

სკოპენკო ვიქტორ, არაორგანული ქიმია, 2002 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, უკრაინა.

სკოროხოდი ვალერი, არაორგანულ ნივთიერებათა მასალათმცოდნეობა, 2015 წლის 2 აპრილი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, უკრაინა.

სონგი იუანდა, ბიოქიმია, 2023 წლის 5 მაისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, ჩინეთი.

სპირინი ალექსანდრე, მოლეკულური ბიოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

სტარი ფრედერიკ, პოლიტიკური მეცნიერებანი, 2015 წლის, 2 აპრილი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

სტრადინში იანის, ელექტროქიმია და მეცნიერების ისტორია, 2002 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, ლატვია.

უნგერი ფელიქს, კარდიოლოგია, 2009 წლის 11 დეკემბერი, მედიცინის განყოფილება, ავსტრია.

უტიე ბერნარ, ქართველოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, საფრანგეთი.

უშიდა სუნაო, ფიზიოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, იაპონია.

ფარზალიევი ვაგიფ, ქიმია, 2022 წლის 14 აპრილი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, აზერბაიჯანი.

ფენრიხი ჰაინც, ენათმეცნიერება, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

ფორტოვი ვლადიმერ, თბოფიზიკა, 2002 წლის 20 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ფრანგიშვილი დავით, ვირუსოლოგია, 2011 წლის 17 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, საფრანგეთი.

ფროლოვი კონსტანტინე, მანქანათმშენებლობა, 1996 წლის 28 ივნისი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

შარაშიძე გიორგი, ქართველოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, საფრანგეთი.

შახტახტინსკი თორგულ, ნავთობის ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, აზერბაიჯანი.

შენ იუში, ინჟინერია, 2023 წლის 7 ივნისი, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, ჩინეთი.

შმიდტი კარლ ჰორსტ, ქართველოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

შმიტი რუდიგერ, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1996 წლის 28 ივნისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, გერმანია.

ჩეხანოვერი აარონ, ბიოლოგია, 2012 წლის 29 ივნისი, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება, ისრაელი.

ჩილაჩავა რაულ, ლიტერატურა, 2016 წლის 18 ოქტომბერი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, უკრაინა.

ცივაძე ასლან, ქიმია და არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, 2002 წლის 20 ივნისი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ხაინი ვიქტორ, გეოდინამიკა და გლობალური ტექტონიკა, 1996 წლის 28 ივნისი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ ესტატე, მათემატიკა, 2016 წლის 26 აპრილი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, ახალი ზელანდია.

ᲮᲣᲑᲣᲢᲘᲐ მოგელი, ტრანსპლანტოლოგია, 2016 წლის 26 აპრილი, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ გივი, მანქანათმშენებლობა, 2016 წლის 26 აპრილი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, რუსეთის ფედერაცია.

ᲯᲝᲑᲐᲫᲔ ვახტანგ, ისტორია,1996 წლის 28 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

ᲯᲝᲜᲡᲘ სტივენ, პოლიტოლოგია და სოციოლოგია, 2010 წლის 29 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

ᲰᲐᲑᲘᲑᲔᲘᲚᲘ ისა, ფილოლოგია, 2024 წლის 10 ივლისი, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, აზერბაიჯანი.

ᲰᲝᲢᲪᲘ გიუნტერ, ინფორმატიკა, 2011 წლის 15 ნოემბერი, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება, გერმანია.

ᲰᲣᲛᲔᲚᲘ გერდტ, თეოლოგია, 1996 წლის 28 ივნისი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, აშშ.

ᲰᲣᲢᲔᲜᲑᲠᲘᲜᲙᲘ კარლ-ბერნდ, ოტორინოლარინგოლოგია, 2011 წლის 17 ივნისი, მედიცინის განყოფილება, გერმანია.

სარჩევი

85 წელი ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 3

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები 5

აბაშიძე გრიგოლ 6
აბაშიძე ირაკლი 8
აბდუშელიშვილი მალხაზ 11
აგლაძე რაფიელ 12
ადამია რობერტ 14
ალადაშვილი ალექსანდრე 15
ალექსიძე გურამ 17
ალექსიძე ზაზა 19
ალექსიძე ლევან 21
ალექსიძე მერაბ 24
ამაღლობელი ნოდარ 25
ამირანაშვილი შალვა 27
ანდრონიკაშვილი ელეფთერ 29
ანდრონიკაშვილი თეიმურაზ 31
არაბული ავთანდილ 32
არაყიშვილი დიმიტრი 35
არეშიძე ქრისტეფორე 38
ასათიანი ვალერიან 40
ასათიანი ვლადიმერ 42
აფაქიძე ანდრია 44
ახვლედიანი გიორგი 47
ბალავაძე ბენედიქტე 49
ბარამიძე ალექსანდრე 50
ბაქრაძე კონსტანტინე 53
ბახტაძე ქსენია 56
ბახუტაშვილი ვლადიმერ 57
ბერიკაშვილი ნოდარ 59
ბერიტაშვილი ივანე 60
ბერიძე ვახტანგ 63
ბერიძე თენგიზ 66

ბერძენიშვილი ნიკოლოზ 68
ბიწაძე ანდრია 72
ბოკუჩავა მიხეილ 74
ბოჭორიშვილი ანგია 75
ბრეგვაძე ბაჩანა 77
ბუიშვილი ლევან 80
ბურჭულაძე თენგიზ 81
გაბუნია ლეონიდე (ლეო) 82
გავარდაშვილი გივი 84
გამსახურდია კონსტანტინე 86
გამყრელიძე ერეკლე 89
გამყრელიძე თამაზ 91
გამყრელიძე პეტრე 96
გამყრელიძე რევაზ 97
გაჩეჩილაძე რევაზ 99
გახოკიძე რამაზ 101
გველესიანი გურამ 102
გვერდწითელი ირაკლი 104
გიგაური გიორგი 106
გიორგაძე გრიგოლ 108
გოგიაშვილი ომარ 110
გომელაური ვახტანგ 112
გორგილაძე ლეონიდე 114
გორდეზიანი რისმაგ 115
გრიშაშვილი იოსებ 118
გუგუშვილი პაატა 121
გულისაშვილი ვასილ 124
გუნია ავთანდილ 125
გურგენიძე დავით 127
დავითაია თეოფანე 130
დავითაშვილი ლეო 132
დვალი რაფიელ 134
დიდებულიძე ალექსანდრე 136
დოლიძე ისიდორე 138
დურმიშიძე სერგი 140
ერისთავი კონსტანტინე 142
ვახანია ნიკოლოზ 144

ვეკუა აბესალომ 146
ვეკუა ილია 148
ვეკუა ნიკოლოზ 150
ზაალიშვილი თენგიზ 152
ზაალიშვილი მალხაზ 154
ზავრიევი კირიაკ 157
ზაიცევი ფილიპე 159
ზურაბაშვილი ავლიპ 161
თავაძე გიორგი 163
თავაძე ფერდინანდ 165
თავხელიძე ალბერტ 167
თავხელიძე დავით 170
თაყაიშვილი ექვთიმე 171
თევზაძე გურამ 175
თვალჭრელიძე ალექსანდრე 177
თვალჭრელიძე გიორგი 179
თოდუა ფრიდონ 181
თოფურია ვარლამ 183
იმედაძე ირაკლი 186
ინასარიძე ხვედრი 188
იოსელიანი თეიმურაზ 190
კაკაბაძე მიხეილ 192
კალანდაძე ანა 194
კაჭარავა ივანე 196
კაჭარავა იური 197
კეკელიძე კორნელი 198
კეკელიძე ნოდარ 202
კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) 203
კვარაცხელია გუჩა 205
კვარაცხელია ტარასი 207
კვესიტაძე გიორგი 208
კვინიხიძე ალექსანდრე 211
კილურაძე ივანე 213
კოკილაშვილი ვახტანგ 215
კოპალეიშვილი თეიმურაზ 217
კორახაშვილი ავთანდილ (ბიძინა) 219
კუპრაძე ვიქტორ 221

კუფტინი ბორის 223
ლანდია ნიკოლოზ 224
ლეონიძე გიორგი 226
ლოლაძე თეიმურაზ 230
ლომთათიძე ქეთევან 232
ლომინაძე ჯუმბერ 234
ლორთქიფანიძე დავით 236
ლორთქიფანიძე ვაჟა 238
ლორთქიფანიძე მარიამ 240
ლორთქიფანიძე ოთარ 242
მამასახლისოვი ვაგან 244
მანაგაძე ლავრენტი 245
მაჭავარიანი მუხრან 247
მახალდიანი ვახტანგ 250
მახვილაძე ლევან 251
მელიქაძე ლეონიდე 252
მელიქიშვილი გიორგი 253
მელიქიშვილი ლიანა 255
მენაბდე ვლადიმერ 257
მერაბიშვილი ინესა 258
მერაბიშვილი მერაბ 261
მეტრეველი ელენე 263
მეტრეველი როინ 265
მეძმარიაშვილი ელგუჯა 268
მითაგვარია ნოდარ 271
მირიანაშვილი მათე 274
მირცხულავა ცოტნე 275
მიქელაძე დავით 277
მიქელაძე ირაკლი 278
მიქელაძე შალვა 280
მუსხელიშვილი დავით 282
მუსხელიშვილი ნიკოლოზ 284
მუხაძე გრიგოლ 287
ნადარაია ელიზბარ 289
ნადარეიშვილი კიაზო 291
ნადირაშვილი შოთა 293
ნათაძე რევაზ 295

ნათიშვილი ალექსანდრე 297
ნათიშვილი ოთარ 299
ნანეიშვილი ბიძინა 300
ნანეიშვილი თეიმურაზ 301
ნასყიდაშვილი პეტრე 303
ნატრიაშვილი თამაზ 305
ნერსესიანი ალექსანდრე 307
ნუცუბიძე ნოდარ 309
ნუცუბიძე შალვა 311
ოკუჯავა ვაჟა 314
ონიანი თენგიზ 316
ონიაშვილი ოთარ 318
პავლიაშვილი სოლომონ 319
პაპავა ვლადიმერ 321
პაპუნიძე ვანო 324
ჟიჟიაშვილი ლევან 326
ჟორდანია ირაკლი 327
ჟღენტი ვლადიმერ 329
საბაშვილი მიხეილ 331
სადუნიშვილი თინათინ 332
სალუქვაძე მინდია 334
სალუქვაძე რევაზ 336
სამსონია შოთა 338
სამუშია ჯაბა 339
სანაძე გივი 341
სანაძე თენგიზ 343
სეხნიაშვილი ემილ 345
სვანიძე გივი 346
სილაგაძე ავთანდილ 348
სილაგაძე აპოლონ 350
სოსიაშვილი გიორგი 352
სოსნოვსკი დიმიტრი.....354
სხირტლაძე ნიკოლოზ 355
ტაბიძე გალაკტიონ 356
ტატიშვილი ირაკლი 360
უგრეხელიძე მინდია 362
უზნაძე დიმიტრი 364

ურუშაძე თენგიზ 367
ფიფია ეგნატე 369
ფიცხელაური კონსტანტინე (კიაზო) 371
ფრანგიშვილი ალექსანდრე 373
ფრანგიშვილი არჩილ 375
ფრანგიშვილი დავით 378
ფრანგიშვილი ივერი 380
ქადეიშვილი თორნიკე 383
ქავთარაძე პეტრე 384
ქაცარავა რამაზ 385
ქევანიშვილი ზურაბ 387
ქემერტელიძე ეთერ 389
ქომეთიანი პეტრე 391
ქუთათელაძე იოველ 393
ღუდუშაური ოთარ 395
ყანჩაველი ლევან 397
ყაუხჩიშვილი თინათინ 399
ყაუხჩიშვილი სიმონ 401
ყაჭიაშვილი ქართლოს 403
ყიფშიძე ნიკოლოზ 405
ყიფშიძე ნოდარ 406
შანიძე აკაკი 408
შანიძე მზექალა 413
შაქარიშვილი რომან 415
შენგელაია ალექსანდრე 417
შენგელაია დემნა 419
შენგელია დავით 421
შენგელია პავლე 423
შენგელია რამაზ 425
შილაკაძე თამაზ 427
ჩაგელიშვილი გიორგი 429
ჩანტლაძე ვასილ 430
ჩიტაია გიორგი 432
ჩიქობავა არნოლდ 434
ჩოგოვაძე გოჩა 437
ჩოლოყაშვილი სოლომონ 439
ჩუბინაშვილი გიორგი 440

ცაგარელი არჩილ 442
ცინცაძე გივი 443
ცინცაძე ნოდარ 445
ციციშვილი გიორგი ვლადიმერის ძე 447
ციციშვილი გიორგი შალვას ძე 449
ციციშვილი ვლადიმერ 451
ძიძიგური არჩილ 453
ძიძიგური შოთა 455
ძოწენიძე გიორგი 457
წერეთელი გიორგი 459
წერეთელი ზურაბ 461
წერეთელი კონსტანტინე 464
წინამძღვრიშვილი მიხეილ 466
წულუკიძე ალექსანდრე 469
წულუკიძე გრიგოლ 470
ჭავჭანიძე ვლადიმერ 472
ჭანიშვილი თეიმურაზ 474
ჭანკვეტაძე ბეჟან 476
ჭელიძე თამაზ 478
ჭილაშვილი ლევან 480
ჭიჭინაძე ვახტანგ 481
ჭოლოშვილი გიორგი 483
ხაზარაძე ნანა 485
ხანანაშვილი მიხეილ 487
ხარაზიშვილი ალექსანდრე 489
ხარატიშვილი გურამ 491
ხარაძე გიორგი 493
ხარაძე ევგენი 495
ხაჭაპურიძე გიორგი 497
ხეჩინაშვილი სიმონ 498
ხეცურიანი რამაზ 500
ხეცურიანი ჯონი 502
ხვედელიძე ბორის 505
ხვინგია მიხეილ 507
ხიდაშელი შალვა 508
ხინთიბიძე ელგუჯა 510
ხოშტარია-ბროსე ედიშერ 513

ხუროძე რამაზ 514
ჯავახიშვილი ალექსანდრე 516
ჯავახიშვილი ნინო 518
ჯაველიძე ელიზბარ 520
ჯანაშია სიმონ 522
ჯანბერიძე ნოდარ 525
ჯანელიძე ალექსანდრე 527
ჯანელიძე გიორგი 529
ჯაფარიძე გიორგი 530
ჯაფარიძე კოხტა.....532
ჯაფარიძე ლევან აბელის ძე.....534
ჯაფარიძე ლევან ივანეს ძე 536
ჯაფარიძე ოთარ 537
ჯაფარიძე შოთა 539
ჯაფარიძე ჯონდო 541
ჯიბლაძე გიორგი 543
ჯიბუტი მიხეილ 544
ჯიქია სერგი 546
ჯორჯაძე ირაკლი 548

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები 550

აბელიშვილი ლევან 551
აბრალავა ანზორ 552
აბულაძე ილია 554
ალექსიძე ნუგზარ 556
ალიბეგაშვილი გიორგი 558
ამაშუკელი ელგუჯა 560
ამირხანაშვილი კობა 562
ანდრონიკაშვილი მზია 564
ანჩაბაძე ზურაბ 565
ასათიანი არჩილ 567
ასლანიკაშვილი ალექსანდრე 568
ბათიაშვილი ირაკლი 570
ბაკურაძე ალექსანდრე 572
ბალაძე დურსუნ 573

ბანცური რევაზ 574
ბარათაშვილი ილია 576
ბარამიძე კონსტანტინე.....577
ბასილაძე გივი 578
ბეთანელი კონსტანტინე 580
ბერიძე ვუკოლ 581
ბერძენიშვილი მერაბ 583
ბექაია გურამ.....585
ბოლაშვილი ნანა 587
ბრაჭული ირაკლი 589
ბუაჩიძე იოსებ 590
გაბაშვილი ვალერიან 592
გაბაშვილი ნიკოლოზ 594
გაბრიჩიძე გურამ 596
გეგელია თენგიზ 597
გედევანიშვილი გიორგი 599
გედევანიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე.....600
გედევანიშვილი დიმიტრი პანტელეიმონის ძე.....601
გვახარია ალექსანდრე 602
გვერდწითელი ილია 604
გიგინეიშვილი ივანე 605
გოგიჩაიშვილი გიორგი 608
გოკიელი ლევან.....609
გორდეზიანი მარლენ 611
გურგენიძე გურამ 612
დარასელია მიხეილ 614
დეკანოსიძე თამარ 615
დეკაპრელევიჩი ლეონარდ 617
დიდებულიძე ალექსანდრე 618
დონდუა კარპეზ 620
დოღონაძე რევაზ 622
დუმბაძე მამია 623
ელიავა ირაკლი 624
ერისთავი (სიდამონ-ერისთავი) დიმიტრი 626
ვაჩნაძე (გურგენიშვილი) გიორგი 627
ზარიძე გიორგი 628
ზაქარაია პარმენ 630

ზურაბიშვილი ირაკლი....632
თავხელიძე დავით....633
თოთიბაძე გიორგი (გოგი)....635
თოფურია გურამ....637
თოფჩიშვილი მირიან....639
თუმანიშვილი გრიგოლ (გივი)....641
იავიჩი მაქსიმ....643
იამანიძე თამაზ....645
ინწკირველი გიორგი (გივი)....646
იოსელიანი გიორგი....648
კახაძე ივანე....651
კიკნაძე არჩილ....652
კილაძე როლან....654
კობიძე დავით....656
კოდუა ედუარდ....657
კოლაკოვსკი ალფრედ....659
ლაღიძე რამაზ....660
ლომოური იულონ....662
ლორთქიფანიძე გურამ....663
მაისაძე ფერანდო....664
მაცულევიჩი ლეონიდ....666
მაჭარაშვილი თეიმურაზ....667
მელიქიშვილი ირინე....668
მელქაძე ვალერიან....670
მერაბიშვილი პეტრე....672
მესტვირიშვილი მირიან....674
მესხი ალექსანდრე....676
მესხია შოთა....678
მინდელი ელიზბარ....679
მიქელაძე მერაბ....680
მოსიძე ვახტანგ (ვათა)....681
მოსტკოვი მიხეილ....682
მუხაძე გიორგი....683
მჭედლიშვილი (მჭედლოვ-პეტროსიანი) ოთარ....684
მჭედლიძე გურამ....686
ნადირაძე ელდარ....687
ნარიკაშვილი სერგი....689

ნაფეტვარიძე შიო 691
ნახუცრიშვილი გიორგი 692
ნემსაძე ქეთევან 694
ნიორაძე გიორგი 696
ოკლეი ლეონიდე 698
ოკუჯავა მიხეილ 699
რობაქიძე ალექსანდრე 701
რუბინშტეინი მარკ 703
რჩეულიშვილი მიხეილ 704
სარჯველაძე ზურაბ 706
სიგუა სოსო 708
სირაძე რევაზ 710
სურგულაძე აკაკი 712
სხირტლაძე ზაზა 715
ტატაშიძე ზურაბ 717
ტატიშვილი გრიგორ.....719
ტატიშვილი ნუგზარ 721
უგრეხელიძე დევი 722
ფაღავა ირაკლი 724
ფაღავა ყარამან 725
ფირაშვილი თეიმურაზ 727
ფიფია ვახტანგ 729
ფიცხელაური შენგელი 730
ქავთარაძე რევაზ 733
ქარსანოვი ნიკოლოზ 735
ქომეთიანი ზურაბ 737
ქუთათელაძე კალისტრატე 739
ღუდუშაური ირაკლი 740
ყიფშიძე ნიკოლოზ 741
ყრუაშვილი ზაურ 743
ყურაშვილი ბორის.....744
შამილაძე ვახტანგ.....746
შარაშენიძე თინათინ.....748
შარაძე გურამ 750
შენგელაია გურამ.....752
შენგელია ვაჟა.....753
შველაშვილი არსენ 754

შხვაცაბაია გიორგი 756
ჩარკვიანი დავით 758
ჩივაძე გივი 761
ჩიქავა ლეო 762
ჩიქოვანი კონსტანტინე 764
ჩიხრაძე ნიკოლოზ 765
ჩხიკვიშვილი დავით 767
ცაგარეიშვილი გური 768
ცაიშვილი სარგის 769
ძიძარია გიორგი 770
წერეთელი თინათინ 772
წერეთელი ოთარ 774
წილოსანი ზურაბ 776
ჭავჭავაძე ნიკო (ნიკოლოზ) 777
ჭანიშვილი შალვა 779
ჭელიძე ვლადიმერ 780
ხანანაშვილი ლოტარ 781
ხატისაშვილი გიორგი 782
ხახუტაიშვილი დავით 784
ხელაშვილი ანზორ 785
ხომიზურაშვილი ნიკოლოზ 787
ხუციშვილი გივი 788
ჯავახიშვილი ალექსანდრე 789
ჯაოშვილი ვახტანგ 791
ჯაფარიძე ლევან 792
ჯაფოშვილი გიორგი 793
ჯებაშვილი იოველ 795
ჯიოევი (ჯიოითი) ოთარ 796
ჯორბენაძე ბესარიონ 798
ჯორბენაძე სერგო 800
ჯოხაძე დავით 802
ჯუსოითი ნაფი 804

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრები 805